

111
1958 / 3



მნათობი

11

სტ 083060



1958

მ ნ ა თ მ პ



ქოველთვიური ლიტერატურულ-მხატვრული
და საზოგადოებრივ-პოლიტიკური ჟურნალი

წელიწადი 35-ე

№ 11

ნოემბერი 1958 წ.

საქართველოს საბჭოთა მწიგნობართა კავშირის ორგანო

2577

შ ი ნ ა ა რ ს ი

შალვა ამილახვარი — ცოცხლები ჩვიდმეტი წელი. ლექსი	83-3
ვახტანგ გორგანელი — ოქტომბრის ქეჩი. ლექსი	4
ვივი ძნელაძე — საბჭოთა ახალგაზრდობის . ლექსი	5
კონსტანტინე გამსახურდია — დავით აღმაშენებელი, ტერალოგია, გაგრძელება	6
გიორგი ლეონიძე — სიტყვა ძველ თბილისს. ლექსი	14
როსტომ ბეჟანიშვილი — გარეუბნული შეზობლები	16
ალექსანდრე ქუთათელი — ლექსები	30
თამაზ ჭილაძე — ლექსები	32
ერსკინ კოლდუელი — პირველი ფოთოდევნა. თარგმანი ინგლისურიდან მ. და ლ. ქვლევიძეებისა	33
მურმან ლებანიძე — ლექსები	37
იპოლიონ ქაფიარაძე — ჩემი ბრალა	39
სიმონ წყერავა — სასტველიანი. დასასრული	51
დავით სულაშვილი — გელმართალი. დასასრული	74
გიორგი ჯიბლაძე — ხელოვნების შორეულ ძეგლებთან. გაგრძელება	88

ვიხილავთ ახალ ნაწარმოებებს

ალ. ხანდორაძე — აკაკი ბელიაშვილის რომანი „ეღვრტეხილი“	101
რევაზ კვერცხილაძე — თანამედროვე ქართული პოემა	107
ვ. პ. დრუზინი — სიტყვა ქართული საბჭოთა პროზის შესახებ	113

ქრიტიკა და პუბლიცისტიკა

თ. ბადურაშვილი — ლენინური კომკავშირის 40 წლისთავი	118
ალექსანდრე გვახარია — რუდაქი	124
არჩილ დავითიანი — ალექსანდრე შირვანზადე	129
დავით კახრაძე — იაკინთე ლისაშვილი	132

(იხ. მეორე გვ.)

სახელმწიფო გამომცემლობა
«საბჭოთა საქართველო»
თბილისი

პროფ. იასე ცინცაძე — ქართველი მეფის წერილი პოლონეთის არქივსაცავში	137
პროფ. კ. ბაქრაძე — იუცილებელი განმარტება	149
ვიორგი შატბერაშვილი — წარმართული ხარება	155



მიმდარული ლიტერატურა

ქეთ. თაყაიშვილი — მოგონებები, ვაგრაძელება	166
--	-----

წიგნების მიმოხილვა

ვიორგი კალანდაძე — ალექსანდრე გომიაშვილის ბალადები	178
ჯემალ შარაშიძე — გრ. ცეცხლადის ლექსების კრებული	180
პროფ. ქსენია სიხარულიძე — ახალი ნაშრომი ქართული ფოლკლორისტიკაში	183
პროფ. იარომირ იედლაჩკა — ქართული ენის გრამატიკა	186
აბოლონ ქუთათელიძე — მონოგრაფია მხატვარ ვიორგი მაისურაძეზე	199
ახალი წიგნები	გარეკანის მესამე გვ.

რედაქტორი ს. ჩიქოვანი

სარედაქციო კოლეგია:

დ. ბენაშვილი, დ. გამეზარდაშვილი, ლ. კალანდაძე (პ/მგ. მდივანი), გ. მარგველაშვილი, ა. ქუთათელი, ს. შანშიაშვილი

რედაქციის მისამართი: თბილისი, ლენინის ქ., № 63, ტელეფონი 2-13-42, 2-11-66.

ხელმოწერილია დსაბეჭდად 6/Х111-58 წ. ნაბეჭდ ფორმათა რაოდენობა 12. შეკვეთა 643. უფ 04161. ანაწილების ზომა 7¼×12¼. ქაღალდის ზომა 70×108. ტირაჟი 6500.

საქართველოს სსრ კულტურის სამინისტროს მთავარპოლიგრაფიკომის მიერ ბეჭდვით სიტყვის კომბინატი. თბილისი, მარჯანიშვილის ქ. 5.

Комбинат печати Главполиграфиздата Министерства культуры Грузинской ССР. Тбилиси, ул. Марджанишвили, 5.



ცოცხლდება ჩვილმეტი წელი

უბერავს ბალტიის ქარი,
უბერავს, უსტვენს და მღერის.
„ავრორა“, ლუზაზე მდგარი,
ქარს ხედება ჯავშანის ქღერით.

ბუბუნებს მდინარე ნევეც
და გულმკერდს უკოცნის ხომალდს,
რომ ძველი სამყაროს ნგრევა
მან ამცნო ქუხილით მყობადს.

ხომალდის ერთოზე დინჯად
მალღდება მოხუცი ერთი,
მოაჯირს თითებით სინჯავს,
ულელავს ქოჩორი თეთრი.

ეტყობა, ვერაფერს ხედავს,
გზას იგნებს გუმანით, აზრით.
ალყაში მოიქცევს ხელად
მას ნახიმოველთა რაზმი.

— ვინა ხარ,
ვის ეძებ, გვითხარ! —
ჯიქურად გაისმის კითხვა.
მოხუცი ზარბაზნის გვერდით
ჯდება და
მღუმარებს დიდხანს...

— ვინ ხარო?
მიდით და ნახეთ
სპილენძის ფირფიტა ძველი;
ის გამცნობთ

ჩემს ნამდვილ სახელს,
ამოჭრილს ჩემივე ხელით —

იგი ამ ხომალდზე თურმე
ზარბაზნის მსროლელად მდგარა,
და კვამლის დაგრაგნილ ღრუბლებს
აქედან ზვერავედა წყნარად.

მონახავს გათოშილ ბორბალს
და შუბლით ეყრდნობა ზედა,
გულს უკლავს ტიალი ბოლმა,
რომ ხედვით ვეღარას ხედავს.

მერე კი მოიკრებს ძალას,
აიწევს, ადგება ზეზე,
და ხელის ცახცახით თანაც
ზარბაზნის ნაწილებს ეძებს.

— შეიღებო, იმ პირველ ქუხილს
მე ახლაც ვისმენო! — იტყვის.
შუბლიდან შორდება მწუხრი,
სხვა ელფერს დაიდებს თითქმის.

— იმ დიდი ქუხილის ექო
ჩვენც გვესმის! — პასუხობს ყველა.
— მაშ, მოდით, სიმღერა ვკეჭოთ! —
მოხუცი მიუგებს ხელად.

— ვკეჭოთო? — გაისმის ხმები...
— ვკეჭოთო! — გრილვებს ქარიც...
და ხარობს აღმების რხევით
„ავრორა“ ლუზაზე მდგარი...

პახანა მოკაენი



ოქტომბრის ქუჩა

ოქტომბრის ქუჩა — გაბმული ლარი,
ჭადრების ყდაში ჩასმული სარკე.
მზეს გაუღია ბაღების კარი
და სურნელებას უბნებში აკმევს.

ცა დაპბჯენია ქარხნების საყვირს,
ანთებულ ბუნჭთან მტრედი მტრედს
და ცხრა ძმის საფლავს ყვაილებს
უცდის
აყრის
წამოფრენილი მერცხალთა გუნდი.

თრთის განა მარტო ვარდთა ბაგენი,
ქვასაც კი თითქოს გული უცინის.
დგას ძველისძველი ნაძალადევი
ვით ობელისკი რევოლუციის.

მინდა გავშალო სიმღერა ტყბილი
აქ ყოველ სახლთან, აქ ყოველ ბუნჭთან.
თაიგულივით ამშვენებს თბილისს
მზისკენ წასული ოქტომბრის ქუჩა.

მიწა რა არი, ცაც სახეს იცვლის,
ბულბული აღებს მშვიდობის კარებს.
ო, ვით ეს ქუჩა, მჯერა და ვიცი,
ასე მშვენდება სამშობლო მხარეც.

ოქტომბრის ქუჩა — გაბმული ლარი,
ჭადრების ყდაში ჩასმული სარკე.
მზეს გაუღია ბაღების კარი
და სურნელებას უბნებში აკმევს.

გივი ძნელიძე



საგმობთ ახალგაზრდობას

ჩემი საშობლოს მინდვრებზე
მძლავრი გუგუნი გაისმის;
ახალგაზრდობა ბობოქრობს —
ჩვენი სიცოცხლის გაისი.

შრომაა? — ახალგაზრდობა
პირველ რიგებში გრიალებს!
ბრძოლაა? — ახალგაზრდობა
შუაგულ ცეცხლში ტრიალებს!

აშენებს,
უტევს,
ამშვენებს, —
გმირობას იჩენს გასაყვირს;
ის არის — საუკუნეთა
ულამაზესი ასაკი.

ახალგაზრდობა ყოველთვის
ახლის მძებნელი ყოფილა, —
კეთილ საქმეთა საქმნელად
ძალა ყოველთვის ყოფნიდა,

მაგრამ სხვა არის ახალი,
კომკავშირული თაობა,
არეის აროდეს ჰქონია
მისებრი გამბედაობა.

იგი მტკიცეა, გამძლეა, —
მომავლის ბოძად შედგმული;
იგია ჩვენი პარტიის
თანამოღვაწე ერთგული.

მისებრ დიადი მიზანი
არეის ჰქონია აროდეს,
იგია ხალხის იმედი,
ღე, ხალხი მისით ხარობდეს!

...მზით განათებულ მინდვრებზე
შრომის გუგუნი გაისმის:
— ახალგაზრდობა ბობოქრობს, —
ჩვენი სიცოცხლის გაისი!



ღავით აღვაშენებელი*

ტიტრალიგია

კუროპალატისა მელიტა შემოვიდა გახარებული.

ეს რა შშვენიერი ფრინველები მოკვარესო უფლისწულს!

ღემეტრე ყელზე შემოეკლო მამა მისს:

წამოდი ქორები ცნახოთო.

გიორგი აუხირდა თავის დას:

შენც წამოდიო მაიკო. მარიამი სიცილს ვერ იკავებდა:

მე რომელი მენადირე მნახეთო! მაინც თან გაჰყვა გიორგის. მახარას ნიანია ბაკურიანი და ჯონდი ერისთავიც გამოეტყუებინა, ისინი თავიანთ ყავარჯნებს დაყრდნობილნი მიკელანობდნენ საბაზიერო სახლისკენ.

თანაც იცინოდნენ: ამ ყავარჯნებით ბევრს გამოვადგებითო ნადირობაში მახარას. დავითმა ორივენი გადაკოცნა.

„ამ ქორებს მერჩია, ჩემი ნამდვილი ქორები უყავარჯნოდ მენახეთ ამ დღით.“

„ეგვეც სულ მალე იქნება, ჩვენო პატრონო, ჩემი დასტაქარი დაპირებულია, მომავალ შაბათს გადაგაყრევინებთო ყავარჯნებს“. მიუგო ნიანია.

„ოლონდ შენ ვნახო მომღიმარი, ჩვენო პატრონო, ამ ჯოხებს თუნდაც ახლავე გადაყვი“. სთქვა ჯონდომ.

„არა ამ საქმეში მეფეზე მეტად დასტაქარს უნდა დაუჯერო, ჯონდი.“

ქლარუნა ცას ეწეოდა სიხარულისაგან. იგი ამჩნევდა დავით მეფემ გული აიყარა ნადირობაზე. გიორგი მეფე აღმათ სადაცაა წინაპრებთან წავა, და ვაჟ თუ დავითმა საბაზიერო საესებით

გააუქმოს, სამადლო პურის ქაბა მომიხდესო ამ სიბერის ეამს.

ერისთავს არიშიანს მოხუცი ბაზიერი ბატატიც გამოეგზავნა. იგი საქმიანად დაჩლიჩობდა რკინის გალიებში, ხიზებს ასხამდა ქორებს. უწრუწუნებდა, აშოშმინებდა უხიავად აფხორილ მტაცებლებს.

მახარაც შევიდა გალიაში, მაცქერალთ ესმოდათ, თუ როგორ ეჩურჩულებოდა იგი ქორებსა და მიმინოებს, ბოლოს ერბოსფერი ქორი გამოიყვანა ერთი, მთელი წყრთის სიგრძისა, საბაზიეროს წინ მოგროვილთ მიჰგვიარდა გახარებულმა სთქვა:

„იცით რა ქორია ეგა?“

„აბა ჩვენ რა ვიცით ქორის კარაბადინში ჯერ არ ჩაგვიხედავს“. მიუგო მომღიმარე დავითმა.

„ეგ ქორი ეგვიპტური წარმავლობისაა, სწორედ ესაა მგალობელი ქორი.“ გიორგი მეფე ჩახედული ბყო ბაზთა საქმეში, მანაც გაიოცა:

„მგალობელიო? რასა ბრძანებ, ვეყო?“

„ეგვიპტეში ცხოვრობენ ასეთი ქორები. ბედუნებს ჩამოჰყავთ ისინი ბაღდადისა და ისპაჰანის ბაზთა ბაზრებზე“. გიორგიმ გადაიხარხარა:

„რას ამბობ, ვეყო, ქორი და გალობა? შენ რაღაც გეშლება, მახო.“

ბაზიერი ბატატი წინ წამოდგა, დაუდასტურა მახარას: ეგ ქორი ქეშმარიტად მგალობელიაო, მე ვუთვალთვალებდი, ამ დილითაც გალობდაო იგი. გიორგიმ სთქვა:

„ეჰ, აღამიანები ხშირად ცხოველებისა და ფრინველებისაგანაც უნდა სწა-

* გაგრძელება. იხ. „მნათობი“ № 9.



ვლობდნენ ქუთას, მე და ჩემმა ღმერთ-მა. თუ ამ დატყვევებულს, საწყალობელ ფრინველს გალობის თავი აქვს, თქვენ რა მოგდით, ახალგაზრდებო, ცხვირპირი რომ ჩამოგტირით ხანდახან.

ვინძლო ქორის წაბაძვას თავილობთ, მე მომბაძეთ, ვაყებო, სულ ხუმრობითა და შექცევით ვუპალოვდები სიკვდილს. გაიხარეთ, გაიხარეთ სანამ ჩემებარ არ დაგათოვთ თავზე.“

ახლა ჯაჭვის ფერი ქორი გამოიყვანა მახარამ და გიორგი მეფეს შეასვა ცერზე.

„უფალი მწედ გეყოლოს, მახო, ქორი ძალის მომნიჭებელია, ჩემს სიკბაბუეში როგორც კი პირს დავიბანდი, სულკურთხეულ მამიჩემის საბაზიეროში მივდიოდი, საუკეთესო ქორს ავირჩევდი, ცერზე შევისვამდი და ვუქვრეტდი მას. ამიტომაც მიბოძა უფალმა სითამამე ქორისა და მოთმინება კამეჩისა, თორემ ჩემს გაძალღებულ ცხოვრებას როგორ ლა ავიტანდი.“

დავითს ენიშნა შამის სიტყვები. მართლაც და ყოველ წამს უნდა გამოსძალო კაცმა სიხარული, უამისოდ რაღაა ცხოვრება?

თვალი შეავლო ხარიხებზე გამწკრივებულ ბაზთა და მოაგონდა გეგუთში. ქუთაისისა და ლიბარიტის უბანში გატარებული სეგბედნიერი დღეები, ყველანი აქ იყვნენ ნიანია, ჯონდი, გვანცა და მახარა, ერთადერთი დედისიმედი აღარ იყო მათ შორის.

მახარამ ქვიშისფერი მიმინო გამოიყვანა ერთი. გვანცას შეასვა ცერზე და უთხრა:

„ეგ თვალწითელა მიმინო ბედნიერების მომტანია, გვანცა.“

„ეჰ, ბედნიერებას მე ვინ მაღირსებს, უფლისწულ ბატონო“. მიუგო ერისთავის ასულმა.

„იმედი არასოდეს არ უნდა დაჰკარგო, გვანცა“, სიტყვა ჩაურთო დავითმა და თვალწითელა მიმინოს ჩახედა გაკაბასებულ თვლებში.

„რაც არასოდეს მქონია, მას როგორღა დაეკარგავდი, მეფე ბატონო, ახლა ერუნი მიმინო გამოიყვანა მახარამ, ნიანია ბაკურიანს შეაჩეჩა იგი.“

„ასეთნი გურგანის ზღვის ვალმა ჰყავთ თურქომანებს, იგი შეიძლება წეროს მიუტოვოს კაცმა, თუ საქმე მისკირდა, კურდღელსაც“.

ამის თქმა მოასწრო მახარამ და მესტუმრეთუხუცესი მოვიდა, გიორგი მეფეს მოახსენა.

ვამებ თორელი და აზნაურნი მისნი გაეხლენო.

ვამებ თორელი სპასალარად ჰყავდა გიორგი მეფეს იმ წლებში, როცა გიორგიმ „წარუხუნა ბერძენთა ანაკოფი, თავადი ციხეთა აფხაზისათა და მრავალნი ციხენი კლარჯეთისა, შავშეთისა, ჯავახეთისა და არტაანისა და შემდგომად ამისა აღილო ქალაქი კარიისა, ციხე ქვეყანა და სიმაგრენი ვანანდისა და კარნიფორისანი და აოტნა თურქნი მის ქვეყნისანი.“

გიორგიმ მახარას შეაჩეჩა ქორი ხელში და კბაბუკური ნაბიჯით გაემართა ჩელტის კარისაკენ, რომლის გადაღმა უკვე მოსჩანდნენ ახოვანი ვამებ თორელი და სამი თოროსანი რაინდი.

კლტი კარის ზღურბლთანვე გადაეხვია ურთიერთს ორი მხცითმოსილი გოლიათი.

ვამებ თორელს მხოლოდ ერთხელ ენახა გერაც კბაბუკი დავითი, თამამად მიეახლა მეფეს და ღაწვის თავზე ეამბორა.

უკუღვა და სთქვა:

„ბედნიერი ვარ შენის ხილვითა, მეფე ბატონო, რა ვუთხრა ჩემს სიბერეს, ხმლით რომ ვერ წაგებმარე ერწუხში. მუხლები დამიძაბუნა სიბერემ, ცხენზე ვერ ვჯდები მისრატულთა დაუხმარებლად, მაინც წამოვედი შენი ნაალაფარი ვიხილო თვალით“.

ვამებ თორელიც ბაზთა მოყვარული აღმოჩნდა. იგი კბაბუკურის გატაცებით უსმენდა მახარას:

„აი ეს ბოლოშავა ქორი არწივებარ

ძალმოსილია. არც ისაა ურიგო, მოყვითალო ფრთენი რომ ამშვენებს და გულმუცელზე სითეთრე გადაკრავს, ასეთი ორია, ალბათ ერთი ბუდიდან არიან აფრენილი. ის მთლად ტუტასფერი, წითელ-ყვითლად დაწინწკლული ნაკრტენითა, მთლად იშვიათია, მაგრამ ძნიად დასაგეშია.“

მახარამ ვამეხს მკლავზე წაივლო ხელი:

„იმ ორს ხომ ამჩნევ, ერისთავო ბატონო, ხარბის ბოლოს მსხდართ. მოშავო თავები აქეთ და ყვითელი ფრთენი, ესენი წყვილნი თუ მიუსიე, მშველს შეიპყრობენ.“

ერთი მათგანი ალბათ დედალია, საერთოდ, ქორთავან დედალს უფრო ღია ფერის ნაკრტენი აქვს.

ამ ჯიშის ქორებს მოხეტიალეს ეტყვიან, რადგან ისინი მთელ ქვეყანაზე დახეტიალობენ, უფრო მკაბე ხმა აქვთ, უფრო მძვინვარე თვალეები, ამ ჯილაგისანი მხოლოდ ფრინველებს ეტანებიან, გარეულ ბატებზე სანადიროდ კარგია ასეთი ქორი.

პაერში შეიპყრობს თუ არა ბატს, ან წეროს, მყისვე მოაშთობს. გარეულ იხებზედაც გამოსადეგია ასეთი ქორი, მაგრამ ხანდახან იხვი გაუსხლტება და მდინარეში ჩაყვინთავს, ქორი თავგამეტებით დააცხრება წყალს და იხრჩობა...“ გიორგი შეფეს მოსწყინდა მახარას ქაქანი.

„აკმარე ახლა შენი ქორების ამბავი ერისთავს, მახო, ვამეხს ნაალაფარი ცხენები, აქლემები და თორსაჭურველი ვაჩვენოთ, ისა სჯობია. წამო, საჯინი-ზოსაკენ გავატაროთ სტუმრები.“

* * *

შეფეთა და ერისთავთა მოსვლას არც მოელოდნენ საჯინიბოში. მეჯინი-ბეთუხუცესი ავად გამხდარიყო და მისი ნაცვალი შოშიტაი წინ შეეგება სტუმრებს და მოახსენა: იერუსალიმიდან გეახლნენო სარწმუნო კაცი.

„როგორ ხარ, შოშიტაი, რომ არ დაგვიბერდი, სქელო?“ ეკითხებოდა გიორგი შოშიტას.

„სიბერე დაეთრგუნე, მეფევე ბატონო, მე არც ვახსენებ მას, სანამ ხმლიანი მთავარანგელოზი თავზე არ წამადგება...“

„ეგრე უნდა, ჩემო შოშიტაი, სიბერე და სიკვდილი არაოდეს ვახსენოთ.“

მეჯინიბეთუხუცესის სამყოფელში ზედიზედ დაემხენენ სოხანეზე არტავაზ არშელი, ხახუტა, ლულუ ბენ ჰაიდარ და სიტყვაი ქორა.

გიორგი მეფემ წამოაყენა არტავაზ არშელი და ეუბნება:

რა ერქვაო მამაშენს?

ვაჩეო მიუგო არტავაზმა.

არშის ციხის პატრონი ვაჩე უერთგულესი ყმა იყო სულკერთხელ მამაჩემისა... იგი გააფთრებული ებრძოდა ფაღღონ ამირას წეროვანში, და მარცხენა ფრთას ლაშქრისას სარდლობდა, როცა ბაგრატ მეფემ მეორეჯერ აიღო ტფილისი.

დავითმა მზერა გაუმართა ნახმლევებით დაწვებდალარულ ქაჩალ ვაქაკს, გაეღიმა, მისი ოინები ხალიფას ჯარზე რა მოაგონდა, და არაბულად შეეკითხა მას:

„ბა ეს მითხარი, არტავაზ, რა სახისაა ეგ ჩვენი დედამიწა?“

არტავაზმა თავათაც გაიღიმა და მიუგო:

„ეს დედამიწა ხუთი ნაწილისაგან შედგება, მეფევე ბატონო, წარმოიდგინეთ თავი ფრინველისა, ორი ფრთა, გულმკერდი და ბოლო.“

„ახლა ეგა თქვი არტავაზ, სად იწყება დედამიწა?“

„დედამიწის თავია ხატეთი, მეფევე ბატონო.“

„ხატეთს გადაღმა რა ქვეყანაა?“

„ხატეთს გადაღმა ხალხი — ცხოვრობს, რომელსაც ვახ-ვახს ეტყვიან.“

„ვახ-ვახების ქვეყნის გადაღმა ვინა ცხოვრობს?“

„ვახ-ვახების ქვეყნის გადაღმა იმ-

დენი ხალხია, რომლის სათვალავი უფალს თუ ეცოდინება.“

„მარჯვენა ფრთაზე ვინ ბინადრობს?“

„მარჯვენა ფრთაზე ბინდუს ქვეყანა, მეფე ბატონო.“

„მარცხენაზე?“

„მარცხენაზე ორი ხალხი გვეგულდება მანშაქ და მამაქ.“

მანშაქ და მამაქს იქით ვინა ცხოვრობს თუ იცი?“

„მანშაქისა და მამაქის იქით ბინადრობენ იაჯუჯ და მაჯუჯ.“

„გული ქვეყნისა ვის უპყრია?“

„მუსლიმნი აგრე ვარაუდობენ: გული ქვეყნისა უნდა იყოს: მეკვა, ჰიჯაზ, სირია და მისრია.“

„მაშ რამდენი ხმელეთი ეგულებოდა მაჰმადს?“

„შეიდი.“

„ზეცა?“

„ზეცაც შეიდი. შეეკითხა თურმე მაჰმადს ერთი უცები ვინმე: ჩვენ რომელ ხმელეთზე ვიმყოფებითო? და მიუგო მან: პირველზეო. მეორეზე ვინ ბინადრობსო? იკითხა ისევე იმ უბირმა კაცმა და მიუგო მაჰმადმა: მორჩილნი ქმნილებანი ბინადრობენო მეორე ხმელეთზე, მესამეზე უცხო და უცნობი არსებანი, ხოლო მეოთხეზე შიშველი კლდეებია, მეხუთეზე მეჩხერი წყალი— „დაბდახ მინ ალ-მაჰ“, მეექვსეზე თიხაა, და იმ თიხაზე აღმართულია ტახტი იბლისისა, მეშვიდეზე ხარია.“

ახლა ესა ჰკითხა არტაევას დავითმა:

„რას ეყრდნობა თუ იცი მიწა?“

„იმ ხარის რქას.“

„ხარი?“

„თევზს.“

„თევზი?“

„წყალს.“

„წყალი?“

„ჰაერს.“

„ჰაერი?“

„სინესტეს. არაბულად რომა ვთქვათ ას-სარაჰას.“

„ას-სარაჰა?“ იკითხა მომღიმარე დავითმა.

„ას-სარაჰაზე წყდება ცხენბერება კაცთა.“

არტაევას არშელმა მიართვა დავითს ძვირფასი არაბული რუკები: მაამულ ვაშგარისა და ერთიც ალ საფაქსისა.

ვიდრე დავით მეფე არტაევას არშელს ესაუბრებოდა, შოშიტამ მოარგკინა მეჯინიბეებს ნაალაფარი ცხენების რემანი. ერისთავი თორელი გახარებული შესცქეროდა არაბულ ულაყებს, თექურ კაკებსა და იაზოებს.

როცა დავით მეფის საჯინიბოში შევიდნენ სტუმრები, არტაევას არშელმა თვალი დაადგა ოქროსფერ ულაყს და ეუბნება დავითს:

„ეს წმინდა სისხლის ქეილანურია, მეფე ბატონო. ამგვარი ცხენების გამო ერთ არაბულ ლექსს მოგახსენებდი თუ მიბრძანებ.“

სთქვიო ღიმილით მიუგო დავითმა,

„ნუ იტყვი თითქოს ეს ცხოველი

ცხენი იყოს ჩემი, მითხარი შვილია-თქო შენი.

გრივალზე უსწრაფესია,

თვალზე უმაღლესია,

როცა თვალი ველზე გაისერის მზერას.

ოჭროსებრ წმინდაა,

თვალი მისი უნათლესია,

ბეწვსაც დალანდაც მრუმე ღამითაც.

გაქუნებული გაასწრებს ჯვირანს,

ვაფრენილ არწივს შესძახებს:

ვერ გამასწრებო.

ისართა ზუზუნი და ხმალი წყრიალი

რა შემოესმება მამინ აზუავდება

გული მისი.

როცა იგი ნაბიჯით მიდის

საესე ფაღა დადგით გავაზე.

ის ისევე გონიერია,

როგორც ბრძენი კაცთა შორის,

ოღონდ ეგაა

პირუტყვად შეუქმნია იგი ალლასი.“

შოშიტაი არ მოელოდა მეფეთა დილა-ადრიან წვევას, დავით მეფის საჯინიბო ჯერაც მილაგებული არ იყო, ცხე-

ნის ჩონჩორის სუნი იდგა ირგვლივ. დაეითმა მკლავში ხელი წაავლო ერისთავს თორელს. ახლა ზერდაგ საომარ ულახთან მიიყვანა იგი და უთხრა: „განაგონი გექნება, ვამებ ბატონო, მეოთხე საომარი ცხენი გამომიკლეს ერწუხში. წელან რომ გაჩვენე. მაგას აღერსაი დაეარქვი.“

ეს ულახი, ეგეც ჩინებულია, მუცლი შევარქვი მას, ჩემი საყვარელი ცხენის სახელი. ნახე რა მოკლე ყურები აქვს, წვრილქალასანია, დრუნჩიბრი უხორციო აქვს, ხოლო ნესტოები „ლომის ხანასებრ ფართო“, როგორც არაბნი იტყვიან ხოლმე.

ფეხები სირაქლეშისებრ გრძელი, ხოლო იოგები აქლემისებრი...“

უცხოთა მიახლოებისაგან შემკრთალი ულახი ცახცახებდა. დაეითი სულ ახლოს მივიდა, თელისფოთლისებრ წვეტწამახულ ყურებზე მოეფერა, აკოცა თვალზე და ერისთავს მიუბრუნდა ისევ:

„ჯიშთან ცხენს შუბლი უნდა ჰქონდეს ფართო, მკერდი ვანიერი, კისერი გრძელი, ხოლო ყურები უცილოდ მოკლე, აგრეთვე ძუა ფაფარიცა.“

ამგვარად თუ მიემსგავსება იგი მწევარს, მტრედსა და აქლემს...“

ახლა ოქროსფერ საომარ ულახთან მიიყვანა დაეითმა მოხუცი ერისთავი.

„ეგეც ჩემი საყვარელი ცხენის, ქუჯაის ნაცვალაია. ამ პირუტყვისთვის მხოლოდ მეტყველების ნიჭი წაურთმევი უფალს, ფიცხია და დაუღერომელი, მაგრამ გონებითა სრული.“

ლომისფერ იბოსთან მიიყვანა დაეითმა ერისთავი თორელი.

„ეგ იბოს პირწმინდა თექურია, დაზე რა მაღალ ფეხებზე დგას, როგორი გრძელი კისერი აქვს და ვანიერი ნესტოები.“

საჯინიბოში შემოვიდნენ გიორგი მეფე, ნიანია და ჯონდი, მათ უკან მოყვებოდა არტავაზ არშელი.

ახლა სამარქაფო ცხენები უჩვენა დაეითმა ერისთავს კვერნისფერისანი,

ვერცხლისფერნი, მოლიბრო, ფორჯებით დაწინწკლულნი, უჩვეულოდ მოსფერს გადაიკრავდა, ზნეგუნქი მქნასფერნი იყვნენ სრულიად.

დაეითს არ მოეწონა, რომ ზოგ მათგანს მოვლა დაკლებოდა, შოშიტაი მოიხმო.

„სამურველი ხომ არ დაკარგეს შენმა მეჯინიბებმა, შოშიტაი, ჰა?“ შოშიტაი გადაფითრდა.

„რა უნდა ექნა, მეფეც ბატონო, წელში მყავს გაწყვეტილი მეჯინიბენი. ველარ ავუღივარ ამოდენა ცხენების მოვლას. მეჯინიბეთუხუცესს ხურვება შეეყარა, მერემეთუხუცესი მპირდებოდა გეგუთს წავასხამო ცხენებს, ნიკრისის ქაჩები დაემართა მაგ ჩემი ცოდვით საცესა და ლამისაა თავი არ წაგეჭამონ ცხენებმა. ახლა ისინიც მოსავლელია ველად რომა გვყავს ღვთის ანაბარად მიტოვებულნი, მერემენი ველარ აუდიან მათ დამწყურვალებას.“

საჯინიბოში მყოფთ მოესმოდათ გაუძლიისი ჰიხვინი და ზეხვინი. როცა მესამე თავლიდან გამოსვლას აპირებდა დაეითი, გიორგი მეფე წინ გადაუდგა, მწყრივად დაბმულ ულახებისაკენ მიახედა და ეუბნება:

„ეს შვიდი ულახი ვამებსა და მის აზნაურებს ვუსახსოვროთ, ერთიც არტავაზს...“

არტავაზს უსიტყვოდ ენიშნა ნათქვამი. და როცა არაბულად უთხრა იგივე დაეითმა, მეფეთა წინაშე მუხლი მოიყარა არშის ციხის აწინდელმა პატრონმა.

ერისთავი თორელი გაზარებულნი შესცქეროდა საჯინიბოების წინ მოგროვილ ცხენებს. ისინი ნაზამთრალ ბირკაში იყვნენ ამოგანგლულნი და ფაფარაბურძენილნი, ძუდაბურდულნი რომელიღაც ზღაპრულ ცხოველებს მიემსგავსებოდნენ. დაეითმა გადახედა აურაცხელ ცხენების რემას და უთხრა ერისთავს:

„ერწუხის ომამდის მე სარწმუნო კაცთა წარგზავნას ვაპირებდი კაცკასი-

ონში ცხენების შესაძენად. ვინ იცის, რამდენი ოქრო უნდა გაცეა მოლარეთ-უხუცესს ამ საქმისათვის, მაგრამ არსთა-განმრიცხვს ეწადა აგრე, ამირ შიხ აღ-დინ ამბეტმა და მისმა ლაშქარმა მომ-გვარეს ისინი“.

• •

გიორგი მეფემ აიჩემა: ახლა ზარდა-ხანა ვაჩვენოთო ვამეხს. ზარდახანა მო-თავსებული იყო საჯინბოებს გადალ-მა, ბაგრატიულ ძველთაძველი ციხის ნანგრევში, რომელიც სახელდახელოდ მოეფიცრა და გადაეხურა ზარდახანის-უხუცესს.

დავით მეფემ თვალი შეაელო ველად დახორცილ აქლემებსა და ეუბნება ერისთავს:

„ეს პირუტყვებია ქრისტიანობის უდიდესი მტრები. აქლემებზე ამხედ-რებულმა სარკინოზებმა და სელჯუკებ-მა წაართვეს ბერძნებს, სირიელებსა და სომხებს ოდითგანვე მოპოვებული სამ-შობლო.“

აი იმ არყის ზის ქვეშ მდგარი ორ-კუზიანი აქლემები მახრის¹ აქლემებია, უსწრაფესნი და შეუბოვარნი ბრძოლა-ში, ველზე მწოლარენი დრომადერე-ბია“.²

მეფეები და ერისთავები სულ ახლოს მივიდნენ აქლემებთან. გიორგი მეფე ეუბნება ერისთავს:

„იცი, ვამეხ, რა რიგად პყარს ეგ სა-შინელი ცხოველი... ხომ ეგზომ საამუ-რია ცხენის სუნი. მე თავათ ცხენის ჩონჩორის სუნიც მიყვარს, თავათ გან-საჯე მთელი ჩვენი სიჭაბუკისა და ვაყვაცობის მანძილზე ცხენთან გრ-თად გვიბრძოლია. ხომ გახსოვს ერთ ლამეს ჩვენ საომარ ცხენებთან ერთად

რომ გვეძინა კარნიფორის ახლოს ერთ გავერანებულ თვალაში. ხოლრა/აქლემში/ მტრისკარს, აქლემი მძორივით-მყარს...“

დავითი სულ ახლოს მივიდა ორკუ-ზიან ამბახთან და სთქვა:

„შეხედეთ, როგორი უჭკუო გამომეტ-ყველება აქვს ამ საწყალობელს, რო-გორი გაოგნებული თვალები, აქლემი ვგონებ ერთადერთი ცხოველია, რომე-ლიც თვალახელილი იბადება“.

„მინც რა ეჩქარება ამ გაოხრებულს ამ ჩვენი წაწყმედილი წუთისოფლის ნახვა, შენ რას იტყვი, ვამეხ, პა?“

აროხრობდა გიორგი მეფე.

ვამეხ სულ ახლოს მიდიოდა ამ ახ-მას ცხოველთან, რომელსაც ნაზამთ-რალი ბეწვი ზოგი ვაცლოდა, და ზო-გიც აჩჩოდა ტალახისა და სკორესა-გან ვაგლახად მოთხვრილი.

უზარმაზარი, ორკუზიანი, შავი აქ-ლემი იწვა, უცხოთა ორანის შემცნობი წამოდა, გამოაჩინა თავისი მკლე ფერ-დები, ნახმლევებისაგან დაჩირქებული.

იგი უხიაგად აკანტურებდა თავს და იფურთხებოდა...

ამასობაში ერთობლივი ყვირილი მორთეს მახლობელ კორღზე დაჯორ-გილმა გვიმრისფერმა აქლემებმა.

მათ სანახავად მოსულებმა თითბით დაიგმანეს ყურები. ეს იყო ამაზრზენი ღრიანცელი, რომელსაც ყოყინი, ბო-ყინი, ყოყინი ურთიერთს ერთვოდა.

დავით მეფემ კიდევ შეხედა აქლემებს და სთქვა:

„ლაშქრის ამირას კარგად არ სცო-დნია ამ ცხოველის სიჯიუტისა და სი-ცოფის ამბავი. იგი აქაც შესცდა, რო-ცა მთელი თავისი კარვები, საჭურჭ-ლენი და საჭურველნი ამ სულელ პირ-უტყვეებს აჰკიდა. რამდენადაც მამაცად იბრძვიან აქლემები ველზე, მთის ბრე-კებზე ხშირად ოჩნდებიან ხოლმე.“

ხოლო მდინარეთა და გუბეთა გადა-ლახვისას უკვე ცოფთებიან სრულიად-წყალს რა მოახლებენ ჯერ აკვინტრი-შდებიან, ატროკდებიან, მერმე მიაღ-გებიან და სეამენ განუზომელად.

¹ მახრი — ერთ-ერთი რაიონა აფრეიკისა, მსწრაფლმავალი აქლემებით ცნობილი.

² დ რ ო მ ა დ ე რ ი — ბერძენ. სწრაფმავალ აქლემს ეწოდება, აგრეთვე მიზანტიურ ხო-მალს აგრეთვე სწრაფმავალს.

სწორედ ხევებში ქუეციებით იქერდნენ აქლემებსა და მათ მხედრებს ხევისთავი ხორანასძე და მისი შაქუღლიანები“.

საესებით მელოტი, გრძელწვერა ზარდახანისუხუციეი წინ შემოეგება მეფეებსა და ერისთავებს.

ნაიცივარის კარიბჭეს ჯერაც შერჩენოდა ბაგრატ კუროპალატის ქამინდელი ფრთიანი ღომები.

ზარდახანის მოხელენი გაშეშდნენ კედლებზე აწურულნი. გიორგი მეფემ და მისმა სტუმარმა უხმოდ ჩაუარეს კახეზე დაკიდულ ქართულ თორებს, გეგუთის, უფლისციხის და დმანისის ოსტატთა მიერ ნაკეთებ, მუზარადებს, კურკატებს, რკინის პერანგებს, ჩუგლუეებს, წათებს, ხმლებს, წერაქვეცულებს, ხელშუბებს, მშვილდისრებსა და საომარ შუბებს, მახვილებს, ხანჯლებსა და მალალტარიან შუბებს, რომელთაც უზანგებზე იმაგრებდნენ ხოლმე იმქამინდელი მხედრები.

ეს ყოველივე ამოხტით გაზინთული, რიგიანად მოვლილი ეკიდა ირგვლივ. მაგრამ როცა იმ სათავსოებშია შევიდნენ, სადაც ნაილაფარი იარაღი ეკიდა, თვით მარად აღმღვრეველი გიორგი მეფე აღშფოთდა. ტალახი და სისხლი ზედ შეხმობოდა მათ, უწესრიგოდ ეყარნენ და ეკიდნენ ისინი.

ირანული, არაბული და თურქული ცხენსაკაზმი აჩვენეს ვამებს, ოქროს ბროკატით დამშვენებული დორები, ვერცხლის თორები ცხენათავის, სამკერდენი და საძუენი ცხენისა, საკარვე დორები ოქრომკერდით ნაქსოვი ფარსისტანისა და ხუნისტანის ოსტატთა ნახელოვნები.

ლაშქრის ამირას დიდი კარვის დორები და საფეხები, ოქრონემსურნი და ოქროსბროკატით ნაკეთებნი.

მოვერცხლილი მუზარადები და სალმასურის ჯაჭვის პერანგები, ვერცხლის ცხენსაკაზმი, ოქროსვალიანი ხმლები, მშვილდები და ისრები დამასკსა და ისპაჰანში ნაკეთებნი.

გველისპირული იატაგანები, რომელთაც გველის პერანგი აქოხდათ ვადაზე გადაკრული, ლითამიანი მჭრეტეე ფიქიზად ნაკეთები ვერცხლის ლითამიანნი. ოქროცურვილი სარკინოზული ქამრები, ლაგამები, სამკერდები, ვერცხლილტარიანი წერაქვეცულები, რომელთაც კიდევწამახული ნაიევიარი მთვარე ჰქონდათ ზეთავზე.

ბერძნული ცეცხლის გასატყორცხი ხელსაწყონი, საგანგებო პოლოტიკნი, სამკერდენი და რკინის თათმანნი, ბერძნული ცეცხლის მტყორცნელთათვის განკუთვნილნი.

ორკაპიანი მახვილები ვადამოოქვილნი, დამასკის, ბაღდადისა და ისპაჰანის ოსტატების მიერ ნაწრთობი ხმლები, დავითმა შეაყენა მოხუცი ერისთავი. ვადაჯვარიანი ხმლები უჩვენა პალერმოში. ფერარასა და პარიზში ნაწრთობნი.

„ეს ჯვაროსნებისათვის წართმეული ხმლებია“, ეუბნება ერისთავს. ფრანკული, იტალიური და ბრიტანული ჯაჭვის პერანგები ეკიდნენ კედელზე მსხვილფარეშოსანნი, წვრილფარეშოსანნიც ზოგნი.

ულითამო ნორმანული მუზარადები, რომელთაც ციკნის რქისოდენა კერტები ჰქონდათ ზედ დასმულნი.

ყუასწორნი, ვადაჯვარიანი ბავარული მახვილები, ბურგუნდული თორები, ცხენსაკაზმები და პოლოტიკნი.

ფრანკული ჩუგლუეები და წერაქვეცულები, ვარანგული მუზარადები, რომელთაც პირდამჩენილი მგელი ზედ ეხატათ.

ისევ თურქომანული, სელჯუკური და ირანული ჯაჭვის პერანგები აჩვენა გიორგი მეფემ სტუმარს, ყორნის ბოლოსებრ ვასვასი ჯერაც შერჩენოდა მათ...

მოხუცი ერისთავი არა სცხრებოდა, ახლა სხვა სათავსოებში აპირებდა ვადავლას, სადაც ჯაჭვის პერანგები, ხმლები, წერაქვეცულები და შუბები ჰერეხივით იყვნენ ჩაყრილნი.

გიორგი მეფემ იდაყვზე წაუცაცუნა ხელი თავის სპასალარყოფილს.

„გვეყოფა, ვეჟო, წამო ღიახვის ორაგულებს შევექცეთ“.

ტაოსკარიდან მალემსრბოლი მოსულიყო ამასობაში, დავით მეფე გიორგი ჰყონდიდელმა წაიყვანა თავის სამყოფლოში, ხოლო გიორგი მეფე და ვამეზერისთავი ბროწეულის ქვეშ გამართულ სუფრას მიუსხდნენ.

„ეს ორაგული საოცნებო რამეა, ვეჟო, ეუბნება გიორგი თავის სტუმარს. აპრილში იგი ქვირითის დასადებად მიდის ღიახვის სათავეებისაკენ, ხოლო შემოდგომაზე კაცის თვალი უკეთესს

ვერაფერს იხილავს, რა დაინახავ, აურაცხელი ორაგული თავის წაშინებულ როგორ უბრუნდება ისევე მტყუარს.“

გვეყოფა ცხენების, აქლემებისა და საჭურველთა გამო ლაპარაკი. ეს ღვინოც გასინჯე ატენური.

მადლი უფალს, უგუნებობა გადაეყარა ჩემს ვაჟს, ხვალ გეგუთს მიემგზავრება სანადიროდ და სალხინოდ. მცირე ხანს მაინც დაისვენოს ვეჟო რკინას შეჩვეულმა მისმა სხეულმა“. ეს სიტყვები თითქმის ტირილით წარმოსთქვა გიორგიმ, რადგან მას უკვე სჭირდა ის სენი, რომელსაც სკლეროზს უწოდებენ ჩვენს დროში.

(გაგრძელება იქნება)



სიტყვა ქველ თვილის

1.

მითხარ, ქალაქო, რაღა ხარ ტბილი
და სიხარულით გულს რად ატირებ?
ჩემი თაყვანი — ხობხისფერ თბილისს,
მტკვარს — საქართველოს წყალთა
სადინელს!

გორგასლის ვაეო, სისხლით ღებულო,
ამაყ დიდების სისხლით ნაბეჭრო,
კერავ, ციხეკლდეს შედუღებულო,
არწივთა ბუდეც,
ვეფხვთა სადგურო!

წყლულს მიჩვენებენ კრწანისელები,
მკერდზე ნახმლევს და მკლავზე
ნახანჯლარს!
დაუსვენებლივ სულ წინ მსვლელები...
მათებრ ქართლისთვის სისხლს ვინ
დახარჯავს?

მე შემომქვივის ხმაგამწარებით
გასრესილ ყრმათა ვაების კალო...
ასიათასი მამულიშვილი
ხანძარში მდგარი ლაღადით გალობს...

2.

მეტყვის მეტეხი გაუტეხელი
დიდი ვახტანგის უტეხარ ნებას,
დიდი დავითის მშრომელი ხელის —
ფუძისჩამყრელის — გულმოდგინებას...

ქველი ოცნება ჩვენ აქ გვიყვარდა —
წარსულის სევდით გადმომცქერალი.
თამარს ვეფხურ წიგნს აქ უკითხავდა
შოთა — მიჯნური და მომღერალი...

მთაწმინდა! ერის ღვაწლის ამწევი —
გმირთა სავანე და საბრძანისი;
ერეკლეს მკლავის ნავეაკაცევი,
სისხლით ჩასვრილი მწარე კრწანისი!

სიკვდილს აჯახა ფარი და მკერდი
თბილისისათვის მრავალმა რაზმმა.
აქ საკუთარი სისხლი დაწურეს,
როგორც მათ მიერ მოვლილმა ვაზმა.

დაჯდა გუმბათზე ჯალალ-ედ-დინი,
და შაჰ-აბასმა მიწა ჩასრისა...
იყავ, ქალაქო, გზაჯვარედინი
მარტო გზებისა?

ნათელ აზრისაც!

3.

მოჩანს ნაკვლევი ქარიშხალისა,
გახსოვს აქ შიშველ ხმალოთა ცემანი?
შეხედეთ ნანგრევთ ნარიყალისა,
იციოთ, ამ ქვების გადმოცემანი?

მოგისმენიათ ქვების ქვითინი,
ლოდების ზარი გაგიგონიათ?
ყური დაუგდე, თუ რას მისტირის,
გაიგებ, ქვესაც ცრემლი სდენია!

4.

აქ რომის აფრამ დაიგვიანა,
მას ტამერლანის დაასწრო ცხენმა.
საძირკვლიანად, მიწით, ქვიანად,
ერთად აღგავა ორთავ მძარცველმა!

საკუთარ ბედმა დაიგვიანა,
მტერმა გალენა აურაცხელმა,
ქვეშ მოითანეს და ჰყვეს იავარ
ნანგრევებმა და ნაცარმა ცხელმა!

ერთი ტალღა რომ ცრემლის გდის
მტკვარო,
მეორე ზვირთი — სისხლისა არი!
შენ მაინც მღერი, ოხრავ და ხარობ,
გულში ჩაგწვნია ოქროს საარი!

5.

ჩემო ქალაქო, ცეცხლად მოედე,
მათ, ვინც კი შენზე მოსვლა მობედეს!
შენ ატირებდი დაჭრილ პოეტებს,
წინასწარმეტყველთ, წინამორბედებს!

ქართლს დასტიროდნენ შენს
ნანგრევებზე,
იერემიას ქართველი ძმები!
ვერ ამოიღეს ჩაძირული მზე,
შეიმოსიეს შუბლი ძაძვებით...

მათი სიტყვები დამდადველია,
დამწარღვნელია, რა ნაღველია!
ბალამის შანთი გულს გაატარეს!
ყველა ჩვენგანი დამნახველია,

სამშობლოს კენესა რას არ ადარეს.
სად არ შესტყორცნეს წყლულთა
კვილი,
გული საგმირი სად არ გაგმირეს.
მილურსმულ ერის მწარე ტკივილით,
ქვა შეაშფოთეს,
კლდეც აატირეს!..

6.

აქ სახლებია ფერფლით ნაშენი,
ამოზიდული ცხელი ნაცრიდან;
თუმც მიწა იყო მშვენიერმშვენი,
სისხლის წვიმები მუდამ აქ სცრიდა..

ამ ამწეარ ქვებზე ჩანს ქართლის ბედი,
მკაცრი, სასტიკი და უღმრთელი,
ენატრებოდათ ამ ჭოხებს მტრედი, —
თავისუფლება — დაუთმობელი!

ბევრჯერ ყოფილა აქ ცალიერი
აკვნები,

ხოლო სავსე — სამარე...
ბევრჯერ დამალეს ბედი ერისა,
მაინც ბოლომდის ვერ გადამალეს!
სახსრებნალეწი, ნაფოტნამსხვრევი
აწმყოთი ხვალეს ესაუბრება,
ხშირ ტყესავით დგას თბილის — ქალაქი
და მტკვარი უმღერს თავისუფლებას...

7.

აქ თენდებოდა... იბადებოდა...
აქ ოცნებანი საქმედ ხდებოდა...
აქ სისხლი ძარღვში განა გადახმა?...
აქ საუკუნე იბრძვის ხმალდახმალ...

აქ ბევრი ვნახეთ მწარეც და ტყბილიც...
ჩვენ აქ ხოხობი მოვინადირეთ...
ჩემი თაყვანი ხოხობისფერ თბილისს,
მტკვარს — საქართველოს წყალთა
სადინელს!

არსოზო ბაქანიშვილი



ბარეშბენდი მეზობლები

აბიშლავი

შესავალი

თბილისი რომ გათავდება, ვინდა ჩრდილოეთით გახვიდე და ვინდა სამხრეთ-დასავლეთით, მაშინვე ზღვასავით მოლივლივე ყანები და მწვანედ მოღალანე მინდვრები დაიწყება. იქ რამდენიმე გასახვევია, აღმართი და დაღმართი, ხევი თუ გორაკი. შეივსებ, მერე ტაფობში დაეშვები, ისევ მთის წვერზე არწივის ბუდესავით წამომჯდარ სოფელს ჩაუქროლებ... აბუზღუნებულ შოფერს მანქანას ვაჩერებინებ და ჩამოვდივარ.

ჯერ ნაყოფები შარავზაა, ნაწვიმარიც რომ იყოს ტალახი მაინც არ მოგვიკიდება, მერე ლაფიანი ორლობე იწყება.

ესაა — თბილისის გარეუბანი.

მივატყაბუნებ ფეხებს, მივლიძინებ და შეუძმინველად ჩემს სახლს ვუახლოვდები. აქედან ორთაქალის კუდი

ჩანს, ღამე ათასფრად რომ აბრდღვიალდება ზოლმე. ლილოს მინდვრებსაც სწვდება თვალი, თბილისის ზღვას და ნინოწმინდის ლურჯად დაბინდულ ვენახებს.

მივიხედ-მოვიხედავ. აქ ყველა ჩემი ნაცნობია. ზოგი კოლექტივში მუშაობს, ზოგი — ქალაქად. ყველას, გამოუკლებლივ, თბილისი უღგამს პირში სულს. ისაა მათი დედა, მათი აკვანი და გულისფიცარი. მათ ერთი ძარღვი აქვთ კრიალოსნად გაბმული — თბილისის სიყვარული.

მზის გულზე ვზივარ, ცხელი პაერი ბეჭებს მიწვავს, ახლად მორწყული ვენახი ათასნაირ სურნელებში მხევეს; საღლაც ძალღი წკაფწკაფებს, ბავშვები იციინიან.

ვწერ გარეუბნელ მეზობლებზე.

დ ი ა ს ა ხ ლ ი ს ი

ნაპერწყლიანი გოგოა, შეშინებული შველივით მერყველი თვალები აქვს. შებინდდება და სოფლის ბოლოზე მარტოს ვეღარ გაუვლია. ჯმუხი, ძარღვიანი ბიჭები ისე უუტრებენ, ღამის თვალბით შესჭამონ.

სკოლა შარშან დაამთავრა. ერთი წელია კოლმეურნეობაში აღმრიცხველად მუშაობს. მისი ნახელავი იყო, მთელი საღამო შეუსვენებლივ რომ ფქვავდა წისქვილი.

დაღლილი ბრუნდება, მაგრამ მუხლსაც არ ჩახრის. საქმეს თავდაუზოგავად გაეცვრება: ჯარასავით ტრიალებს, მისალაგებელს მიალაგებს, დასარეცხს და-

რეცხს, დასაკერებელს — გაკერავს და როცა დედამიწიდან დღის ნათელი აიკრთება მხოლოდ მაშინ ჩამოჯდება საჩხვის პირზე.

მერე პაპასთან ისადილებს. ნასადილევს პაპა ჩიბუხს გააწყობს. გოგო ღობესთან დადგება და ნაღვლიანად აღიღინდება.

მისი ტოლები დღეცისმარე თბილისს დარბიან. უმალღესში „სკლიან ბედს“. შეღამებულზე, ახალი კაბით, ნელსაცხებლით გაეივებულო, ორლობეში გაივლიან და რომელიმე მეტიჩარა წაიმღერებს:

შენი ტოლები დათხოვდნენ

შენ რალამ დაგარჩინაო...

გოგოს შეაქრიალებს, სახეზე ხელს აიფარებს და აქვითინდება.

უყვარს? რატომ მალავს? ვაითუ?..

არავეინ იცის. დილით უთენია გარბის კანტორაში. მოვა შინ და ცქრიალა დიასახლისია.

სალამობით კი, თითქოს ჯიბრზე, გაფელიან და შემოსძახებენ.

შენ რალამ დაგარჩინაო...

მეზობელთან გადავა, კლუბში შეუ-

ხვევს, სოფლის ბოლოზე კი მარტოს ველარ გაუვლია. ჯამუხი, ძარღვეფრეჭეჭები ისე უყურებენ, ლამის იფარდებიან მშაპკამონ.

კვირაძალს, ახალ ჩითის კაბას რომ იცვამდა, პაპამ კარგახანს უყურა შვილიშვილს, მის მაღალ მკერდს, ნახ წელს, შავ-შავ, ნალვლიან თვალებს და ჩაიქვითქვითა :

— უნდა გავათხოვო ეგ მზესავსე! ცოდვია შედერებული მტევანი.

მწყემსის ლოცვა

მზით დამწვარი, ბრინჯაოსფერი სახე, უხეში, მოუთელავი თითები, გამოხუნებული სატინის ხალათი და შავად გაქონილი თუშური ქუდი. სადაც დაჯდება— ცხვრის სუნს დატოვებს. შუა ქალაქში დაფეთებული დადის, ეჩვენება, მგელი გასტაცებს ბატკანს ან ნიაღვარი გზას ჩაუკეტავს. ლაღად უსტვენს. მთელი გულით იცინის. ყვითელ, ზორკლიან ხელისგულებს ბალებს ლოყაზე მოუტყაპუნებს და „მამაძაღლო!“ — ეტყვის. ესაა აღერსი და მიფერება.

დავაჯაკებულა, ოცდაათი-ოცდათხუთმეტი წლისა, მაგრამ მიჯრით მიწყობილ კბილებზე ღიმილს რომ გააკვსებს და მხარს შეათამაშებს — საცოლე ბიჭი გეგონებათ.

არტელში უგერგილო მწყემსად არა თვლიან. სარქალის გულიც მოგებულნი აქვს. მთიდან თავის კუთვნილ ორმოცდაათ ცხვარს რომ გამოირიკავს, ისე გაუნათდება სახე, თითქოს მის ყოჩებს რქებით იალაღები მოქქონდეთ. სამაისოდ თბილისში ჩალაღავს, რიყეზე თამამად გააბიტებს და ხელდახელ დაჰყიდის. მუშტარს ლოცვა-კურთხევას გაყოლებს, ქორწილში და ძეობაში მოგახმაროსო, მერე მიუბრუნდება მეზობელს, ვინმე სოდანლულელ პასანას და ეტყვის:

— ე, თბილისი რო არ იყოს, ეგრე დანდობილა და კარგ ფასში სად გავყიდით ბატკანს!...

2. „მნათობი“ № 11.

პასანა გაიღრიკება და ბაზარში ნახვავლი ქართულით მიუგებს:

— ქარგი ბიჩია, ქარგი... ქალაქში ფევრი ყონაღები მაქს...

მწყემსს უბე ფულით გამოუტენია, ჯერ ძალიან ადრეა, მაგრამ ის უკვე მალაზიებისაკენ მიიქქარის. სანამ სავაჭროებს გააღებდნენ, მეფხოვეს ან დარაჯს გამოელაპარაკება, ბავშვები ჩაუცმელს მყავსო— მოიჩივლებს, გაიგებს, რა იშოვება და რისთვის გაისარჯოს.

თავს დაღუნავს და მალაზიაში შევა. შუადღემდე ივაჭრებს. ტომარას წითელი „ბაჩიებით“, შარვლებითა და ხალათებით, სტვირითა და ჯამ-კურკლით აავსებს, მხარზე წამოიკიდებს და გზას გაუდგება. საბარგო მანქანას შეახტება, ან, თუ ლოდინის თავი აღარა აქვს, მოკლე ბილიკებით აირბენს აღმართს, არ შეჩერდება, არ ამოისუნთქებს. მივა, კოლ-შვილს გაახარებს, ბალებს ჩააცმევს და „ქალაქურად“ დააპურებს.... მერე მშაყაცებში გავა, სადმე ლობისძირა მისხდებიან და ალაღ სადღევრძელოებს სვამენ შერყენილი ღვინით...

როცა დათვრება და ღამის სიბნელეში აკიაფებული თბილისის შუჭი ერთიათად მოეჩვენება, ფერდობზე დადგება, გულში მჯიღს ჩაიკრავს და ტკბილად ამოიკვნესებს:

— ეგ რომ არ იყოს, რა გვეშველებოდა!... ვაჭირვებასა თუ დაღბინებაში ზიარებაა ჩვენი.

ერთგული ძალი თითებს მოულო-
კავს. მწყემსს გული მიუბრის ცოლისა-
გენ, რამდენი ხანია თბილი ქვეშაგები

არ უნახავს... დალილს თვლელმა მოეჩე-
ვა და ნაბადში გახვეული მწვენიარ
მოლზე მიიძინებს. **გეზუნიონი**

„ფ რ ა ნ ც უ ზ ა“

წერილი თასმით გაბლანდული ძვე-
ლი, ტყავის აბჯა მხარზე ირიბად გადა-
უკიდია. აბჯაში მსხვილად დაპრილი
თუთუნის, ტოლ-ტოლად დაყვანილი გა-
ზეთის ქაღალდი და დანოტიებული ასან-
თის კოლოფი უწყვეთა. კოლოფში წუმ-
წუმას პატარა ლურსმანი, თაფლის სან-
თლის ნატეხი და სხვა წერილმანი რა-
ვინდარა ეყუავს.

საშუალოზე ცოტა მაღალ კაცს, მზი-
თა და წვიმით გაშავებული ნამჯის შლი-
აპა თავზე ისე წამოუდგია, თითქოს კინ-
ტოს თაბახით ხილი გამოუტანიაო „მეი-
დანში“. ჭიპამდე გაღეღილი ფერშეცე-
ლილი ხალათიდან ერთ მტკაველზე მო-
უჩანს ყველა დილზე ყანყარტომდე
შეკრული პერანგი. სქელბალთიანი ქა-
შარი ღიბს დასცილებია და ძველ, სალ-
დათურ გალიფეს დარდიმანდულად
აზის. სამწვერა ბაწრით ნაქსოვი წინდე-
ბი წიფეებს ისე აპყვრია, შორიდან
„ცარსკის“ ყელი გეგონება. ცხვირაპრე-
ხილი „ბათინკები“ აგრე გაუეაქსავს,
რომ სარკე თუ შემთხვევით შინ დარჩა,
წვერსაც გაიპარსავს გაპრიალბულ
ფესსაცემელში. დაკოჭლებული ყავარ-
ჯენი ფერდთან მიუბჯენია თითქოს წაქ-
ცევას აპირებსო, სივრცეში გარინდულა.

მას, მეტსახელად „ფრანცუზას“ ეძა-
ხიან. ომის დროს ტყვედ ჩაეარდა, სა-
კონცენტრაციო ბანაკში ფრანგები ჰყავ-
და ამხანაგებად და ამ გარეუბნელმა
გლენმა ერთ წელიწადში პარიზული აქ-
ცენტით ლაპარაკიც კი შეისწავლა. სა-

უბარში ერთ-ორ ფრანგულ ანდაზას გა-
ურევს და გლეხურად „აქიხენინდება“.

უთხრეს, ცოტა კოპწიად ჩაეცვა,
პაპიროსიც შესთავაზეს, ის მაინც გაზე-
თის ქაღალდში ახვევს თუთუნს —
კაცია და გუნება. დადის, როგორც მო-
ებრიანება.

საცდელ ნაკვეთში ხეებს ამყნობს,
ძველი მეზალეა. ნამყენი თბილისში ჩა-
აქვს, ხან პიონერთა ბაღს აღამაზებს, ხან
ვაკის ახალ პარკს დასტრიალებს, სანა-
პიროზეც „გალალა“ თავისი ნამყენები.

ერთხელ ინსტიტუტიდან მოაკითხეს.
სთხოვეს, ჩვენს საცდელ ნაკვეთში მეზა-
ლედ დადექიო. მაშინვე უარი არ უთქ-
ვამს, ერთხანს იფიქრა, მერე ასეთი „სა-
ბუთი“ გამოაჩინა:

— მოწაფეებს ფრანგულ ენაში ვამე-
ცადინებ და, სულ რომ ქალაქში გად-
მოვსახლდე, ბაღებს მოვიმდურებო.

გარეუბნელი ტყუილმა თავადვე გააბა
მაგში. ბავშვები დაეხვივნენ — მოგვეხ-
მარე უცხო ენის შესწავლაშიო.

ანტებმა ლუკმა იშოვეს. გაივლის ორ-
ლობეში მეზალე და ვიღაც ონავარი გა-
მოსძაბებს:

— ფრანცუზა!
გამოვიღის და ტარტაბუცა ბაღი
შეკვივლებს:

— ფრანცუზა!
დადის ყავარჯენით. ნამყენებს გულ-
დაგულ ეზიდება თბილისში. გარეუბანს
კი თავს ვერ ანებებს. ყველას თავისი
გულის სიადუმლო აქვს.

მხით ამსახული ორლობე

ზოგან შეწოლილი, ალაგ, პირიქით,
გადმოზნეკილი, ერთგან ღორი ვაეტევა,
იმხელა ხერელია, აი, იქ კი, რომ იტყვი-
ან, ჩიტი ვერ გადაფრინდება. გამხმარი
ძეძვი, დაშლილი ფირფიცრები, ძველი
ყუთები, ყანგაინი მავთული, რკინის ძე-

ლები, დახეული ბრეზენტიც გაუფარე-
ზიათ — ყველა ჯურის ღობე, ერთი
ძლიერ რომ დაუბეროს ქარმა, ბუმბუ-
ლივით ჰაერში აათამაშებს.

აქ ყველა მეზობელია. ერთმანეთს
არაფერს უმალავენ. არაფერს მოპარა-

ვენ ღობე ისე, ადრითა, თორემ გასაყოფი და გასაწეწი არაფერი აქვთ.

საკმაოდ განიერი ორღობე. დედაქალი ჩვილს ძეძუს აწოვებს. ბერიკაცები ჩრდილს ეფარებიან, მზედაკრული ქათმები — ბერიკაცების წვერს. მამალი ნაგვიანვე ყოყლოყოს ამბობს. ბუზებისაგან თავგაბეზრებული ძალი წკაეწკაეებს; ბაკში ხბო ხტუნაობს — ადრეა ნახირის მობრუნებამდე.

გზა მტვრიანია. ურმისა და მანქანის ნატარი ორი სწორი ხაზივითა დევს. გამხმარი ტალახი შეყვლეყვლებულა, ოკრიბოკრო გზა უარესად დაუხრამავს და მიუბრეცია. როცა ძალიან ცხელა, თითქოს მტვრიც მატულობს. წამოუბერავს თბილი ნიავი და თეთრი ფარდები აიშლება.

მზეს აუვსია ორღობე. ყოველი კუნძული განათებულია. ყველაფერი ბრწყინავს, თვალისმომკრებლად ლაპლაპებს. ამ მტვრიან, ხარის ქედით ნაოჭიან ორღობეში იმდენი შუქია, იმდენი მადლი მზისა, რომ გული სიხარულით იესება.

მეზობლები ვალში ჩადგნენ. ვილაცამ ინეინური აქეიფა; თბილისისა და ვარე-

უზნის საბუკოში განცხადება დაწერეს; ორღობეს არაფერი ეშველა. მთავარი გზა სოფელს ცერად უვლის. ის მოასფალტებულია. უფროსები იქით დადიან. აქ იშვიათად შემოიხედავენ. დროდადრო ვინმე გველადუა ფულებს წამოჰკრეტს — პარიქა და გზა უნდა გაგიკეთოთო, უგზო ბილიკებით ჩაქანდება თბილისში და ამ „საგზაო“ ფულს რომელიმე რესტორანში ყლაპს უზამს. საქმეს მაგარი ხელი უნდაო, — ამბობენ ბერიკაცები.

ზოგან შეწოლილი, გადმოზნეჰილიც, აყრილი და წაქეული ღობეები. მტვრიანი, ოკრიბოკრო გზა. ნაწვიმარში მუხლამდე საფლობი, ამოხვალ, რა თქმა უნდა, ფეხსაცმელს დაგატოვებინებს.

მანქანა ისე ჯაყჯაყებს, გულ-მუცელი გედღებება. ფეხით წახვალ და თავბედს იწყევლი.

მაინც დადის ხალხი. იმედით უყურებს ხვალინდელ დღეს, იქნება და, გამოჩნდეს „მაგარი ხელი“.

დაღრეცილი, მრუდე გზა და ძველი ორღობე ბრღევიალა მზითაა სავსე, მისი მადლიანი შუქითაა დახატულ-მოჩითული. ამ მზეს შესცინის ყველა.

ღულუნებანი მტრადები

ცხელა. მიწას ბუდი ასდის. კრიჭინა კრულაობს. ხეზე ფოთოლიც არ ტოკავს. ძესულიერი მიმალულა. ზოგი ჩეროში ზის და ღურგლობს, ზოგი გულადმა გამოტილა და მამაპაპური ძილი გამოუქიმა.

ქათმები ძროხის ნაჩლიქარში ჩამდგარ გუბებს მისდგომიან, ყვითელ ნისკარტებს ჩქარ-ჩქარა ჰყოფენ და მერე ღმერთს უყურებენ.

ვილაცას ბავშვი გასჰირეულებია. ძალიან რომ ცხელა, თითქოს უფრო ვარკვევით ისმის ტირილი და შეწრიალებული დედის დაღლილი ნანა.

გვალვით გათეთრებული სიმინდები გასხებილს ჰკავს. მხოლოდ მზესუშირას შეუბრუნებია გვირგვინი და ზაფ-

რანისფერ ყვავილებშუა ნაცრისფერი, ჯერ ისევე ნედლი მარცვლები გამოუჩენია.

სოფელს სიჩუმისა და სიცხის ბული დაუხურავს.

არ ისვენებენ მხოლოდ ბავშვები.

დიდი კაკლის ჩრდილში მიმსხდარან.

შუაში ვილაცა ჩაუყენებიათ.

ღულუნებენ მტრედები.

შუაში რომ დგას — ქალაქელია. სოფლად არდადეგებზე ჩამოვიდა. უნდა „გასუქდეს,“ — როგორც მისი მშობლები ამბობენ.

სოფლის შავტუხა ონავრები ანგლობენ.

— გასუქდეს რა, საახალწლო ბურვაცია?

— როცა დაკლათ, მე არ დამივიწყოთ.

ქალაქელი გაფითრებული და შიშით შესივების ტოლებს. მერე ტელევიზორს აქებს, მამამ მიყიდა, ყოველდღე კინოს ვუყურებო.

ბავშვები გარინდებული მისჩერებიან უფერულ სახეში.

ქალაქელის ტრაბაზს ბოლო არ უჩანს და მის ტყუილსაც საკმაოდ გრძელი ფეხები აქვს.

ბოლოს ვედარ მოითმინა ერთმა მზითა და ჰაერით გარუჯულმა ბიჭმა, ხელი გაკრა და გააწყვეტინა.

— ჩიტის ბუდეს თუ ჩამოიღებ ხიდანო.

ტელევიზორის პატრონმა თავი გამოიღო. ბევრი აღარ უდავიათ. ხეზე აუშვებს.

იდაყვები დაიკაწრა, მუხლები გადაიყვლიფა, გულისპირი ჩამოიფხრიწა, მაინც

არ მოეშვა, ტოლებში არ გაწებულა ვაი-ვაგლახით მიადწია, სტანდარტული...
ონავრებს თუ შური მტყლი... მტყვტტოთ ხეზე.

შერცხვენილი ჩამოვიდა და ჩუმაღ, განმარტობით დაჯდა.

ბალები ერთხანს დასცინიან, მერე მიეხვივნენ.

— ქალაქში რომ ჩამოვიდეთ, გვაჩვენებ ტელევიზორს?

ის გაიბღინძა.

— რატომაც არა, ოღონდ თქვენ...

— რა?

— აღარ მომატყუოთ.

— ხი, ხი, ხი!..

ცხელა. ძესულიერი არ ქაჰანებს გარეთ.

კაკლის ჩრდილში მიმსხდარან ბალები.

შშვიდობაა.

ლულუნებენ მტრედები.

მიხას ღღე

სიმაღლით ურმის კონკილას თუ გაუტოლებდა. ლოყებზე მზე წაეკიდა. სპეტაკ შუბლს ნორჩი ჩალისფერი ქოჩორი დაჰფენია. დარბის. მიიხედავ და გაქრება. მოიხედავ — გულში ჩაგეხუტება. გაუპარსავ ყვრიმაღზე გაკოცებს, ნაზი ტუჩები წვერით რომ დაეჩხვლიტება, მოსხლეტილად ვითავაზებს სილაქს და იტყვის: ბუა!

ქალაქიდან ორი თვეა ჩამოვიდა. ოთახებს ვერ ეპუება. ეზოში აღარ ეტევა. სულ გარეთ გარბის. ციკანს მოაბტება და ცხენივით დააჰენებს. მამლებს ომს უმართავს. ნაგაზებს ისე თამამად გაუვლის, რომ კბილებდარგენილი ქოფაკები გაოცებით უყურებენ — ეს რა ფრინველიაო.

მიწაზე დამჯდარ ჩიტს მიეპარება და გაფრენილს ლამის ჰაერში აპყვეს. აჩემებს — რატომ ფრთები არა მაქვსო.

ძილში ვილაცას ახსენებს. მოღლილი, მცირეხნით რომ ჩამოჯდება, საკმარი-

სია სალამურის ან სიმღერის ხმა გაიგოს — წამოხტება და თვალმოუკრავად დაბზრიალებდა. წაიქცევა. ადგება. მიწას ფეხს დაჰკრავს, მოსინჯავს, ხომ არაფერი დაუშვავდაო და იცინის.

ღობის იქით ერთი დედაბერი ცხოვრობს. მთელი სოფელი მისგან ყიდულობს მშესუშორას.

დედას ზვეწნა-მუდარით გამოსტყუებენ ორ აბაზს, ასკინცილა გამოირბენენ ორლობეს, ბანზე მოდგებიან და დაიძახებენ:

— მართა ბები!

გამოვა დედაბერი და გამოუტანს მშესუშორას.

შავტუხები ჩამოსხდებიან ბექობზე და მზიარულად აკნატუნებენ.

მიხა ყველაფერს ხედავს. მამლაყინწასავით შეხტება ღობეზე და ყოყლიყოო

— მართა ბები!

დედამ ქალაქში ჩაიყვანა. იქ ვილაც ნაცნობს შეხვდა. მოხუცს, დაერლო-

მისს. შიხამ არც აცია და არც აცხელა.
— მართა ბები! — მიყვივლა და მი-
ყვივლა.

დღეაბერი გაოცებით დასკეპროდა
„პატარა ყაჩაღს“.
მამლაყინწა შეუჩერებულად ჯანაყროდა
ყვილიყოს.

ბროლის ღრუბელი

ობლის ჯამივით მოკრიალებულა ცის-
კიდური, კამკამა ლაყვარდს ერთადერთი
თეთრი ღრუბელი დაბნევიდა და ლურჯ
სიერცეში ისე მიცურავს, როგორც ტბა-
ში ჩაყარდნილი ცხვირსახოცი.

საოცარი გარინდება დაპატრონებია
ბუნებას, მწვანედ აღაღანებული ველე-
ბი, რუხად ჩამტკბული მთები და ცის-
ფრად შედედებული ვენახი ისე გაჩუ-
მებულა, ისეთ უძრავ დვინში წასულა,
თითქოს სიციოცხლის მთავარი ძარღვი
გასწყვეტია და წუთისოფელზეც ხელი
ჩაუქნევიაო.

მზე აქერს. თეთრად ლაპლაპებს ყვე-
ლაფერი. ჩირგვებში კალიამ რომ გაი-
ფაუნოს, მტკაველზე აყენებს მტვერს.
გვალვას დედამიწა ღონიერად დაუბლუ-
ჯავს, სინუბისა და გამოუცნობი მოლო-
დინის ზეწარი გადაუფარებია.

აგვისტოს გასულა. მწიფე ვენახი
პატრონს ელის; მარნებს კარი დაუღიათ.
ქვევრები ხახას აჩენენ, წყურვილი რომ
დაიოკონ. კოლმეურნეობის სავაქრო
წერტს მანქანები მოუშადებია.

თბილისი შემოდგომის ბარაქას და-
ლოდებია. ქალაქი ნატრობს გარეუბნის
ნეჭტარს. არადროს არ უმტყუნიათ მათ
ერთმანეთისათვის, რალა წელს დააღა-
ლატებენ.

ბროლის ღრუბელი სადღაც დაიკარგა.
მზემ აკრიფა სხივები. ლაყვარდმა კამკა-
მი შეწყვიტა. ცას რუხი ფერი მოედო.
შავი ღრუბელი წამოიშალა.

მძიმე ღრუბელი სოფლის თავთან
დადგა და ვენახებს მსუნავად დააშტერა
თვალი.

ბერიკაცები მიხედნენ, სეტყვის ღრუ-
ბელი იყო, „ამინდის ბიურომ“ მეორე
დღეს გაიგო.

აწრიალდა სოფელი.
ვენახს ჯანადგურება ელოდა.
სასწრაფოდ აცნობეს აეროპორტს.

თვითმფრინავი შურდულივით შეიჭ-
რა შავ ღრუბელში და ბოლითა და ცეც-
ხლით, მძლავრი ფრთების ჯახუნით მი-
ხია და მოხია, დაფლითა და გამოფატრა
ღრუბელი, გაფანტა, გაიტანა, ხევში ვა-
დაჩეხა, ნაფლეთებს დაედევნა, იმდენი
სღია, სანამ სათითაოდ არ გადაკარგა
მთებსგადაღმა.

ყუყუნა წვიმამ დაუშვა. სეტყვა დაად-
ნო ადამიანის ცხელმა გულმა.

კოლმეურნეობის სავაქრო წერტი
ყუთებს კრავს.

მანქანები ეშხადებია.
თბილისში მაღაზიის წინ ჯერი დგება.
ილიმებთან ქალაქელები.

გარეუბნის ყურძენი მრავალჯერ
უგემიათ.

არც ეხლა დააღალატებენ ისინი.

გაზაფხულზე კი, ვენახს შაბი და სარ-
მავთული რომ დასჭირდება — ენაცვა-
ლოთ მათი თავი, აბა, იმოდენა ქარხნები
რისთვის უნდათ.

ძმა ძმისთვისო.

დასკმეობა

კვირას, დილაბნელი რომ აიშალა, ნა-
თელა უკვე გარეუბანში იყო, უნდოდა
რიგიანად დაესვენა და ბავშვიც მოენა-
ხულებინა.

ორლობის გაღალმა გნიასი დადგა.
ბავშვები ტიროდნენ, საქონელი ბლაო-
და, დედაკაცები უთავბოლოდ დარბოდ-
ნენ და წიოკობდნენ.

ოჯახის დიასახლისი გამხდარიყო ავად.

სულ მალე ნათელას ეზოში შემოფარფატდა ჯარი:

ჯერ ბავშვები,

მერე ქალები,

ბოლოს ბებერი ნავაზი.

კიშქარში ხბომ დაუწყო ურდულს ლოკვა.

— ეჭიმო, გვიშველე!

ნათელა დაღლილია, გასულ კვირას ათი ოპერაცია ჩაატარა, დღეს ავტობუსის ბილეთი ვერ იშოვა და საბარგო მანქანით ამოხრიგინდა, რამდენი ხანია ბავშვი არ უნახავს, საოჯახო საქმეც აქვს — გასარეცხი, გასაუთოებელი... გრილი ჰაერი ბანგივით ეკიდება, ერთი მიძინება სიცოცხლედ უღირს...

— ეჭიმო, გვიშველე!

ყველაფერი ავიწყდება. ის მკურნალია.

ავადმყოფი ნახა.

საოპერაციოთა, — თქვა.

აწივლდნენ ბავშვები.

ქოთქოთებენ დედაკაცები.

ყვეს ძალლი.

ვილაც აბეზარი ღობესთან შემოღებრა და მთელი ხმით ღრიალუბს:

— მართა ბები!

აჩუმებენ, სწყევლიან.

მირბიან მეზობლებში.

ვისა აქვს მანქანა.

არაგის.

ნათელა გაისარჯა.

მთავარი გზა.

ხევწნა, მუღარა.

გულკეთილი შოფერი.

ჩაეიდნენ თბილისში.

ოპერაციამ კარგად ჩაიარა.

მშვიდობა.

ნათელას დასვენების დღე აქვს. ისე დაიღალა — დარეტიანებულებით დადის. როგორც იქნა, მივიდა სახლამდე. აუშლელ ქვეშაგებზე მიწვა და გაუბედულს მიეძინა.

გარეუბნელი ქალი კარგად არის.

მისი ბავშვები ისევე იცინიან.

ეჭიმის დასვენება? ეპ, მთავარი ოჯახს არ წამოეკეტეს დედაბოძი.

მიწის სუნი

ამ თვალტანად, ლამაზად ჩაცმულ ყმაწვილს რომ შეხედავ, მაშინვე რუსთაველის პროსპექტი გაგახსენდება. სად ნახავს კაცი ასეთ ბიჭებს, თუ არა იქ. გაწყობილი შარვალი, გაქათბათებული ხალათი, შავად მბზინავი თმა და დარდიმანდული გამოხედვა ისე შერწყმია ერთმანეთს, ისე შეკოწიწებულია, რომ ძნელია, ისინი დააშორო. ამ ბიჭმა კი პირდაპირ „სასაცილო“ რამ ჩაიდინა. შორს არც იმას მოუთხოვია გაგზავნა, მაგრამ თბილისში დარჩენაც არ ისურვა. ინსტიტუტი დაამთავრა თუ არა, გარეუბანს მიაშურა, მოხუც დედას რომ საღამოობით ჩამოვაკითხო.

დღით უთენია წამოხტება და გარეუბანში გარბის. ნაშუადღევს ამთავრებს გაკვეთილებს, მაგრამ საღამომდე შინ იშვიათად ბრუნდება.

ჯერ სკოლის საცდელ ნაკვეთში გავიდა. მერე კოლმეურნეობის მანქანას გაპყვა ნერგების მოსატანად. გაზაფხულზე, ხენაში, ტრაქტორზე ირაზრახა, მკათათვეშიც ადიოდა სოფელში, რომ კომბაინი ენახა.

ნეტა ეს მასწავლებელი რას დადის მინდორშიო, — ამბობდნენ ზოგიერთები.

სულ მალე ჭორი დაცურდა:

აგრონომი გოგო შეჰყვარებია და იმის ნახვას ესწრაფვისო.

დედაკაცებმა ჭორს პირი მოუქარგეს და დაასურათხატეს.

გოგო მდიდარია და ნებიერი. ბიჭი მის ჩაცმას ვერ აუვა, სჯობს ტოლი მონახოსო.

ბერიკაცებმა ასე გაზომეს: მუშა ბი-

კია, მინდორი უყვარს, რა მოხდა ამის-
თანაო.

ის კი, ფიზიკის მასწავლებელი, დაა-
ბოტებდა ნახნავში, ახლად გაღწეულ კა-
ლოზე, ნამჯამი, ფერდობზე, ტყეში და
ხეებში, მთელი გულით, ხარბად ისუნ-
თქავდა მიწის სუნს და შერე, საღამოს,
რუსთაველზე რომ გაივლიდა, დაფიქრე-
ბული ეუბნებოდა „სტილიაგებს“:

— გარეუბნელებს უჭირთ, ძმაო. იქ-
ნება თავთუხი სჯობდეს იქა? მაგხელა
საწყობი რომ გაბარია, ცოტა მავთული
მომეცი ვენახის ასაბმელად.

ამხანაგები ჯერ დასცინოდნენ, მერე
ყური მიუგდეს. ერთ დღეს მასწავლე-
ბელმა დანდობილა „ამოლალა“ ისინი
გარეუბანში.

ცხვარი მთიდან ბრუნდებოდა. გორა-
კები თეთრად იყო გადაპენტილი. ლაფ-
ში ძლივს მიდიოდა ბატკანი. მწყემსებ-
მა დახმარება სთხოვეს „ველეებს“.

დაეხვივნენ ბიჭები. ზოგი ორს ისევამ-

და მხარზე, ისეთი ყიფინა გამართეს, რომ
გააყრუეს ხეხუფი.

ფარები დააბინავეს. მწყემსებმა ^{მარკუნული} ~~მწყემსებმა~~ ^{მწყემსებმა}
მის გაუტეხავად არ გაუშვეს. ცხვარი
დაკლეს და ლეინო მოიტანეს.

ტკბილად წაიჭეიფეს. გემრიელი სიმ-
ღერა თქვეს. გულწრფელად გადაკოც-
ნეს ერთმანეთი.

მოდლიდნენ თბილისში და არ ეთმო-
ბოდათ ცივი, ჯანსაღი ჰაერი, ხასხასა
ბალახი და ძლიერი სუნი მიწისა, დამათ-
რობლად რომ მოსდებოდა ბუნებას.

მასწავლებელი მორცხვად ილიმებოდა
ამხანაგების „განაჩენის“ მოლოდინში.

მათაც არ დაუგვიანეს.

— კაცი ყოფილხარ, ძმაო! რუსთა-
ველზე გავლასაც ასწრებ და ამდენ და-
ვიდარაბასაც.

გარეუბნელები მოაცილებდნენ. თბი-
ლისელები მოდიოდნენ. ველარ გაეგოთ,
ვინ სადაური იყო. არა იმიტომ, რომ და-
ითვრნენ.

ფოსტალიონი

მალაია, ყელყელა, თვალმახარა. სი-
რაქლემასავით დააბოტებს. არ დაავგია-
ნებს. ერთსა და იმავე დროს მოდის.
სოფლელები საათს „მასზე“ ასწორებენ.

ტიპიკაანათ კოლას მან მოუტანა და-
ჯილდოების ამბავი. სალომე რომ დე-
პუტატად აირჩიეს — აქაც ეს ფეხმარდი
ფოსტალიონი გაისარჯა.

უცხოეთიდან ჩამოსული სტუმრები
რომ უნდა სწვეოდნენ — ფოსტალიონ-
მა წინდაწინ ყველაფერი იცოდა.

თბილისს ზედ აკრავს სოფელი, გარე-
უბნელები დღეცისმარე ქალაქის გზაზე
დგანან, მაგრამ ფოსტალიონის მიერ მო-
ტანილი გაზეთი მაინც სხვანაირად ეხახ-
ვება გულს.

— ბიჭო, გოგლა! — დასძახიან დედა-
კაცები. — მე არავინა მკითხულობს?

— წერენ, დედი, ჯერ არ დაუწე-
რიათ.

— მე რატომ დამივიწყე, ყმაწვი-

ლო, — გადმოდგება ღუქნის კარებში
ღიპიანი ყასაბი.

გოგლა დაალაგებს, ვის წერილს მიუ-
ტანს, ვის გაზეთსა და ჟურნალს, ნასადი-
ლევს, „სალამოს თბილისს“ ამოაცუხცუ-
ხებს, სხედან გარეუბნელები და იზები-
რებენ ქალაქის ქრონიკას, თან ერთმა-
ნეთს ეღავეებიან, რომელ კინოში სჯობს
წასვლო...

ერთხელ გოგლამ „სალამოს თბილისი“
შებინდებისას მოიტანა და სოფლელებ-
მა კინაღამ თავი არ გაუხეთქეს; გულის
ბუხარი რომ ამოიწმინდეს, ჩათვალე-
რეს გაზეთი და ბიჭოს, რას ხედავენ:
პირველ გვერდზე გოგლა იყო გაჰიმუ-
ლი.

სოფლელები ღრეუას მოჰყვენ.

აბა მათ რა იცოდნენ, თუ ათი წუთის
გზას ერთი საათი მოუნდა ფეხმარდი
ფოსტალიონი, ასჯერ მაინც წაიკითხა
ქება და თან ისეთი გაფაციცებით და-

ყურებდა თავის ფოტოსურათს, თითქოს ამ კაცს პირველად ხედავსო.

იმ დღის მერე გოგლას აღარ დაუგვიანია და გარეუბნელები კვლავ „მასზე“ ასწორებენ საათს. მხოლოდ ერთი უც-

ნაური ზნე დასჩემდა: სანამ ახალ / გა-
ზეთს წაიკითხავდეს, უბედურად აწო-
ილოს დაკეცილ-ჩაპრესტლიან მკვლამს
თბილისი“ მიეფეროს, ამაყად შეათამა-
შოს მხრები და მხოლოდ მერე გაიგოს
სხვა გაზეთებიდან ქვეყნის ამბები.

ცხელი თონა

ვზის პირზე, პურის ფარდულთან ერ-
თი ბრგე და ხელმარჯვე კაცი ტრიალებს
დღენიდავ და ვინ უნდა იყოს ის, თუ
არა რაჰველი სულაძე. დინჯი, აუჩქარე-
ბელი, გამოზომილი სიტყვის პატრონი
უყვარს სოფელს და შადლს ერთითად
უბრუნებს.

სულაძე ამ ბოლოხანს ვერაა ხასიათ-
ზე. თბილისიდან გამომცხვარი პურის
ზიდვამ წელი მოსწყვიტა. ხალხი აიტუ-
ჩა. ხან აგვიანდება მეპურეს ქალაქიდან
ამოსვლა, ხან თბილისის საწყობიდან —
აქაო და გარეუბნელიაო, ისეთ უფარგისს
პურს ატანენ, რომ სისხლიან-ხორციანად
მეპურედ დაბადებულ-შეკერილი კაცი
ბრაზით ლამის გულზე ვასკდეს.

— რაჰველი მაინც არ ვიყო, ქვე შე-
ნი ჭირიმე, — ამბობს ის. — ხელობას
მიგინებენ ეგ ოჯახჭორები. ხალხში თა-
ვი ველარ გამომიყვია.

გული აიყარა მეპურემ. საბჭოს თავმ-
ჯდომარეს დაეღრიჯა — გავისარჯო-
თო.

ადგნენ და გაისარჯნენ.
დეპუტატი მიგზავნეს.
სთხოვეს. გაზეთში წერილი დაწერეს.
აღმასკომის სესიაზე იყვირეს.
ცდა ბედის მონახვერვა. კოჭი აღწუ-
ზე დაუჯდათ.

პურის ქარხნიდან ინეინერი მოვიდა.
ადგილი შეარჩია. აზომა. მიდგა-მოდგა.
შავი საქმე გარეუბნელებმა იკისრეს.
სათონე ორმო გაჭრეს. ქერი გადახუ-
რეს.

აგურის ქარხნიდან თონე მოიტანეს.
ნაწილ-ნაწილ ჩადგეს, შეადულეს, შე-
ადულაბეს.

გამართეს.
სულაძემ სახელოები აიკაპიწა. ჯერ
ვარცლს დაერია. ცომი აზილა.

მერე თონეში ყირამალა ჩაეყულა
და... ტყამ! — გააკრა. ერთი გუნდა.
დახადა ლავაში.

გააბრტყელა ცომი. ჩამოქნა შოთი.
მკლავზე გაიღო. და... ტყამ! — ააკრა
დედასპური.

გაზურდა თონე. გამომცხვარი პურის
სუნი დატრიალდა.

მასწვრალმა კაცმა გაიტანა თბილი პუ-
რი და მაღიანად გაილუქმა.

მეპურეს მარჯვენა დაულოცა.
თავად სულაძე კი, პურ-მარტილში,
შმაკაცებმა თონის „დასასველებლად“
რომ გამართეს — ასე დაილოცა:

— ქართული პურის მაღლი ნუ მოგ-
ვიშალოს ღმერთმა და ჩვენი ლამაზი
თბილისის სიყვარული!

ი ა ს ა მ ა ნ ი

ბაღში იასამანი ბაც ლილისფრად რომ
აფეთქდება, პაერი გათხება და მზეც
სასიამოვნოდ დააცხუნებს, ირგვლივ
ისეთი სურნელი დადგება ხოლმე, რომ

ყვავილების ნექტარით გაბრუებული
ფუტკარი ადგილს ველარ პოულობს და
ერთიორად უმატებს ზუზუნს.

კაფანდარა კაცი ნამიან ტომრებში ან



ხელდახელ ამოწულ ვეება კალათებში დასხვილ კეწეწს ჩააწყობს და, თუ ავტობუსი ღროით არ მოვიდა ან კოპწია ქალაქებში უყვირეს — სად მოდიხარ ბარგით არ დაგვევაროო, მოკლე ბილიკებით დანდობილა ჩამოიბრუნეს თბილისში, იქნება მანქანასაც ჩამოუსწროს.

ქალაქის გალავანთან მუხლში ქარს ამოიღებს. მერე თავს დაღუნავს და დაქუსლავს. სანამ დიდ ქუჩაზე გავა, ახალგაზრდები ამოუცარიელებენ კალათს.

თვალუყუნა გოგონები, უღვაშმეღერებული ბიჭები ყიდულობენ იასამანს, ოთახებსა და დერეფნებს, ქუჩებსა და ბალებს, ყველაფერს მათის სურნელებით ავსებენ, ლოცავენ ამ ჩია ტანის

კაცს, ასეთი ცოცხალი და ლამაზი ყვე-
ვილებით რომ გაახარა ისინი.

„მეყვავილე“ ნავეპრი ფულფულს კეწეწს, თუ იყიდის ან „მალალ“ პურს, იქნება ბალეების ტკბილეულისათვისაც „გადა-
არჩინოს“, ამობღდება საბარგო მანქა-
ნაზე და პერი შინისაკენ.

თავად აზრად არ მოუვა, ერთხელ მაინც დაყნოსოს იასამანს და მისი სურ-
ნელებით დატკებს. არა, საამისოდ არა სცალია, ჩქარობს, „მეორე გზაც“ მო-
ასწროს.

დაცარიელებულ ტომარაში პური გა-
უხვევია, გულზე იკრავს და ძალიან უკ-
ვირს, ჯერ ისევ თბილ პურს ასე ძალიან
რატომ უღის იასამანის სუნს.

ნ ა ტ ა ხ ტ ა რ ი

გვალეაში სულ დაიკარგება ის პაწა-
წინა რუ, სოფელი წყაროს რომ ეძახის.
კოკების ჯარი დადგება. ქალები ყბას
აიჭავენ. ელოდებიან ქურტლის ავსე-
ბას და ჭორის გუდას სცილიან. თუ ვინ-
მემ მატრაკეცული ეგალი დააცურა ან
მოურყეფავში გადაყო ენა, წაეკიდებიან
და ისეთი წეწვა-გლეჯა ატყდება, მეო-
რედ მოსვლა ეგონება კაცს. მერე საესე
კოკას მხარზე შემოიდგამენ, ერთიმეო-
რეს მშვიდობას უსურვებენ და შინისა-
კენ წავლენ.

ბავშვს ჩაბანენ, ნაზუქს დააკრავენ ან
სარეცხს წაურევენ ხელს და წყალიც
ალარ არის. ყვლავ მიაქვთ წყაროზე ცა-
რიელი კოკა და ჭორით გამოტენილი
გუდა. გუდას დასცილიან, მაგრამ კოკას
ველარ ავსებენ — რუ იკლებს და ბო-
ლოს სულ იმალება სადღაც ლოდს-
უკან. ქალები ერთმანეთს დაეხვევიან —
დღედაღამ სულ წყალზე ყრიხართო, რა
გაქვთო ამდენი დასარეცხი, აი თქვენი
ქოქი გაწყდა — მიაწყველიან და გაბრა-

ზებულები, ცარიელი კოკებით წალას-
ლასდებიან შინ.

ეს — გარეუბანია. ათიოდ კილომეტ-
რზეა დიდი ქალაქი — აქ კი ისეთი უწყ-
ლობაა, თითქოს უდაბნო იყოს.

სოფელმა ითმინა. ემუდარა. ბოლოს
გაუწყდა მოთმინების ძაფი, დაირაზმა,
გათხარა ორმოები, ჩააწყო მილები და
სთხოვა თბილისს წყალი.

თბილისი რალა დედაქალაქი იქნებო-
და, თუ თხოვნაზე ხელს აუკრავდა. სოფ-
ლის მილებში ცივი, სუფთა წყალი აღ-
გაფუნდა, წამოვიდა თქრიალითა და შხა-
პუნით ვეება ოცნებებიდან.

მორბიან ქალები ნატახტარზე, მაგრამ
ველარ ასწრებენ ჭორის გუდა ჩამოს-
ცალონ. ქურტელი დანდობილა ივსება
და ისინიც გახარებული მიიჩქარიან
ოჯახში. გზადაგზა ერთმანეთს ელაპარა-
კებიან. უთქმელ ჭორს კამბის კალთაში
ახვივენ და ამინებენ.

ნატახტარმა შეიწყალა ურწყავი, გამხ-
მარ ძარღვებში სიცოცხლის ჩქერალი
ჩაუვგდო.

ძ მ რ ი

კქიფა, გაჯავრული, ელვასავით
სწრაფი და დაუდევარია. ძველ, დანჯღ-

რულ მანქანაზე მუშაობს, წამდაუწყებ
გარეუბანში გავარდება, კალოებს, სა-

წყობებს მოიბრუნეს, თავმჯდომარეს ან ბრიგადირს ნახავს და დამიზნებულად იყვირდება:

— შენ მე ვინა გგონივარ? მე დათვი კი არა ვარ, ადამიანი ვარ. გული მაქვს! აი, გრძნობა! — ორ მეტრზე გაშლის მკლავებს. — ცერის სიმსხო ქერს რომ მატან, ჩემი მეტრელები ცხენები ხომ არ არიან? ბავშვები თავს აკლავენ, ზრდიან, უვლიან, შენ ვინდა დამიხრჩო? პრავაკაციას მიწყობ? უხ, შენი... გამიშვით ერთი!

არაფი არ იჭერს. ის ჩიკორივით ადგილზე დაბრალდება და თავიდან იწყებს სიტყვას.

თბილისელ პიონერებს მეტრელები ჰყავთ მოშენებული. საყვებს გარეუბნიდან ეზიდებიან. ვასო არის ამის ავანჩაფანი.

ჩამოიტანს ვასო საყვებს, მეტრელებს დაუგურგურებს და, როცა მათთან

ალერსით დატკბება, იტყვის:

— ეს თბილისური მეტრელებია. მამა მშვიდობა! მი ზა მირი!

ერთხელ, ვასო ბრიგადირს რომ ედავებოდა და კვლავ ცხენები ახსნა, მეჯოგე გამოვდავა.

— აბა, აბა, ნელა ამხანაგო! ჩემი ცხენები რა კვალში ჩასაფლავი ნახე.

— მეტრედი და ცხენი ერთია? — გაწიწმატდა ვასო. — მეტრელები დაფრინავენ, ეი!..

— ცხენები დადიან, — ვითომ სიტყვა მოუჭრა მეჯოგემ.

— წადი, ძმავ, გაიარე, თბილისურ მეტრელებს ეგრე ვერ გავიმეტებ. მ შ ვ ი დ ო ბ ა. — გასწელა ბრტყლად.

— შენ თავში გყავს მეტრელები, — უთხრა ვასოს მეჯოგემ.

ვასომ ჯერ იტყცა, მერე რაღაცით გული დაიმშვიდა და მეჯოგეს შეუძახა: — მოკეტე ყბა! საყვები მომეცი.

მთვარე მთაში

შორიდან ელსადგურსა ჰგავს. ნაირ-ნაირი ბოძებისა და მავთულების ბადეს ვხა ისე მოუჩითავს, თითქოს გარეუბნის სოფელი კი არა, დიდი „ქვის“ იყოს. ფეხებზე „ქანგებდაკრული“ მონტიორები ბოძებზე ციყვებივით დაცოცავენ და ისე გაფაციცებით მუშაობენ, ეგ არის. სადგური ჩართეს და ტყუილ-უბრალოდ დენის დაკარგვა არ ემეტებათო. ქანგები დაიხსნეს და სახლებს მიესივნენ. კედლები დათხარეს, ჩამრთველები დადგეს, ნათურები გამართეს და წავიდნენ. იმ სალამოს სამუდამოდ უნდა გადაეგდოთ ნავთის ლამა, სოფელი სუნთქვაშეკრული ელოდა ქალაქის დენს.

გავიდა ის სალამო და მრავალი, მაგრამ „ქალაქური დენი“ არ გამოჩენილა. ბოძებზე ცოცვა ფუჭ გარჯად შერჩათ ფეხ-ქანგა მონტიორებს, „თელასი“ აგრეთვე აღ არ იხარჯება.

დაიძრნენ საჩივარზე. ეს გავაკეთეთო, ასე გავიყვანეთო...

„თელასი“ შეუპოვარია. მუჭარას ად-

ვილად არ შეუშინდება. თხოვნა ცივ გულს არ გაუთბობს. მას თავისი „გრაფიკი“ აქვს, სადაც ვერაგზით ვერ მოხვდა გარეუბანი...

კამკამა ცას ვეება მთვარე ვერცხლის ფაროვით მიჰყუდება. თეთრად ქათქათებს მთები. მთვარის შუქი აბრეშუმივით ეფინება ნოტიო ფერდობებს, დარაიასავით ეხვევა ხეებს, ათასფრად აბრეშუვილებს ეზო-ყურეს და ორღობეს.

ახალგაზრდებს „სალამოს თბილისი“ გამოუტანიათ და ბადრი მთვარის შუქზე კითხულობენ.

სუფთა, დაშენილი ჰაერია. გაჩუმებულია მიდამო. თბილ მიწას ბალახების სუნი უდის.

შორს მანქანის ფარები გაიციმციმებს და პროექტორივით გამოტყორცნილი სინათლე გადაურბენს სოფელს. მანქანა შეუხვევს და სახლები კვლავ დუმილში იძირება.

ბოძებზე მავთულების ლაშქარია მი-



სეული. სახლის კედლები დათბრილია და მომზადებული. ფეხსანგა მონტიორები ციყვებივით დახტიან.

ბადრი მთვარე დაჰქათქათებს სრულს. მის წყნარსა და მშვიდსა და მშვიდსა შექმი იძინებს გარეუბანს.

ნაცნობი ძილები

თეთრი, ხშირი თმა თუშური ქელიდან მშვიათად გამოუჩნდება. პირისახე ჩაყვითლებული აქვს. ჩანს, ავადაა, მაგრამ თავისათვის ვერ მიუხედავს. ახალი ხალათი, სახელოვანნიერი და გულისპირზე ჯიბეებდაკერებული. მარდი ნაბიჯი, კერკეტა სხეული და ჭაბუკური სიჩაუჭე.

შეაგინა, მშობელი გაიხსენა, ამოიხრა, დაახველა და გადააფურთხა.

— კაცი წვალეებისათვისაა გაჩენილი, — კვერი დაუტრა მოსაუბრეს, მანქანიდან ახალგაზრდული სიმარჯვით ჩახტა, მაწვნით საესე ქილები სამრიგად რომ ჩაეწყო ტომარაში, ზურგზე წამოიკიდა და დილის ბინდში მიძინებულ ქუჩას ომანიანად გასძახა:

ნელა ლაპარაკობს. შიგადაშიგ ისეთს გაურევს, რომ ყველას ყურადღებას მიიჭყევს. მოხედავენ, შეეკითხებიან, გულგრილ ღიმილს მიუგდებენ.

— აბა, მაწორონი!..

ნაშუადღევს ცარიელი ქილები წამოკრიფა და კმაყოფილი ღიმილით შეუყვამარტოს.

ის აინუნშიაც არ აგდებს. დინჯად განაგრძობს. რალაცას ჩივის.

ხვალ დილით ისევ ჩამოვა ქალაქში. ორასთუმნიანს ახსენებს. მისი ოთახის წინ ფეხებს საგულდაგულოდ გაიწმენდს, მაგრამ ზღურბლს არ გადააბიჯებს. არ იტყვის, რომ „ლიპიანი“ მისი ვაჟია, ისწავლა, კაცი გახდა, ქალაქში ბინა მისცეს, პატივით ცხოვრობს და...

სტკივა. არ ამბობს. უცბად დაავიწყდა, რომ მარტო არაა და გულის მულამი გამოაჩინა.

არა, მემაწენე მხოლოდ თავის მამას ემდურის, რატომ არ ასწავლა წიგნი.

— ჩემი მუშტარია ისა! ორას თუმან ჯამაგირს იღებს. ღიბი აქვს. დიდ ოთახებში ცხოვრობს. ყოველ დილა მაწონს ვუზილამ. ეხ... ჩაიჭვითჭვითა, ვილაცას

ტყე

მზე რომ შეიმალეებს და ბრწყვიალა, უზარმაზარი ღილივით ცას მიეკერება, ნახირი სველ ტინებს გალოკავს, მწყემსი სამყურა ბალახს ეფარება, მინდორში სათონე ბული დგება და ჰაერი ისეთი მზურვალეა, როგორც ნამტირალევი ქალის ქუთუთო, აი მაშინ, უძრავობისა და გარინდების ეამს, თბილისში ისეთი ხორშაკი ჩამოიჭრება, რომ დამდნარ ასფალტს ალად მოედება და სულშეხუთულ ქალაქს უარესად დაბლუჯავს და გასთანავს. ეს ხორშაკი ტაბახმელას ან დიღმის ხევს ჩამოიბრუნს, შინდისს ჯვერდს უქცევს, კრწანისში ან საბურთალოში გაითუხთუხებს და ერთი ფრთის გაშლით შუა ქალაქში ჩამოჯდება.

ცხელ ქარებს მტვერი და გვალვა მოაქვს, ისინი დედამიწას ფიტავენ, რეცხავენ და აშიშვლებენ.

ხორშაკს ძველად კრწანისისა და დიღმის ტყეები ებრძოდა. აქ ახლა რომ მოტიტვლებულა და მოშიშვლებულა ყველაფერი — დაბურული მუნჩარი შრილებდა, ანკარა წყაროები გადმოჩუხჩუხებდა, ისეთი აბიზინებული მოლი იყო, რომ კაცს, რაც უნდა დიდი თანამდებობისა ყოფილიყო და საამქვეყნო საქმით გულატკივებული, მაინც მოუნდებოდა ამ ხასხასა მოლზე ერთი ნებიერი წამოკოტრიალება, გულაღმა გამოტვა და დასვენება.

მაშინ თბილისში აგრე დაურიდებლად

და თავხედურად ვერ ჩამოიჭრებოდა ხორშაკი — დაბურული, ძლიერი ტყე ელობებოდა და უკუაქცევდა.

საქართველოსა და მის გულს — თბილისის საუკუნეების მანძილზე აფთარივით დაუძინებელი და მგელივით გაუმძლარი მტერი უტევდა. აქ, ქალაქის კარიბჭესთან მრავალი ბრძოლა ვადაიხადა თბილისმა, რათა მომხდურთავან დაეცვა ნაამგდარი. ურდომ ტყე გაანდგურა. ვაზი ხმლით აჩეხეს. მუხები დაქრეს, გულში კუპრი ჩაასხეს და გააბმეს. ტყე დაფუტურავდა, დაილია, გამეჩხერდა და ბოლოს სულ გაჭრა. იყო და არა იყო რა. უყურებ და თვალს არ უჯერებ, ნუთუ ეს ტრიალი მთის კალთები ყოველთვის არ იყო შიშველი?..

* თბილისელებმა ნანდაური ჩაიდეს გულში, ქალაქის სანახებში კვლავ გაემენებინათ ტყე.

კვირაობით, საბარგო მანქანებზე აღაქლავებული ხალხი ყიფიყივებს, დიდ-პატარა, ბერიკაცი და ყმაწვილი, თეთრი სახით, ნამჯის შლაპით და მუჭი სათვალეებით. მათ ნაზი, მაგრამ მოუღლეელი ხელებით ბარები დაუბლუჯავთ, ყრია-მულთ ეხვევიან მიწას. ურტყამენ წერაქვს, იქნევენ ბარს, მღერიან, იცინიან. სახებდენიერნი გასცქერიან ამოთხრილ ორმოებს და ეჩვენებთ, როგორ დაირგვება ნამყენები, აშრიალდება ტყე... შვილები ხომ მოესწრებიან, განა ეს პატარა იმეღია?

გარეუბნელები მფარველური ღიმილით შეჰყურებენ ქალაქელებს, როგორ ფრთხილად და დუნედ იქნევენ ბარს. თავად არტელში თავსაყრელი სამუშაო აქვთ, მაგრამ დედაქალაქზე გული ეწვით, თბილისელები რომ წავლენ, ბინდისას, გარეუბნელები მიეხვევიან სანამყენე ორმოებს და ის, რაც ქალაქელებს ვერ გაუკეთებიათ ან ცუდად გაუკეთე-

ბიათ, ეს მზით გარუჯული, ჯინმეგარი, ტალი-ტალიკი ბიჭებზე, ეჩეფე-უხელის მოსმით აკეთებენ. დამტყვევნი უცნაო-ქოს დედამიწა შეირყაო... დათვებივით დაალაჯებენ, მიწას ბუბნავენ, ებრძვიან, ესიყვარულებიან... თან ცალი თვლით განათებულ ქალაქს გასცქერიან და დროდადრო გულმოსული წაილაპარაკებენ:

— როგორა, ქალაქი ჩვენ აღარ გვიყვარს? ჩვენა გერები ვართ? თბილისი მარტო ქალაქელებისაა?..

და გაგულისებულები ისევ მიეხვევიან მიწას. უღელივით მაგარ მკლავებს იქნევენ, ყვეარ კისერს ძლივს აბრუნებენ, მაღლიანად იცინიან, დაურიდებლად შაირობენ, დოქიდან წყალს ყლაპაყლუპით სვამენ და ცივ ნიაზე იშრობენ შუბლს.

ხელხვავიანად იმუშავენ გარეუბნელები, მეორე კვირას, როცა თბილისელები მოვლენ, გაკვირდებიან. გარეუბნელები როდი ფახიფუხობენ. მორცხვად ჩაიღიმებენ და იტყვიან:

— თბილისი დედაა ჩვენი! მისთვის გარჯა არ გაგვემტყუნება!

კრწანისისა და დიღმის სანახებში კვლავ აშრიალდება ტყე, დაიბუბუნებს მუხა, აღიტყორცნება წიფელი, მამაპაპურად ამოიხრებს კაკალი და ხორშაკს მკერდით წინ აღუდგება.

თბილისში სიგრილე და ჩრდილი იქნება, კრწანისისა და დიღმის ველ-მინდვრებზე ხასხასა ბალახი და დაბურული ტყე, და, რაც უნდა დიდი კაცი იყო და საქვეყნო საქმით გულატკევებული, მაინც არ იუკარისებ, ტყეში, მწვანე მოლზე ერთი გემრიელად გაკოტრიალდე და ლოცვა-კურთხევა გაუგზავნო ადამიანებს, ვისაც ასე უყვარს თავისი ქალაქი, ტყე და მინდორი, ცა და დედა-მიწა სათაყვანებელ სამშობლოსი.

ბოლოთქმა

გათენებულა. თავჭუდმოგლეჯილი გამოვრბივარ ქალაქისაკენ. ფეხდაფეხ

მომდევნ სხვებიც, ვინც თბილისში მსახურობს.



კეთილი შოფერი მანქანას გვიჩერებს ჩვენ ჟივილით ავდივართ ტომრებზე და თივაზე, გოდრებზე და ყველაფერზე... ოღონდ ფეხი მოვიკიდოთ და ჩავალწიოთ.

ერთი ჩარბენაა! რატომ სწუხარ მეზობელო?!

ამინდზე იტყვიან. თავმჯდომარეს ვასპორავენ. სინათლე არა გვაქვსო, — მოიჩივლებენ. ხეირიანი გზა არ გავციყ-

ვანესო, — ქოქოლას მიაყრიან ვილაცას. ქარი მოქმუტუნებს. ყურებში წიქვს მწვანე მინდვრები. ტინი კლდეები ბიან, გვეგებებიან და გვაცილებენ.

მისახვევი, მოსახვევი.

ოქროყანა თუ დიღმის ყელი.

სოლოლაკი თუ საბურთალო.

აქ გზები იყრება.

გარეუბნელები ჩამოდიან თბილისში.

თბილისელები ბრუნდებიან გარეუბნიდან.

აღმსარება მუთათაღი



ჩემოსლოვაკიაში

ძველი პრაღა

რეაქტიულ თვითმფრინავით
განა დაიგვიანებ!
დილიდანვე დიდი ნავით
დღეს ვლტავაზე ვსრიალებ.
ვიხილე და გულით ვაქვ
ჩეხთა დედაქალაქი —
პრაღა, ჩეხთა სიამაყე,
თვალწარმტაცი ალაგი.
ძველის-ძველი სასახლენი
წმინდა ვიტას ტაძარი
სამაყო, სასახლო,
კრემლი, უზარმაზარი.
მარგალიტი, ოქროს თასი,
ესპანური დარბაზი,
ეკლესია ლორეტასი
და მადონა ლამაზი...
ვით მამალი შუადღისა,
იშვიათი საათი —

რატუშაზე ქალაქისა
ზარებს რეკავს ტაატიო.
ჰა, ფანჯრები იღებთან:
კოშკის მაღალ შორეთით,
თოქინების ნიობებითა
მოციქული თორმეტი
მოდის, როგორც მთვარეული,
საიჭიოს მესანთლე
და ზარები ვალეული
სამარიდან კენესოდნენ.
ახსოვთ ბნელი საუკუნე,
ხალხის ტანჯვით შაძლარი,
ომი, ნგრევა მოგუგუნე.
ქალაქების ნაცარი,
რომის პაპის ფანდი, მახე,
კოცონები მძვინვარი,
მაგრამ ჰუსის, ვიეკას სახე
ელავს დაუვიწყარი.

ახალი ძვეყანა

მალე პრაღა მივატოვე,
ვნახე კარლოვი-ვარი,
ხარირემის სიმარტოვე,
გეიზერი მძვინაარი.
კურორტი სანაქებო,
წყლები მინერალური,
ლოკეტ-ჰების სანახები,
კლდენი გამოქარული.
მომწონს ყველა იმათგანი,
კლდე შავი და უღრანი,
თეისებები იმ ბადანის,
რომ შეარქვეს ურანი.
ომს ვი არა, კაცს მოხმარდეს
ძალა შიგ დამარბული
და მსოფლიო არ ოხრავდეს
სიკვდილით გალახული.

მწვერვალები შტიტი, ღერბი,
ელავს სნეჟკა, კრკონიშე,
აგერ ჩვენი ციხი ბიბრის,
ჯვრის მონასტრის მონიშნე.
აზლუდულან დიდი მთები
და პატარა „ტატრები“.
არ ვიღლები მათი ქებით,
მათი ეშხით დაეთვრები.
მანქანასაც „ტატრა“ ჰქვია,
სამშობლო მთის სახელი.
„სკოდა“, „სპარტაკ“ მიმოჭრიან,
სწრაფვის გამომსახველი.
უხილავი რაღაც ძალით
ქარხნის მილი ბოლავდა
და ელავდა ქურის ალი
გადმოღვრილი ფოლადად.



რა სიმდიდრის მარაგია,
 ელსადგური, დამბები,
 მალაროთა ხახა ღია,
 ქალაქები, დაბები!
 ვით ხევსურთა „ყოილები“,
 სიფრიფანა, ვრილონი,
 ხელოვნური ქსოვილები —
 ნეილონი, სილონი,
 აბრეშუმის ნათესავი,
 უფრო მტკიცე და ნაზი,

მზის სხივების ბადესავით
 გამკვირვალე, ლამაზი...
 ფაითური, მინა, ბროლი,
 ზედ შუქ-ჩარდილის თამაში,
 ზედ ოქროსფრად მინაქროლი
 ვარაყები. ბადახში,
 ზედ მუყირალა ხარირემი,
 მთები კარლოვი-ვარის...
 ათასგვარი ვარირებით
 ელავს „იმპერიალი“.¹

ძმათა სასაფლაო

ვნახე ძმათა სასაფლაო, —
 დამარხული ზანძარი,
 სად თესაედა ომი ქაოსს,
 სისხლით გაუმძღარი;
 დაფებზეა განრიგებით
 ქაბუკთა სახელები...
 სახელები, თარიღები... —
 მიცივდება ხელები.
 დუმილია ამ არეში,
 არაფერი მის შერთი,

მუნჯად წევანან სამარეში
 ოთხას ოცდაჩვიდმეტი, —
 ეშხიანი ქაბუკები,
 სულ ქოჩორა ბიჭები,
 გულში ბოდმის ჩაგუბებით
 და გმირთა მხნე ბიჭებით,
 რომ დაიხსნეს თავის გულით
 ჩეხთა დედაქალაქი,
 და შევაძკე თაიგულით
 მეც გოდების ოლაგი.

ქერა ქალები

მთაში ნახული უცხო სიზმრების
 ჭკერებით დამტკბარი ლურჯი თვალებით
 ბალში ვიდოდნინ. როგორც ირმები,
 მზეთუნახავი ქერა ქალები.
 გამოძერწილი მწყობრი ფეხების
 ეშხით, სიტურფით ბალი ივსება.

გამოცოცხლდება მათი შეხებით
 ხმელი ბალახიც, თუ ელირსება.
 ქაბუკს იმონებს წარმტაცი ეშხით
 დიანას ფეხი ნაქანდაკარი,
 წუხს, არ გაეჭკეს დაბურულ ტყეში
 ირემი ლალი და რქანაყარი.

პანთეონი

ბრძენთა, გმირთა მცველი ფარი,
 ვით შეჰფერის ელადას,
 პრალის მთაზე მალლა მდგარი
 პანთეონი ელაედა.
 პანთეონში განისვენებს,
 წვეს გოტვალდი კლემენტი,
 რომ ებრძოდა ფარისეველებს,
 ბრძოლით სძლია ბნელეთი.
 ჩეხი ხალხის ბედის გამგე,

მტრის შემტევი, მბორგავი,
 და გუგუნებს გლოვის პანგებს
 დიდ დარბაზში ორგანი.
 ვნახე ყველა იარუსი
 პანთეონის ზღაპრული
 და შევაქე იან ჰუსის,
 იან ჟიკას მამული.

¹ სანატორიუმი მთაზე.

თამაზ ჭილაძე



ამირანი

ვიცი იქ არ ხარ და არ შემხვდები,
ყურს არ მიუგდებ მგზავრის დაძახილს,
იქნება უფრო მაღალი მთები
იპოვნე სადმე და იქ დასახლდი.
თავს ვთვლიდი შენთვის მასლობელ
და მეც შემეძლო, ტინებზე გაყრულს,
და მეც შემეძლო, ტინებზე გაყრულს,

რომ შევჩვევოდი სიმღერის ნაცვლად
მკერდზე ორბების ნისკარტთა კაქუნს.
მაგრამ გათავდი, როგორც ლეგენდა,
ჩამომიშხვრიე სულში ლოდები...
მთებთან, ვით ნათელ მოგონებებთან,
დაეანთე ცეცხლი და... გელოდები...

გრემი

არც ყოფილა, არც იქნება
ჩემი ციხე ნაციხარი,
ჩემი სახლი ნასახლარი,
ჩემი სული ნაწიხლარი.

არ იქნება ნამიწარი
მიწა პაპის მოცემული,
ქვევზე ჰყვავის ბროწეული —
ბიბლიიდან მოღწეული...

ქველი რიგა

ასე გგონია —
სიკაბუჯე კვლავ დაბრუნდება
და ჩამოგიმტვრევს ჭიშკრის კრამიტებს,
სათოფურებში აკანკალებთ ყვავის
ბუდეებს,
მზე ჩადის, თითქო სახეს გარიდებს.

საფეხურებთან დაეძინათ საუკუნეებს,
როგორც მათხოვრებს რატუშის
კართან...
სათოფურებში აკანკალებთ ყვავის
ბუდეებს
და თბილ გრანიტებს ეფიცება ბებერი
კატა...



გადაივლიან, გადაივლიან
ჭალებს ივრიანს,
კახეთის ჭალებს...
და გაფრინდება ყველა მერცხალი
და დააკლდება გულს ნაპერწკალი...

შენ ნუ აყვები ფიჭოსა და ლოდინს,
სანამ ლამაზი ცა გალურჯდება...
ჩამოირბენენ ირმები ბარად,
ჩამოიტანენ ცეცხლსა და სურვილს,
და შეშფოთდება,
და შეშფოთდება,
და შეშფოთდება მთელეზარე სულა,
რადგან ცისკარზე, როგორც ბუცის ხმა,
ირემი დასჰქვს სიკაბუჯისა...

უეცრად თოვლი შეამრიალებს
მოწყენილ ჭალებს და გაყუჩდება...

ბესიკი კობახიძე



პირველი ფოტოცენა

ისინი მოლზე ისხდნენ. ბებერი ქაღალდის მოფარფარე ფოტოებს შესცქეროდნენ. ბიჭი მიწისსაზიდავ ურიკას მიჰყარდნობოდა. ცალი ხელი ფოსოსა და ფოსოს შუა გაეყარა; გოგოს კი ურიკის გადაღმა მოეკეცა, ხელები მუხლებზე დაეწყო.

— ყველაზე ბებერი ხეა, — განმარტობით მდგარ ქაღალდზე მიუთითა ელისაბედმა. — ნამდვილად ყველაზე ბებერია. ვატყობ ციყვეები ცხოვრობენ ზედ.

— სულელი! — თქვა რობერტმა, — მაგიტომ არის ბებერი? ზედავ, რა მწვანედ შეფოთლილა? აგრე დიდხანს გასძლებს. ახალგაზრდა ხეს უფრო მალე ეპარება სიყვითლე.

ამ ერთი თვის წინათ ყველა ეს ხე ახლად ამოსული ჯეჯილივით ხასხასებდა, მერე ერთბაშად იწყეს გაყვითლება. ფერდობზე შეფენილა ქაღალდის პაწაწინა ტყერი ოქროსფერ სამოსელში გაეხვია, ეზოში ასვეტილ ადამინდროინდელ ქაღალდებს კი ალაგ. ნარინჯისფერმა, ალაგ ალისფერმა გადაჰკრა. კიდე რამდენიმე დღეც და, ქარის ყოველ შემობერვაზე შეირხვევიან ფოტოები, შეციებულგვით აცხაცხებდებიან, მოსწყდებიან რტოებს და ტრიალტრიალით წამოვლენ მიწისაკენ. მერე ბალახიც გახმება. საცოდავად მოიხრუკებიან ყვავილები, გამუქდება მინდორველები და ასე მანამ გასტანს, სანამ პირველი თოვლით არ დაიფარება ყველაფერი.

— წუხელ, ჩვენ რომ გვეძინა, წვიმდა, — თქვა ელისაბედმა, — თითქოს წვიმა კი არა, საღებავი წვეთავდა ცოდან. გეგონებოდა, თითო ქოთანს სავ...

ღებავი გადაასხეს ყოველ ხესო.

— მამამ თქვა, ზაფხული მიიწურა და იმის ნიშანიაო. საერთოდ ასეა, შემოდგომის დამდეგს ხეები ყოველთვის ასე წითლდებიან და ყვითლდებიანო.

— შარშან რომ არ იყო ასე?

— მამამ კიო, იყოო. ხეებს ჯერ სიყვითლე მოერია, მერე სიწითლეო. ფოთოლი რომ გაწითლდება, მორჩა, დიდი დღე აღარ უწერია. კიდეც ცოტაც და, ცვენას დაიწყებს.

შემშანდის კარი გაიღო. რობერტმა ხელი უშვა ურიკას და სახლისაკენ მოჰკურცხლა.

— მამა მოვიდა, მამა! ახლა ჩვენთან ითამაშებს!

ელისაბედი ძმას გაეკიდა. ისინი გაქირვებით აბობლდნენ კიბის მალალ საფეხურებზე. სულს ძლივსღა ითქვამდნენ.

— აბა, როგორაა საქმე? — იკითხა მამამ.

— ვითამაშოთ, რა! — შეეხვეწა რობერტი მამას და მკლაზე ჩამოეკიდა, — ვითამაშოთ?

— დღეს ხომ შაბათია, მამა, არა? — იკითხა ელისაბედმა, — ხვალაც ჩვენთან იქნები?

— შაბათია. შინ ვიქნები, მაშ! ხვალ და ზეგ.

— მოდა, ვითამაშოთ, — კიბისაკენ ეწეოდა მამას რობერტი, — ყველაფერი ვითამაშოთ, სუყველაფერი, რაც ვიცით.

— დათვობანა... არა, დათვობანა არ ღირს, ყველას მოებზრდა, — უთხრა მამამ, — იმ კვირაში არ ვითამაშეთ? რა მოვიგონოთ ახლა...

— დათვობანა! — წამოიძახა რობერტმა, — მოდი, დათვობანა ვითამაშოთ. ამაზე უფრო მხიარული რა არის!

— მე ახალი თამაში ვიცი, — თქვა მამამ, — ცხენობანა. ვითამაშოთ?

— არა, ისევ დათვობანა, — შეეხვეწა ელისაბედი, რომელიც მეორე მხრიდან ამოსდგომოდა მამას და ეზოსაკენ ეწეოდა, — ჯერ ცოტა დათვობანა და მერე, თუ გინდა, სხვა რამე.

— კარგი, — დაუბუღლა მამა, — მაგრამ შავი დათვი რომელი იქნებით?

— შენ! — წამოიძახა რობერტმა, — ხომ შენ ხან ყოველთვის. იყავი, რა, მამა. აბა დაიღრინე!

— ღრრრ! — დაიჩოქა მამამ და ხელებით მიწას დაეხვინა, — ღრრრ!

— ვაი, შეშინია! — აკვილდა ელისაბედი და ფრთხვით მოშორდა მამას, — ვაი, რა საშინელებაა! შეშინია დათვის!

— ღრრრ! — ბაჯბაჯით გამოეწოთ მას მამა.

— მე? — იწყინა რობერტმა, — მე აქა ვარ, მამი. მეც დაიღრინე, რა! — ღრრრ!

— მე კი, აი, რა მაქვს: პანტა! — მთელი ბლუჯა ბალახი გაუწოდა ელისაბედმა მამას, — დათვო, გინდა პანტა?

— ღრრრ! — პირით მისწვდა ბალახს მამა და ჯიჯგნა დაუწყო, — ღრრრ!

— მე კი ზედ შევაჯადები დათვს! — დაიყვირა რობერტმა. — მიყურე, ელისაბედ! ნახე, როგორ შევაჯადე! მე უშიშარი ვარ!

რობერტი მართლაც შეაცოცდა ზურგზე მამას; თან წყებლას უტყაპუნებდა, ადექო.

— მოდით, ახლა ცხენობანა ვითამაშოთ, — თქვა მამამ, — ახალი თამაშია. იცით, რა საინტერესო? ჯერ ხომ არ გვითამაშია, არა, ელისაბედ?

— ჰო, ჰო! — დაიყვირა ელისაბედმა. — აბა, ჩქარა, რობერტ, ჩამოხტე, ცხენობანა ვითამაშოთ. რა კარგია! რამდენს ვიციანებთ, არა, მამიკო?

— რასაკვირველია, — დაეთანხმა

მამა, — მაგრამ ცხენი ვინ იქნება?

— შენ! — წამოიძახა ელისაბედმა, — შენ უნდა იყო ცხენი!

— კარგი. მე ვიქნები. ახლა კი ფრთხილად იყავით. შეხედეთ. აი, მოჰქრის გარეული თეთრი ცხენი...

— მერე რას იზამს? — იკითხა რობერტმა.

— დამშეულია. შაქარი უნდა. შაქარი ძალიან უყვარს. ზოგჯერ მარილსაც გეახლება, მაგრამ ახლა შაქარი უნდა. მიეცით ცხენს შაქარი!

— მერე სად ვიშოვნოთ? — შეიცხადა ელისაბედმა, — აქ რომ არა გვაქვს?

— ხეი-ხეი-ხეი-ხეი! — ოთხით დახტოდა მამა მოლზე და გარს უვლიდა ბავშვებს.

— ცხენს შაქარი უნდა, — გაიძახოდა რობერტი, — ფრთხილად, ელისაბედ, გაეცალე, ემანდ არ დაგწიხლოს!

მამა შედგა, თავი გაიქნ-გამოიქნია და ფეხი ასწია.

— ფრთხილად! — დაიყვირა რობერტმა, — აი, ახლა კი ისერის ტლინეებს.

მამა ერთხანს უძრავად იდგა, მერე ფეხი მოიქნია, მაგრამ ისე ღონიერად გამოუვიდა, რომ ფეხსაცმელი გასძვრა.

— ცხენს ნალი ავარდა! — შესძახა ელისაბედმა, — ფრთხილად, რობერტ, გულმოსულია, შაქარი რომ არ მიეცით. ვაიმე, რაღა ვქნათ, სად ვუშოვნოთ შაქარი?

— მე სულაც არ მეშინია მაგისი! — თქვა რობერტმა, — აი, მიყურე!

— ჩამოგაჯდებს, — თქვა ელისაბედმა, — მოდი, ჯერ შაქარი მიეცეთ.

— ელისაბედ! შეხედე! აი, ასე იქვრენ გარეულ ცხენებს, მერე ასე მოახტებიან ზედ!

— ხეი-ხეი-ხეი-ხეი! — დაიკინებინა მამამ და ხტუნვა-ხტუნვით გაქინდა მოლზე. მერე შეჩერდა და მეორე ფეხი გაიქნია. ამჯერად ფეხსაცმელი აღარ გასძვრობია.

— ახლა მიყურე, როგორ გავაქუნებ ამ შენს გარეულ კიხვინას! — თქვა რობერტმა.

მამა გაუნძრევლად იდგა. რობერტი რომ კარგად მოეწყო ზურგზე, თავი გაიქნია, დაიფრუტუნა და ისევ თოხბრკით გაჰქენდა მოლზე.

— მეც მინდა! — დაიყვირა ელისაბედმა, — მეც მინდა გარეული ცხენით სეირნობა!

ისიც შეაცოცდა მამას ზურგზე. რობერტის უკან მოიკალათა, ხელები მაგრად ჩასკიდა რობერტს, რათა არ გადმოვარდნილიყო, როცა ცხენი ყალყზე შედგებოდა ან ტლინკების კერას დააბირებდა.

— მამა, რად დაწევი? — იკითხა რობერტმა, — ჩვენ უკვე მოვეწყვეთ. მოგვერევი? ადექი, რა! ადე, მამა! დაიფრუტუნოს გარეულმა ცხენმა, იტლინკაოს.

მამა პირქვე იწვა ბალახზე. ელისაბედი ჩამოძვრა, რობერტმა კი წიკვლა მოიმარჯვა და ცხენს გადაჰკრა.

— არ დგება, — თქვა მან, — ალბათ, დაიღალა.

— მამა აღარ ვითამაშოთ? — იკითხა ელისაბედმა, — თუ ცხენობანა მოგებურდა, სხვა რამე მოვიგონოთ. მე ძალიან კარგი თამაში ვიცი.

„სად არის ფისო“ ჰქვია. გინდა, ვითამაშოთ? ძალიან სასაცილო თამაშია.

რობერტი შოშბანდისაკენ გაემართა. შუაგზაზე შეჩერდა, მოიხედა.

— დედას ვეტყვი, რომ აღარ გვეთამაშები, ნახე! მამა! გესმის? მოვიდეს დედა ერთი, გაყურებიანებთ სეირს!

რობერტი შინ შევიდა. ელისაბედი უფრო ახლო მიუცოცდა მამას და ბალახებში თოხფურცლა სამყურას დაუწყო ძებნა.

ეზოში განუწყვეტლივ ცვივოდა ჰადრის წითელი ფოთლები. წამოუბერავდა ქარი. ათრთოლდებოდნენ ფოთლები, დაიწყებდნენ ტრიალს, მერე უცებ მოწყდებოდნენ და წითელი ქალაღის ნაფლეთებივით ეშვებოდნენ დაბლა. ცოტა ზემოთ, ფერდობზე, ხმაურით იზნიჭებოდნენ ნარინჯისფერი და ოქროსფერი ხეები.

დედა და რობერტი შოშბანდიდან გამოვიდნენ. მოლს მოამურეს, დედამ თითი მიიღო ტურნებზე, ჩუმად იყავითო და ფეხბრკეფით მიუახლოვდა მამას. რობერტი დედის კაბის კალთას ჩაბლაუჭებოდა. ელისაბედს პირზე აფრებინა ორივე ხელი და თვალბგამოქაჩული ერთ ადგილზე ცმუტავდა: აი, ახლა კი გადმოუტრიალდება გული მამას; რა იცის, რომ დედა და რობერტი უკვე თავს წამოადგენ!

როდესაც დედა სულ ახლოს მოვიდა, ტურნებს თითი მოაცილა და რაღაც ანიშნა ბავშვებს.

— უუ! — წამოიძახა და მოწყვეტით დაეცა ბალახზე მამას გვერდით.

— უუ, მამიკო! — დაიყვირა რობერტმა.

— უუ! — ტაში შემოჰკრა აღტაცებულმა ელისაბედმა.

დედა ბალახზე იწვა და ელოდა, როდის ასწევდა მამა თავს, როდის გაუღიმებდა. მერე უფრო ახლო მიუჩინდა და სახეში შეხედა.

მამას ცხვირზე პაწაწინა შავი ჰიანკველა მიცოცავდა. ბეჭებზე შემოტმასნულ თეთრ პერანგს მწვანე კალია აჯდა და ასაფრენად ეშვადებოდა.

— შეხედე, რანაირი კალიაა! — თქვა რობერტმა და კალიას ხელი წაატანა, — ზის და ისვენებს მამას მხარზე. ვაი, როგორ შეხტა!

— ჩუ! — თქვა დედამ და თითი ისევ ტურნებთან მიიტანა, — ნუ ყვირი. მამას ძინავს.

— აბა როგორღა ვითამაშოთ? — უკმაყოფილოდ შეჰყარა წარბები ელისაბედმა, — გარეული ცხენი ვინღა იქნება?

— ცხენობანა სულაც არ ყოფილა საინტერესო, — თქვა რობერტმა, — მამა რომ გაიღვიძებს, სხვა რამე ვითამაშოთ.

დედა წამოჯდა. მამას მაჯაზე მოჰკიდა ხელი. ერთხანს ასე ეჭირა, მერე გაუშვა.

— რა მოგივიდა, დედა? — იკითხა

ელისაბედმა და დედის კალთას დაე-
ბლაუჭა, — რატომ დაიკვნესე?

დედა ტუჩებს იკვნეტდა და იმ აღ-
გაღს მიშტერებოდა, სადაც კალია იჯ-
და რამდენიმე წამის წინ.

ჭადარს ყავისფერი ფოთოლი მოსწ-
ყდა და ტრიალ-ტრიალით დაეშვა ქვე-
მოთ. მხარზე დაეცა მამას. დაეცა და
ასევე ღარჩა, არ განძრეულა.

— რომ გაიღვიძებს, ხომ გვეთამაშე-
ბა? — იკითხა რობერტმა, — ჯერ ცხე-
ნობანაც არ დაგვიმთავრებია, მერე სხვა
რამეც უნდა ვითამაშოთ.

— იცი, დედი? ჩვენ რომ ცხენობანას
ვთამაშობდით, მამამ ისე მაგრად მოიქ-
ნია ფეხი, რომ ფეხსაცმელი წასძვრა, —
თქვა ელისაბედმა, — შეზედე, სადა
გდია!

ელისაბედი დასწვდა ფეხსაცმელს,
აიღო და დედას გაუწოდა. დედამ ორი-
ვე ხელით ჩამოართვა ფეხსაცმელი,
გულში ჩაიკრა, თანაც შეუსვენებლივ
თითს უსვამდა ზედ, თითქოს ბრძაა და
იმის გაგება უნდა, ხელში რა უჭირავსო.

ბატარა შავი კიანჭველა, რომელიც
ცხვირზე აჯდა მამას, შუბლზე გადა-
ცოცდა და შეჩერდა, თითქოს რაღაცას
ათვალყურებო.

— წამოდი! — მიმართა დედამ ბავ-
შეებს და ორივეს ხელი ჩაჰკიდა, —

შედით თქვენს ოთახში, სანამუდო და-
გვიძახებთ, ფეხი არ მთივალეთში მიქი-
დან. სურათები დაათვალიერეთ, ან
ითამაშეთ რამე. ფანჯარაში არ გამოი-
ხედოთ, სანამ არ დაგიძახებთ. აბა,
გაიქეციოთ, შენც, რობერტ და შენც,
ელისაბედი. დედათქვენი ახლა დიდხანს
ველარ მოიცილის თქვენთვის.

ბავშვები სახლისაკენ წავიდნენ, დე-
და კი კიბესთან იდგა და იცდიდა, რო-
დის მიეფარებოდნენ ისინი თვალს.
კიბის მოაჯირს მიჰყრდნობოდა და
კვლავ გულში იხუტებდა ფეხსაცმელს,
რომელიც მამას წასძვრა ცხენობანას
თამაშის დროს.

— რა გაგვაძლებინებს ახლა ოთახ-
ში, — თქვა რობერტმა, — გარეთ რო-
გორი კარგი ამინდია! იცი? სულ მალე
არცერთი წითელი ფოთოლი აღარ
შერჩება ხეებს.

— მამა რომ გაიღვიძებს, ხომ დაგ-
ვიძახებ, დედი? დაგვიძახებ? — დაიყვი-
რა ელისაბედმა, — ძალიან გთხოვ, დაგ-
ვიძახე, რა! ცხენობანა ჯერ არ დაგ-
ვიმთავრებია, მერე სხვა რამეც ხომ
უნდა ვითამაშოთ!

— კარგი, — მოესმათ დედის ხმა, —
დაგიძახებთ.

ინგლისურიდან თარგმნეს
მ. ლ. ჯ. 33 წლიანი

შეჩანს ლაპანიძე



მთებს დასდგომია ჯილად
ღისკო კახეთის მთვარის.
— თქვენ ვაიმარშიც იყათ,
გვიამბეთ რამე, მარი.
— ბევრი მივლია გზები,
ფრანგის ქვეყნები ვთვალე:

არსად — კახეთის ზვრები!
არსად — კახეთის მთვარე!
ნისლში შუამთა მოჩანს,
ღუმს იყალთო და გრემი...
სამშობლოსადმი ლოცვად
აჰა, ღუმილიც ჩემი!

სალამო

ქალაში დავკარგეთ ხოხობი,
ქედნებმა დავგაფრთხეს ზვინთან.
სოფლისკენ შემოვყუთ ორღობეს
და ბინდიც მოგვედევდა მშვიდად.

ნახირს მოდენიდა პატარა
ცა წითელ ბაირალს შლიდა...
და ფრონტებ-გამოვლილ მათარას
მოარაკუნებდა შვინდა.

ჯამთარი

თეთრია ირგვლივ
რცხილა და მუხა,
თეთრია ირგვლივ,
სამშობლო მხარე.

მხოლოდღა ცხელი
ბუხრები ბურღავს
საქართველოს ცის
გაყინულ პაერს.

გარინდებულა დედებუნება,
მღუმარებს ყანა, მღუმარებს არხი,
ბუხრის ლულუნი ესაღბუნება,
ისვენებს ჩემი მშობელი ხალხი.

სერზე ჭადრები ჩამდგარან მწკრივში,
დაშიშვლებულან მუხები შავად,
ვეება ქვევრებს აბოდებს ძილში —
ჩუ, ღვინოები დამხდარან ავად.

კვლავ აღივსება ახალის ძალით,
ღღეს რაც ებადა, ქვეყანას მისცა, —
ისვენებს ყანა, ისვენებს ზვარი,
ისვენებს ჩემი დაღლილი მიწა.

მიყვარს ჭადრებთან ზეცის ნაპირი,
მინდვრებში რთვილი, ტოტებში ქარი...
საქართველოა ეს ყველაფერი,
ულამაზესი ფეხმძიმე ქალი.

არც ჩანჩქერების შფოთი და სხლტომა,
არც სალამური მესაღბუნება, —
რანისთვის მიყვარს ეს შემოდგომა,
ეს განძარცვული დედებუნება?!

კვლავ აღივსება ახალის ძალით,
ღღეს რაც ებადა ქვეყანას მისცა, —
ისვენებს ყანა, ისვენებს ზვარი,
ისვენებს ჩემი დაღლილი მიწა.

ქარი მუხებს არიალებს,
ტორტმანებენ ჯმუხები.
შარიანი ქარი არი,
ნონასტერი აერიათ

და ერთმანეთს დაერივნენ
ხელკეტებით მუხები.
შეაღწეს ხელკეტები,
შეაღწეს მკლავები,

შეაღწეს თავები —
ქარი ფოთლით გააპრელეს
თვითონ

დარჩნენ შავები.
დილით სერზე ჩადგა ქარი,
დაღმართ-დაღმართ შუკვებით
გიგიმ ურმით ჩაატარა
ნამუსრევი მუხების...

ახლა კვამლი ცაში აღის.
ბუტბუტებენ ბუხრები,
ვის გაანდონ ზეაშიადი —
დუმან სერზე
შეცდომაში
შეყვანილი
მუხები.

გადაყვითლდა კახეთს ზვრები,
ლიხთ-იმერეთს კორდები.
შემოდგომის აზნაურებს
ჰგვანან ჰრელი ფოთლები:
— შორს მივდივართ,
— შორს მივდივართ.
— შორს მივდივართ, გშორდებით.

ბოლავს მწუხრი აღისფერი,
ყანა-ყანა რთვილია.
უცებ ასი ჩალის ღერი,

ვითომც ასი სტვირია,
თავს წამოყოფს:
— კიდევ მოვალთ,
გაზაფხული ტკბილია!

მე მაგ სტვირებს ვენაცვალე,
წამოვიწვევ საყელოს,
თაეზე ქუდი ჩაფხუტურად,
სახელოში სახელო...
ვივლი ასე — გაზაფხულმა
გვახელოს და გვაძღვროს!

როცა კორტოხებზე მზეა ოქროსფერი,
როცა შემოდგომა ჰბარდება ბელღებს,
როცა საწნახლების თვეა —
ოქტომბერი,

როცა მერცხლები მოსძებნიან
უფრო თბილ ქვეყნებს,
მერცხლებთან ერთად,
მერცხლებთან ერთად,
ჰრელი ფოთლებიც
მიჰჭრიან ქარში.
მწვევარი კურდღელს
წაასწრებს სერთან,
გადავარდება
კურდღელი ზვარში.
ცივა. ვეება
ბუხარი ხენეშის,

როცა კორტოხებზე მზეა ოქროსფერი,
როცა შემოდგომა წითელ-ყვითელს
გაიხდის ჩითებს,
როცა ქორწილების თვეა — ოქტომბერი,
ვილაც ახოში

აბოლებს ჩალას.
დაკოდალაობს
ნაჯახი ტყეში,
ჰრელი გოჭები
ჩიჩქნიან შარას.
მზის გულზე თვლემენ
ბერიკაცები,
გულს იოხებენ
წარსულის ქებით.
ქვევრებს ელიან
გრძელი ყანწები,
კედლებს შვენიან
ქობუდას რქები...

როცა კორტოხებზე მზეა ოქროსფერი,
როცა შემოდგომა წითელ-ყვითელს
გაიხდის ჩითებს,

როცა ქორწილების თვეა —
ოქტომბერი,

ჩვენ თვალს ვაყოლებთ
სამხრეთისკენ გაფრენილ ჩიტებს...
ფრრრ... წელიწადიც გაფრინდა ერთი...

ილორინე ქაჭვარაძე



ჩემი ბრალია

შორეული ამბავია.

თურქებმა 1918 წელს კიდევ ერთხელ შემოანგრეს საქართველოს კარიბჭე — ბათუმში აიღეს...

მე იძულებული გავხდი გავმგზავრებულიყავი თბილისს, სადაც აუარებელი უმუშევარი ირეოდა; ეს იყო დემობილიზებული ქართველი ოფიცრობა, უსაქმოდ დარჩენილი ინტელიგენცია. პირველი იმპერიალისტური ომით გაჩანაგებულ საქართველოს, მის უილაჯო მენშევიკურ მთავრობას არ შეეძლო უმუშევართა ასეთი დიდი ლაშქრის გამოკვება.

მაშინ სტიქიურად გაჩნდა დეზერტირის ბაზარი, სადაც ყველაფერი იყიდებოდა: ძველმანები, სურსათ-სანოვაგე, მოპარული თუ საკუთარი ნივთები. თითქმის ყველა სპეკულიანტობდა: დეზერტირი, რკინიგზელი, მასწავლებელი, მღვდელი თუ დიასახლისი. ტომარმოკიდებული დაძრწოდა დაშველთა არმია.

სამუშაოს შოვნა მაშინ ძნელი იყო, განსაკუთრებით ჩემთვის — გზასაცდენილი ახალგაზრდისათვის, რომელიც მხოლოდ კიევის უნივერსიტეტის ფილოლოგიური ფაკულტეტის სტუდენტი ვიყავი. არავითარი ხელობა არ ვიცოდი.

სამსახური რომ გეშოვა, შეიარაღებული უნდა ყოფილიყავი რაიმე სპეციალობით. არსებობა გადაუდებელი ზომების მიღებას მოითხოვდა. მოხუც მშობლებს პატრონობა სჭიროდა. აუცილებელი იყო ბრძოლა არსებობისათვის. ყოველი წუთის დაყოვნება დაღუპვას გიქადდა...

ჩემი კიეველი მეგობარი, სტუდენტი რომელმაც ჩემსავით უნივერსიტეტი

ვერ დაამთავრა, ცეკავშირში მოწყობილიყო ბიბლიოთეკის გამგედ, აქ თანამშრომლებს ადგილკომის თავმჯდომარედ აურჩევიათ. იგი ამ დაწესებულებაში ერთ-ერთ გავლენიან პირად ითვლებოდა. შეეძლო სამსახურში მოვეწყვე. მაგრამ რა თანამდებობაზე? ბულალტერიის მუშაკად. კოოპერაციაში დიდი მოთხოვნილება განსაკუთრებით ამ დარგის მუშაკებზე იყო. მე კი ბულალტერიაში ინჩიბინჩი არ გამეგებოდა. მშვიერი ცხოვრება, თავაშვებული ბაზარი, სადაც ფასები სანოვაგეზე დღითიდღე იზრდებოდა, დაყოვნების უფლებას არ მაძლევდა...

ვიშოვე ანგარიშმცოდნეობის წიგნი და მის შესწავლას ბეჯითად შეეუდებო, ორ თვეში ისე დავეუფლე ბულალტერიას, რომ მოანგარიშედ მუშაობას შევძლებდი.

ჩემი მეგობრის დახმარებით მიმიღეს ცეკავშირის ცენტრალური ბულალტერიის მოანგარიშედ.

პირველი შეხვედრისას მთავარმა ბულალტერმა მკითხა:

— თქვენ სტუდენტი ხართ, მაგრამ ჯდომა შეგიძლიათ?

— როგორ არა! — გულუბრყვილოდ ვუპასუხე.

— ჯდომა, დიდხანს, დიდხანს... ბულალტერია დიდ გულისდადებას, ბეჯითობას მოითხოვს.

— მე ვფიქრობ, შევძლებ.

— თუ არა და ჩვენს შორის მეგობრობა ვერ დამყარდება. — მთავარმა ბულალტერმა, ცოცხალმა, ხანში შესულმა კაცმა, თვალი თვალში გამიყარა. მეც გულმართლად თვალი გავუსწორე.

მონდომებულად შევეუდეთი მუშაობას. მენშევიკურ საქართველოში კოოპერაცია, შეიძლება ითქვას, წარმოდგენდა ერთადერთ ორგანიზაციას, სადაც თანამშრომელი შედარებით უზრუნველყოფილი იყო ხელფასით, მას აგრეთვე სურსათ-სანოვაგითაც ამარაგებდნენ. თანამშრომლებს გვექონდა ჩვენი სასურსათო მაღაზია, სადაც ხელსაყრელ ფასებში ვიძენდით საქონელს.

მაშინ მძიმე დრო იყო. ვის არ ახსოვს ლობიოიანი პური! პირის ჩასატკბარუნებელი რამ იყო... ან ლობიო პურად გამომცხვარი, ჭადი, რომელშიც რა არ იყო შერეული — სოია, მსხალი, ვაშლი, ან სხვა ხილი...

ეს სამსახური ჩემთვის სულისმთქმა იყო, ნორმალური ცხოვრების დასაწყისი.

ორმაგი ბუღალტერია ძალიან პარმონიული ანგარიშწარმოების სისტემაა. მთავარი ბუღალტერი მთავარსარდალია, რომელიც გონიერად უძღვება თანამედროვე რთულ მეურნეობას: იცის, ამ მეურნეობის ყოველ უჯრედში რა ხდება, საზარალოა თუ მომგებიანი ესა თუ ის ოპერაცია, წარმოება თუ სავაჭრო დაწესებულება. ბუღალტერია სამეურნეო ცხოვრების მკაცრი და პირუთენიანი გუშავია... ანგარიშწარმოება თავისი მოვალეობის კეთილსინდისიერად შესრულებას იმ შემთხვევაში შეძლებს, თუ ამ დარგის ყოველი მუშაე, როგორც მანქანის ყოველი ნაწილი, ზუსტად და დაუბრკოლებლად მუშაობს.

აღრიცხვის ამ სათუთ მექანიზმში მე, როგორც ახალბედს, მარტივი საქმე დამეკისრა — საქონლის ანგარიშის დამზარე დავთრის წარმოება. პირველად დავთარში ოპერაციების გატარებაც კი არ დამავალეს, არამედ თვიური ბრუნვის ჯამის გაკეთება. ოპ, რა სასიამოვნოა მთელი დღის განმავლობაში ჩამოკარო საანგარიშოზე კოჭები! — მიიღებ ერთხელ ჯამს, მისი სისწორე რომ შეამოწმო, კვლავ უნდა ჩამოთვალო რიცხვები საანგარიშოზე. თუ მეორედ ჩამოთვლის შემდეგ პირველად მიღებუ-

ლი ჯამი მიიღე, რწმუნდები, რომ თანხები სწორად შეგიჯამებია. თუ არა-და, ხელახლა ჩამოთვალე საანგარიშოზე, ჩემო კარგო!.. ზოგჯერ რიცხვებს თითქოს ვმშაქი ვადაეფარაო, სულ სხვადასხვა ჯამს მიიღებ, ხან კაპიცი დაგაკლდება. ხან მანეთები... შენ კი განაგრძე თვლა. სანამ ორჯერ ერთსა და იმავე ჯამს არ მიიღებ.

ეს მოსაწყენი სამუშაოა, და სწორედ ამიტომ მკითხა მთავარმა ბუღალტერმა: ჯდომა შეგიძლია? ძარღვები აგეშლება, მაგრამ მერე კინი შეგიპყრობს, რომ შეცდომა როგორმე იპოვო და გაშმაგებით ითვლი და ითვლი საანგარიშოზე. რა სიხარულია, რა გამარჯვება, როცა დიდი წვადების შემდეგ ორჯერ ერთსა და იმავე ჯამს მიიღებ, იმასაც გამოარკვევ, თუ შეცდომა სად დაუშვი.

მალე წარმატება მოვიპოვე. რამდენიმე თვის შემდეგ ბუღალტერიის ერთ-ერთი განყოფილების უფროსად დამნიშნეს.

ამრიგად, გავხდი აღრიცხვის მუშაე, რაც ჩემი ცხოვრების დროებით მოვლენად მიმაჩნდა. კვლავ მიზიდავდა პუმინტარული მეცნიერებანი. ჩემი მატერიალური მდგომარეობის გაუმჯობესება მახებდინებს, თბილისის უნივერსიტეტში განვავარძო სწავლა.

დასახულ მიზანს რომ ვერ აღწევთავს დაუსრულებელ აღამიანად ვრძნობ. მუდამ რაღაც ვაწუხებს, რაღაც ვაკლია. იმ დროს ჩემს მდგომარეობაში ბევრი ახალგაზრდა იმყოფებოდა. სამსახური, თან სწავლა ჩვეულებრივი ამბავი იყო...

1920 წელს თბილისის წყალსადენის სამმართველოს მთავარი ბუღალტერი ვარ, თან ისტორიულ-ფილოლოგიური ფაკულტეტის სტუდენტი.

გარდა შრომა-სწავლისა, ცხოვრებაში არის სიყვარული, რომლის ძლევა-მოსილებას ყოველი სულდგმული ემორჩილება... და მეც შემოყვარდა ერთი ასული, ჩვენი ფაკულტეტის სტუდენტი. ჩვენი ტრფობის ახალგაზაფხული იყო, როცა აღამიანის ბუნებაში ჩამალული

სიტკობების დაუშრეტელი წყაროები აჩქედებთან. დღე სავსეა დამათრობელი გრძნობებით, არც ღამეს მოაქვს მოწყენილობა, იცი, გავითენდება დილა სულ ახალი და ახალი სიხარულისათვის; არც შრომა, არც სწავლა არ ვლღის; ახალგაზრდა მეგობართან ყოფნა ისეთ ძალ-ღონეს გმატებს, რომ გათქმევენებს:

აქეთ გორასა წიხლსა ვკრავ,
იქით გორასა ძვრას ვუხამ,
ადიდებულსა ლიახესა
დავაყენებ და ყლაპს ვუხამ.

მართლაც, ვინ აღუდგებოდა ჩემს სურვილს. ნუცა, ჩემი ნახი, წერწეტა გოგონა, რომელსაც მსუბუქი სიოს დაქროლვა, მეგონა, ცად აიტაცებდა, მაძლევდა გოლიათურ ძალას. ახლაც თვალწინ მიდგას იგი წინწყლებიან მსუბუქ კაბაში გამოწყობილი...

მე და ნუცა ვოცნებობდით: უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგ ერთ პერქვეშ მოგვეყარა თავი.

მაღე შევნიშნე, რომ მთელი დღე ჩემს სამსახურს, სწავლასა და სიყვარულს აღარ ჰყოფნიდა. სამსახურს კეთილსინდისიერად ვასრულებდი, მაგრამ მთელი გულისყური მას მაინც არ ეკუთვნოდა. ამიტომ საგაზაფხულო გამოცდების ჩასაბარებლად სამსახურიდან ორი თვით უხელფასო შევებულემა ავიღე.

მაისის მიწურულის ერთ მშვენიერ დღეს, როდესაც უნივერსიტეტში ნუცას უნდა შევხედროდი, შინ სასამართლოს გამომძიებლის უწყება გადმომცეს. ეს ჩემთვის ზედმეტი დატვირთვა იყო. მიდი ახლა გამომძიებელთან, როდესაც ჩემი საქმეებისთვისაც კი დრო არ მყოფნის. რას ვიზამდი, კანონს უნდა დავემორჩილებოდი. დილის ათ საათზე ვიყავი დაბარებული.

გამოვეცხადე გამომძიებელთან. როგორც მერე შევიტყვე, ეს იყო საქმაოდ ცნობილი მენშევიკი პეტრე კ — ლი, რომელიც ოცნებობდა, რომ მეფის მთავრობის ჩამოგდების შემდეგ რაიმე მნიშვნელოვან პოსტს მიიღებდა, ვთქ-

ვით, იუსტიციის მინისტრი ანდა რუს-პუბლიკის პროკურორი იქნებოდა. მაგრამ ახლა მხოლოდ უბრალო გამომძიებელი იყო და თავის უკმაყოფილებას იმით გამოხატავდა, რომ თავის დაქვერად დიდკაცური ჰქონდა.

ფრთხილად შევალე მისი კაბინეტის კარი და შესვლის ნებართვა ვთხოვე. სათვალის ზემოდან გადმომხედა.

— რომელ საათზე ხართ დაბარებული? — მკითხა.

— ათზე.

— ზუსტად ათზე მობრძანდით, — მითხრა და გაზეთის კითხვა განაგრძო.

დავემორჩილე.

მეორედ შევედი გამომძიებელთან. მას თავი არ აუწყევია. ისეე გაზეთს კითხულობდა და შიგ ზოგიერთ ადგილს ხახის გასმით აღნიშნავდა.

რამდენიმე წუთის შემდეგ გაზეთი განზე გადასდო და მომაშტერდა.

— თქვენი უწყება მიბოძეთ. — ცივად მომმართა.

— მაშ, თქვენ ბრძანდებით ვარლამ თევდორაშვილი? — ვინაობა გამომკითხა.

გამომძიებელმა წინ ქალაღდი დამიდო და საწერ-კალამი მომიმარჯვა.

— გულწრფელად დასწერეთ, რა დანაშაული მიგიძღვით ჩვენი ხელისუფლების წინააღმდეგ.

ავენთე.

— თქვენ, როგორც გატყობთ, ხუმრობის გუნებაზე ბრძანდებით.

— ნუ ცხარობთ. დანაშაულის გულწრფელად აღიარება სასჯელს შეგიმსუბუქებთ.

ელვის სისწრაფით გადავაღვე თვალი ჩემს წარსულს, არავითარი დანაშაული არ მიმიძღვოდა. იმდენად ჩათრეული ვიყავი ჩემი პირადი ცხოვრების მოგვარებაში, რომ პოლიტიკისათვის არც კი მეცალა.

„ის ხომ არ მეთვლება დანაშაულად, — გავიფიქრე, — რომ საზოგადოებრივი ცხოვრების გარეშე ვარ და არავიძარ აქტივობას არ ვიჩენ.“

— თქვენ წყალსადენის ტექნიკოს ლუკა ჭანიშვილთან ერთად მიითვისეთ სამი ათასი მანეთი ოქროთი. მითხარით ყველაფერი გულწრფელად, — უეცრად პირში მომახალა გამომძიებელმა.

იმდენად მოულოდნელი იყო ჩემთვის ასეთი ბრალდების წაყენება, რომ რამდენიმე წუთის განმავლობაში ლაპარაკის უნარი წამერთვა. ვუცქეროდი, გამომძიებელი გულგრილად გრძელ მოვლილ თითებში წითელ ფანქარს როგორ ათამაშებდა. ჩემი პასუხის ლოდინი მოსწყინდა, პეტრემ ფანქარი მაგიდაზე მაგრად დაკრა.

— ხელთ უტყუარი საბუთი გვაქვს. თქვენი თანამონაწილე, ლუკა ჭანიშვილი, გამოტყდა დანაშაულში. ერთხანს გვაწვალა, მაგრამ საპატიმროში რამდენიმე თვეს ყოფნამ ალაპარაკა. თქვენი დაპატიმრების საფუძველიც მაქვს, ამით შეიძლება თქვენც გაგიადვილოთ დანაშაულის აღიარება.

ამ მუჭარას დროს მაშინვე გამახსენდა ჩემი ნუცა, რომელსაც ამ საღამოს უნივერსიტეტის დერეფანში ვეღარ შევხვდებოდი. როგორ გამებუტებოდა!

რა ბედნიერი ვიყავი ნახევარი საათის წინ, ახლა კი მოულოდნელად სისხლის სამართლის დამნაშავე ვაგხდი. სამი ათასი მანეთი ოქროთი მიმითვისებია ტექნიკოს ლუკა ჭანიშვილთან ერთად!.. სამი ათასი მანეთი ოქროთი!..

ეს ამბავი იმ დროს ზღებოდა, როცა ბონების საშინელი დევალუაცია მიმდინარეობდა. ისეთი „მიღირები“ ვიყავით, რომ დღეში მილიონობით, ათეული მილიონობით მანეთს ვხარჯავდით. ჩვენი „სიმდიდრის“ წარმოსადგენად უნდა იცოდეთ, რომ ერთი კოლოფი ასანთი მილიონ მანეთად ღირდა.

გამომძიებელ პეტრეს მიერ წამოყენებული ბრალდება იმდენად კატეგორიული იყო, რომ მე შევეპყდი: ჩემდა უნებურად რაიმე მაქინაციის მონაწილე ხომ არ ვაგხდი — მეთქი.

გამომძიებლის წინაშე ვზვიარ და ჩემს თავში ფიქრები ირევა. ელვის სისწრაფით ერთმანეთს მიჰყვებიან წყალ-

სადენის თანამშრომლები, სხვადასხვა შემთხვევა სამსახურში. და უეცრად გამახსენდა, რომ ტექნიკოს ჭანიშვილს წყალსადენის სახელოსნოსთვის მასალების შესაძენად ანგარიშშევემ თანხა მივეციოთ. მაშინ ჩვენ ფული არ გვქონდა და სამი ათასი მანეთი რამდენიმე დღით თბილისის თვითმართველობის მთავარი ბუღალტერიიდან ვისესხეთ. მერე რა მოხდა?

გამომძიებელს ეს ვუამბე.

— მართალია, — დამიდასტურა მან. — მერე, მერე?

— მასალა ჭანიშვილმა შეიძინა. ვალი გადავიხადეთ, და ამით დამთავრდა ეს ოპერაცია.

— ჩვენ კი უტყუარი საბუთებით დაერწმუნდით, — გამომძიებელმა თვალი თვალში გამოიყარა, — რომ თქვენ და ჭანიშვილმა ეს ფული მიიღეთ, უფრო ზუსტად რომ ვთქვათ, ტექნიკოსმა ჭანიშვილმა გაიტანა წყალსადენის საღამოდან ეს თანხა ვითომდა ვალის დასაფარავად; მერე კი ეს ფული თქვენ ორმა შუაზე გაიყავით.

სახეზე აღმური მომედო. საკუთარი გულის ბავაბუგი მესმოდა. უფსკრულის პირად ვიღეჭი გადასაჩეხად. მთელი ჩემი ცხოვრება ყირამალა დგებოდა. მშვიდობით, ჩემო უნივერსიტეტო, და ჩემთვის რაც ყველაზე დიდი საშინელება იყო, მშვიდობით, ჩემო ნარნარო ნუცა!. როგორ შევხვდე ამ საღამოს, ან კი საშუალებას მომიცემენ აქედან ფეხი მოვიცვალო?

— ამის შემდეგ ექვსი თვე გავიდა, და როგორ შეიძლებოდა, რომ ვალის გადაუხდელობა შეუმჩნეველი დარჩენილიყო, — ხმამალა ვმსჯელობდი გამომძიებელთან, რომელიც თვალს არ მაშორებდა. — როცა წყალსადენის სამმართველომ ფული ისესხა, სამი ათასი მანეთი თბილისის თვითმართველობის მთავარ ბუღალტერიაში გატარდებოდა წყალსადენის პირადი ანგარიშის დებეტში, წყალსადენის ბუღალტერიაში კი თბილისის თვითმართველობის ანგარიშის კრედიტში. ყოველი ბუღალტერი,

ამ ანგარიშებს განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევს. როგორ მოხდა, რომ არც წყალსადენის, არც თბილისის თვითმართველობის ბუღალტერიას ეს ღიად დარჩენილი დებიტორ-კრედიტორების ანგარიში შეუმჩნეველი დარჩათ.

— არც დარჩენიათ. თქვენმა თანაშემწემ, რომელიც სალაროს დავთარში შემოსავალ-გასავლის ორდერებს ატარებდა, გაცნობათ, რომ გასავლის ორდერი სამი ათასი მანეთის თანხით ხელმოწერილი არ არის ფულის მიმღების, ესე იგი, თბილისის თვითმართველობის მთავარი მოლარის მიერ.

— ჩემს თანაშემწეს შეეძლო ეს გასავლის ორდერი წყალსადენის მოლარისთვის დაებრუნებინა, რათა მას თანხის მიმღებისათვის ხელი მოეწერიებინა.

— ეს თქვენ თვითონ რატომ არ გააკეთეთ?

მე სახტად დავრჩი. შეკითხვა სამარტლიანი იყო. კვლავ აფორიაქდა ჩემი გზაბნეული ფიქრები. სხვა დანაშაული თუ არ მიმიძღვის, ესეც საქმაო ბრალდებაა იმისათვის, რომ ნორმალურ ცხოვრებას გამოვეთიშო. კვლავ ვდგავარ უფსკრულის პირას, ვერსაიდან მშველელ ხელს ვერა ვხედავ. წონასწორობას ვკარგავ.

ახალგაზაფხული იყო. ფანჯრიდან ვხედავდი, შეფოთილი აკაცია ტოტებს ნებივრად არხევდა. ბელურები ტოტიდან ტოტზე ლაღად დახტოდნენ. ნეტავ, ბელურა ვიყო, ჩემთვის ვიყურტულო. გამომძიებელი საბრალდებლო სკამზე ვერ დამსვამს. გამახსენდა ჩემი პირველი უფროსი ბუღალტერის კითხვა: ჯდომა იციო. მაშინ ვუპასუხე, კიმეტქი, მაგრამ თურმე „ჯდომა“ არ მცოდნია. გული საქმეს ვერ დავუდე, და აი, შედეგი. ხელფეხშებოჭილი ვარ, ადგომაც არ შემიძლია. ვერ ვინძრევი, მეშინია, არ დადასტურდეს, რომ მე, მართლაც, დაპატიმრებული ვარ.

— ტექნიკოსი ჰანიშვილი წერს თავის განცხადებაში: მე აქ ვიტანჯები;

მთავარი დამნაშავე კი თავისუფლად დანავარდობსო.

— თქვენთვის სჯობს, გამორტყდეთ დანაშაულში. მე შევდივარ თქვენს მდგომარეობაში, ხელმოკლედ იყავით კარგად არ გეცვათ, არ გეხურათ, აქ კი სამი ათასი მანეთი გამოჩნდა... მეც ადამიანი ვარ, მესმის, გაკირვება რას ნიშნავს... — შემპარავად ლაპარაკობდა გამომძიებელი.

პეტრეს ტონმა აღმამფოთა.

— თქვენ უფლება არ გაქვთ, ჩემს პატიოსნებას შეეხოთ.

გამომძიებელმა წინადადება მომცა, ყველაფერი, რაც ამ საქმეს შეეხებოდა, დამეწერა. თვითონ ქაღალდების თვალიერება დაიწყო.

ძლივს მოვახერხე ჩვენების დაწერა. ყოველივე წინადადება მაშინებდა, მას ათასჯერ ვწონიდი, ოფლში გავიწურე. მე მეგონა, ერთი საუკუნე მოვუნდი ჩვენების დაწერას.

პეტრემ გადახედა ჩემს ჩვენებას, თავი გააქნია და თქვა:

— ისევ ჯიუტობთ, ვარლამ, არ გინდათ დანაშაულის აღიარება.

— ხარი დარეკა, შემოვიდა დაწესებულების მსახური. გამომძიებელმა თვალით რაღაც ანიშნა.

რამდენიმე წუთიც არ იყო გასული, რომ მილიციელი შემოვიდა.

— აი, საბუთები. წაიყვანეთ.

ასე „სახელოვნად“ დამთავრდა ჩემი კარიერა...

ზანტად ჩამოვდივარ სასამართლოს შენობის მაღალ კიბეებზე. მილიციელი უკან მომდევს. მაღლობა ღმერთს, ნაცუნობი არავინ შემხვედრია. ვინ იცის? ალბათ, იმიტომ, რომ აქეთ-იქით არ ვიხედებოდი.

— მინისტრთან მივიდეთ? — მომესმა ხმა. ვიღაც თავის თანამგზავს ეკითხებოდა.

უცებ გამახსენდა იუსტიციის მინისტრი. კიევის უნივერსიტეტში ერთად ვსწავლობდით. იქნებ მიშველოს... რჩევას მაინც მომცემს. ვიათუ გაიბღინძოს

და არც კი მიმიღოს. რამდენჯერ გავუპარსივარ სამართებლით, როცა მე ვერ ვებედავდი დამოუკიდებლად გაპარსვას. მისი შრომის ჯილდო ასეთი იყო: ჩემი ცხვირიც უნდა გავსაპნა. სანამ ჩემს გაპარსვას არ მორჩებოდა, საპნის ცხვირიდან მოშორების უფლება არ მქონდა. ახლა კი მინისტრის სავარძელში გამოშვებული, ვინ იცის, როგორ შემხედვება. რა ექნა? ყოყმანში კიბის ბაქანზე შევჩერდი. კეთილი მილიციელი გაკვირვებული მიცქერის. ეტყობა, არცთუ ისე დიდ ავაზაკად მივაჩნევს. შორიახლო მომყვება, ვარეშეს არ უნდა, აგრძნობინოს, რომ მე დატუსაღებული ვარ.

— რამ ჩაგაფიქრათ, ჩემო ბატონო? — მკითხა მილიციელმა.

ჩვეულებისამებრ სათვალე გავისწორე და პირდაპირ ვუთხარი:

— მინისტრთან მინდა მისვლა.

— მინისტრთან, რა გინდა, ბატონო, ჩვენ სულ სხვაგან ვართ გაგზავნილი! — შემომხედა გაკვირვებულმა მილიციელმა.

რა მადლობელი ვიყავი იმისი, რომ ხალხით სავსე დერეფანში საპატიმრო არ ახსენა.

ამის გამო ვავთამამდი და გავაცანი ჩემი განზრახვა. მილიციელი ჩაფიქრდა.

— მომწონხარ, ბიჭო, შენ... მაგრამ, თუ ძმა ხარ, არ უთხრა, რომ მილიციელი გადავას თავზე მცველად. მე გარეთ კართან დაგიციდი, თუ ძმა ხარ, არ დამაგვიანო.

— არა, გენაცვალე, შენი პატივისცემა ჩემს კისერზე იყოს.

იუსტიციის მინისტრი დღეს არავის იღებდა. პირადად მდივანმა, კობტა ქალიშვილმა, რომელმაც არც კი შემომხედა (ეტყობოდა, რაღაც საინტერესო წიგნს კითხულობდა), ცივად მითხრა:

— ამხანაგი მინისტრი ხვალ იღებს მსურველებს, 12 საათიდან.

— მე დღეს მივემგზავრები, ძალიან შორს. ჩემი მეგობარია, უნდა გამოვეთხოვო, — მოვატყუე მდივანი ქალი.

— ნაბრძანები მაქვს, არ შეეწუხო. ძალიან დაკავებულია. *ეროვნული* უცებ გული მომივბრძანა ჩემს მხმამამიბებელი გამახსენდა და ხმამალა ვთქვი:

— ალბათ გაზეთებს ათვალეოვებს. ესეც დიდი საქმეა, უუპველად.

ახლა კი იკადრა კოპწია მდივანმა ფეხზე წამოვდგა და გაანახლებულად მითხრა:

— ვინ მოგვითხება, ამხანაგი მინისტრი ასე აუგად მოიხსენიოთ. გთხოვთ ნუ ხმაურობთ. მიღების დღე ხვალ არის. — ბრძანება მტკიცედ იყო ნათქვამი, მაგრამ მე ვანა ისეთ მდგომარეობაში ვიყავი, რომ დამეთმო?! სკამს ხელი წამოვავლე, ჯახუნით დავდგი და დავჯექი:

— აქედან ფეხს არ მოვიცვლი, სანამ მინისტრს არ ვნახავ.

ჩემს ხმაურზე მილიციელმა კარი შემოაღო და შემოიხედა. დამჯდარი რომ დამინახა, მაშინვე კარი მიხურა. ხმამალა ლაპარაკმა მინისტრის კარიც გააღო.

— შენ ხარ, ვარლამ, ასე რომ ხმაურობ! — მინისტრმა თავის კაბინეტში შემეყვანა.

სამი-ოთხი წელი იქნებოდა, ერთმანეთი არ გვენახა. იგი კიევიდან ახალდბრუნებული იყო. ერთმანეთის ამბავი მოვიკითხეთ.

— ბიჭო, კიდე გიყვარს ქარსალი?

მე და ჩემი მეგობარი სტუდენტობის დროს ქარსალს ხშირად მივიერთმევედით. ეს იაფი და გემრიელი თევზი იყო, მაგრამ ახლა რა „მექარსლებოდა“!

— ჰო, კი... — ვუთხარი და უცბად მოვიწყინე...

ვასიკომაც დინჯი გამომეტყველება მიიღო.

— შენ რაღაც გაწუხებს?

ვერაფერი ვუბასუხე. ყელში რაღაც მომებჯინა. თავს ვიკავებდი, მაგრამ თვლები მაინც შემისველდა. წამოვდგე, ვასიკოც ამდგარიყო და პაპიროსს აბოლებდა.

— შენ წინაშე პატიმარია! — ხმა ძლივს ამოვიღე და ფანჯრისაკენ წავედი, რომ ცრემლები დამემალა.

ვასიკო მომიახლოვდა, სკამზე დამსვა და თვითონ პირდაპირ დამიჯდა.

— მიამბე, მიამბე, რა შეგემთხვა? — პაპიროსი მომაწოდა.

თავი დაეძლიე და სხაპასხუბით ეუამბე ყველაფერი.

— ხომ გჯერა, რომ მე ბოროტმოქმედების ჩამდენი არა ვარ?...

— დარწმუნებული ვარ.

— მაშ, ვთხოვ საპატიმროში ნუ გამაგზავნი... თავდების ქვეშ გამიშვი.

ვასიკოს დიდი თავსატეხი საქმე გავუჩინე. ბოლოს ცემდა, პაპიროს მალი-მალ აბოლებდა. ნამწვი საფერფლეზე დააგდო. მომიახლოვდა, მხარზე ხელი დამადო და მითხრა:

— რა ვიყო, ჩემო კარგო. დაპატიმრების ორდერის გაუქმება ჩემ მიერ უხერხულია. უფრო ადრე რომ მცოდნოდა, კარგი იყო. ახლა კი ფაქტის წინაშე ვარ... მაგრამ პირობას ვაძლევი, რომ უდანაშაულოდ შენს თავს არავის დავასჯევინებ.

პასუხმა გამაშეშა. ეს იმედიც გამიქრა. არ ვიცო, რამდენ ხანს ვიქნებოდი ასეთ მდგომარეობაში, რომ კაბინეტში მდივანი ქალი არ შემოსულიყო. ძალა მოვიკრიფე, წამოვდექი და კარისკენ წავედი.

— შენს საქმეს გავეცნობი და განხილვას დავაჩქარებინებ. — მითხრა გამოთხოვებისას.

მილიციელმა ეტლით მიმაცილა მეტეხის ციხემდე, როგორც სასტუმრომდე. ჩემი ლოგინით, წიგნებით, რკინის კარი რაჩხუნით გაიღო.

ფორმალობის შესრულების შემდეგ მე აღმოვიჩნდი მოზრდილ სკანში, პირველ სართულზე, ვისოსიანი, ორი ფანჯარა ეზოში გადიოდა. ეს ყოფილა საკარანტინო საკანი, სადაც ახალმოყვანილ პატიმრებს ათავსებდნენ. ჯერ ოთახში მარტო ვიყავი, ცოტა ხნის შედეგ ხანში

შესული კაცი, სანდრო, შემოიყვანეს, თავისი ბარგი-ბარხანით. მენფრედისთვის მყუდრო კუთხე ამოირჩიეს. მისი ხადა, რომ დაბინავდა, ღრმად ამოიხარა, შემომხედა. სანდო ადამიანად ჩამთვალა, დამელაპარაკა:

— ვაი, რა დღეში ვიყავი, თქვენ რომ იცოდეთ... აი, ნამდვილ ჯიბგირებში... გარედან საქმელს მომიტანდნენ, ისინი შემისანსლავდნენ... საცვლებიც კი არ შემარჩინეს... ვუჩივლო ადმინისტრაციასთან, ვაითუ უარესი დღე დამაყენონ. ვარ ჩემთვის დამუნჯებული. ჩემად ცრემლებს ვყლაპავ... ბოლოს თვითონ ციხის უფროსმა შენიშნა ჩემი გაჭირვება და აქ გადმომიყვანა. ნეტავ, ჯიბგირები აქ არ შემოიყვანონ...

ნელ-ნელა ჩემი საკანი გაივსო, თხუთმეტ კაცამდე მოვგროვდით. ჩემს ამხანაგებს სხვადასხვა დანაშაული ჰქონდათ ჩადენილი.

საპატიმროს ბინადარნი მეტსახელს შეირქმევდნენ ხოლმე. კედელზე იყო წარწერები: „აქ იყო კურკა 1918 წელს.“ „საწყალი ლიფსიტა“ და სხვა. მეც მეკუთვნის შესაფერი მეტსახელი — „იკრიბოკრო.“

იკრიბოკრო დროს არ კარგავდა. გაზაფხულის გამოცდებისათვის ემზადებოდა, წიგნებს ჩაჰკირკიტებდა, რომ რამდენიმე კვირაში ამ უსიამოვნებას თავს დააღწევდა. იკრიბოკოს საკანში ცალხელა სერიოჟაა, კარგი ვაჟაკი, გრუზა ქერათმიანი. ცალი ხელი დაუკარგავს ომში... ქალთან ომში! ექვიანობით გაშმაგებულ საყვარელს სერიოჟა მკლავში დანით დაუჭრია. სისხლის დანახვამე ორივეს გული წასვლია. სერიოჟას ბევრი სისხლი დაუკარგავს, ჰრილობა გამიზღვებია და მისთვის ხელი მოუკვეთიათ. სერიოჟას სამსახურში 150 მანეთი დაჰკლვია. ამის გამო დაუპატიმრებიათ. მისი საქმის გამოძიებას არავინ ჩქარობდა, და მან გადაწყვიტა ვითომდა თავის ჩამოხრჩობა. საიდუმლოება მე გამანდო. როცა იგი ყელზე შემოჭერილი თოკით ჩამოეკიდებოდა, ეს მე უნდა შემენიშნა და გადამერჩინა, განგამი

ამეტება. ამ ამბავს საპატიმროს აღმინისტრაცია ვაივებდა. ამ ხერხით სერიოზუს უნდოდა თავისი საქმის გამოძიება დაეჩქარებინა. დაწოლის წინ თოკით კისერს იხებდა, რომ ზედ წითელი ზოლი დასჩენოდა, სიმულაცია კარგად მოეწყუო. ჩვენი საკანი ძილს მიეცა, არ გვიძინავს მე და სანდროს, რომელიც სერიოზუს უცქერის გოცებულს.

— ეს ბიჭი რაღაცას აპირებს, აი, — ქართულად მეუბნება სანდრო, რომ სერიოზუს არ გაიგოს.

— დასაწოლად ემზადება, — ვუპასუხებ.

— დასაწოლადო!? ერთი უყურე, ხელში თოკი აქვს. აქ თავი არ ჩამოიხრჩოს, უბედურებაში არ გადავხვიოს.

სერიოზუს მიხვდა, რომ სანდრო მის შესახებ ლაპარაკობდა დაეკვებულს.

სიმულაცია ჩაიშალა.

საკანის ყოველი ბინადარი გვიამბობდა თავის გასაქირს. ბორჩალოელი აზერბაიჯანელი იუსუფი ვერ მიმხვდარიყო, თუ რატომ მოხვდა საპატიმროში. მას ფოსტის პატარა მოხელის თანამდებობა ეჭირა. თავის სოფელში მშობლებთან ახალმოყვანილი ცოლი ჰყავდა დატოვებული. უფროსისათვის უთხოვნია: ჩემს სოფელში გადამიყვანეთო. უფროსი თხოვნის შესრულებას აყოვნებდა. ამიტომ მის მეუღლეს ნახევარი შუშა სუნამო მიართვა და სთხოვა: ჩემი გადაყვანის საქმე დამიჩქარეთო.

ეს ჩვენს იუსუფუს ქრთამის მიცემად ჩაუთვალეს, და მან დაკარგა სამსახური, ცოლსაც უფრო დააშორეს, საპატიმროშიაც ამოყო თავი.

— ფეშქაში მივეცი, მეტი არაფერი... ჩემი ცოლის ნახვა მინდოდა... ფეშქაში, მეტი არაფერი... — ამბობდა იუსუფი და საკანში მოუსვენრად დაბტოდა, აღვილს ვერ კპოულობდა.

იუსუფს თავისი თავი უდანაშაულოდ მიაჩნდა და დაარწმუნებული იყო, რომ მალე გაათავისუფლებდნენ.

საპატიმროში ყველაზე მძიმე ასატანი უსაქმრობაა. სხვა გასართობთა შორის, რითაც პატიმარნი თავს ირთობენ, და-

ლიან გავრცელებული იყო პურისაგან კრილოსანისა და სხვა სამკაფუღების კეთება. მაშინ დიდი მრწონება მქონდა პურისგან გაკეთებულ ქალის ქამარს, რომელიც იუსუფმა შეიძინა. ამ საჩუქრით უნდოდა თავისი ახალგაზრდა ცოლის გული მოეგო. ამ ნივთს ძალიან სათუთად ინახავდა.

მალე გაათავისუფლეს იუსუფი... გახარებულმა ისე სწრაფად დატოვა ჩვენი საკანი, რომ ცოლისათვის მისართმევი ქამარის წაღებაც კი დაავიწყდა.

დრო რომ მოგვეკლა (ვანა მარტო დროს მოსაკლავად, ეს იყო თავდაცვის გზის ძიება, როგორ დაგვეღწია თავი იმ მდგომარეობიდან, რომელშიც ვიმყოფებოდით), ერთიმეორის გასამართლებას ვაწყობდით. ყველას უნდოდა, რომ მათი დამცველი მე ვყოფილიყავი. მეც ვცდილობდი ამხანაგების გამართლებას ან მათი სასჯელის შესუსტებებას.

ასე გადიოდა დღეები. გამომძიებელს არ დაუზბარებია. ჩემი უნივერსიტეტი, ჩემი ნუცა შორს იყვნენ. ნეტავ, ხშირად ვაგონდები? ვაითუ ბინაზე მომაკითხა, როგორც ავადმყოფს. ჩემი ამხანაგები გაავაფრთხილეს: ნუცასთვის ეთქვათ, რომ ვითომ ავად ვარ.

იმედს არ ვკარგავდი, რომ საპატიმროს თავს მეც მალე დავაღწევი და უნივერსიტეტს დავუბრუნდებოდი, ამიტომ ვმეცადინებოდი. მაგრამ წიგნს ვეღარ ვუძებდი გულს. აკვირებული ფიქრები არ მშორდებოდა. დავალაგებდი აზრებს, გამომძიებლისთვის როგორ მეპასუხა. დღევანდელი ნაფიქრი ხეალ უკვე აღარ მომწონდა. ასეთ გაწამაწამაში ვიყავი.

პატიმრობაში მთელი თვე გავატარე. გამომძიებელი ჩემს გამოძახებას აგვიანებდა. წვერები მოუშვი. ჩემი მხანკალებების თვალეზში ცრემლებს ვხედავდი, როდესაც მათ რკინის ბადურით დაშორებული ველაპარაკებოდი.

ვასიკოს იმედი მქონდა, მაგრამ გავიგე, რომ იგი მინისტრის თანამდებობიდან გაუთავისუფლებიათ. ვინლა დააჩქარებს ჩემი საქმის განხილვას?...

ივლისის დღეებია. თბილისური სიტყვები დაიჭირა. ჩვენი საკანის გისოსიანი ფანჯრიდან მოჩანს ქუჩის ნაწილი. თავისუფალი ადამიანები ლაღად დასეირნობენ ქუჩაში. თეთრბანტიანმა გოგონამ ნაყინის გამყიდველთან მიიბრინა. სახლის კუთხესთან ხურჯინაკიდებული სახედარი დინჯად დგას და თავის გრძელ ყურებს აბარტყუნებს. თავისუფალია. მშურს მისი ბედი. ამ დროს ჩემი გვარი დაიძახეს. გამოძიებელთან ვყოფილვარ გამოძახებული.

საბატიმროს უფროსთან მიმიყვანეს. ამხედ-დამხედა. ბრძანა, ჩემთვის წვერი გაეპარსათ.

— არ გეკადრებათ ახალგაზრდა კაცს ასე მოშვება.

საბადრაგო მილიციელის თანხლებით გამოძიებელთან გამგზავნა.

ჩემი გამოძიებელი სიტხისაგან შეწყუბებული ფანჯარასთან იდგა და ხელმანდილით ოფლს იწმენდა. ჩვენი შესვლისთანავე კარისაკენ მოიხედა.

— ვარლამ თევდორაშვილი?

დასტურის ნიშნად თავის დაქნევალა მოვახერხე. ისე ვღელავდი, ხმის ამოდება ვერ შევძელი, მილიციელს უთხრა, რომ გარეთ დაეცადა. ჩვენ ორივე ფეხზე ვიდექით.

— ხომ არა გაქვთ რაიმე დასამატებელი?

— მე უდანაშაულო ვარ. უნივერსიტეტში ვსწავლობ, ხელს ნუ შემიშლით. — ვთქვი და შემრცხვა, გავიფიქრე: ჩემი უნივერსიტეტი ძალიან კი ეპიტრავება-მეთქი.

— ჩვენ ფაქტების მიხედვით ემოქმედებთ. გაცნაით საბრალდებულო ოქმს. მე მხოლოდ ერთი რამ შემიძლია, რომ საქმის განხილვა დაეაჩქარო.

— წაიკითხეთ საბრალდებულო დასკვნა, — მითხრა განიძიებელმა და ქალღიღინა მომეწოდა.

მაგიდასთან დავეჯექი და საბრალდებულო დასკვნის კითხვას შევუდექი. კითხულობდი, თან ცივი ოფლი მასხამ-

და. ვგრძნობდი, რომ ფეხქვეშ ნიდავგ მტკიცდებოდა.

აი, რა ბრალი მედებოდა? — ^{მეცხველი} ~~მეცხველი~~ გორც წყალსადენის სამმართველოს მთავარ ბულატერს, ყურადღება არ მიმიქცევია (თუმცა ამის შესახებ ჩემს თანაშემწეს უთქვამს), რომ გასავლის ორდერზე (სამი ათასი მანეთის, თანხით ოქროთი) მიმღების ხელმოწერა არ ყოფილა. ამის გამო გაურკვეველი დარჩა, ეს სამი ათასი მანეთი ვინ მიითვისა. გამოძიებლის დასკვნით, ამ ფულის დაკარგვა გამოიწვია სამსახურებრივი მოვალეობისადმი ჩემმა გულგრილმა დამოკიდებულებამ.

დიდ უსამართლობად მიმაჩნდა, რომ პასუხისგებაში არ აღლევდნენ ჩემს თანაშემწეს, რომელსაც შეუნიშნავს ხელმოწერელი ორდერი, არც ჩვენს მოლარეს, რომელმაც ფული გასცა სალონიდან და თანხის მიღებს ხელი არ მოაწერინა, არც მონაგარიშეს, რომელიც სალონის დაეთარს აწარმოებდა და რომელსაც ევალებოდა მოლარისაგან მიღებული შემოსავლისა და გასავლის ორდერების სისწორის შემოწმება.

გაინდებული ვიჯექი.

გამომძიებელი ფანჯარას მოშორდა და მაგიდასთან მივიდა.

— მოაწერეთ ხელი? — მკითხა.

— თქვენს დასკვნას მე არ ვეთანხმები, — და აღვზნებულად გავუზიარე ჩემი მოსაზრება.

— აღნიშნეთ, რომ საბრალდებულო დასკვნას არ ეთანხმებით და ხელი მოაწერეთ. — მშვიდად მითხრა პეტრემ, თან კალამი მომეწოდა.

მე კვლავ თავდაცვას შევეცადე. გამოძიებელმა ლაპარაკი არ მაიკალა.

— შეიძლება, სხვებიც დამნაშავეა, მაგრამ მთავარი დამნაშავე მაინც თქვენა ხართ. უყურადღებობა რომ არ გამოგჩინათ, ამ საქმეს ჩასჯდომოდით, ეს არ მოხდებოდა.

„ჩასჯდომოდით“: ეს სიტყვა გულზე მომხვდა. ბრძოლის უნარი წამართვა, დიახ, „ჩაჯდომა“ ვერ შევძელი.

...და საბრალდებულო დასკვნას ხელი

მოეწერე: წაეკითხე, მაგრამ თავს დამნაშავედ არ ვცნობ-მეთქი.

ჩემი პროცესის პირველი დღეა. საქმის განხილვა დაიწყო. სხდომის დარბაზში შეგვიყვანეს და ბრალდებულთა სკამზე დაგვესვენა: მე და თბილისის თვითმართველობის მთავარი მოლარე, ორივეს ერთი და იგივე ბრალდება გვაქვს წაყენებული. ტექნიკოსს ლუკა ჭანიშვილს ბრალდება სრულიად მოეხსნა.

დარბაზისაკენ არ ვიციქრები. ვიცი, რომ აქ არიან ჩემი მეგობრები, ნათესავები, წყალსადენის თანამშრომლები...

სასამართლოს შემადგენლობა რომ შემოვიდა და მთელი დარბაზი ფეხზე წამოდგა, მე ხალხისაკენ მაშინ მივიხედე, შევხედე ნაცნობ თვალებს, რომლებიც სევდიანად და სიყვარულით მიღიმოდნენ. დარბაზში დასხდნენ. ფეხზე მხოლოდ ნუცა იდგა. უკანა რიგებში ახმაურდნენ, ნუცა მხოლოდ მაშინ მიხვდა, რომ უნდა დამჯდარიყო, თავჩაღუნულმა თვალებზე პატარა ხელმანდილი მიიფარა.

ჩემი დაკითხვაც დაიწყო. საჯაროდ გამოსვლას დაჩვეული არ ვიყავი, მაგრამ ახლა თვითონ მივიჩინე, თავი როგორ თავისუფლად მექირა და როგორ ლოგიკურად ვმსჯელობდი. ამაში დარბაზის გამობნაურება მარწმუნებდა და ნუცას გამამხნევებელი ღიმილი.

დამცველად მყავდა იმ დროისათვის ცნობილი ვეჭილი, ქალბატონი ვეჭილი. იგი პროცესის მიმდინარეობის დროს თვალდახუჭული იჯდა. მის მაგივრად მე ვიყავ შინით შეპყრობილი: აქ არ ჩაემჩინოს და ხერხინვა არ ამოუშვას-მეთქი. მაგრამ, როცა შეკითხვებს იძლეოდა ან კამათობდა, ცეცხლივით აინთებოდა და მისი თვალები ნაპერწკლებს ისროდნენ.

ბრალდებულ ამამუკელს ეკითხება ჩემი ვეჭილი:

— გახსოვთ, რომ წყალსადენის სამმართველოს სამი ათასი მანეთი ასესხეთ?

— ძალიან კარგად მახსოვს.

— რატომ დაგამახსოვრდათ ეს ოპე-

რაცია? ყველა საბუღალტრო ოპერაციას ასე იმახსოვრებთ? *ერეკნეშული*

..ყველა ოპერაციას ბრტყილად იმახსოვრებს კაცი! ეს ამბავი იმიტომ მახსოვს, რომ თვითონ წყალსადენის დირექტორი მოვიდა ჩემთან და მთხოვა სამი ათასი მანეთი მესესხებინა რამდენიმე დღით. ტექნიკოსს ჭანიშვილს წყალსადენის სახელოსნოსათვის საქირო მასალები უნდა შეეძინა.

— ასესხეთ?

— დიახ. ჩვენმა მთავარმა ბუღალტერმა ასესხა.

— ფული თქვენ გაეციეთ?

— მაშ!

— ვინ მიიღო?

— წყალსადენის სამმართველოს მოლარემ.

— წყალსადენის სალარო სად იყო მოთავსებული?

— ერთ ოთახში ვიყავით.

— იქნებ თქვენ არ გაგიციათ ფული?

— როგორ არა, ძალიან კარგად მახსოვს, სულ ახალი ქაღალდის ფულები იყო, ერთმანეთს ეკვროდა, რომ ეუთველიდი.

— ვადაუთვალეთ, მაგრამ იქნებ წყალსადენის მოლარეს ფული არ მიუღია, აღარ სჭირდებოდათ.

— მიიღო. ისიც მახსოვს, ჩემთან მაგდასთან მოვიდა და ხელი მომიწერა.

— ძალიან კარგი. — ამბობს ჩემი ვეჭილი. — იქნებ ისიც გახსოვთ, ფული რომ გადაგიხადათ.

ამამუკელმა პასუხი უტბად ვერ გასცა.

დარბაზი ახმაურდა.

ამამუკელს თავისი ვეჭილი დაესმარა:

— ფული რომ გადაეხადათ, გასავლის ორდერზე ხომ ხელს მოუწერდით?

— რასაკვირველია, — უპასუხა ამამუკელმა.

— ერთი სიტყვით, თქვენ ბრძანებთ, რომ არ გახსოვთ, ფული გადაგიხადათ თუ არა? — არ ეშვებოდა ჩემი ვეჭილი.

— ყველაფერს კაცი როგორ დაიხსომებს! ვალი რომ გადაეხადათ, გასავლის ორდერს ხელს ხომ მოუწერდით? — ვა-

იმეორა ამაშუკელმა თავისი ვეკილის ნათქვამი.

— გასაგებია. კარგი. ფული ორი-სამი დღით ისესხეს. ორი დღის შემდეგ, სამი დღის შემდეგ არ გადაგიხადეს ვალი, არც ერთი კვირის შემდეგ... თქვენ და წყალსადენის მოლარე ერთ ოთახში მუშაობდით. მთელი დღე ერთმანეთს ხედავდით, რატომ არ მოსთხოვეთ ვალის გადახდა.

— ალბათ გავახსენე...

ამაშუკელის ვეკილი ისევ მიეშველა თავის მარწმუნებელს და მოსამართლეს მიმართა:

— პატივემულო მოსამართლე! ამაშუკელმა ყველა კითხვაზე ამომწურავი პასუხი გასცა, მე ვფიქრობ, საკმარისია. ჩემს ვეკილს მასთან შეკამათება უნდოდა, მაგრამ სასამართლოს თავმჯდომარე სახალხო მსაჯულებს მოეთათბირა და ჩემს ვეკილს ნება დართო კითხვების მიცემა განეგრძო.

— გქონდათ თუ არა, ბრალდებულო ამაშუკელო, იმის შესაძლებლობა, რომ გცოდნოდათ, წყალსადენის სალაროში რა ფული შედიოდა?

— დიახ... — უკვე მოშვებულად უბასუხებდა ამაშუკელი.

— ერთი კითხვა: შეეძლო თუ არა, წყალსადენს იმ ხანებში ვალის — სამი ათასი მანეთის გადახდა.

— შეეძლო...

ყოფილა თუ არა შემთხვევა, რომ მოლარეებს ერთმანეთისათვის ფული ვისესხებიათ, ორდერი კი მერე გაფორმებიათ?

— ძალიან ხშირად. — უპასუხა ამაშუკელმა, თან ოფლი მოიწმინდა სახეზე. მის თითზე ბრილიანტიანი ბეჭედი აციმციმდა.

სასამართლოს დარბაზში მყოფთათვის ნათელი გახდა, რის დამტკიცება სურდა ჩემს დამცველს.

მეც იმედი მომეცა, იქნებ ამ უბედურებას თავი დაეღწიო-მეთქი და მალულად ნუცასკენ გავიხედე. ჩვეულებრივად ფერმკრთალი სახე ახლა აღაეღაე-

ბოდა. სევდიანი თვალები გამოცოცხლებულადა, ხელმანდილს ხელში კმუჭვნიდა.

ჩემს დამცველს მთელი პროცესის განმავლობაში მერე ხმა არ აწრულია. იჯდა თვალდახუჭული, ხანდახან თვალს გაახედა.

მას სიტყვის თქმა რომ მოუწია, მთელი დარბაზი შეიმუშნა, მოეზადა მის მოსასმენად. ოფიციალური პირებიც კი წელში გასწორდნენ. დამცველმა ჩემს საქმეს ყოველმხრივ ანალიზი გაუკეთა და ბოლოს განაცხადა:

— მე ვფიქრობ, ამ პროცესის მსვლელობამ ყველასათვის ნათელყო, რომ სამი ათასი მანეთი წყალსადენის ბუღალტერიამ გადაუხადა თბილისის თვითმართველობის სალაროს, მხოლოდ გასაღლის ორდერი მიმღების მიერ ხელმოწერილი დარჩა. — ამ დროს ბრალდებული ამაშუკელი და მისი დამცველი ადგილზე აწრიალდნენ. — დიახ, სამი ათასი მანეთი წყალსადენმა გადაიხადა. ფულის გადახდის შესახებ წყალსადენის ბუღალტერიამ გასაღლის ორდერი გამოწერა, ხოლო თბილისის თვითმართველობის ბუღალტერიამ არ გამოწერა შემოსავლის ორდერი ფულის მიღების შესახებ.

სახელმწიფო ფულის მითვისებისათვის პასუხი უნდა აგოს სამი ათასი მანეთის მიმღებმა.

— ფულის მიმღების ხელმოწერა წარმოგვიდგინეთ. — აღშფოთებული წამოხტა ამაშუკელის დამცველი და განაცხადა:

— პატივემულო კოლეგა, ხელწერილი რომ გვქონდეს, მაშინ არც ეს პროცესი დაგვჭირდებოდა. — უპასუხა ჩემმა დამცველმა. დარბაზში სიცილი გაისმა.

სასამართლოს თავმჯდომარემ დარბაზი გააფრთხილა წესრიგის დარღვევისათვის, და პროცესი გაგრძელდა.

საქმის განხილვა სამ დღეს გაგრძელდა.

სასამართლომ ხუთი წლის პატიმრობა მომისაჯა სასტიკი იზოლაციით, სა-

მსახურებრივი მოვალეობისადმი გულ-
გრილი დამოკიდებულებისათვის. ამა-
შუკელის საქმე გამოყვეს დამატებითი
კვლევა-ძიებისათვის.

ეს სასაჯელი თავს მებნად დამატყდა.
საბრალდებულო სკამზე უღონოდ და-
ვეწვი. გარინდებას თავი მხოლოდ მა-
შინ დავაღწიე, როცა დარბაზი დაიკა-
ლა. ორი-სამი ჩემი ნათესავ-შეგობარი-
ლა დარჩენილიყო. ნუცა არ ჩანდა. ვი-
დაცას გული წაუვიდა. ბუნდოვნად მახ-
სოვს, გარეთ ვაიყვანეს.

საპატიმროში ვარ და კალენდარულ
აღრიცხვას ვაწარმოებ. ყოველ განე-
ლილ დღეს ვშლი, მაგრამ წინ კიდევ
ბევრი დღეა. პირველ ხანებში ნუცა
ყურადღებას არ მაკლებდა, წერილებს,
მოსაკითხს მიგზავნიდა, კიდევ მნახუ-
ლობდა. მაგრამ თანდათან უფრო იშვი-
ათად მომიგონებდა ხოლმე. ვიფიქრე,
ნუცამ ჩემზე გული აიყარა-მეთქი და
წერილი გავუგზავნე, სადაც ვთხოვდი,
თავისი ბედი ისე წარემართა, როგორც
საქიროდ დაინახავდა.

მალე გამოირკვა რომ თურმე ნუცა
დარდისაგან ავადმყოფობდა.

ამაშუკელი მეორედ თავის გასამართ-
ლებას ველარ მოესწრო. ხნიერმა კაცმა
ველარ გაუძლო საპატიმროს რეჟიმს.
სიკვდილის წინ ჩემი ნახვა მოუსურვე-
ბია. საპატიმროს საავადმყოფოში გა-
მომიძახეს.

— მოდი, შვილო, ჩემთან ახლოს, —
მისუსტებულმა ოდნავ გასაგონი ხმით
მითხრა.

ვერ ვიციანი, ისე გამოცვლილიყო.
ჩვეულებრივად ყოველთვის წვერგაპარ-
სული იყო, შეკრეპილი უღვაშები ჰქონ-
და. კოხტად იცამდა. ახლა კი თეიერი
წვერ-უღვაშში მოეშვა.

სისხლდაწრეტილი ხელები საბანზე
დაეწყო. თვალები დაწერილებოდა.

ასეთ მდგომარეობაში რომ ვნახე, შე-
ძეკოდა.

— ძია თედო, როგორ ბრძანდე-
ბით? — ჩემდა უნებურად შეეკითხე.

სულ გადამავიწყდა, რომ ჩემი გაუბე-
ღურების ერთ-ერთი მიზეზი ის იყო.

— შენი მტერი და ჩრგული ხარ,
ისე, როგორც მე ვაგდვიარ... — შეისევ-
ნა და მერე განაგრძო, მის სასთუმალ-
თან ვიჯექი. — ვკვდები და ვერ ვისე-
ნებ, თუ სიმართლე არ გითხარი... —
წინადადებას იტყოდა და ძლივს სუნთ-
ქავდა. — ის წყველი სამი ათასი მანეთი
ნამდვილად მე მივიღე, კარგად მახ-
სოვს... სამსახურში ამის შესახებ რომ
მკითხეს, მე მაშინვე განეცხადე, რო-
გორ არა, მივიღე-მეთქი. თუ მიიღე, მა-
შინ ეს თანხა გაკლიაო... შემოვიტან-
მეთქი. — არც სალაროს დავთარში გა-
გიტარებიაო. მე ვუთხარი, ჩემი თავი
შენ გენაცვალოს, შემოვიტან და სა-
ლაროში გავატაროთ-მეთქი... მაგრამ ეს
ამბავი ჩემმა მეგობრებმა რომ გაიგეს,
მირჩიეს: თედო — თავი არ დაიღუპო,
არ იკისრო სამი ათასი მანეთი მიღებუ-
ლად, თორემ ეს გაფლანგვად ჩაგეთვ-
ლებო... მეც დაუუჯერე და აი, ზედაც,
შენც დაგლუბე და თავიც დავიღუბე...

დამკენარი თვალები ცრემლებმა დაუ-
სველა...

დასუსტებულმა თედომ აღელვება ვერ
აიტანა და ჩემს ხელში სული დალია...

თედოს აღსარება სასამართლოსთვის
უცნობი დარჩა. იმედის სხივი ანთე-
ბისთანავე ჩამიქრა. წლები ისევ საპა-
ტიმროში უნდა გამეტარებინა... მაგრამ
მალე საქართველოში საბჭოთა ხელი-
სუფლება დამყარდა...

ერთმა-ორმა თვემ გაიარა, და ახალდა-
ნიშნულმა გამომძიებელმა ჩემი საქმე
შეისწავლა და იგი მოსასობად წარად-
გინა...

პატიმრობიდან გამათავისუფლეს.

ოცდაჩვიდმეტი წელი მიიწურა ამ ამ-
ბის შემდეგ. ჩემი წარსულის ამ ფურ-
ცელს თვალს რომ გადავავლებ, ვფიქ-
რობ: მე რომ „დაჯდომა“ შემძლებო-
და. სამსახურისთვის გულისყური რომ
არ მომეკლო, ჩემი ცხოვრება სულ
სხვაგვარად წარიმართებოდა. „დაჯდო-
მა“ ვერ შევძელი და ეს ჩემი ბრალია...



ს ა ს ტ ვ ე ნ ი ა შ ი *

— რა მოსავალი უნდა მივიღოთ, ადამიანებო, გახედეთ გარეთ, როგორ იქცევა ქვეყანა! — წამოიძახა ბიკენტი ბოგველაძემ.

— სულ ხომ არ იწვიმებს? გვიან დათესილი მოშლამული ყანა ადრე დათესილ მოშლამავეს ყოველთვის აჯობებს, ამაში მენდეთ. მითხარით, რომელი სჯობია, გამოფიტულ მიწაში ადრე თესვა თუ მოშლამულში გვიან თესვა? ბიუროს წევრებმა ერთმანეთს გადახედეს.

— დიახ, ბოგველაძე გასაკიცხი როდია თესვის დროულად დამთავრებისათვის რომ იბრძვის, ლეშაშელიც მართალია მოსავლის გადიდებისათვის რომ იბრძვის, მაგრამ თესვის დამთავრების სახელმწიფო ვადები? ეს ვის მოვეითხოთ? განა მართო ქარჩხეთის კოლმეურნეობა ჩამოარჩინეთ, ამხანაგო ლეშაშელო თესვაში, არამედ მთელი რაიონი. მოშლამვა კარგი ღონისძიებაა, მაგრამ დღემდე გეძინათ? ახლა მოგაგონდათ?

— ამდენ ხანს, ამხანაგო მდივანო, ლანქერი არ იყო. ახლა მოვიდა და კიდევაც მივუსვით! — შეაწყვეტინა სიტყვა მდივანს ლევანმა.

— რატომ ნაკელი არ შეიტანეთ ფართობში? — ჰკითხა მტისის დირექტორმა.

— განა თქვენ არ იცით, რომ ამდენი ნაკელი კოლმეურნეობას არ აქვს.

— რატომ არ აქვს მერე? — უფრო მოიღუშა მდივანი. — თქვენ ორივე დამნაშავე ხართ? ჩემი წინადადება, სასტრუქო საყვედური გამოეცხადოს ორივეს! — დაასვენა ვალიკო ბულაძემ.

— მე რა შუაში ვარ, ამხანაგო ვალიკო?! — შემკრთალი ხმით წამოიძახა ბიკენტომ.

— ბოგველაძე არ არის დამნაშავე! — დამოწმა მას მტისის დირექტორი.

— მეც ასე ვფიქრობ! — დაუდასტურა რაისაბჭოს თავმჯდომარემ.

— მეც ასე ვფიქრობ! — გაისმა ლევანის მტკიცე ხმა. ამ ხმაზე ყველამ ლევანს მიანათა გაკვირებული თვალი.

— შენც?

— დიახ, მეც, ამხანაგო მდივანო! — მტკიცედ გაიმეორა ლეშაშელმა.

ვალიკო ბულაძე ყოყმანის შემდეგ დათმობაზე წავიდა. რადგან ბიუროს წევრთა უმრავლესობა ლევანის წინააღმდეგი იყო, ამიტომ საყვედური მხოლოდ ლეშაშელს გამოუცხადეს.

ბოგველაძე ფერზე მოვიდა.

— ამხანაგო მდივანო, ლეშაშელი არ მიჯერებს, წყალი ახლაც მიშვებულ იქვს ფართობში, არ მანებებს ჩაქეტვას.

— ეს კი მეტისმეტია! — გაჯავრდა ვალიკო ბულაძე. — ლეშაშელო, წყალი დღესვე უნდა ჩაქეტო!

— წყალს მე არ ჩაგვეტავ ამხანაგო ვალიკო! — პირდაპირ თვალეზში შეხედა ლევანმა მდივანს.

— ეს რა ჯიუტობაა! — აენთო მდივანი.

— კი არ ვჯიუტობ, არამედ ჩემს რწმენას ვიცავ, მჯერა კარგ საქმეს ვაკეთებ, ბოგველაძე კი ხელს მოშლის!

— ლეშაშელო, თქვენ ბერის ბედადით, იცით სადა ხართ?! — ახლა რაისაბჭოს თავმჯდომარემ მიმართა ლევანს.

ბიურომ ეს საკითხი ამოწურულად ცნო. ბიკენტომ და ლევანმა სხდომა

დატოვეს. ბიკენტი მალაზიებისკენ გაუყვა, ლევანმა კოლმეურნეობას მიაშურა.



არისტარხო უკმაჯურობე ძალიან დაუახლოვდა კირილე ბენდელიანს. სამსახურიდან მის მოსვლამდის პურის საკმელად არ ჯდებოდა. ცდილობდა, რომ კირილეს მთელი ყურადღება მარიკასადმი ყოფილიყო მიქცეული. ამას ადვილად მიაღწია, მაგრამ მარიკას ლევანისკენ ეჭირა თვალი და კირილეს არაფრად ავლებდა. ქალი იმ სურფრასაც არ ეკარებოდა, სადაც არისტარხო და კირილე ერთად ისხდნენ ხოლმე. ამის გამო არისტარხო ცოფდებოდა, მაგრამ იმედს არ კარგავდა. ხან რას სთხოვდა მიწუანს და ხან რას.

ერთხელ ფერმიდან ჯიშინი, მეწვეული ორი ძროხა გამოაყვანილა კირილეს და ბაგაზე დაიბა არისტარხომ. მეორედ სხვადასხვა პირის სახელზე რამდენიმე მიწის ნაკვეთი გააფორმებინა და მიითვისა. არისტარხო დამუშავებას რომ ვეღარ აუვიდა, კიკლია შეიამხანაგა. ამას ხედავდა მარიკა. პირველ ხანებში ყურადღებას არ აქცევდა, შემდეგ კი, როცა ყველაფერი აშკარა გახდა, წინააღმდეგობის გაწევა სცადა.

— იცოდე, შენ და შენს კირილეს კარგი ბოლო არა გაქვთ, — უთხრა ერთხელ არისტარხოს.

— შენც მივმატე ჩვენ მტრებს? — დაუღრიალა არისტარხომ და ქალი ორსამ დღეს შინ არ შეუშვა. დედობილი შემოაპარებდა ხოლმე დასაძინებლად. ერთხელ მარიკა მის უნებურად ასეთი საუბრის მოწმე გახდა:

— ჩემი ქალიშვილი ხომ მოგწონს? — ჰკითხა არისტარხომ კიკლიას.

— მომწონს ცოტაა. მარიკასათვის სულს დაეღვე. მაგრამ თუ ის ლევანს არ ჩამოაცილე, მე და ჩემმა ღმერთმა, მოვკლავ მაგ უბედურს!

— მისი ჯავრი მეც მაქვს გულში. არ დამეიწყებია, მოსვლისთანავე კოლმეურნეობის საწყობიდან, რომ მოახს-

ნევიან ჩემი თავი ბიკენტის. ასეთი ვინ არის ეგ გლახის შვილი! თმში რომ იყო, ამიტომ თავზე ხომ არ დავისვამთ! თავმჯდომარეს არაფრად ავდებ, ახლა ჩვენ მოგვდგა, რგოლიდან არ გაგანთავისუფლებ, სამსახურს თავი უნდა დაანებოო. უყურე ახლა შენ მაგ ლაწირაკს! ასე უთქვამს, კიკლია რომ სულ ქეიფობს, კარგად იცვამს და იმხელა სახლი წამოკიმა, საიდან აქვს ამდენი ფულებიო!

კიკლია გაბრაზებული წამოვარდა. — გამიშვი, არისტარხო, თუ ღმერთი გწამს, გამიშვი, — ყვიროდა იგი.

არისტარხომ კიკლიას მაცდურად გაუღიმა და დაამშვიდა.

— ეიცო, ჩემი მარიკა რომ გიყვარს, გაძლევ მაშის პატროსან სიტყვას, შენ გარდა არავის მივცემ!

კიკლიამ სასიამაოო გადაკოცნა. მაშინ არისტარხომ უთხრა:

— კირილემ რომ მიწის ნაკვეთი მომცა, დაამუშავებინე შენი ბრიგადის წევრებს და მოსავალი შუაზე გაიყო, ვინ გაგიგებს? — საოცრად დათთაფლა ენა არისტარხომ.

შეთანხმდნენ.

კიკლია გახარებული წავიდა.



თითქოს მძიმე ლოდი დაედოთ გულზე, მიწასთან გასწორებულებით გრძნობდა თავს ლევანი რაიკომის ბიუროს სხდომიდან დაბრუნების შემდეგ. ბრიგადირად დანიშვნის დღიდან ეს პირველად დამართა. ტახტზე გულამბა მიწოლილს ხელები თავქვე ამოედო და ერთ წერტილს მისჩერებოდა.

როგორ მოიქცეს ახლა ლევანი? ხომ უთხრეს, სასტვენიაში წყალი მოკეტო? ლევანმა კი ამაყად იუარა, არ მოვკეტავო! ეს ხომ აშკარა წინააღმდეგობის გაწევაა, ეს ხომ რაიკომის მდივნის აბუჩად ავდებია? მერე როგორი მდივნის! ვალოო ბუღაძე არ იყო. ომიდან დაბრუნებულ ლევანს რომ ურჩია, კოლმეურნეობაში იმუშავეო?

სწორედ ასეთი ფიქრები წამოშლო-
დნენ ლევან ლეშაშელს რაიკომიდან
დაბრუნების შემდეგ. ელისაბედი გაკ-
ვირებული თვალებით შესცქერდა
შვილს, ცდილობდა მიხვედრილიყო, რა
უსიამოვნება შეეყარაო. ომიდან დაბ-
რუნების შემდეგ ასეთი დადარდიანე-
ბული ერთხელაც არ ენახა. ამიტომაც
კრძალვით მუახლოვდა. თვალებში ჩა-
ხედა. ლევანმა გაიღიმა. დედას როდი
გამოეპარა, რომ ეს ღიმილი ლევანისა
არ იყო. ელისაბედმა კარგად იცოდა,
თუ როგორი გულისგამზარებელი ღიმი-
ლი იცოდა ლევანმა. ვინ დააღონა ლე-
ვანის გული? ამის მიხვედრა ეწადა
დედას.

— შეილო, ხომ არაეინ გაგაჯაერა? —
შეეკითხა ბოლოს.

— ვინ, დედა, გაჯაერება რას მიქ-
ვია!

— აბა, რა ვიცი, შეილო, შეიძლება
შარიაკამ გაწყენინა, ახალგაზრდა ქალებ-
მა ზოგჯერ ვაყების გაღიზიანება იცი-
ანს! — გაეციანა ელისაბედს.

— შარიაკა ორი დღეა, არც მინახავს.

— იქნება მოწყენის მიზეზიც ეგ
არის? — შეეკითხა ელისაბედი და
შვილს გამომძვლვად დააქცერდა სა-
ხეზე.

ლევანს შერცხვა.

ელისაბედი მეორე ოთახში შევიდა.
ლევანი ისევ სასტეენიაში წყლის გადა-
კეტვის ფიქრს გაედევნა. თითქოსდა
ორი ლევანი ებრძოდა ერთმანეთს. „ჩა-
კეტე“ — უხმობდა ერთი გული, „არ-
აო!“ — გაჯიქებულიყო მეორე.

ლევანს აივანზე ვეხის ხმა შემოეს-
მა. კარები გაიღო. აივანზე ბარნაბა
იდგა და ბრეზენტის მოსასხამს ბერტ-
ყავდა. წყალი იატაკზე ზოლებად მიიკ-
ლაყენებოდა. ლევანმა საწვიმარი ჩამო-
ართვა, იქვე კედელზე ჩამოკიდა და
მეგობარს ოთახში შეუძღვა.

— რაეა ხარ, ბიჭო! — შეეკითხა გაბ-
ზარული ხმით ბარნაბა.

— რა მიჭირს!

ბარნაბამ დაბნეულობა შეატყო მე-
გობარს. ლეშაშელმაც იგრძნო ეს და

უთხრა: — ამისთანა გინახავს! ბიჭე-
ტიმ გაიმარჯვა, საყვედურე მე მომარ-
ტყეს.

— მერე საყვედური რაა, დაიქცა
ქვეყანა მაგითი თუ? კარგად წაივდეს
საქმე და, ვინც საყვედური მოგარტყა,
შემოდგომაზე ისევ ის გეტყვის მად-
ლობას.

— ახლა მაგაზე აღარ ვდარდობ ჩე-
მო ბარნაბა, ოღონდ შენ ის მითხარი,
ეს წვიმა როდის გადაიღებს, მარცვალე
რომ შევიტანოთ სასტეენიაში.

— ნუ დარდობ, ეგეც იქნება! — და
ბარნაბამ ხმის დადაბლებით კითხა:
მართალია, ბიკენტის რომ უთქვამს?

— რა უთქვამს?

— რა და ლევანმა განაცხადა, წყალს
არ მოეკეტავო!

— მართალია!

— მერე ასე შეიძლება?

— ვითომ რატომ არა. სულ ერთი
არ არის, ამ წვიმაში წყალს მოკეც
თუ არა? სანამ წვიმა გადაიღებდეს,
ერთ მტკაველ შლამს კიდეც დაღებს
წყალი. მაგათ ეს არ უნდათ გაიგონ,
მეც ამიტომ არ მინდა დავემორჩილო,
რას მიზამენ, თუ იცი!

— წყალი მე უკვე ჩაკეტე! — თქვა
ბარნაბამ და ლევანს თვალი აარიდა.
დუმილი ჩამოვარდა.

— ვინ დაგავალა ჩაკეტეო, ჰა? —
გაბრაზდა ლეშაშელი.

— ვის უნდა დაევალებინა, მე შენ-
თვის გაეკეთე ეს. ვიცოდი შენი ხასია-
თი, შენი ზელით წყალს არ ჩაკეტავდი
სასტეენიაში, ახლა შენს ხელში ვარ,
რაც გინდა, ის მიყავი.

ლევანი გაჩუმდა. ამ დროს კარები
გაიღო. ოთახში ელისაბედი შემოვიდა.

— შეილო ბარნაბა, ამ თავსხმაში
რამ მოგიყვანა, ცუდი ხომ არაფერი!

— დედაჩემო, შენ დღეს სულ ცუდ-
ზე ფიქრობ, რა მოგივიდა?

— რა ვიცი, შეილო, შენმა დაღონე-
ბამ დღეს სულ გადამრია ქალი!

— ელისაბედ ბიკოლა, ნუ გეში-
ნია, ცუდი არაფერი. სანახავედ შემო-
ვიარეთ, ამ წვიმაში აბა რა გამეკეთე-

ბია შინ? შენი ხელებით გაკეთებული ხაჭაპურებიც მომენტარა — ჩაიცინა ბარნაბამ.

— შენ გაიხარე, შვილო, ასე უნდა კაი მეზობელი და შვილის კაი მეგობარი, მხოლოდ ჩემი ხელით დწურული ცოლიკატური რომ მოგართვათ ხაჭაპურებთან ერთად, უარს ხომ არ იტყვი? — ელისაბედს გადამდები სიცილი მოგვარა თავისივე სიტყვებმა.

— ბიცოლა, მაგას რალა აჯობებს, დღეს სწორედ ამის ამინდია! — გაეხარდა ბარნაბას.

ელისაბედმაც ბევრი არ დააყოვნა. სუფრა მალე გაუშალა შვილსა და სტუმარს.

• •
•

ერთი კვირა გადუღებლად წვიმდა. მერე ძლიერი ზენა ქარი ამოვარდა. ყანაში კი არა, სახლიდან ძლივს გამოდიოდნენ ქარჩხელები. ქარმა მოშლამულ სასტვენისა გული გამოუშრო და ნარწყული ნიადაგი ალაგ-ალაგ დახეთქა კიდევაც.

ამან სულ ააფორიაქა ლევანი. ჯერ იყო და ლანქერმა წაიტყუა, მერე ისე გაუთავებლად იწვიმა, რომ გადაღებას არაფერი ეშველა, ახლა არისდა ზენა ქარი ყველაფერს გლეჯდა. ამ აშარ ქარს წვიმა სჯობდა. რა ქნას ახლა ლევანმა, რა მოუხერხოს ქვისავით გამაგრებულ მიწას? ისევ მორწყას, გააღბოს და მერე დათესოს? აბა, სხვანაირად როგორ მოიქცეს?

ნუთუ არისტარხოს სიტყვები მართლდება, ლევანს კარგი დღე როგორ დაადგება, აღდგომა დღეს დახნა სასტვენით. მიწის ძვრა აღდგომას ვინ გაიგონაო. ღმერთი დასჯიდა, აბა რა იქნებოდაო.

საოცარია პირდაპირ, ნუთუ მართლა უნდა აღხდეს ლევანს უჯმაჯურიძის ქაღილი? ხელი წაველო ბარნაბას და პირდაპირ სასტვენისკენ გაეშურა.

— ნეტავ ეშველება რაიმე ამ მიწას? — ჰკითხა დაფიქრებით ლევანმა

ბარნაბას, როცა თვალი მოაველო ვრცელ ფართობს.

ერეკენული

— დათესვის მეტრიზაციისთვის — მიუგო ბარნაბამ.

— ჰმ, ეს მეც ვიცი, საქმეც ისაა როგორ დაეთესოთ. სათესი მანქანა პირს ვერ მოიკიდებს ამ მიწაზე. მარცვალი ზევით დარჩება. ყვავები დაესევინან. მამაპატური კაცი რომ გაეველოთ და სიმინდი კვალში ჩაეთესოთ, დაგეცინებენ. მაშ რა ვიღონოთ? — დაკითხა იგი ბარნაბას და ჯიხაიშლების დიდი არხის თავთან ფიცრების გროვაზე დაჯდა.

საამოდ ეფინებოდა მიდამოს ცხენისწყლიდან დაძრული სუსტი ნიავი. გზისპირებსა და ალაგ-ალაგ ფართობებში აკაციის ხეები თეთრი ყვავილებიდან საამურ სურნელებას აფრქვევდნენ. ცოტა მოშორებით ცხენისწყლის დაბურული ხეობა მწვანეში ხასხასებდა. მის იქით მთები და ქედები მოლურჯო ფერებში ღვიოდნენ. მზეზე გადაბლანდული ღრუბლის ნაგლეჯი, ქედებს მუქ ფერებში ხვევდა. როცა მზე გამოჩნდებოდა ის ქედები ისევ ღია მწვანის ფერის მოსასხამს მოიხურავდნენ.

ლევანი განაბული უყურებდა ბუნების სიმშვენიერეს.

ბარნაბაც გაეტაცა ბუნების მომზიბლაობას. ლევანივით თვალს ვერ წყვეტდა ამ სილამაზეს. ამ ფიქრებში მყოფებმა გასამარგლავ სიმინდს მოჰკრეს თვალი კიკილიას საბრიგადოში. მათ კი სასტვენია ჯერაც არ დაეთესათ.

სხვა გზა არ არის, ჩემო ბარნაბა! — მოულოდნელად წამოიძახა ლევანმა.

— რა გზაო?

— აი, რა: ტრაქტორს თეფშები უნდა მოუბათ, მარტო რკინის ფარცხი ვერაფერს გახდება. მოპირული თეფშები გავეალულ მიწას ჩასკრის, ანგარევს. მერე რკინის ფარცხი-სულ სახაზედ აქცევს. ნაფარცხს სათესი მანქანები მივადვენოთ და მივყუთ. შეიდი უღელი ხარ-კამეჩით, მე მეონია ერთ დღეს მოვრჩებით თესვას.

— ცუდი აზრი არაა, ლევან, მაგრამ ჯერ ერთი, მტის ტრაქტორები არ უვარგა, მეორეც, ჩვენი ხარებით ოცი პექტორი მიწა როდის დაითესება?

— მაშ, სამველი აღარ ყოფილა და ისაა!

— ასე რად ამბობ. ტრაქტორისტებს მოველაპარაკოთ. თვითონ იციან, რომელი ტრაქტორი მუშაობს შეუფერხებლად.

ლევანს ბარნაბას აზრი მოეწონა. მაგრამ ის აღიქვებდა, რომ მტის დირექტორთან ვერ იყო კარგად. დირექტორმა ბიუროს სხდომაზე ბევრ-ჯერ ესროლა მწარე სიტყვა. თუმცა არც ლევანი დარჩა ვალში. რამდენ-ჯერ შემოუტია დირექტორმა, იმდენ-ჯერ მოუჭრა ლევანმა. ახლა როგორ მოიგოს მისი გული? ამ ფიქრში იყო ლევანი, მარიკა რომ მოაგონდა. დირექტორი მარიკას ნათესავი იყო. ვადაწყვიტა დაუყოვნებლივ ენახა მარიკა.

— რა ქარმა მოგიყვანა, ლევან, ჩვენსა?! — გაიოცა მარიკამ, როცა ლევანი და ბარნაბა კიშკართან შენიშნა.

— ქარი კი ჩადგა, მაგრამ სამაგიეროდ ისეთმა ქარმა დაუბერა ჩვენს ყულში, რომ ახლა, მარიკა, შენს ვარჯა, მას ვერავინ დააყუჩებს! — უთხრა ლევანმა ქალს.

მარიკას შერცხვა. ასე აშკარად, ბარნაბას თანდასწრებით, როგორ მეუბნებოდა თავის გულისნადებსო. ვერ მიხვდა, რომ ახლა სიყვარული კი არა, სულ სხვა ცეცხლი წვავდა ლევანს. მარიკამ ისეთი გამომეტყველება მიიღო, თითქოს მის გულის საიდუმლოებას ფარდა ახადეს და სააშკარაზე გამოიტანესო. ლევანმა მაშინვე შეატყო მარიკას დაბნეულობა და უთხრა.

— მგონი, მტის დირექტორი შენი ნათესავია, მარიკა!

— დიახ!

— აბა, შენი სიმარჯვე და მოხერხებულობა ახლა გამოჩნდება. მიდი და შენი სახელით სთხოვე დირექტორს, ზეალ ორი ტრაქტორი მოგეცეს სასტუმროში. საქმეს ნუ გავვიჯანჯლებს...

— ამას როგორ დაგამადლი! — სულ მოითქვა მარიკამ.

ლევანის მოსვლამ ისე აღიქვა მარიკა, რომ მტის დირექტორთან კი არა, მისი გულისათვის თბილისში ფეხით წავიდოდა.

* * *

სოფლის ბოლოში მარიკას კიკილია დარსაველიძე შეეფეთა. ისე არაფერს შეუწუხებია მარიკა თავის სიცოცხლეში, როგორც ამ უსიამო, ახმახი ადამიანის შეხვედრას. დააღონა. არ იქნა და ვერ მოიშორა მარიკამ ეს აბეზარი კაცი. ახლა როგორც კი დაინახა გზად მარტო მიმავალი ქალი, თვალები დააქყიტა, ხელები გაშალა და გამოელაპარაკა:

— გვრიტო, საით, მინავარდობ?

— ყვავო, ეგ შენ არ გეცითება! — შეუწყრა მარიკა.

კიკილია ახლოს მივიდა მისთან. უნდოდა ხელი წაეტანებინა, მაგრამ მარიკა მაქოსავით გაუსხლტა.

— გოგოვ, გამიგონე, ნუ მაწვალებ, ხომ იცი, რომ მიყვარხარ! — და კიდევ ერთი ნაბიჯი გადადგა კიკილიამ.

— უკან, უკან დაიხიე, მხეცო! — განრისხდა მარიკა და ახლა გასაქცევად კი არა, პირდაპირ შესატაკებლად მოემზადა.

— რატომ, გოგო, მართლა გეუბნები! — დაირბილა ხმა დარსაველიძემ და საცოდავი სახე მიიღო.

— მე შენი არც გვრიტი ვარ და არც გოგო, გაიგე?

— აბა, ვისი ხარ?

— ეგ ჩემი საქმეა.

— ლევანის?

— არც ლევანის და არც შენი.

— მაშ, ვისი გოგო?

— ჩემი თავის.

— ოხ, შე ალქაჯო შენა, თქვი სად მიდიხარ, თორემ წიწილასავით წაგაწყვეტ თავს! — გაშლეგდა კიკილია.

— რეგვენო, რომ იცოდე, როგორ მძულხარ, ცხრა მთას იქით გადაიქარებოდი! — გაიფოფრა მარიკა.

— რეგენო! არისტარხო, არისტარხო, შე პირძალო, ეგაა შენი სიტყვა, მარიკას უყვარხარ, მაგრამ ვერ ვიმხელსო? შენც მატყუებდი? — იღრიალა კიკილიამ. ამ დროს ვილაცამ ჩაახველა ქუჩის მოსახვევში. კიკილიამ უკან დაიხია. მარიკამ ღონე მოიკრიბა, კაბის კალთა წამოიკაპიწა და სწრაფად გაიქცა.

კიკილია გაშტერებული დარჩა ერთ ადგილას.

ლევანი შარავნისკენ მალე მალ იყურებოდა, ვერ ისვენებდა. ცოტაც და აქოშინებული მარიკაც ლევანის სახლის კიშკარს მოადგა. პირველი, რომელმაც თვალი შეასწრო მას ელისაბედი იყო. მოხეტს სიხარულისაგან სახაქაპურე ცოში კინაღამ გაუვარდა ხელიდან. მარიკა ჩვეული სითამამით მიეჭრა მოხეტს და გადაეხვია. გაუცვირდა, ელისაბედის გარდა რომ არავინ ჩანდა სახლში. მაგრამ ამ ფიქრის დასრულებაც ვერ მოასწრო, რომ ერთბაშად გაიღო მეორე ოთახის კარები და იქედან ლევანი და ბარნაბა გამოვარდნენ.

მარიკამ თავისი მოლიმარე სახე მონუსხა, თვალები დამნაშავესავეთ ააბამხამა, თითქოს დიდი საწყენი რამ უნდოდა გაემხილა. ლევანი გაშრა.

— მარიკა თქვი, რა გითხრა დირექტორმა, რას გაჩუქებულხარ?

— რა ვთქვა, რა!

— არაო, თუ?

— ჰო.

— შენ რა უთხარი.

— რადა ის...

— რაო?

— რაო და ბაო...

— გოგო, გაგიყდი? რომელ ენაზე ლაპარაკობ!

— რა ვიცი ასეა და...

— თუ ასეა, აბა, დამიმაგრდეს ის შენი ნათესავი, თუ კაი კაცი! — ლევანმა ქულს წამოავლო ხელი და კარებისკენ გაქანდა. ბარნაბაც მიჰყვა. მარიკას სახე გაებადრა, თვალები გაუბრწყინდა და ლევანსა და ბარნაბას მიამახა:

— მოიცათ, გიყებო, მოიცათ...

— ჰაი!

— მოიცათ-მეთქი! — ორივენი გაოცებულნი შედგნენ. მარიკამ განაგრძო, — დირექტორმა უარი თქვა, მაგრამ როცა რაიკოში შევირბინე და ეს ამბავი ვუთხარი, მდივანს ეწყინა, ლეშკაშელმა მე რატომ არ შემატყობინაო, მაშინვე მტსში დარეკა და დაავალა — დღესვე ორი ტრაქტორი მიეცით ლეშკაშელსო.

— ასე თქვი, შე კაი ქალო. — შემობრუნდა გახარებული ლევანი. უეცრად ხელი წამოავლო მარიკას და ბავშვივით ზევით აიტაცა.

ელისაბედი ცომიანი ხელებით კედელთან მიმდგარიყო და შეილის ამგვარი საქციელით გაოცებულს სიცილი ვერ შეეკავებინა. ბარნაბა ცხენივით ჰიხინებდა. მარიკამ ლევანის ხელის წაბანებისთანავე ერთი ცივად შეპკიულა. კედელს მიყრდნობილი ელისაბედი ისევე თავის საქმეს მიუბრუნდა, მაგრამ სიცილს, თუ მოზღვავებულ იღვშალ სიხარულს მაინც ვერ იმაგრებდა. ლევანი კი თავის „ტყვეს“ ხელიდან არ უშვებდა, მისდა უნებურად მკლავები უფრო ღონივრად იცვრებოდა და მარიკას სხეულს უფრო მაგრად უჭერდა. მკლავებზე ატატავებული ოთახში შემოატარა. იქით-აქეთ იხედებოდა, თითქო რალაცას ეძებსო და მერე როგორც ბურთი მალა შეისროლა და მარიკაც ახლადგაწყობილ ჩაბუმბულებულ საწოლზე დაეშვა. წამით ფაფუკმა ლოგინმა შეება მოჰგვარა, და როცა წამოდგომა დააპირა, ის შევებით საესე წამი თითქო უფრო გახანგრძლივდა.

ეს საწოლი ლევანის იყო. ეს ვარდისფერი აბრეშუმის საბანი, ეს ცისფერი მუთაქა, ეს მიტკლის გაქათქათებული ბალიში, ხომ უთვალავჯერ არის ხელშენახები ლევანის მიერ! ამ ფიქრში მარიკამ თავისი რბილი და ნაზი თითები კიდევ შეახო სათუთად ბალიშს, ღრმად ჩაისუნთქა, მერე ეყნოსა კიდევ და თითქოს მამაკაცის სპეციფიკური სუნი იგრძნო თავის დანადგებ-

ზე, ვნებათა ღელვას ნება-ნება დაჰყვა. მარტო რომ ყოფილიყო, ალბათ აღარ წამოდგებოდა, მაგრამ შემოიხვევდა ამ სახანს ტანზე და ლევანს სასთუმალთან დაისვენა. მის ძარღვიან თითებს თავის რბილ ხელში მოიქცევდა. მთელის არსებით საყუთარ გულის ჩქროლვას მიეცემოდა. ამ გარძობებმა მარიკას ერთი კვირის წინ მომხდარი ამბავი გაახსენა.

ლევანმა გვიან ღამით სახლამდის მიაცილა, დამშვიდობებისას ხელი მაგრად მოჰხვია წელზე. მარიკამ ლევანის სახის სიახლოვე იგრძნო. სიბნელეში, თითქოს ნელ-ნელა ეპარებოდა მის მხურვალე ტუჩებს. მალე მოხშირებული სუნთქვა ჩაესმა. მერე ორივეს სულ შეეკრათ სუნთქვა. აღარაფერი ახსოვდათ. ლევანმა თმაში შეაპარა თითები, თავი გადაუწია და ტუჩებზე დაეწაფა. ეს მათი პირველი თავშეუყვავებელი კონა და აღერსი იყო. დიან, პირველი, მაგრამ დაუვიწყარი. რა ტკბილია ახლა ამის მოგონება.

კიდევ ბევრ რაიმეს გაიხსენებდა მარიკა, მაგრამ უხერხული იყო ამდენხანს წოლა ვაეის საწოლზე და სწრაფად წამოდგა, თმა შეისწორა, თითქოს ბურანიდან გამოერყვაო, ახლა დაინახა, რომ ელისაბედიც აქ იყო.

— დედა, ჩემი სიკვდილი, ელისაბედ დედა! — თვალეზე ხელი მიიფარა. ფანჯარასთან ზურგშეკცევით მიდგა. გაწითლდა, შერცხვა, ეს რა მომივიდაო. მერე უცებ ხალისიანად შემობრუნდა ელისაბედთან. მივარდა და უნებურად მოეხვია.

* * *

სასტუმრონიში დილაადრიაანად გაისმა ტრაქტორის გუგუნი. ლევან ლეშვაშელს ყველასათვის დაესწრო. მზის ამოსვლას მინდორში შეხვედროდა. სახე წითლად უღაჟღავნებდა. ტრაქტორისტებს გასძახოდა, და ისინიც გულდაგულ ამბრუნებდნენ გაგვალულ მიწას. მართლაც ისე გამაგრებულიყო ნიადაგი, რომ

თეფშებიან ფარცხს მისი ანგრევა ძალიან უჭირდა. რაჟი თეფშს ვერ მოეკიდა პირი, რკინის ფარცხიც ვერაფერს შეელოდა საქმეს. ლევანს ეს მდგომარეობა ძალიან აწუხებდა. არ უნდოდა ტრაქტორის შეჩერება. ვერც იმას შერიგებოდა, რომ ასე ზევით-ზევით ცოცავდა ფარცხი. ამიტომ მძლოლს ანიშნა, შეაჩერეო.

— ბიჭიო! — მიმართა მან ტრაქტორისტს.

— რა იყო ბიძია?

— ჩამოდი, ბიჭიო, ძირს!

ტრაქტორისტი მაშინვე ჩამოხტა მიწაზე.

— აი, ნახე, სულ უძრავი რჩება ნიადაგი.

ბიჭიო წვერამეს მთელს რაიონში ბეჯითი და კარგი მექანიზატორის სახელი ჰქონდა გავარდნილი. ასე გადაფხანძილი ნამუშევარი მას არ მოეწონებოდა. მართლაც გულზე შემოეყარა, როცა უხეიროდ ნაფარცხს შეხედა.

— ბიძია ლევან, სადმე რკინის ორი დიდი ბოძი უნდა მიშოვოთ. ერთს თეფშებს დავადებ, მეორეს—ფარცხს. თუ გინდათ ამ ფართობის კარგად დამუშავება, ასე უნდა მოვიქცეთ!

ლევანი საგონებელში ჩავარდა. ვისთან ეშოვა ამ დილით რკინის ბოძები!

— გამარჯობათ, მეზობლებო! — ჩაესმა მათ აღმასხანის ხმა.

— აღმასხან, შენა ხარ? — თქვა ლევანმა და მისკენ გაეშურა.

აღმასხანმა ლევანის გასაქირი რომ გაიგო, არც დაფიქრებულა. ერთი რამ მყისვე მოაგონდა: სწორედ გუშინ, არისტარხო უჯმაჯურძიძეს მისაბმელი მანქანით მოეტანა სახლში ოთხი უშველებელი რკინის ბოძი, მისი ორსართულიანი სახლის ქვედა აივნის ხის ბოძების შესაცვლელად, მაგრამ ვინ ეტყოდა, ვინ გაუბედავდა მას, რომ ბოძები ლევანისათვის ეთხოვებინა. მტკს კი ბიჭიო ვერ გაუმხელდა, თეფშებზე დასადებათ მინდა რკინიო, თორემ იწყინებოდა დირექტორთან მივარდებოდა და დირექტორი კი... ერთ ამ-

ბავს დააყენებდა, ქვეყანას შეტრავდა, ამხელა რკინის ბოძის თეფშებზე დადების უფლებას ღერძის გატყდომის შიშით არავის მისცემდა.

— ისევ მარცა თუ გვიშველის! — თქვა ლევანმა.

ლევანი სულმოუთქმელად გაიქცა მარიკასთან. მარიკამ დედობილს გაანდო საიდუმლოება. ოღონდ უსაშველოდ შეიცხადა, არისტარხოზ ორივეს გაგვაგდებს სახლიდანო.

— სახლიდან მე თუ გამაგდებს — გამავლავს, შენ მაგაზე ნუ იჯავრებ.

მარიკას დასტურით ლევანმა ორი ბოძი კოლმეურნეობის მანქანას დაუდო და სასტვენიაში მიიტანა.

ბიჭიკომ მოხერხებულად მოაწყო ბოძები — ერთი თეფშებზე ღერძის ზემოთ და მეორე რკინის ფარცხზე. ახლა არათუ სჭრიდა თებშები მიწას, არამედ სულ ფხვნიდა.

სალამომდის ლევანმა ხუთი ჰექტარი დაფარცხა. ბარნაბამ მზის ჩასვლისას მოიყვანა მეორე ტრაქტორი. ლევანმა სასტვენის მარჯვნივ, თხელეს ფშიარების იქით, არისტარხოზს მოჰკრა თვალი. უკმაჯურაძე ფართობისაკენ მოაჩქაროდა. მაგრამ როგორც კი დაინახა ლევანი და ბარნაბა, მაშინვე შედგა. ჰერე შებრუნდა და საღდაც თოფნაკრავივით გაეარდა. თურქე მისთვის ეთქვათ, ლევანი სასტვენიაში არ არისო, ორემ აქეთ არ იხამდა პირს. შინ რომ ძივიდა, მთელი ეზო შემოირბინა, მაგრამ ბოძები ვერსად ნახა. ქალიშვილი უკანა კარიდან გაპარულიყო, ხოლო ოლღას მეზობლისას შეეფარებინა თავი.

მეორე დღეს სალამომდის არ შეწყვეტილა სასტვენიაში ტრაქტორების გუგუნე. მაისის მშვენიერი დღე იწურებოდა. ჩაშავალი მზის სხივები ვარდისფრად ღებავდა ცის დასალიერს. ცხენისწყლის დაბურულ ზეობაში ნისლი იღვა. არზის თავზე მთესველები შეგროვილიყვნენ. სასტვენია სულ გაშავებული ჩანდა. ასე კარგად დამუშავებული არასოდეს არ ყოფილა ეს მი-

წა. ლევანი შინ წასვლას არ აპირებდა. ახლა იგი არაფერს არ ხედავდა. გარდა იმ ზღაპრული სალამომდის ტრაქტორის ასე ლამაზად ეშვებოდა ცხენისწყლის პირას. ბუნების ამ სილამაზეს ალბათ მარიკას აქ ყოფნა უფრო ამშვენებდა. ასე ეჩვენებოდა ლევანს.

ის კიდევ დიღბანს იქნებოდა ბუნების სილალით მოხიბლული, რომ საიდანდაც ბიკენტი ბოგველაძე არ გამოჩენილიყო. ბიკენტის დარცხვენილი სახე ჰქონდა. მომდურავენი რომ იყვნენ, ლევანმა ხალხში მაინც არ აგრძობინა.

— თავმჯდომარეს სალამო! — პირველი მიესალმა ლევანი ბიკენტის.

ბიკენტის გაუკვირდა. აღარ იცოდა, რა ექნა. აქეთ-იქით დაბნეულად იყურებოდა, ლევანს თვალს ვერ უსწორებდა. რაიკომის ბიუროს სხდომის შემდეგ პირველად ნახა ლევანი. კარგად იცოდა, სად იყო მისი ბრიგადირი, რას აკეთებდა, რა დაბრკოლება ელოებოდა, მაგრამ ერთხელაც არ ცდილა წახმარებას.

— როგორ მოგწონს, თავმჯდომარე, ჩვენი ნამუშევარი?

ძნელი იყო იმის მიხვედრა, ლევანი დასცინოდა, თუ მართლა გულით ეკითხებოდა.

— დამწიფება თუ მოასწრო სიმინდმა, მაშინ... — ამოიღვა ენა ბიკენტიმ.

— დამწიფდება და მერე როგორ!

— ჰო, როგორ?

— როგორ და, მზე რომ მალა იყოს, ისე.

— მაგას რაღა აჯობებს! — უღიმამოდ ჩაილაპარაკა ბიკენტი ბოგველაძემ...

*
*

ზაფხულის ცხელი დღია იყო. ვალიკო ბულაძე კაბინეტში იჯდა. უკრაინული ხალათის ღილები შეხსნილი ჰქონდა. გონების თვალთ თითებზე ითვლიდა რაიონის ყველა კოლმეურნეობას, სადაც თბილისიდან ჩამოსული ერთ-ერთი ხელმძღვანელი ამხანაგ

ირაკლი თაბაგარი უნდა წაეყვანა. თაბაგარს უნდოდა, ჯერ ისეთი კოლმეურნეობა ენახა, რომელიც გასულ წელს ჩამორჩენილი იყო. ბულაქემ ის კოლმეურნეობა აირჩია, რომელშიაც ლევანი მუშაობდა.

დილით მანქანა ქარჩხეთის კოლმეურნეობის კანტორის წინ გაჩერდა. ირაკლის ყურადღება იმთავითვე მიიპყრო კოლმეურნეობის გამგეობის ეზომ და კანტორამ. ახლადგაკეთებული კომპარტი მწვანედ შეეღებათ.

კანტორამდე მოსასვლელი გზის მარცხნივ და მარჯვნივ დეკორაციული ბაღი გაეშენებინათ. ბაღში მწვანედ შეღებილი გრძელი სკამები იდგა.

როცა აივანზე ავიდნენ, ლევანი შემოეგებათ. თავმჯდომარე სადღაც წასულიყო, არ ჩანდა. ლევანის გვერდით, თითქოს პატაკს იღებდნენო ჩამწყრივდნენ დანარჩენი ბრიგადირები და სწარმოთა ხელმძღვანელები.

კოლმეურნეობის კანტორის სახლის მშენებლობა კიწი ფლავას სულ ახლახან დაემთავრებინა. ჯერ კიდევ ბურბუშელების, წებოს და საგოზავის სუნი არ გამჭკრალიყო იმ ოთახებიდან.

ვალეკომ თაბაგარს სათითაოდ გააცნო ყველანი. ისაუბრეს, მოითათბირეს, გადაწყდა — ჯერ სიმინდის ყანები, ჩაის პლანტაციები, ვენახები, ციტრუსები და შემდეგ კოლმეურნეობის სწარმოები დაეთვალაიერებინათ.

მთელ რაიონში არავის ჰქონდა ისეთი სიმინდის ყანები, როგორც ლევანს. სიმინდი ისე წასულიყო ცისკენ, რომ ყველაზე მაღალი ტანის კაცი, მეველე ბაგრატ ცერცვაძეც კი არ გამოჩნდებოდა შიგ თავის ცხენზე შემჯდარი. ორ-ორი, სამ-სამი ტარო თითოეულ ძირს მარცხნივ და მარჯვნივ მხრებივით ჰქონდათ გადაწედილი. თუმცა ავჯისტრა იყო, ერთი ძირი ბალახიც კი არა ჩანდა სიმინდებში. ან რა გაახარებდა ბაღასს, როცა ყანები სამჯერ გაეთოხნათ.

— აფხაზეთში, სამეგრელოში, კახეთში და რა ვიცი, კიდევ სად — ერთი

სიტყვით, ყველგან ყოფილენო, მაგრამ ასეთი ყანების მსახველი არა ვარ! — ვერ დამალა თავისი აღტაცება ირაკლი თაბაგარმა.

— ჯერ დაიცათ, — სითამამე შეემატა ვალეკოს. რაც უფრო იქით, ყანების შუაგულისაკენ მიჰყავდა სტუმარი, უკეთესზე უკეთესი სიმინდი ხვდებოდათ.

როცა სასტვენის მიადგნენ, მართლაც საამო სანახობა გადაიშალა თვალწინ. ოც ჰექტარზე გაშლილი სიმინდის ყანა ზღვასავით ღელავდა და შრიალებდა.

ვალეკო ბულაქე გაკვირებული შედგა. სიმინდი ცამდე ავირდნილიყო. ამ სანახობით ბულაქე რომ უფრო დამტკბარიყო, ძირს დაიხარა, ირაკლიმაც მას მიჰბაძა. სიმინდის ყოველი ძირი მეორეს ძმად გაფიცოდა, ერთმანეთის ახლო იდგნენ, ერთმანეთს ზურგს უმაგრებდნენ და თითქოს იმედს ამღევდნენ, რომ ძირს არ დასცეს რომელიმე მათგანი ზენა ქარმაო.

ლემკაშელი დღეში რამდენჯერმე ჩაუვლიდა პირმშოსავით ნასათუთვე ყანას. ერთი თავიდან მეორეში გადადიოდა, ტაროებს ხელს ნახად შეავლებდა და თუმცა ახლომახლო არავინ ეგულებოდა, მაინც ალტაცებით შესძახებდა ხოლმე: მშებო, ტვერია ჩვენი ყანები, ტვერიო!

ახლაც უნდოდა ასე დაეყვირა, მაგრამ თაბაგარის მოერიდა. მერე აღმასხანს შეავლო თვალი, მოხუცი მშვიდი სიხარულით გასცქეროდა დატარებულ ყანებს, თან თითებზე რალაცას ითვლიდა, ალბათ თვითული ჰექტარის მოსავალს გონებაში ანგარიშობდა.

ვალეკო ბულაქეს ბევრჯერ მოახსენეს ინსტრუქტორებმა, სასტვენიაში ლევანს გასაოცარი სიმინდი აქვსო. მდივანს კი ამ ყანის ნახვა ერთხელაც ვერ მოეხერხებინა. იქნებ იმიტომ, რომ სწორედ ამ სასტვენის გამო დასაჯა ლემკაშელი, შეიძლება დროც არ ჰქონდა მდივანს, ან შეიძლება რცხვენოდა კიდევ. ახლა რომ ასე გატაცებით გაჰ-

ყურებდა მოლაღნე ყანას, უთუოდ სინდისი ჭენჯნიდა. მის ყურში ზარით რეკდა ლევან ლეშაშელის მტკიცე ხმა: „არა, არ დაეკეტავ ლანქერსო!“. მდივანს ბიკენტი ბოგველაძის გამოხვლაც მოაგონდა. ირგვლივ მიიხედ-მიიხედა. ბოგველაძე არ ჩანდა, მერე ლევან ლეშაშელს გადახედა. ლევანი თავჩაღუნული იდგა, ტაროს მარცვალს უსინჯავდა.

— ლევან, მართლა კი ყოფილხარ ქების ღირსი!

— ჯერ მოსავალი სასიმინდეში არ ჩავეყრია! — მიუგო ლევანმა.

ვალეკომ თაბაგარს გზადაგზა უამბო ზოგი რამ შლამის, ნაკელისა და სასუ-ქების გამოყენების შესახებ. ლევანი კი ისე უხმოდ და ჩუმად მიჰყევბოდა, თითქოს თვითონ აქ არაფერ შეაშიათ.

ჩათავდა სიმინდის ყანები. სხვა ფართობებში ჩაის გახურებული კრეფა იყო. აქ უკვე ქალების სიმღერები გაი-სმა. მდინარის ჩანჩქერები, მკრეფავე-ბის წკრიალა ხმებს მოძახილს ეღუნე-ზოდნენ და დასაველეთისაყენ მიჩხრია-ლებდნენ.

ყველანი მკრეფავებთან მივიდნენ. ქალები კრეფას ამთავრებდნენ. ბიკები და გოგოები ვერ უთავდებოდნენ ჩაის დუყებით სავსე გოდრების მიტანას საბარგო მანქანებამდე.

თაბაგარმა ვალეკოსაყენ მიიხედა. ვალეკომ რალაც უთხრა და ორივენი ლევან ლეშაშელთან მივიდნენ. ირაკ-ლიმ ლევანს მადლობა გამოუცხადა. ლევანმა მას პირველ რიგში აღმასხანი წარუდგინა, შემდეგ ეგნატე მეშველი-ანი, გერასიმე ბარაბაძე, მარია კეთი-ლაძე და სხვები, ბოლოს მიმართა:

— აი, პატრიკემოლო ამხანაგო, ესე-ნი გახლავთ დიდი მოსავლის ოსტატე-ბი.

სტუმარი სათითაოდ მიესალმა კოლ-მეურნეებს.

შემდეგ ცხენისწყლის პირას დიდ კოდმეზე ჩამოსხდნენ. სამხრეთის, აღ-მოსავლეთისა და ჩრდილოეთის მხრი-დან სიმინდის ყანები და ჩაის პლან-

ტაციები ერთყათ. დასაველეთიდან ცხე-ნისწყლის ქალები გრილზე გრილნი-ეს ძვირფასი საჩუქარევეთ უმჯობედა მკრეფავეებს. კოდმის ძირიდან ბიკებს წყაროს ცივი წყალი დოქებით ამო-ქონდათ. სვამდნენ, გულს იგრილებ-დნენ, თან სიამოვნებით გაჰყურებდნენ ცხენისწყლის ხეობას, მდინარეში ჩა-ჯოგრილ ტიფებს, თეთრი ქვებით მიმო-ფენილ რიყეს, წყალთაშუა საბალახო-ებს და თხმელის ფშიარებს, რომლებ-საც სოფლის ნახირი გაგანია სიცხეში მწყემსებთან ერთად თავს აფარებდა.

შალე ბიკებმა ღამის სათვე კარავში ჩაფერფლილი ცეცხლი გააჩაღეს. მა-რიკამ და ბარნაბამ ახლადმოტეხილი ჭყინტი სიმინდის ტაროები და კვახები მოუფიცხეს. ცხელ-ცხელი სიმინდები და შემწვარი კვახები მოლზე დააწყეს და თაბაგარი მიიპატოეს. ყველა სუფ-რას მიუხსდა. ამ დროს გერასიმე ბა-რაბაძემ მათ წინ გოგარის ფოთლებით მოფენილ ბალახზე არაყი, კაკალი, პუ-რი, ყველი, ქაღი, მშრალი ხორცი, მწვანილი და ღვინო ამოალაგა გორი-ციდან.

— ეს უთუოდ ლევანის ეშმაკობა იქნება, — ღომილით უთხრა ირაკლიმ რაიკომის მდივანს.

ლევანმა, მოჰკრა თუ არა ყური ამ ლაპარაკს, გაიციან:

— მე უფრო ბარაქიანი ეშმაკობა ვიცი... — ქარაგმულად წარმოთქვა ლევანმა.

— დამცინი, ბრიგადირო? — მიმარ-თა გერასიმემ ლეშაშელს.

— არა, არა, დიდებული სუფრაა. აქ ყველაფერს კარგი გემო აქვს! — ხმა-მალა წარმოთქვა სტუმარმა. მერე ჰქია აილო, მასპინძლები დალოცა და წასასვლელად გაემზადა.

• •
•

მთელ რაიონში ლევან ლეშაშელის სახელი დიდსა და პატარას, ქალსა და კაცს პირზე ეყრა. სადაც კი შეხედ-ბოდნენ, მშობელს ულოცავდნენ.

ლევანი თითოთ საჩვენებელი გახდა. ყველას თავის საყვარელ ადამიანად მიაჩნდა. ისეთი დღე არ გათენდებოდა, რაიონის სხვა კოლმეურნეობათა დელეგაციებს არ დაეთვალეირებინათ მისი ზღვასავით მომდგარი ყანები, არ გაცნობოდნენ მის მუშაობას.

ერთხელ, გვიან ღამით, ლევანმა მარიკა სახლამდის შეიცილა. მარიკამ სიკოცხლეში პირველად დაინახა სინათლე არისტარხოს სარდაფის ოთახში. შიგ ის და კიკილია იყვნენ. გარეთ ვიღაც უდღიდა. კიკილიამ სიმიწინდით სავსე ტომარა გამოიტანა. არისტარხომ კი თოკით გატენილი დიდი ყუთი.

ლევანი და მარიკა სიბნელეში გაიტრუნენ. კიკილიამ აქეთ-იქით მიიხედო მოიხედა. მერე არისტარხოს უთხრა:

— ჩვენს ნაკვეთზე სიმიწინდი მოსატეხია. ისე როგორ მოვტეხოთ, რომ არავინ გაგვიგოს?

— შე სულელო, ვინ გაგვიგებს, ღამით გადმოვიტანთ თავის ძირიანად. ამას გარდა, ვის რა ხელი აქვს. ნაკვეთი გაფორმებული გვაქვს მიწვანსა და კოლმეურნეობაში, — გაამხნევა არისტარხომ შემინებული კიკილია.

მარიკამ ფეხაკრეფით აირბინა აივანი. ოთახში შეიპარა. მისი შესვლა ფხიზელ ოღლასაც არ გაუგია. ძალიან შიოდა, მაგრამ უეხამოდ ჩაწვა ლოვინში. ცოტახნის შემდეგ წინა ოთახში კიკილია და არისტარხო ამოვიდნენ. სანამ კიკილია არ წაეიდა, მარიკას არ ჩასძინებია.

ლევანი იმ ღამეს ეკვებმა არ მოასვენა. მერე დღეს გამგებობას დაადგინა, რომ დაუყოვნებლივ აეზომა მიწები. აზომების შედეგად არისტარხოს ხუთი ჰექტარით მეტი ფართობი აღმოაჩნდა.

ლევანმა გამგებობის სხლომაზე დამნაშავე ამხილა და მითვისებული ხუთი ჰექტარი ბრიგადირს ფართობში შეატანინა.

— მიწების გაცემა ჩვენ არ გვუხდება. ამის შესახებ რაიონის სამიწათმომქმედლო განყოფილების გამგანს, ~~სამიწათმომქმედლო~~ ბენდელიანის ნებართვა არსებობს! — იმართლა თავი თავმჯდომარემ. — მერა მექნა, მიწვანის დადგენილებას ვერ აღვეუდგებოდი.

— ძალის თავიცი მანდ არის დამართული! — აუწია ხმას ლევანმა.

— ჰაიტ, შე გლახის შეილო, შენ, როგორ ბედავ მთავრობის კაცის დამუშაებას! — იღრიალა კიკილიამ და ლევანისკენ გაიწია.

ლევან ლეშაშელს წარბიცი არ შეუხრია. მერე დღეს ცხენს მოაჯდა და პლატონ გოფოქესთან ერთად სვანეთში წაეიდა. კოლმეურნეებს მთავრობისგან გამოყოფილი ტყე მოეჭრა. მორები ცხენისწყლამდის ჩამოეტანათ.

ლევანი მუშებს, მეტივეებს, დამცურებლებს და კეტითა და ხარ-კამეჩით მომუშაეებს ერთი წუთითაც არ მოშორებია.

მალე მორები, ცოტაოდენი დანაკლისის გარდა, რომელიც წყლის ჩქარმა მდინარებამ ღამით გაიტაცა დასავლეთისაკენ, მათი სოფლის პირდაპირ რიყეზე იყო მიმოფანტული.

ლევანმა კიწი ფილავს, როგორც ხელოსანთა ბრიგადირს, საბავშვო ბაგის, ბოსლის, საწყობის და კოლმეურნეთა სახლების ასაშენებელი მასალის ზომაზე დახერხისათვის თვალყურის დევნება მიანდო, ხოლო თვითონ კასპის ცემენტის ქარხანაში გაემგზავრა — მთავრობის მიერ გამოყოფილი ცემენტის მისაღებად.

— აბა, შენ იცი, ლუკა, ვაგონებს არ მოცილდე. ჩიხში არ შეაგდონ სადამდატრიალდი შენებურად. მე კი წაელო, ხომ იცი, ახლა ათასი საქმეა. საქონელი ჩამოსარეკია მთიდან და სიმიწინდი მოსატეხი! — უთხრა მასთან მყოფ ლუკას.

ლევანი სოფელში დაბრუნდა თუ

არა, ასხის მთაზე მათე ფარცვანიასკენ გაემურა ფერმებში, საქონლის ჩამოსარეკად.

ამასობაში მოსავლის აღების დროც დადგა. ლევანმა კოლმეურნეები, როგორც ომის დროს ქედზე კაცი, ყანებს შეუსია სიმინდის სატეხად.



ისეთი ძლიერი ზენა ქარი ამოვარდა იმ ღამით ქარჩხეთში, რომ ოღა სახლები საცოდავად აპრიილა, აკვანივით დაარწია, კაკლისა და ცაცხვის ვეება ხეთა ტოტებს ლაწანი გააღენინა. სახურავეებიდან აგლეჯილი ფიქვის ყავრები ფრთაგაშლილი ძერებევით აფარფატდნენ სივრცეში.

მთელი სოფელი ფეხზე დადგა. ზოგი ჩალის ზეინებზე კუნძებს სდებდა, ზოგიც სახლის სახურავეზე აცოცებულყო და ძელებით კრამიტსა თუ ყავარს ამავრებდა. ქარი არ ცხრებოდა, როგორც კი მძლავრად დაუბერავდა, კუნძები და ძელები ტრიალ-ტრიალით მიწაზე ცვიოდა.

ძილგამფრთხალ დედებს აკვნებიდან ბავშვები ამოეყვანათ, თბილად შეეფუთნათ, გულში ჩაეკრათ და ოთახებში აქეთ-იქით დაატარებდნენ. ქარის შემადრწუნებელ ზმუილს, ხმელი ტოტების მტრევეასა და სარეცხის საშრობად გაბმულ მავთულების ზეზუნს, ძაღლების ყმუილი, ყუფა და ლეკვების წყავეწკვი შეერთებოდა. ეს გამაყრუებელი ხმაური იქაერთობას იკლებდა.

როცა ქარჩხეთში ასეთი ქარი მძვინვარებდა, სწორედ მაშინ სოფლის თავში, აჯერ კვამლი ავარდა და შემდეგ ცეცხლის ენამ მთელი მიდამო გადაიანათა და ჩაუკუნებულ ზეცას თავი მიაბჯინა.

სადაც ცივმა კვილიმა სივრცე გააკეთა. სადაც თოფმაც იჭრხა და მერე ამ ღრიანცელს ადამიანების ძახილიც მოჰყვა.

— ხალხო, ცეცხლია, ცეცხლი!

— დაიწვიით!

— დაეღუპენით!

ამ შიშნარევე დაძახილსთანავე შარავნა ხალხით გაივსო და მერე იქითყენ დიძრა, სადაც ცეცხლი გიზგიზებდა.

— ხე-ტყის ქარხანა იწვის — გაისმა მა ბარნაბა კინწურაშვილის შეშფოთებული ხმა.

— რას ამბობ კაცო?! — თავში ხელი იტაცა ეგნატე მეშველიანმა.

— აბა, სოფლის ბოლოში სხვა რა უნდა იყოს! — იყვირა ბარნაბამ და სიბნელეში გაქრა. ეგნატე ფეხდაფეხ მიჰყვა.

— ბიკენტი, ბიკენტი! — დაიყვირა ვილაც ამმახმა.

ბიკენტი მთელი ტანით შემობრუნდა ამ კაცისაკენ.

— შენ ხარ კიკილია?

— მე ვარ, ბიკენტი, მე.

— ბიკო, რა ამბავია ნეტავი?

— რაღა რა ამბავია, ხომ ხედავ ქარხანა იწვის, ქარხანა. — კიკილია თითქო ერთ წამს, რაღაც უნდა გადაწყვიტოსო, შეჩერდა, სული მოითქვა და ხმასაც დაუწია.

— აბა, რა გეგონა სადავეები რომ მიუშვი. ლევან ლეშქაშელი განა კარგ რამეს იხამდა? რა იცის მან ქარხნის გაძლოლის, გამგეობის სხდომაზე ქარხნის მშენებლობას რომ მიამაგრე? ჩვენი ავლადიღება შიგ ჩაგვყარევიანა და ახლა დაჯექი და ითბე ხელეში შორიდან, უყურე, თუ როგორ ინატრება და იფერფლება ჩვენი ნაამაგარი და ნაოფლარი თვითონ კი... თვითონ ალბათ იმ გამბეწოსთან გდია ახლაც.

— ადამიანო, რა დროს მაგაზე ლაპარაკია, გამოიქეცი, ეუშველოთ, თორემ ქარხანა თუ დაიწვა, არც მე დამადგება კაი დღე!

— მე კი გამოვიქეცი, მაგრამ...

უცებ კიკილია შედგა. სული მოითქვა. სიბნელიდან გამოსულ ორ ლანდს მიამტრდა. მერე გიჟივით იღრიალა:

— ხომ გითხარი, იმ თხა ვოგოსთან იქნება-მეთქი. ეე, დაინახე, დაინახე, ლევანი და მარია როგორ წყვილად

გარბიან? — ამ სიტყვებზე კიკილიამ თვალები გადმოკარკლა.

არც მარიკასა და არც ლევანს ისინი არ დაუნახავთ. და არც იმათის ნათქვამისათვის მოუტრავთ ყური. ან როგორღა უნდა გაეგონათ, როცა ორივენი ქარზე უსწრავდესად გარბოდნენ ხანძრისკენ.

ცეცხლი ახლადამთავრებულ ხეტის სახერხი ქარხნის ავეჯეულობის საამქროს გასწვრივ.

რამდენადაც ქარი ძლიერდებოდა, ამდენად უფრო სახიფათო ხდებოდა ხანძარი.

ლევანმა დაინახა, თუ როგორ უწესრიგოდ მოქმედებდნენ საშველად მოსული კოლმეურნეები. არ იცოდა, რა ექნა, როგორ დაერაზმა ხალხი ისე, რომ წესრიგი დაემყარებინა და გონივრულად ემოქმედა ხანძრის წინააღმდეგ კაცსა და ქალს. ამ ფიქრში რომ იყო, სწორედ ამ დროს რაიონის სახანძრო რაზმი მოგრიალდა. ღელის გუბესთან სასწრაფოდ ტუმბო დადგეს. რეზინის უშველებელი მილები მეხანძრეებმა სირბილით მიიტანეს აღმოდებულ ქარხნამდე და წყლის მძლავრი ნაკადი ხანძარს მიუვდეს.

ცეცხლი მატულობდა, იზრდებოდა და დიდდებოდა. ამ სურათის შემყურე ლევანი ქარხნის კანტორის კარებს ეცა. შეამტვრია და ტელეფონით ქუთაისისა და სამტრედიის სახანძრო რაზმები გამოიწვია.

— ხალხო, მიშველეთ. ცეცხლი სხვა საამქროებში არ შეიჭრეს, თორემ დავიღუპებით! — გაყვიროდა ლევანი და ბრეზენტის მიღს ხელში უფრო მძლავრად ბღუჯადა. გუბიდან ამოქაჩული წყალი საამქროს კედლებს შადრევანით დასჩქეფდა.

პლატონ გოფოძემ ასამდე კაცი მიუსია ავეჯეულობის საამქროს. ანკრევდნენ იმ გამყოფ კედელს, საიდანაც სახერხი საამქრო და სამანქანო განყოფილება იწყებოდა.

ბარნაბა კინწურაშვილი რამდენიმე

დარჩეული ბიჭით დახერხილი მასალის საწყობს დასტრიალებდა.

ამ საერთო ორომტრიალში აღმასხანის მიღეული ხმაც გაიწმინდა: „არაქათ, მეზობლებო, კეთილებო, არ დავიწვათ, არ დავიწვათ, ყოჩაღად, სწრაფად!“.

კიწი ფაღავას ხშირი წარბები და წამწამები ისე შეტრუსოდა, რომ ველარავინ სცნობდა, ამიტომ იყო ალბათ, რომ აღმასხანს, რომლის ცხვირწინ კიწი ვეფხვივით ტრიალებდა, ველარ ეცნო იგი.

არც ბიკენტი იღვა უქმად. დამფრთხალი და დაწითლებული თვალებით ხან ერთ კედელს ასკდებოდა და ხან მეორეს.

— დავიღუპეთ, ნამღვილად დავიღუპეთ, ძმებო, — გაიძახოდა ბოგველაძე.

ლევანს კარგად ესმოდა ეს ხმა, მაგრამ ვერც სცნობდა ვისი იყო ის. გულში ცეცხლი უგვიზგივებდა, ბრაზი მოსდიოდა, რა დროს დაბნეულობა და შიშით. თან ერთი წუთითაც არ უშვებდა ხელიდან რეზინის მიღს. რადგან სამანქანო განყოფილება, სახერხი საამქრო და დახერხილი მასალის საწყობი ქარხნის აღმოსავლეთით მდებარეობდა, ზენა ქარი კი აღმოსავლეთიდან დასავლეთისაკენ აღვივებდა ხანძარს, ლევანს იმედი მიეცა, რომ ცეცხლი ამ საამქროებს არ გაუჩნდებოდა. სამაგიეროდ, დასავლეთით ყველაფერი ცეცხლის ალში იყო გახეული. ცეცხლი სოთლისთვისაც საშიში გახდა. ქარი ნაპერწკლებს აყრიდა პირველი მისახლის ეზოს დიკრულ ღობეს, რომელიც ქარხანასთან სულ ახლოს იყო.

ზენა ქარი თანდათან მძლავრობდა. გააფთრებულ სტიქიას ნაკვერჩხლები და მოგუზლები სულ მაღლა და მაღლა აპქონდა.

ქარმა კიდევ დაუბერა საშინლად. ახლა კი არა მარტო ნაკვერჩხლები, არამედ მოგრო, ანთებული თიკრები ჩაცვივდნენ მჭიდროდ დასახლებულ

ქარჩხეთში. ერთი აღმოდებული დიდი ნაქვერჩხალი ციდან მოწყვეტილი კუდიანი ვარსკვლავით ჩაეარდა მახლობელი მოსახლის ეზოში და გაფიცებულ ყავრის სახურავს დაეცა. დანაცემზე კვამლი გაჩნდა. ცეცხლმოდებული ხის მეორე ნაგლეჯი ჩალის ზეინზე დაგორდა და ზეინი ცეცხლის აღში გაეხვია.

— სოფელს ვეშველოთ, სოფელს! — იკივლა მარია კეთილამემ.

ამ შემზარავ დამახინზე ხალხი უფრო შეშფოთდა, აირია და სოფლის გადაწვის შიშით ახლა უმრავლესობამ სოფლისკენ იბრუნა პირი. ზოგიერთებმა თავთავიანთ სახლებს მიაშურეს. ზოგმა სახურავს დაუდარაჯა და წყლით სავსე ვედროები მოიშარჯვა. ზოგიც კიდევ ზეინის თავს მოექცა.

ავეჯუღოების საამქროსთან მიინც საქმოდ დარჩნენ. ახლა უფრო ნათლად მოჩანდა ლევან ლეშკაშელის ნახშირით შემურული სახე. იგი სულ დასველებულიყო, ხალათის მარჯვენა სახელური შეტრუსოდა. ჩექმაში ჩატანებული შარვალი ზედ მუხლთან გადახეთქოდა. წვივი რალაცას გაეკაწრა და სისხლი სდიოდა. ჩექმის ყელს ასველებდა. მაგრამ ცეცხლზე უფრო გამძინეარებული ამას ყურადღებას როდი აქცევდა.

— შეხედეთ, რავა თავგანწირვით ებრძვის ცეცხლს, — დასისინებდა ხალხში კიკილია. — მაგის გაჩენილია ცეცხლი და იმიტომ ძვრება ტყავიდან... ეგ და მარია იყვნენ წუხელ სკამების საამქროში, ქორწილისათვის სკამებს ირჩევდნენ. მაგ ვაებატონს პაპიროსი გამოუღებლად პირში აქვს გარკობილი, თუ გამოიღო, სად დადებს არასოდეს არ იცის. მაგან ააშენა ქარხანა და მაგანვე დაწვა.

მეზობელი რაიონების სახანძრო რაზმები იგვიანებდნენ. უცებ ლევანის გვერდით რალაცამ საშინლად იგრიალა. საამქროს მარცხენა კედელი ჩაიწვა, ჩაივარდა და ლევანიც შიგ მოიყოლა, მაგრამ ეს არავის შეუნიშნავს. იმ აღ-

გილას კვამლი ურჩხულივით შეად დაიგრაგნა და მერე ცაში აეაოდა. ნაპერწყლები ირგვლივ მიმოიფარებოდა; ქარმა ეს ნაპერწყლები სახურავი საამქროსაკენ გადაისროლა. ახლა კი ნამდვილად საბედისწერო წუთები დადგა. იმ იყო დიდი ზერხის ქვეშ, სარდაფში, მთასავით შეზინულ ნახერხს უნდა გასჩენოდა ცეცხლი, რომ ქუთათისიდან მოსული სახანძრო რაზმის მანქანა ყურისწამლები კვილით ქარხნის ეზოში შემოგრიალდა. სანამ მეხანძრეები ცეცხლს შეუტრევდნენ, რაიკომის მდივანიც აქ გაჩნდა.

ბიკენტი ბოგველაქემ ვალიკო ბულაძეს მოკრა თვალი. მაშინვე მასთან მივარდა, წაილულულა: მე უდანაშაულო ვარ, ამ ცეცხლის არაფერი ვიციო, ბულაძეს მისთვის სამაგიერო არა უთქვამს რა, რადგან ამ დროს მეზობელი რაიონის სახანძრო რაზმი მოვიდა და წყლის მძლავრი ნაკადი დაუშინა ხანძარს.

გათენებას არაფერი უკლდა, როცა ხანძარი თითქმის ჩაქრა. უკვე საშიში აღარ იყო. ჯერ ვერც ვალიკო ბულაძეს და ვერც ვერავის ეკითხა ცეცხლის გაჩენის მიზეზი. ყველანი ჭირისუფლად გარდაცვალებულივით თავჩაღუნულნი დასცქეროდნენ, თუ როგორ იფერფლებოდა საამქროს მოწყობილობა. დაზგები წითლად ვარცარებდნენ.

განთიადისას ცეცხლი საგრძნობლად შენელდა. დალილ - დაქანცულმა, დასველებულმა და აქა-იქ ტანისამოს დამწვარამა ვალიკო ბულაძემ ლევანს ლეშკაშელი მხოლოდ ახლა მოიკითხა.

ხალხი აქეთ ეცა, იქით ეცა, მაგრამ ლევანი არსად ჩანდა. კედელი რომ ჩაიქცა, მხოლოდ კიკილიამ შეასწრო თვალი, რომ ლევანი ცეცხლში მოჰყვა, მაგრამ ეს არავის უთხრა. სიხარული-საგან აღარ იყო კაცი, იქნებ დაიწვებ და დავისვენოთო.

ლევანი და მარია მართლაც იყვნენ გვიანობამდე სკამების საამქროში, მაგრამ იმიტომ კი არა, რომ ქორწილისათვის სკამები ამოვარჩიათ, ქარხანას ახა-

ლი სკამის მოდელი ჰქონდა დაკვეთილი მხატვრისათვის, ამ მოდელის გეგმა მიეღოთ და ლევანმა მარიკაც წაიყვანა, რათა მოდელის რამდენიმე ცალში ერთი საუკეთესო შეერჩიათ. ქალის გემოვნება მაინც სხვააო, ფიქრობდა ლევანი.

კიკილია კანტორიდან ბრუნდებოდა, რომ საამქროს საარქმელში ლამფის შუქით განათებული ლევანის და მარიკას სახე დაინახა, მათ თავები ერთმანეთისათვის ახლო მიეტანათ და, მაგიდაზე დახრილნი, მოდელს დასცქეროდნენ. ეჭვით გაბოროტებულ კიკილიას კი ისე მოეჩვენა, ერთმანეთს კოცნიანო. ეს ხალხში არა თქვა, იმიტომ რომ მარიკას სახელის გატეხა არ უნდოდა, მაინც იმედი ჰქონდა ბოროტი გზით მისი შერთვის და იმიტომ მოიგონა, სკამებს არჩევდნენო.

საამქროს უფროსი, მარიკა და ლევანი ქარხნიდან ერთად გამოვიდნენ და კარგა მანძილზე დაშორდნენ ქარხანას, კიკილიამ ერთი საარქმელი შეამტკრია და ანთებული პაპიროსი შეაგდო იმ ოთახში, სადაც მარიკა და ლევანი იყო. შემდეგ აქეთ-იქით მიმოიხედა და თავქუდმოგლეჯილი მოუსვა.

ახლა ლევანი რომ ვერ იპოვეს, რაიკომის მდივანთან მიიჭრა და უთხრა ის, რასაც წელან ხალხში სისინებდა: წუხელ ჩემი თვალით ვნახე ის და მარიკა, უკანასკნელი რომ გამოვიდნენ ქარხნიდანო, ამის შემდეგ ერთი საათი არ იქნებოდა გასული, რომ ცეცხლი შევნიშნეო.

— მისი დამწვარია, ბატონო, მთელმა სოფელმა იცის, რომ ლევანი დღე-ღამეში ორ კოლოფ პაპიროსს წევს, ერთი არ აქვს მოწეული, რომ მეორეს უყიდებს და პირში იღებს. ნამწვავი გაუქარდებოდა საამქროში, სწორედ იმ საამქროში გაჩნდა პირველად ცეცხლი.

— ვინ იყვნენ კიდევ ლევანთან და მარიკასთან? — ჰკითხა დაფიქრებულმა მდივანმა კიკილიას.

— საამქროს უფროსი, მაგრამ ის პაპიროსს არ ეწევა.

— ვერ ნახეთ ლევანი? — იკითხა ალექსებო მდივანმა და მის გარშემო შეყრილებს გადახედა.

— ვერც ნახავთ აწი ლევანს. ამოდენა ქარხანა დაწვა და აქ გაჩერდებოდა. სულელი ხომ არ არის. თქვენ რომ აპატიოთ, ხალხი არ აპატიებს ასეთ ზარალს.

ვალიკო ბულაძეს კიკილიას სიტყვებში საწამლაივით ეწვეთებოდა ყურში. „არა, ლევანი არ გაიქცეოდა. თუ მისი მიზეზით დაიწვა ქარხანა, იმდენი ვაეკაცობა აქვს, რომ პასუხისმგებლობას არ შეუშინდებოდა“.

ბიკენტი მდივანის წინ იღვა და ძალივით შეჰყურებდა შეშინებულს.

— გაიქცეოდა ვითომ, ლევანი? — ჰკითხა უცებ ვალიკომ და დააკვირდა კოლმეურნეობის თავჯდომარის ფერწასულ სახეს.

— რა მოგახსენოთ... არსად არაა და სხვა რა უნდა იფიქრო კაცმა, — ფარული სიხარულით მიუგო ბიკენტომ.

— თქვენ რას ფიქრობთ, ამხანაგებო? — მიმართა მის გარშემო შეყრილ კოლმეურნეებს მდივანმა. სხვებს კიკილიამ დაასწრო პასუხი.

— მაგას ფიქრი კი არ უნდა, ამხანაგო მდივანო... დაჭერა უნდა გაქცეულ კაცს. მღვეარი უნდა.

— დაჭერა შენ გინდა, შე ავაზაკო! იყვირა უცებ ვილაკამ ხალხში და წრე გაარღვია. იგი ბარანაბა კინწურა-შვილი იყო. ბარანაბა მდივანის წინ შედგა. სულს ძლივს იბრუნებდა მღვეარებისაგან.

— ამ კაცს არაფერი დაუჯეროთ, ამხანაგო ვალიკო. მაგას თავისი ანგარიშები აქვს, ლევანთან... მოპარული მიწა აღმოუჩინა ბრიგადაში.

— სახლში წავიღე მე ის მიწა, შე სალახანავ? — იტყუა კიკილიამ და განაგრძო — ბრიგადაში აღმომაჩნდა მეტი მიწა, ეზოში ხომ არა. იმ მიწის მოსავალს ბრიგადა დაიწერდა, კიკილია ხომ არა. ხელს აფარებ ლევანს, შენი ამხანაგი რომ არის, იმიტომ.

რაიკომის მდივანი გრძნობდა, რომ

კიკილია კარგი სული არ იყო. მიწის მოპარვის ამბავი მას შეტყობილი ჰქონდა, მაგრამ თუ ეს კაცი იყო კიკილია, არ იცოდა.

თავზარდაცემული მარია იქვე, მდივნის უკან იდგა ხალხში. მის გულში ორმაგი უბედურება ტრიალებდა: ერთი ის რომ ლევანის შესახებ არაფერი იცოდა, მართლა რა იქნა, სად უნდა წასულიყო. მეორე ის რომ ლევანთან ერთად მასაც ედებოდა ბრალი ქარხნის დაწვეაში.

— გასაქცევი ლევანს არაფერი ჰქონდა, — დაარღვია დემილი მკვდელმა ოქრუამ. — თუ რომ პაპიროსის ნამწვეთ გაუჩნდა ცეცხლი ქარხანას ეს ხომ ბოროტი განზრახვა არ არის...

— ხალხო, იქნებ ცეცხლში დაიწვა ის კაცი, — იყვირა უცებ აქამდე გაჩუმებულმა გერასიმემ. — ჩვენ კი აქ გულდამწვდებით ვლახარაკობთ. ლევანი რომ არ მოვარდნილიყო პირველი და იმას არ გამოეღო ხელი ახლა მთელი ქარხანა დამწვარი იქნებოდა...

გერასიმეს სიტყვა დამთავრებული არ ჰქონდა, რომ ხალხმა იხუვლა და ქარხანისკენ გაიქცა, მაგრამ იქიდან ოთხ ვაგს ნაბაღზე დაწვენილი, გულწასული ლეშაშელი მოყავდათ. თმა შეტრუსული ჰქონდა, ხალათი დამწვარი.

— ჩქარა საავადმყოფოში, — დაიძახა მდივანმა და მანქანისკენ გაუძღვა იმ ოთხ ვაგს, რომლებსაც ლევანი მოჰყავდათ...

მარია დაბნეული, თავზარდაცემული იდგა, სანამ მანქანა არ დაიძრა და ეზოდან არ გავიდა. მერე შემობრუნდა და კიკილიას დაუწყო ძებნა, რომ ყელში სცემოდა, მაგრამ კიკილია თვალსა და ხელს შუა გამქარალიყო.

ხალხში მისი გინება და ლანძღვა ისმოდა, რა მოუგონა იმ გათახსირებულმაო, იძახოდა ქალი და კაცი. კაცმა თავი დაღო ქარხნისათვის, თურმე ცეცხლში დებულა გულშემოყრილი და ის კი გაიქცაო, ცილს სწამებდა.

არ ახსოვს მარიკას, როგორ გავიდნენ ეზოდან. ჰქონდათ შეგროვილი ხალ-

ხის ლაპარაკი კანტი-კუნტად ესმოდა.

— მსუბუქადაა დაშველებული.

— მხარი უნდა ჰქონდეს ნალრძობი.

— რანაირად გადაურჩა იმ ცეცხლის მორევს!

— მოდი და თქვი ახლა, ბედი არ არისო.

მარიკამ რაღაც გაიგო, ლევანი მძიმედ არ იყო დაშვეებული, მაშინვე ელისაბედისკენ გაემურა. ეშინოდა ვინმეს გაზვიადებულად არ მიეტანა ლევანის ამბავი.

შეშინებული ელისაბედი აივანზე იჯდა, თავი მაგიდაზე ჩამოედო და დაბალი ხმით მოთქვამდა:

— ვაიმე, შვილო ლევან... ეს რა დღე გამოთენდა, მე უბედურს. მიწის საკმელი მუხლები არ მერჩის... წამოყვანეთ ჩემს შვილთან! სიმართლე მითხარით, რა მჭირს! რა დაემართა ჩემს ლევანს!

— ბიოლა ელისაბედ, ღმერთო მომკალი, სატირალი რა გჭირს, ღმერთმა დაგვიფაროს, — შესძახა მარიკამ და კიბე ამოიბრინა. — ლევანს რომ რაიმე უჭირდეს, როგორ მივატოვებდი! — მივიდა ელისაბედთან, გვერდით დაუჯდა, ხელი მოხვია. — მხარი აქვს ცოტა ნალრძობი. მე შენთან გამოგზავნა, დედას მიხედე, არ შეშინდესო.

— ენაცვალოს დედა, ხომ არაფერს მიმაღაე, გოგო, ხომ შენი თვალით ნახე ლევანი.

— როგორ არ ენახე... საავადმყოფოში წასაყვანი არაფერი ჰქონდა, მაგრამ ვალიყო ბულაქმ არ დაიჯერა. ხომ იცი მისი ამბავი, როგორ უყვარს ლევანი.

— ყველას უყვარს ჩემი ლევანი, ენაცვალოს დედამისი, — ელისაბედი დამწვიდდა, თავსაფრით ცრემლი მოიწმინდა. — რას ამბობენ, რამ გაუჩინაო ცეცხლი ქარხანას?

მარია გაფითრდა. დაბნეულობა დაეტყო. ელისაბედმა კიდევ გაუმეორა:

— ჰო, რას ამბობენ, არაფერი გავიგონია?

— ბიოლა, რა უნდა თქვან, დაიწვა და ისაა...

— დაიწვა! ეგ აგრეა. შენ ის მითხარი, ცეცხლი ვინ წაუქიდა?

— რა ვიცი, ბიოლა, ასე მალე მაგას ვინ გამოარკვევდა!

— რალა მაინდამინც იმ ქარში გაუჩნდა ცეცხლი! — დარდიანად ჩაილაპარაკა ელისაბედმა და ძვლივძლიობით შევიდა სახლში მარიკას დახმარებით.

— დაჯექი, შეილო, — უთხრა მარიკას. — ვახშამს გავიშლი. უკმელი იქნები. ელისაბედი მეორე ოთახში წაფათურდა. მარიკას არ გაუგონია, რა უთხრა ელისაბედმა. დარდათ და ფიქრით იყო გაბრუნებული.

„მეც უნდა გავყოლოდი საკადმყოფოში, როგორ მომითმინა გულმა და შევიკავე თავი. ასე რომ არ მექნა, ხალხის ყბად ასაღები გაეხდებოდი. საქორწილოდ სკამებს ირჩევდნენო, ლევანმა დაწვა ქარხანაო. როგორ გადაიტანს ლევანი ამ ბრალდებას. მას ხომ პაპიროსი არ ჰქონდა წუხელ და სულ იმას წუხდა, კანტორაში დამრჩა მაგიდაზეო. მაგრამ რანაირად დააჯერებ ხალხს!.. ახლა მარტო ხარ, ლევან! ვინ იცის, როგორ გტყევა მხარი, ვინ იცის, დამწვარი ხარ. მე კი აქ ვზოიარ!“ — ის იყო წამოდგა, რომ ოთახში ელისაბედი შემოვიდა. ხელში ხელსახოცი და ღოქი ეჭირა.

— ხელი წაიბანე, შეილო, და ერთი ლუკმა შეჭამე. აღამიანის ფერი არ გადევს.

მარიკას ლუკმას რა შეაქმევდა. დანა ბირს არ უხსნიდა. საჩქაროდ გამოემშვიდობა ელისაბედს და შინ გასწია.

ოღლა აივანზე გამოსულიყო, მარიკას ელოდებოდა. როცა მარიკა გამოჩნდა, გაბარებული ხმით უთხრა:

— გოგო, შიშით გული გამიხეთქე, სადა ხარ? რა ფერი გადევს. ქარხანა დაიწვა, ქვეყანა ხომ არ დამწვარა. რად იკლავ თავს.

ოღლამ მარიკა ოთახში შეიყვანა და მაშინვე გაუწყო სუფრა. მარიკას შიმშილის გრძნობა დაკარგოდა. უხალი-

სოდ, უმაღოდ ქამდა. თვალს ერთ წერტილს არ აშორებდა. ამ დროს მეორე ოთახიდან ჩურჩული მოესმა. ლუკმა ყელში გაუჩერდა.

— გოგო, რამ გაგიჩერა პირი, ვადაყლაპე ერთი ლუკმა, ესაა შენი ქამა? — უთხრა შემფოთებული ხმით ოღლამ.

მარიკას ყურადღება კედელს იქით ჩურჩულისკენ იყო მიპყრობილი.

— ვინ არის დედა, მამასთან? — ჰკითხა მარიკამ ოღლას.

ოღლამ პასუხი არ გასცა. მარიკას თვალს არიდებდა.

— ვინ არის-მეთქი?

არც ახლა გასცა პასუხი ოღლამ.

მარიკა წამოდგა, კართან მივიდა და ყური მიაღო. კიკილიას ხმა იცნო. სწრაფად შეაღო კარი. იქ არავინ იყო. მაშინ მეორე ოთახში შევარდა. არც იქ დაუხვდა არავინ. გატყვირდა, აბა, საიდან მოისმოდა ლაპარაკო. გაისუსა. მერე ისევ ჩაესმა ხმა. ახლა მესამე ოთახის კარები გააღო. არისტარხოსა და კიკილიას თავი თავთან მიეწიათ და ერთმანეთს ეჩურჩულებოდნენ.

— რა მიქენი ეს, შე წყეულო, — ეუბნებოდა არისტარხო კიკილიას. — უბედურებას გადამიკიდებ, მეც დამლუპავ და შენც დაილუპავ თავს. ცეცხლი როგორ წაუქიდე ქარხანას. რამ გაფიქრებია ეს?

— ლევანმა დიდი ხანია ცეცხლი წამოკლა და მე აბა თავზე ხელს გადაუსვამდი. მარიკას წართმევა არ მაქმარა, მიწის ქურდობაში მამხილა, ახლა ბრიგადირობიდან გადაყენების საკითხის დაყენებასაც აპირებდა. რა ვქნა, არ დამეწვა? ცეცხლს ცეცხლით ვუპასუხე.

— მაშ, შენ დაწვი ქარხანა, კიკილია! — შესძახა მისდაუნებურად მარიკამ.

ამის თქმა და კიკილიას ოთახიდან გაეარდნა ერთი იყო, ისკუპა აივნიდან და ეზოში გადაეშვა. მარიკა აღგილიდან მოწყდა, რათა დადევნებოდა კიკილიას, მაგრამ არისტარხო წინ გადაუღდა.

— ჩუმად, გოგო, არ დამლუპო. —

მაჯაში ჩასტაცა ხელი მარიკას. — შენი გულისათვის დაუწვავს ქარხანა იმ უბედურს. გაჩუმდი, არ გაამხილო.

— ხელს აფარებ, კიკილიას?

— რა ვქნა, აბა, ასე რომ არ მოვიქცე ახლა, მეც მის მონაწილედ ჩამთვლიან და დავიღუპები. წადი, დაიძინე. შენ არაფერი გავიგონია! — უთხრა ბრძანებით და ხელი ჰკრა მუქარით.

მარიკა თავისი საწოლი ოთახისაკენ გაემართა. მაგრამ აბა რა დააძინებდა..

არც არისტარხოს დაეძინა. შიშისაგან აღარ იყო კაცო, ვაითუ მარიკამ კიკილია გათქვასო. იცოდა, თვითონ მარიკასთან ვერც მოფერებით და ვერც მუქარით ვერაფერს გააწყობდა და ცოლი შეუჩინა.

— არ დაღუპო, შეილო, მამაშენი, — ეხვეწებოდა ოლა მარიკას, მის ლოგინზე იყო ჩამომჯდარი და შიშით დაპყურებდა ფერწასულ ქალიშვილს. გრძნობდა, რომ მისი თხოვნა უნაყოფო იყო. მარიკა უსათუოდ ამხელდა კიკილიას და მაინც ეხვეწებოდა ქმრისა და ოჯახის დაღუპვის შიშით რეტდასხმული ქალი. — რაც არ უნდა იყოს, არისტარხოს გაზრდილი ხარ, ის რომ არა შეილო, ობლობაში ამოვხდებოდა სულ... ქარხანას კიკილიას და არისტარხოს დასჯა ვერ აღადგენს... ლევანზე ვერაფერს იტყვის, იმან დაწვაო. მას არ დასჯიან. მარცხი მოუვიდაო, იტყვიან. მარცხისათვის აღამიანს არ სჯიან.

— ბოროტმოქმედს ხელი დავაფარო, დედაჩემო?!

— კიკილიას ბოროტმოქმედება ჩვენც დაგვლუპავს, შეილო.

— რა ვქნა, დედა, მე რომ ეს გავაკეთო, რა თვალთ შევხედო შერე ლევანს, ჩემს ამხანაგებს, ხალხს.

— ოღონდ მაგას ნუ იზამო გთხოვა, უბედურმა არისტარხომ და კიკილიას და კირილე ბენდელიანს შენი სახელის ხსენებასაც აუკრძალაო. ლევანს მიგათხოვე და ისეთ ქორწილს გადაგიხდო, ისეთ მზითვეს გავატან, ქარჩხეთს რომ არ მოსწრებიო.

— დამაცალე, დავფიქრდები, დედა,

— სულ ძლივს იბრუნებდა მარიკა. — მეც არ ვიცი, რა ვქნა, რუგორ მოვიქცე.

— იმას მაინც ნუ ჩტყვი! შეგილო, რომ კიკილიას ნათქვამი — მე დავწვი ქარხანაო ჩვენს სახლში გაიგონე, არისტარხოს რომ უთხრა.

— კარგი, დედა, შენ დამშვიდდი... განა მე ნაკლებად ვწუხვარ მამაზე, ჩვენს ოჯახზე.

მთელი ღღის ყოყმანისა და მღელვარების შემდეგ მარიკა სოფლის საბუკის თამბუჯდომარესთან მივიდა და კიკილიას ამბავი უამბო. იქიდან შინ აღარ დაბრუნებულა, იმ ღამეს ელისაბედთან დარჩა.

მეორე დღეს კიკილია დააპატიმრეს. ის მაშინვე გამოტყდა დანაშაულში და, მარიკაზე გაბოროტებულმა, არისტარხო არ დაინდო. იმან წამაქეზაო. ოღონდ ლევანი ჩამომამორე და მარიკას ჩემი ხელით მოგიყვან სახლშიო. მიწაც იმ სულძაღლმა მომპაპია, იმისგან ვარ დაღუპული, ჩემი საქმე ხომ წასულია და ისე ნუ გამშირავთ, იმის ჯავრი არ ამომაყრევიოთო. გახსენით მისი საიდუმლო ოთახი და ნახავთ, რა კარგი სული ბრძანდებო.

ეს ამბავი კირილე ბენდელიანმა მოუტანა არისტარხოს.

— ჰაიკ, შე გაათასირებულო, ყაძახო! — შეუძახა გაბოროტებულმა არისტარხოს. — ცალკე მე მამბრეყვები, ცალკე კიკილიას ატუტუცებდი. მეც მთავაზობდი შენს კახა მარიკიას, კიკილიასაც... ის კი წუხელ თავის ფეხით მიუვიდა ელისაბედს და ყველანი ყელგამოჭრილები დაგტოვათ. კიდევ კარგი, მეც არ გავისვარე ამ ოჯახში, — კირილე ამას რომ ამბობდა, თან თავის ბარჯს კრავდა აჩქარებით. — რა გაქვს, ბიჭო, იმ ოთახში? — ჰკითხა უცებ არისტარხოს. — საცაა მოვლენ შენს დასაქვრად. ყველათერს ავიწერენ, თუ რამე ძვირდასი გაქვს იმ ოთახში მომეცი, მე არაფერს გამიბედავს გაჩხრეკას.

სიკვდილგათაყებელი არისტარხო გაბოროტებით შეჰყურებდა კირილეს.

— შენ მოგცე, კირილე? — თქვა

მშვიდად, ყველაფერ უბედურებას შე-
რიგებული კაცის ხმით და განაგრძო —
რატომ? ისევ მთავრობამ წაიღოს ის
მირჩენია, ვინემ შენ გაატანო. მე
მართალი გულით მინდოდა, მარკია შენ-
თვის გამეტანებია, შენ კი ასე მიხდი
ხომ? გამაჰსარი ახლავე აქედან, თო-
რემ წიწილივით წაგაგდებინებ თავს!
შემინებულმა კირილემ ხურჯინს
ხელი წამოავლო და ბურთივით გაეარ-
და გარეთ...

ერთი კვირის შემდეგ ლევანი საავად-
მყოფოდან გამოეწერა. მან იცოდა,
რომ მარკია დედამისთან ათევეა ღამეს
და შინისაკენ ისე მიუჩქაროდა, რომ
კაცი იფიქრებდა, ამ კაცს ნაადვამყო-
ფარის არაფერი მიუგავსო. მაგრამ
მარკია სახლში არ დაუხვდა. არისტარ-
ხოს დაპატიმრების შემდეგ ოღლა მო-
ვიდა ჯა წაიყვანა.

— შენ რა შეაში ხარ, შვილო, კივი-
ლიას და არისტარხოს, დღეს თუ არა,
ხვალ მაინც გაუგებდნენ მათ ჩადენილ
დანაშაულს და ციხე მაინც არ ასცდ-
ბოდათ. — უთხრა ოღლამ მარციას. —
წამოდი შენს სახლში და მერე აქ ისე
მოდი, როგორც წესი და რიგია. მე სხვა
შვილი არა მყავს და, რაც არისტარხოს
დარჩა, მე იმას სამარეში არ წავეღებ,
ქ შენი ნაშრომიც ბევრია და შენ გე-
ძლიერნის.

მარკიამ დედის რჩევას დაუგერა და
გაყვა.

მართალია, ლევანს უცებ ეწყინა, მა-
რკია რომ შინ არ დაუხვდა, მაგრამ და-
ფიქრდა და ესაიამოვნა კიდევ: გვარს
მამაპაპური წესით დაეიწერო. თავისი
ფეხით მოსულ ქალზე სოფელს მაინც
თავისი აზრი ექნებოდაო.

როგორც კი ლევანი სამუშაოდ გავი-
და კოლმეურნეობაში, საერთო კრებამ
ბიკენტი თავმჯდომარეობიდან გაათა-
ვისუფლა და ლევანი აირჩია თავმჯდო-
მარედ.



ტყბილი შემოდგომა იყო. ნასიმიდ-
რებში ფოთლებშემხმარ ჩალის ღე-
რებს ბურჩხა, მწყერტეხა და ძერწა

ბალახები ტანზე შემოხვეოდნენ, მარც-
ვლით სავსე ბალახის თავთაქებს წაგდ-
ნაუკროთან გადაეხარათ. მწიფე-
ვებს თესლი ცვიოდა.

თავისუფლად გაშვებული საქონელი
მღიანად ახრამუნებდა თესლდარეკილ
ბურჩხას. ძროხები ფშიარებსა და ხის
ძირებში წვრილდერიან ბალახს ეტანე-
ბოდნენ.

თავისებური სილამაზე და სიმშვე-
ნიერე იხატებოდა მომკილ ყანებში.
შემოდგომის ნელთბილი მზე სასიამო-
ნო სხივებით ეფრქვეოდა ამ ველ-მინდ-
ვრებსა და ნასიმიდარებს. ზღვასავით
მოლივლივე ჩაის ბურჩქები კი ემხსა
და სილამაზეს მატებდნენ მიდამოს.

რამდენადაც დაეკლო ცხენისწყალს,
იმდენად უფრო ძლიერად ისმოდა მისი
ჩქერების ხმაური.

ლევან ლეშკაშელს სიამოვნებდა ცხე-
ნისწყლის გამამხნევებელი ხმაური, რო-
მელიც ყმაწვილკაცობიდანვე ნანიანსა-
ვით ჩაესმოდა ყურში. ლევანი ყოველ-
თვის სიხარულით წამომდგარა ამ ხმა-
ზე. დღესაც გერ კიდევ ბინდ-ბუნდში.
მღინარის ამ მაცოცხლებელ ხმაურზე
ლომივით წამოვარდა.

გარეთ ისევ მყუდროება და სიწყნა-
რე იყო. ამ სიწყნარეში უფრო მკვეთ-
რად მოისმოდა მღინარის შხუილი.

ლევანმა პირზე ცივი წყალი შეისხა,
ციხენს მოაბტა და ეზოდან გაქრა. გამ-
ლილ მინდორზე რომ გავიდა, უღვა-
შებზე მოისევა ხელი. ცვარდანაკურ მინ-
დორ-ქალებს თვალი მოავლო და ციხენს
მარჯვენა ფეხის ქუსლი ჰქრა. ჩერქე-
ზული უღაყი გაფრინდა. მიქროდა ბე-
დაური და თან მიაქროლებდა მხედარს
იმ კოლმეურნეებთან, რომლებსაც ამ
უთვისას მეორე წყება მორები ჩამოე-
ცურებინათ სეანეთიდან. ლევანმა ისინი
გორმადალთან დატოვა გუმინ.

— კარგი გამარჯობა თქვენს! — მია-
ძახა მათ ლევანმა.

— ჩვენს ლევანს გაუმარჯოს! —
გაისმა ხარკამჩებითა და კეტებით
მომუშავე ხე-ტყის დამცურებელ კოლ-
მეურნეთა ხალისიანი შეძახილები.

მდინარეს თითქოს რკინის ფაცური ჩაუდგესო, ერთმანეთს ხახუნით გათერთებული მორები წამოეტეტივებია და ბოლაზთან ერთბაშად შეეჩერებია. ქარჩხელები კატიბრქყალას დაასობდნენ, მოუბამდნენ კამჩიებს და ნაპირისაკენ ეზიდებოდნენ.

სიმღერებსა და შეძახილებში, სიხარულსა და სიცილში მორი მორზე გამოჰქონდათ ნაპირისაკენ.

არც აღმასხანი გაჩერებულიყო შინ. ისიც გამოჰყოლოდა მდინარეზე სამუშაოდ ახალგაზრდებს.

— აღმასხანს გაუმარჯოს! — შესძახეს დამცურებლებმა.

აღმასხანმა თვალები მოიჩრდილა, სათითაოდ შეათვალიერა ყველა. მალე ჩოხის კალთები ქამარში ჩაიკეცა, გრძელი სახელოები გადაიკაპიწა, ძარღვებით დაქსელილი ხელები ერთს მომკრო კეტს დაავლო და ხეს შეუგდო ოწინარივით.

— შენ როგორ გამუშავებთ, აღმასხან ბიძია. დაჯექი და გვეყურე! — მიმართა ლევანმა მას და ხელიდან კეტი გამოართვა.

— მეხალისება, შვილებო, მეხალისება! — გაიმეორა რამდენიმეჯერ აღმასხანმა, მაგრამ ლევანი მაინც არ დაეთანხმა და იგი მდინარეს არ მიჰყარა.

ეგნატე მუშველიანი ჯორჯს მოხერხებულად შლიდა. უცებ შედგა. დაფიქრდა, თითქოს თვალელებში ბინდი ჩაუდგაო, იქვე ახლოს, მორამდე ძლივს მიიღწია.

— ეგნატე ბიძია, ცუდად ხომ არ გახდი? — შეეკითხა მას ბარნაბა კინწურაშვილი. ამ ლაპარაკს ლევანმა მოჰკრა ყური. ლევანი ეგნატესთან მივირდა.

— ეგნატე, ხომ არადერი გვიძირს?

— არა, ქვე-შენი ჭირიშე, არა, რაღაც მომაგონდა და ისე დამკრა თავში, კინალამ წამაქცია კაცო.

— რა მოგაგონდა ასეთი? — ჰკითხა მას კიწიმ.

— ქვე-შენი ჭირიშე, ჩემო კიწი, რა ფასი აქვს ჩემს მოგონებას. ტყუილა

გაცდებით, იმუშავეთ, შვილებო, იმუშავეთ!

არცინეშლი

— თქვი, ეგნატე ბიძია, რატომ დავისვენებთ, — თხოვა ეგნატეს სახე გაოფლიანებულმა ლევანმა და მის წინ ჩამოჯდა მორზე. სხვებიც მოგროვდნენ.

— წინათ, ლეჩუმში, სოფელ ზუბში ვესახლე. ჩვენი სოფლის ზევით, ორ მთას შუა, უზარმაზარი ხევია გაწოლილი. ხევს ორივე თავი ამოკეტილი აქვს მალალი მთით. შიგ ჩამდგარი წყალი თავისით თუ ამოშრებოდა თორემ გასაველი არსად არა ჰქონდა. იმ წელს ათას ცხრაას თექვსმეტს, — ცოტა შესვენების შემდეგ განაგრძო ეგნატემ, — გაზაფხულზე წვიმები ატყდა. ღელეები მდინარეებად იქცა. მდინარეები ზღვებად. ის უძირო ხევი, ასე ეძახდნენ მას, წყლით აივსო. იმ უბედურ დამის წინ, რომელიც ჩემ ოჯახსა და სოფელში დატრიალდა, ცხენით ძლივს გამოვასწარი სოფლიდან. ამ ნიაღვარში, რომელი კაცი დატოვებდა ოჯახს, მაგრამ რა შექნა. პრისტავმა გადასახედებში სახლი და ცხენი ამიწერა. წამოვედი, რათა შეწყალება მეთხოვნა გუბერნატორისათვის. მთა იქცეოდა და ინგრეოდა, მაგრამ მე მაინც რაღაც იღბლად გადავრჩი. იმ უკუნთესა და ყიამეთ ღამეში, წყლით სავსე ხევს ძირი მოუღბა. წყალმა ზერელი იშოვა. ზერელი თანდათან გაფართოვდა, გადიდდა. მერე მთელი მთა მიირღვა და მოგლიჯა დაგუბებული ტბა. მთასთან, კლდესთან და ტყესთან ერთად დამინებულ სოფელს შუალამისას დაეცა თავს მეწყერი. საშინელ წვიმასა, ქარსა და ქექაქუხილში მთელი სოფელი სახლებიანად, ეზოებთანად და ხალხიანად ჩამოიტანა ცხენისწყალში. ეს მდინარე ასე აღიდებული არავის უნახავს. მდინარეს კი არა, აღელვებულ ზღვას ჰგავდა. იმერეთიდან სამეგრელომდე ნაპირი არ ჩანდა! — ეგნატე უცებ შეჩერდა. ყველამ დაინახა მის თვალელებში ცრემლები.

— მერე, მერე! — ამოიოხრა ლევანმა.

— მერე და, ქვე-შენი ჭირიშე, სანამ მე ჩავალწვედი ქუთაისში, ჩემი მშობლები და ცოლ-შვილი წყალმა აი ამ რიყეზე ჩამომიტანა. დამეკარგენ მოხუცები, მიწას ვერ მივაბარე მშობლები, შეილის ვალი ვერ მოვიხადე წინაპრის წინაშე. ალბათ ზღვაში თუ ჩაათრია ამ წყეულმა მდინარემ. ცოლ-შვილი კი, ამ ადგილას, სადაც ეს მორები შეჯორკილი, აქ გამოევდო წყალს და დაესილა. ნუ მომავონებთ, შვილებო, მეტს, ნუ მომავონებთ!

ყველას, ვინც მოსწრებია ამ ამბავს, მოაგონდა აღიდებული ცხენისწყალი, რომელსაც განუწყვეტლივ მოჰქონდა არამართო უზარმაზარი კაკლის ხეები, მორები, დადგმული სახლები, ხულები, ბელლები, საწნახლები და აკვნები, არამედ დამხრჩვალნი ქალები, კაცები და ბავშვები.

ლევანი მაშინ სულ პატარა იყო. ახლაც თვალწინ ედგა ერთი შემადრწუნებელი სურათი: სწორეთ აქ, ამ ადგილას, სადაც ისინი სხედან ახლა, ბოქაულისა და სტრაენიკის თანდასწრებით სილაში ჩაფლული ქალი ამოიღეს. ქალს სამი წლის ბიჭი ისე მაგრად ჩაეკრა მკერდში, რომ ვერც ნიაღვარსა და ვერც ქარიშხალს ხელიდან ვერ გამოეგლიჯა მისთვის. დედასაც და შვილსაც პირი სილით ჰქონდათ ამოვსებული. მორებს, ხეებს, და კლდეებს ქალისთვის ცალი ფეხი და გვერდი გაეგლიჯა. ურემზე ჯერ სიმინდის ჩალა დააფინეს. შემდეგ დამხრჩვალნი დაადგეს. ზედ ისევე ჩალა დააფარეს და სოფლის ეკლესიისკენ წაასვენეს.

ერთი ბრგე, მხარბეჰიანი, მაღალი ტანის კაცი თავში ხელის ცემით მისდევდა ურემს. ის კაცი კი არა სტიროდა, არამედ ზმუოდა, ბლაოდა, ხანდახან კი არაადამიანური ხმით ღრიალებდა და სახესა და წვერს იგლეჯდა.

აი, ახლა მიხვდა ლევანი, რომ ის კაცი ეგნატე მეშველიანი იყო, ის ეგნატე, რომელსაც ლევანი ახლა ასე ნათლად უყურებდა, როგორი სიციხადითაც

შესცქეროდა მაშინ მის შემოღობულ სახეს და გიჟივით აწეწილ თმას.

— მერე, მერე? — კიდევ შეეკითხა ლევანი.

— მერე, შვილებო, — განაგრძო ეგნატემ, — რატომ უნდა ავსულიყავ ლეჩხუმში? აქ, თქვენს სოფელში დაესახლდი, რათა ხშირად მენახა ჩემი ცოლ-შვილის საფლავი. არა, მაინც მინდა გითხოთ, რომ ავსულიყავი ვინ დამხედებოდა იქ? ცოლი, შვილი, მშობლები, სახლი, კარი, თუ მეზობლები? არათუ ადამიანი, კატა რომ კატაა და ძაღლი რომ ძაღლია, ისიც კი არ გადარჩენილა ცოცხალი. ყველაფერი ბოქაულის ბრალი იყო: სოფელმა ბევრჯერ მიმართა, ხევში წყალი ჟონავს და რაღაც ვუშველოთო. მაგრამ ყურიც არ გააპარტყუნა. ჩვენ შორის კი ისეთი კაცი არ გამოჩნდა, სათავეში ჩაგვდგომოდა და მთა გაგვეჭრა. მოგეცეთ ლენა, ეს მთაერობა გეყოლოდა, მთას კი არა, დედამიწას გავეკრიდით!

კიწი ფალავას თავისი სიტყვები მოაგონდა, ლეჩხუმიდან ჩამოთრეული ხარო, რომ უთხრა ეგნატეს ამასწინათ და შერცხვა.

ლევანის გულში ეგნატეს სახე ყოველთვის ღრმა თანაგრძნობას პოულობდა, მაგრამ ახლა ეგნატე უფრო სიმპათიური გახდა ლევანისათვის.

ალმანხანს კარგად ახსოვდა ის დღეები, რომელსაც იგონებდნენ. განსაკუთრებით იმისათვისაც ახსოვდა ალმანხანს, რომ მაშინ პირველი მსოფლიო ომის მეორე წელი იყო და თურქეთის ფრონტზე მისი უფრო შვილი დაიღუპა.

ლევანს კი ის დრო სხვა მხრითაც მოაგონდა: მოაგონდა ამ სოფლის თავადები, მათ შორის ერთი ყველაზე წუწკი და უნდო თავადი. ის თავადი გლეხებს უთვალთვალებდა, ხომ არაფერი ამოაქვთ ცხენისწყლიდან, რომ წავართვაო. იმ წყალდიდობისას, რომელმაც ეგნატეს ოჯახი იმსხვერპლა, წყალმა იმდენი ხე-ტყე და შეშა ჩამოიტანა, რომ თუ ადამიანი არ დაიხარებ-

და, სამი წლის საკმარის შეშას მოიმზადებდა. პატარა თავადი, ასე ეძახდნენ მას თავისი ჩია ტანის გამო, ცხენით და თოფით იღვა რიყის ამოსავალში. შემთ დატვირთული ყოველი სამი ურმიდან, ერთი ურემი შეშა გლეხებს მის სახლში მიჰქონდათ. ლევანს ათი ურემი შეშა მიატანა. ელისაბედი თხოვდა, ემუდარებოდა, სულს ნუ მხდი, ზამთარში უშეშოდ ნუ მტოვებო, მაგრამ თავადი ისე დაუბრიალებდა თვალებს, რომ შეშინებული ქალი დამდურულივით გარბოდა. ეს კიდევ არაფერი, პატარა თავადი გლეხებს ეუბნებოდა: ამ რიყეზე ქვეა ჩემია, მიწაც, ბალახიც, ქვაშაც, ჰაერიც და შეშაც. ამიტომ ვინც საშენ ქვას და ან სილას ამოიტანდა რიყიდან, მათაც მისი სახლისკენ აქნევინებდა პირს ურმიდან.

ლევანს ბევრჯერ ეწვია ეს ბედი. მაგრამ უფრო მაშინ გამწარდა, როცა მენახირე არ იყო და მას, პატარა მწყემსს ნახირი მოსტაცა. თავისი ქართიდან ერთი სულიც კი არავის გამოატანა, სანამ თითო ძროხაზე, თუ თხაზე ვერცხლის თითო მანეთიანი არ ჩაუხზრიალეს ხელში.

ლევანი თავისთვის ფიქრობდა ამის შესახებ და მოგონებებს მოგონებებზე ალაგებდა წარსული ცხოვრებიდან.

— აბა, გვეყოფა მოსვენება! — უთხრა ლევანმა კოლმეურნეებს და წამოდგა.

ეგნატეს ირგალივ თავმოყრილი კოლმეურნეები სასწრაფოდ წამოიშალნენ.



რაც ირაკლი თაბაგარს წაყვა ლევანს ლეშაშელი ფერმაში, მას შემდეგ ორმა დღემ განვლო და მარიკა კინაღამ გაგიჟდა, ასე რად დააკვირნა. აღმათ კარგი არაფერი ჰქონდა. ელისაბედს არ უმხელდა თავის შიშს. ყოველ საღამოს ელისაბედთან იყო. წუხტლისავე მასთან დარჩებოდა, მაგრამ სათნო გოლის ოღლა მართა ვერ სძლებდა და მარიკა შინ წავიდა.

ლევანიც სწორედ იმ დამეს დაბრუნდა. ძალზე დაღლილი იყო, მაგრამ სრულებით არ დაეძინა და შფოთავდა, რაღაც აწუხებდა. საწოლზე ვერ მოითმინა და ზეზე წამოვარდა. ტანს სწრაფად ჩაიკცა, უძინარი, დაღლილი, ქეჩაში გავიდა. იქ ცივი ჰაერი, ეამა. მაგრამ გულისცემამ მაინც არ უკლო. რამდენადაც უახლოვდებოდა სანატრელ სახლს, იმდენად უფრო უბშირდებოდა სუნთქვა. აი, ის სახლიც, ის ხევიანი ეზოც, მწვანეში ჩაფლული ეზოს კიშკარი თავაულებლივ შეაღო.

მარიკას ოთახის ფანჯარასთან მივიდა და ჩუმი ხმით დაუძახა:

— მარიკა!

— ლევანი — გაისმა უმაღვე მარიკას სიხარულით სავსე ხმა.

კარი გამოაღო და აივანზე გამოვიდა. ლევანმა კიბეზე ჩამოსვლა არ აცალა, ხელში აიტაცა.

— ორი დღე აღარ მინახებარ, — წასჩურჩულა ლევანმა თავშეუქავებლად, — და ასე მგონია, ორმა მწარე წელმა, განვლო.

— გამიშვი, ლევან, ვინმე დაგვინახავს. უხერხულია, — ჩურჩულითვე უთხრა ვაყის ღონიერ მკლავებზე გადაწვენილმა ქალმა. — ჩემი ნახვა რომ გდომებოდა, არ დაიგვიანებდი. სად იყავი აქამდე?

— ავად ვიყავი, მარიკა!

— რას ამბობ? მერე... მერე... რად არ შემატყობინე!

— შეგეშინდებოდა, მოვლა კი არ მაკლდა. მაგრამ არა უშავს, ახლა შენთან ვარ! — ლევანმა მარიკა ძირს ჩამოსვა. თვალბეში შეხედა, — შორს კე ვიყავი შენგან, მარიკა, მაგრამ შენ თითქოს ჩემთან იყავი, სასთუმალთან მიჯექი, მივლიდი. რა ტყბილი ხელი გქონია, მარიკა. გამიჭირდა, მაგრამ შენ ახლოს რომ მყავდი, ჰქონდა ადვილად გავუძელ. ეგ ჰქირი კი ომის საჩუქარია. რა კარგი ყოფილა, მარიკა, ფიქრი გაჭირვებისას! ფიქრებში ახლობელ ადამიანს ხედავ, თვალბეში უმხერ, უშველებელ დამეს დაუცვენესებლად ფიქ-

რებში გალევ. მარიკა, სიცხემ რომ მიკლო, კარგ ხასიათზე გამომეღვიძა, შენ რომ არ იჯექ ჩემ გვერდით, ძალიან შევწუხდი. როდის გამეპარე, მარიკა? აი, მეც ველარ მოვისვენე, ჩამოვედი თუ არა, მოვადექი შენ კარს, ხომ არ გეწყინა, ჩემი მოსვლა?

— არა, ჩემო ლევან, არა. თითქოს გამხდარხარ, — მარიკამ სახეზე მოუსვა ხელი.

ლევანს უფრო აუტოკდა გული.

— ირაკლი თაბაგარმა მკითხა, მარიკა რა არის შენო. მეც ყველაფერი ვუთხარი. გაეხარა. მაშინ გავთამამდი და ვთხოვე, ჩვენს ქორწილს უნდა დაესწრო-მეთქი.

— რას ამბობ, ლევან, ჩვენს ქორწილზე დარჩება? დედა, დედა, საყვარელო, რა კარგია! — წამოიძახა მარიკამ და აღერსიანი თვალები მოაპყრო ლევანს. ყურს არ დაუჯერა მარიკამ... კი მაგრამ ჩვენი ქორწილი... ქორწილი რომ არ დაგვინიშნია ჯერ...

— ახლა დაენიშნოთ ქორწილის დღე, მარიკა...

— ახლა?! ასე უცებ?!

— როგორ უცებ, მე მას რამდენი წელიწადია ველი, მარიკა.

— მეც, ლევან, მეც აღარ ვიცი რამ-

დენი წელიწადია ველი იმ დღეს და იგი დადგა...

— მოდი, ხვალ იყოს ეს დღე, მარიკა... რას იტყვი.

— რას ვიტყვი და სიხარულის მეტს არაფერს. — ხელი ხელს შემოკრამარიკამ და მერე ის ხელები ყელზე შემოხვია ლევანს და ლოყით ლოყაზე მიეკრა. — ლევან, ლევან, ჩემო სიხარულო... მაშ, ხვლიდან ჩვენ ერთ ქერქვეშ ვიცხოვრებთ! მოაშორა ლოყა ლევანის ლოყას, ხელი ჩააგლო ხელში. — წავიდეთ, გავიაროთ ლევან, თორემ გული ვერ აიტანს ასეთ სიხარულს...

დიდი ხანი სეირნობდნენ ისინი ცხენისწყლის ნაპირზე. მდინარიდან გრილი ნიავი ჰქროდა და ჩქერების მზიარული ჩქრიალი გარკვევით ისმოდა ღამის ანკარა ჰაერში.

მარიკა რომ დამშვიდდა, მერე დაიწყეს ქორწილზე მოსაწვევ სტუმართა ჩამოთვლა. გამოირკვა სახლი არ დაიტევდა ამდენ სტუმარს და სეფის გამართვა იყო საჭირო. ისიც გამოირკვა, რომ ყველაზე კარგი თამადა აღმასხანი იქნებოდა, ხოლო ყველაზე შესაფერი მეჯვარე ბარნაბა კინწურაშვილი.

თენდებოდა როცა მარიკა და ლევანი ერთმანეთს დაშორდნენ.



გ უ ლ მ ა რ თ ა დ ი *

როცა კამო ციხის საავადმყოფოს ფსიქიატრიულ განყოფილებაში მოათავსეს, ოთხი თვის განმავლობაში ლოგინზე არ დაწოლილა, დღე-ღამე ზეზე იდგა. ხოლო ერთხელ რომ მიეცუდებოდა, რიგრიგობით სწევდა შილა ხან ერთ, ხან მეორე ფეხს დასასვენებლად. როცა უარი თქვა საქმლის მიღებაზე, მას ხელოვნურად დაწვეეს კეცა ზონდით. ერთხელ კი, როცა ყბებს ძალად უღებდნენ, ორი კბილი ჩაუმტარიეს. რა სასტიკადა, ვერაგულად, ეპერობოდნენ კამოს და მაინც მოგიყიანებას თავს არ ანებებდა.

სიცივის დასამტკიცებლად ის ცდილობდა სხედასხვა ხერხი გამოეყენებინა. ზოგჯერ ისეთ შემზარავ ღონისძიებას მიმართავდა, რომ მოულოდნელობისაგან ექიმებს თავზარს დასცემდა. თავს არ ინდობდა. ბევრ სიმწარესა და ტკივილებს იტანდა, ოღონდ მიზნისათვის მიეღწეოდა. ერთხელ, განწამები, წვერულვაშგაბურძნეული, უცხად შედგა წვერები დაივიწყა, კონა-კონა დააწყო საბანზე. სიმწარისაგან ხითხითებდა, თითქოს აქ არაფერიყო. კონებად დაწყობილ წვერს ელოლაეებოდა, რიგში ამყარიებდა.

ერთხელ სარკეში ჩაახედეს; სარკიდან ვილაც გამოხდარი. ვახურძენული კაცი მოსწერებოდა ველური თვლებით. კამომ სწრაფად მოიპარა, — სარკეს შეაფრთხა, მაგრამ გულში კი გაპყრა: მართლა ხომ არ შევიშალეო...

ერთ დღეს კამო ფანჯრის რაფაზე ჩამოკიდებული ნახეს. მაშინვე მიცვიდნენ, მარხუდიდან ჩამოხსნეს. მოპარუნეს. ეს ხერხი მას ჯერ კიდევ 1905 წელს ჰქონდა ნაცადი. იკოდა, მოუსწრებდნენ. ჩამოხსნიდნენ.

რამდენიმე დღის შემდეგ მან წვნიანში პატარა ძვალ იპოვა. ძვალი წაიშავილა და მარცხენა ხელზე სისხლის მიღები გადაჭრა. მალე მოცივიდნენ სასწრაფოდ გამოძახებული ექიმები, სისხლის დენა შეუჩერეს, მოშაკედავი გონს მოიყვანეს. შემამრწუნებელი სანახავი იყო სისხლით მოსერილი ლოგინი, იატაკზე დანთხეული, გუბებზედ დამდგარი სისხლი და ფერ-

მიხდილი კამო, თითქოს ველურებთან ბრძოლის შემდეგ სისხლისაგან დაკლილი, მაგრამ გამარჯვებული ადამიანი ისვენებდა. თავის წამოქმედარს რომ ემზერდა, — გულში უხაროდა, კმაყოფილებით იღიმებოდა: — „შე თქვენ გიჩვენებთ სერის, — გავმწარდები და თქვენც ვაგამწარებთ. ჩემსას გაციტან — დაგამარტებთ! დაძაბუნებულს, იარაღაყილს კი ვერ მნახავთ!“ — ამბობდა გულში.

ბევრი დაკვირებისა და ცდების შემდეგ კამო ავადმყოფად ცნეს და გადაიყვანეს ბერლინის სულით ავადმყოფთა საქალაქო საავადმყოფოში, — „ბუხში“. მოათავსეს საკანში, სადაც ცხრა შემოილი ერთმანეთს ახრთობდა, სცემდა, კაწრავდა, კბენდა. ამ საკანში კამომ რამდენიმე დღე გაატარა. ისედაც დასსტებულს ღამეები არ სძინებია. მერე კი „მშვიდების“ განყოფილებაში გადაიყვანეს.

ფსიქიატრიულ საავადმყოფოში ის ავირდებოდა ავადმყოფებს, მათ სწევლებს გამოვლინებს, სწავლობდა, როდის, რა დროს, და როგორ გამოავლინდნენ ხოლმე ისინი თავიანთ ავადმყოფურ მდგომარეობას.

საავადმყოფოს ადმინისტრაციამ შილე აცნობა, სადაც ჯერ არს, რომ სულით ავადმყოფ ტერორისტ-ანარქისტი პეტროსიანი საყვებით განიკურნა, დამშვიდდა, სრულ გონებაზეა და სამუშაოს შესრულება შეუძლია. ამის შემდეგ კამო კვლავ ალტმოაბიტის საპრობილის საგამომძებლო განყოფილებაში გადაიყვანეს.

ყოველ წუთს და განსაკუთრებით საავადმყოფოდან ახალ ბინაზე გადაყვანის დროს კამოს არ შეუწყვეტია ფიქრი და ცდა, რომ მოეძებნა ხელსაყრელი პირობები გაქცევისათვის, მაგრამ მუდამ შეუძლებელი ხდებოდა თქმეს ამ განზრახვაში ოსკარ კონიცი მონღომებით ეხმარებოდა და ხელს უწყობდა.

ალტმოაბიტის საპრობილეში კამომ კვლავ სიმულანტობა დაიწყო, ხოლო ამჟამად უკვე არა თავისი ფანტაზიით შექმნილი ხერხებით, იგი ბაჩავდა საავადმყოფოში ნანახ სულით ავადმყოფებს.

კამოს ეგონა, რომ ევროპა უფრო ღმობიერი, ჰუმანური, გულკეთილი და მადლიანი იქნებოდა. ფიქრობდა ავადმყოფობის მიზეზით გაანთავისუფლებდნენ, რუსეთს არ გადასცემდნენ, იმ რუსეთს, თვითმპყრობელური ჯალ-

* დასასრული, იხ. „მნათობი“ № 7, 9, 10.

თების ზეღში რომ გმინავდა, სადაც მის აუცილებლად სიყვავილი მოელოდა. ცდილობდა ყოველნაირად, ყოველგვარი ღონისძიებით რუსეთს საზარელი რეჟიმისაგან თავი დაეღწია.

1903 წელს, თებერვალში შედგა სასამართლოს სხდომა, რომელმაც დაავალა სამკურნალო პრეპარატებს დოქტ. პოლმანსა და დოქ. ლამანს გამოერყვიათ ავადმყოფის სულიერი მდგომარეობა.

ორი თვის ხანგრძლივი დაკვირვების შედეგად ექსპერტები იმ დასკვნამდე მივიდნენ, რომ ბრალდებული სულთ ავადმყოფი იყო.

ამის შემდეგ კამო სამეფო საპოლიციო პრეზიდუმის დახმარებით 1906 წელს გადაიყვანეს პეტერბურგის სულით ავადმყოფთა სამკურნალოში.

კვლავ, სიმულაცია! ისევ თვალყურის დევნება, ისევ სულით ავადმყოფთა რეჟიმი. არ შეეცა კამოს მოსვენება. შეუჩერებელი, დაუღალავი ბრძოლა ფსიქიატრებთან, დღედაღამ ფიქრი იმაზე, თუ რა საშუალებით მოატყუოს ისინი. კამოც დადის, ღლინდება, — თუმცა რა ემღერება, მაგრამ ბერლინერ ჭეჩერ სიმღერებს მაინც შემოსამახებს თავისი სიცოცხლე, არა ბუნებრივი ზმით. მღერის, ვითომ აქ არაფერია...

პეტერბურგის სამკურნალოს საერეო ფერცელში სწერია:

6 ივნისი — ძალიან ხმაურობს, განაცხადა, რომ ის ექიმია, რომ მან დალია მთელი ათი ლიტრა არაყი.

8 ივნისი — მოსამსახურე ფოტოს განუცხადა, რომ ის, სოლომონ პეტროვსკია.

10 ივნისი — სახე დაეკარა და სისხლით ითხოვდება.

15 ივნისი — საჭმლის მიღებაზე უარს ამბობს. მარცხენა ხელს შეუჩერებლად ერთი მიმართულებით ამოძრავებს.

19 ივნისი — უჩივის თავის ტკივილს, ლაპარაკის დროს გულში მუშტის იცემს, — მინდა მოვყვედი, სიკოცხლე არ მინდაო.

23 ივნისი — დაფიქრდა უღეუმები, უნდა სახსოვრად გავუზავნოს თავის ამხანაგს. ღამით ძალიან ხმაურობდა, დადიოდა პალატაში, ელაპარაკებოდა თავის თავს. უჩივის თავის ტკივილს: „...“

დაასრული არა აქვს მის დაკითხვებს, თვალყურის დევნებას, ერთი საავადმყოფოდან მეორეში გადაყვანას.

პეტერბურგის სამკურნალოდან მალე ისევ ზუზში მიიყვანეს. ისევ სულთ ავადმყოფთა რეჟიმი.

მარტო კამო, არაფინა ჰყავს ფიქრის გამოხიარებული. ნათესავები, მეგობრები შორს იმყოფებიან, ძალიან შორს. იქნებ არც აციან, რა შიარე დღეებს განიცდის კამო ბერლინის სატუსილოში. ჭალაქის მჭრიდან გაურკვეველი გუ-

გენი, რაღაც გრიალი, ვრუ ძახილი, ზრიალი და წრიალი, ხვნემა და ხმაური ესმის კარგად. ცოცხლება, ყოფინა და ბრძოლა კარგად მოხერხდა. იქ გამარჯვებულთა ზეიმი.

მარტო კამო. მაგამ არა, მას ამ უცხო ქვეყანაში ერთი მეგობარი მაინც ჰყავს, კვირაში ერთხელ ერთი საათით რომ შევხვს აძლევს მის მარტობას. ეს ოსკარ კონია. ერთადერთი კაცი, რომელსაც ერთი საათით მისი ნახვის უფლება აქვს. კამოც ელის მას, როგორც ბავშვი აღდგომას. ოსკარ კონს შედამხედველი თანხლებით მიიყვანენ მოსაძლელ ოთახში, ორბევ მოლოზარი სახით შეხვდება ერთმანეთს.

- Guten Tag, Genosse Kamol!
- Guten Tag! — მიუგებს კამო დამტყრეულ გერმანულ ენაზე.
- Wie geht es Ihnen?
- Sehr gut, Genosse Oskar!
- Immer lustig! Kamol! Immer lustig!

ამხნეებს ოსკარ კონია. კამო ცდილობს მხიარული იყოს, რომ ასომოგნოს საყვარელ ადამიანს. ორივენი მოკლე დროში ისე შეეჩვივნენ და დამეგობრდნენ, რომ ადვილად უგებდნენ ერთმანეთს.

ოსკარ კონი მონღოებით მოვიდა კამოს განთავსებულ გარეგან საძირს, როგორც მგრძნობიარე გერმანელი, არ ზოგავდა შრომას და დროს, ოღონდ როგორმე შეეშუბუბუბინა ტანჯვა კამოსთვის. კამო ხედავდა მასში ერთადერთ მანუგეშებელს, ერთადერთ მფარველს ყველა ნათესავსა და მეგობარს მოშორებული სათვის ოსკარ კონი იყო ის ადამიანი, რომელიც მას შევას ანიჭებდა, ახარებდა, ახალისებდა, ამხნეებდა.

კამო თავისი დამტყრეული გერმანელი ენით მოუყვებოდა, თუ რა გაღაბდა ამ კვირაში. უღიმიოდა, შესცქეროდა, თითქოს მისგან მოელოდა რაღაც სასწაულს.

ოსკარ კონია, რომელსაც ტრეზზე მუდამ ღიმი უერთოდა, ხშირად საყუთარს საქმეებს თავს ანებებდა და კამოს მდგომარეობაზე ზრუნავდა. ე. ლიბენსტთან ერთად პრესაში თუ პარლამენტში, საზოგადოებაში თუ ვაენიან პირთა შორის, ლაპარაკობდა. წერდა, მოთხოვდა კამოს მდგომარეობის შემსუბუქებას. ყველას უმტყციებდა, რომ ის არ იყო ტერორისტი — ანარქისტი, არამედ ზვეულებრივი სოციალისტ-რევოლუციონერი.

საავადმყოფოში კამოს ბოლოს ძალიან გაუმხელდა ასეთი ცხოვრების ატანა.

— „ძალიან ბევრს ვფიქრობდი: გაეძქლებ

- გამარჯობა, ამხანაგო კამო!
- გაემარჯოს!
- როგორ ხარ?
- ძალიან კარგად, ამხანაგო ოსკარ!
- მუდამ მხიარული უნდა იყო, კამო! მუდამ!

თუ შევიშლები ჰქუაზე? აი, ეს იყო ცუდი. ჩემი თავის აღარ მტკნოდა. საკეთარ თავს ვარ ეცხოვდი. თითქოს ნაბრალის პირად გეკიდე და ხავსს ვეპოტინებოდი", — წერს მ. გორკი კამოს ნალაპარაკებს.

კამო ველარ იტანს თავის ირგვლივ თვე-მოვრილ გიგებს, რომლებიც მას აჯავრებენ, დასციინან, ხშირად სიკვდილითაც ემუქებიან. კამოს ნებისყოფა შეირყა. საქმელს არ იღებს. ერთხელ რომელიღაც ავადმყოფმა კამოს ხელი ჰჭრა, ვანერველებული კამო ლოგინზე დაეცა და ისტერიკულად აქუთინდა.

კამომ ველარ მოითმინა ამდენი შეურაცხყოფა. დაკარგა იმედი და სასოწარკვეთას მიეცა. რწმენა შეუსუსტდა, თავი მიანება სიცოცხლისათვის ბრძოლას. ამიტომ ზომ არ გაღაწევითა სიკვდილი? იქნებ ამიტომ გადაიჭრა კბილებით ხელის ძარღვი? მაგრამ, არა!

იგი მხად იყო, კვლავ მრავალნაირი წამება ატანა, ოღონდ თავიდან აკუნინა ცილისწარება, — რომ ის იყო ანარქისტ-ტერორისტი. დაბოლოს, თემკა გერმანელმა ექიმებმა სულითავადმყოფად ცნეს, მაგრამ რუსეთის მთავრობას მიანიც გადასცეს. იროდიით ხელი დაბანახს და მათთვის არასასურველი პიროვნება თავიდან მოიცილეს.

პრუსიის პოლიციამ ათასცხრაას ცხრა წელს, დატუსალებიდან თითქმის ორი წლის შემდეგ, კამო რუსეთის საზღვარზე მიიყვანა და კალიშის გუბერნიის უზნიშნელო „გადასასვლელ პუნქტზე“ ეანდარმებს ჩააბარა. მაშინ კი მიხვდა კამო გერმანიის მთავრობის ვერაგობისა და ერთხელ კიდევ მისცა ფიცო თავის თავს, წუთითაც არ ეფიქრა სხვა რაზეზე. ვარდა პარტიული მემოიბისა და თავგანწირვისა.

ამავე წლის ცხრამეტ ოქტომბერს კამო თბილისში ჩამოიყვანეს, მეტრხის ციხეში მოათავსეს და როდესაც მან ციხის ჩარკინული ფანჯრიდან თბილისს გადახედა, თითქოს შეეება იგრძნო, თითქოს გულში იმედი ჩაესაბა, კარგ გუნებაზე დადგა. იქნება აქედან უფრო იდვილად მოახერხოს გაქცევა? თორემ მარყუტი რომ არ ასცდებოდა, ამას ვგრძნობდა.

მაღე კამომ ჯავაიარასავან ცნობა მიიღო, რომ თბილისში ამყოფებოდნენ მისი მეგობრები — კოტე და ელისო, ბაქუა კუპჩაშვილი და სხვები, და რომ ბერლინელმა მეგობარმა ოსკარ კონმა არ დაიფიწა და მის დას გამოუვებახა ორასი მარკა დეპუშებისათვის.

პირველივე დებეშით ჯავაიარამ აცნობა კონს, რომ „კამო ჩამოიყვანეს, მაგრამ სულით ავადმყოფად არ თვლიან; ბოკილგაყრილი ზის ციხეში და სიკვდილით დასჯის მოლოდინშია“. ძალიან მალე მოვიდა კონის პასუხი: „გვებაენი ექსპერტიზის ყველა საჭირო დოკუმენტს. შეეითხვა იქნება რახისტავში“. მაგრამ ჯავაი-

არას დებეშები აღარ გაუშვეს გერმანიაში და მათ შორას კავშირი შეწყდა.

კამოს საქმე სასამართლო გამოძიებულმა ჩააბარა შაბრის სამხედრო წესებით იღებულ ველადეს ნაწილს.

კამო მიივდა, რააც ნიშნავდა ეს, და ისიც სტიკლინიისა და ალიხანოეების ფარფამის დროს. როგორც ბერლინში, აქაც დაიწყო ბრძოლა სიცოცხლის შენარჩუნებისათვის.

ნამდვილა საქმისათვის მებრძოლი ადამიანი მიზნის მიღწევაზე რომ ფიქრობს და ამისათვის ძალ-ღონეს არ ზოგავს, მაშინ მას ბედული სწეალობს და უსათუოდ კეთილად დაგვირგვინდება მასი საქმე, უსათუოდ გაიმარკებს ესეი.

ამ შემთხვევაში კამოს ბედმა ვაუღიმა და სასამართლომ შემდეგი რეზოლუცია გამოიტანა:

„საქმის ვარკევა არსებითად შეჩერდეს, ხოლო პეტროსიანის სულიერი მღვდომობა შემოწმდეს, რისთვისაც იგი მოათესდეს სპეციალურ საავადმყოფოში ხანგრძლივი დაკვირვების მოსახდენად“.

კამოსაც სწორედ ეს უნდოდა.

ამ დღედაღამებს მალე ისიც დაემატა, რომ გერმანიის დემოკრატიულმა პრესამ ხმა აიმაღლა კამოს უმართებლოდ გადაცემის შესახებ. ოსკარ კონის სტატიას „Vorworts“-ში გამოეხმაურა მთელი გერმანიის ოპოზიციური პრესა. პირველ „Humanite“-ში მოათავსა წერილი, სადაც გაილაშქრა გერმანიის მთავრობის წინააღმდეგ.

ამ გარემოებამ თავგზა აუბნია რუსეთის მთავრობას და მინისტრი სტოლოპინი კავკასიის მეფისნაცვალს ვორონკოვ-დაშკოვს ასეთ წერილს სწერს: „...პრესის თავდასხმა გერმანიის მთავრობაზე უსათუოდ გადიოვრდება ამ შემთხვევაში, თუ მისთვის გადაუწვევტი სიკვდილით დასჯას. ამიტომ შინაგან საქმეთა სამინისტრო შიშობს. ვაითუ ამ გარემოებამ ცუდად იმოქმედოს რუსეთის ინტერესებზე ანარქისტების გამოსახლების საკითხში. ესარგებლობ შემთხვევით, გამოუეცხადოს თქვენს ბრწყინვალეებს სრული ზემო პარტიისემა და პეშმარტივ ერთგულემა“.

ამნაირად, კამოს ბედი წილმა დატრიალდა. ის გადაიყვანეს მეტრხის სამურობლოს ფსიქიატრიულ განყოფილებაში. მართალია, საქმეს მინარ სამხედრო სასამართლო გაარჩედა, მაგრამ, თუ სიკვდილს მოუსჯიდა, მაშინ ვორონკოვ-დაშკოვი სამხედრო სასამართლოს განაჩენის საკონფირმაციოდ მისდამი წარმოდგენისას მხედვლილობაში მიიღებდა სტოლოპინის წერილს და განაჩენს შეეცლიდა.

ახლა კი შიარულ გუნებაზე დადგა კამო, — საავადმყოფოში მოათესება ციხიდან გაქცევის განზრახვის უადვილებდა. თბილისში ჰყავდა ერთგული, საყვარელი დები, დეიდა ლიზა,



მეგობრები და ამხანაგები. მხოლოდ საჭირო იყო ოსტატურად გამოყენებისა ბერლინში (ბუბნა) მიღებული გამოცდილებები.

როცა კამოს შემოწმება მოახდინეს, აღმოჩნდა: „კუხთების შექსიხურები აღგახედალიან მომატება, კანის შეხების გრძნობის შესუსტება: ტყვილის მგრძნობელობის სრული დაშრტოლობა, ქინძისთავით კანის დაზხველების დროს სრულიად არ გრძნობს ტყვილს, აგრეთვე, არ გრძნობს ტყვილს სხეულზე მარცხენა ბეჭის ქვეშ მოკიდებული პაპროსის მიღებინას. ხედები უყანალებს, ენა უყახებებს. მუხლის რეფლექსები დაუსტებელია. კუხთისა კი მომატებულია ზურგის კარზე საპერკუსიო ჩაქურის ტარის გავლება იწვევს დემოგრაფიზმს მოკლუნებს, საბის გამოშტეტველება განურჩეველია ინდივიდუალური დამოკიდებულება აქვს თავის მდგომარეობისა და გარემოცულ პირობებისადმი. მასსოგრობა დასუსტებულია. დროისა და ადგილის ორიენტაცია — დაეარდნილა. ილაპაში ატარებს ბელერას, რომელსაც დროკამოშეებით კვებას პურის გულით. ხანდახან თითქმის უმიზნოდ ბუტბუტებს, ლილენებს და იცინის. შევიანებზე უმეტეს ნაწილად შეესაბამო, არეულ-დაარეულ პასუხს იძლევა. „სად დაიბადეთ?“ — უპასუხებს: „არ ვიცი! უცხოეთში ემოგზაურობ! ახლა მინდა ბორკილები მოკელა...“, ავარგო ძველი, დააწყო ყველა ბორკილი და ზევილიან ავტო დავილო. სადაც კი ვყოფი, არსად ბორკილი არ მინახავს!“...

- „რატომ ზიხარ საპატიმროში?
- ჩუმი დიდებულებისთვის ბევრი ვიარე. ყველგან ვიყო! და, მათ დარჩენს პარტიები!
- ენა დვას თქვენს ახლოს?
- ვარისკაცი! ის მე მიცავს, რომ ჯიბიდან არაფერი მომპაროს!
- გინდათ თუ არა გახვიდეთ საპატიმროდან?
- ავტომობილით მინდა წავიდე საზღვარგარეთ. კარგი ოთახი მაქვს ციხეში. შევლებილია. მალე გამომაშვებენ! ეს მოთხრა უსოვმა, ერთმა პატიმარმა. ის ძველი ეშმაკის ძმაა, მე მას მივეცი ათი ეანა. მან დაოსტუნა და გაფრინდა. ქარს უნდა მოეტაცა ჩიტი...
- გეძახოდნენ თუ არა თქვენ კამოს?
- მეძახოდენი დიდი ხანია მას შემდეგ! საზღვარგარეთ კი მეძახოდნენ ბატონ პეტროსიანსაც. ციხეში უფროსის თანაშემწეც კი ბატონ პეტროსიანს მიწოდებდა. მოსამსახურე კარგი კაცი მაყავს. მინდა შევტოვდე წავიყვანო. მე ბევრი ცხენი მაყავს თემბში.
- გვინდ სადილად რა სჭამე?
- ზაო დავილე! ზორკი არ მიჭამია იმიტომ, რომ ამბობენ მკვდრებს ქრიან და სამზარეულოში ავზუნანათო.

რი გამოკვლევის მიხედვით, მე ვასკენი, რომ სიმონ პეტროსოვი ამკამად დაეადრებულ ისტერიკული ფაქიობთა, რომელიც ვადადოს კუეამოკლეობაში.

თილილის მიხილის საეადმყოფოს უფროსი ორდინატორი ლ. ორბელია“.



ბორკილგაფრილი კამო ფსიქიატრიულ საავადმყოფოში მოათესეს. პირველად რომ გაიარა და ბორკილებმა ჩხარუნი დაიწყო, კამოს მოეწონა. მთელი დღე დაჯიოდა, დაბრუნდა, განგებ აჩხარუნებდა, თამაშობდა. ზედამხედველები განცდიფრებით უმზერდნენ კამოს და „ნამდვილად გიცს“ ეძახდნენ.

მეტეხის ციხეში გაკილებით კარგად გრძნობდა თავს. დამწერდებული იყო და სიმულანტობასაც „წესიერად, მეცნიერულად“ ასრულებდა.

თავის საკანის ფანჯარასთან ჩიტები შეიწვია. საეენს უყროდა ჩიტებიც ფანჯრის რიკულზე დაფრინდებოდნენ და საეენს კენკავდნენ. კამომ ერთი ჩიტი დაიჭირა, ფანჯარა მიხურა, ალურსი დაუწყო, ჰკოცნიდა, გულში იხუტებდა, ბავშვივით ხარობდა. რომ დაღამდა, საეენს ვაუშვა. ჩიტი ლურსმანზე ჩამოკდა. დაიძინა. დილას ისე დაიჭირა იმ დღეს დასაიფთხავად წაიყვანეს, ჩიტი თან წაიყვანა.

კამო ისე შთაბრუნდა მიდიოდა, თითქმის წვეულებაზე მიყავათო.

როცა საგამომძიებლო დარბაზში წაიყვანეს და კედელზე შეფუ ნიკოლოზის სურათი დაინახა. შედგა და გინება დაუწყო. გამოძიებულმა შერერა რამდენიმე კითხვა მისცა, მაგრამ თითქმის კითხვები მას არ ვხებოდა. ჩიტს ემასლათებოდა. „პეტკას“ ეძახდა, ვალერსებოდა, ჰკოცნიდა. ჩიტი უცხად ხელიდან გაუსხლტა. დახურულ ფანჯარებს მივხეთქა. კამო სიცილისაგან მთელი სხეულია თრთოდა. „პეტკა! პეტკა!“ — გაყვიროდა კამო და ჩიტს დასაჭერად დასდევდა. სკამებზე და მავიდებზე ხტებოდა. გამოძიებულს ერთი-ორჯერ „შემთხვევით“ მუჯღუგენი და წიხლებიც კი უთავაზა. ბოლის ვილცამ მოისახზა: ფანჯარა გააღეს და ჩიტი გაფრინდა. კამო გაცხარდა, მაგრამ დააწყნარეს.

ცალკე საეენში მოთავსებული კამოს სპეციალური ზედამხედველი მიუჩინეს, თვალურს ადევნებდა და გასალებიც მას ებარა. პარკურორი მოთხოვდა კამოს ისეც ციხეში ან სამხედრო პოსტოლაში გადაყვანას, რაც გაქცევის საშუალებას მოუსპობდა მას, მაგრამ კამოს ბედი მუდამ სწავლობდა.

კამო თავის განზრახვის შესრულებას ჩქარობს. ციხიდან გაქცევის იმედს არ კარგავს. თავისი ღების და მეგობრებისაგან დახმარებას მოითხოვს.

დასკვენა: ზემოთქმულისა და ობიექტურ-

„ქნებ გგონიათ, მართლა გავფიქრდი? — სწორს ის უკეთესია — მე მხოლოდ თავს ვიკეთიანებ. ტანჯებს ვეღარ ვიტან. ხსნა გაქცევაშია. არ მინდა მოწყვეტილი საპატრონოში. მინდა კიდევ ერთხელ ვიხილო თავისუფლება, მზე, ეყადო, მოაწყობ გაქცევა. მინდა კიდევ ვემსახურო რევოლუციას...“

ფსიქიატრიულ საავადმყოფოში გადაყვანი კამოსთვის უფრო ხელსაყრელი გამოდგა. აქ მას გაქცევის შერიგება მოელოდა, თუმცა და ამიტომ ახლა დღენიადავ მხოლოდ ამხუე ფიქრობდა.

მისი საყანის ფანჯარა მტკვარს გადასცქეროდა. ამ ადგილს პოლიციელები მხოლოდ ღამით უზარებდნენ. დღისით კი ერთი უზარებელი იდგა შიგნით კარებთან. გაქცევის მოწყობა შეიძლებოდა მხოლოდ დღისით.

საავადმყოფოში კამომ დაიბლოვა ერთი მოსამსახურე, გვარად ბრავინი. მალე მას კამო გამოუტყდა თავის განზრახვაში; ვადაცო თავისი გეგმა და თავის დებთან გაგზავნა. ფანჯარის რკინებისა და ბოჩკოლების ვალსახებად საჭირო იყო ფოლადის ბეწვებებები, ტანსაცმლის და თოკი, რომლითაც კამო ჩაეშვებოდა კედელზე.

უკვლავური ეს მომზადდა ბრავინის მეშვეობით კამოს სიძემ — კოტე ცინცაძემ ბრავინს გადასცა საჭირო ნივთები, რომლებიც მას კამოსთვის საყანში უნდა შეეტანა.

ამ საყანს კამო ლეიბის ქვეშ ინახავდა. ბრავინის მორაგებობის დროს ზებეას შეუდგა, ფანჯარის რკინების ვანახებში რომ არ შეეშინათ, პურის ცოხით აწებებდა. შეშლევ ისევ ზერხავდა. ამნიარად ვახარა ბოჩკოლი და წერბილი შეუერთლი შერა.

როცა უკვლავური მომზადდა, გაქცევის დღეც დაიწინა — თხუთმეტი აგვისტო.

დღიდანვე სიციმე დაჰქარა, ხეების ტოტეში მოკამკამე შიხის სიხეები ფოთლებში ატანდა და ქუნას ეფინებოდა.

კამოს საუბრე შემოტანეს. დღე ჩვეულებრივი, საავადმყოფოში მიღებული, წესით დაიწყო, ხოლო მისი გული ცემდა გამალებით. რას უზნებდა ბედი?

იმ დღეს კამოს გარედან შემოუგზავნეს დასაძინებელი წამალი და მოწამლული ტბილი ნამცხვარი, რომლითაც ზედამხედველებს უნდა გამაჰინძრებოდა. ტბილი ნამცხვარმა სულ სხვა შედეგი გამოიღო. — დაძინების შავიერ, ისინი უფრო აღგზნებაში მოიყვანა. წინამარა საპირფარეოში გარბოდნენ. მაგრამ კამო თავის სულ ერთი იყო, ვინდა საპირფარეოში ყოფილიყვნენ ზედამხედველები და ვინდ დაძინებულნი. კამო გახედავდა მათ და სიცილს ვერ იკავებდა. აღარც ნერვულობდა, იცინოდა, ხარხარებდა, ნიშანს ელოდა.

დღის ამ საათზე კოტე უნდა მისულყო

ვერის ხილთან და მტკვარის მარჯვენა ნაპირიდან, საიდანაც კარვად ჩანდა კამოს საყანის ფანჯარა, ნიშანი მოეცა კამოსათვის ისიც ამ დროს გადატრუნდა ფანჯარის ვახეზილ რკინებს მოსამზადა თოკს, ვამქრებოდა ფანჯარაში და თოკზე დაკიდებული დამეშვებოდა კედელზე.

საყანის ჩარკინულ ფანჯრიდან კამო თეთრ ტანსაცმისში გამოწყობილ კოტეს ხედავს, ხელში თეთრი ქული ეჭირა. კამო უცდის, ნიშანი იგვიანებს „ქნებ დაემეას? აღარ დაუცადოს? ჩახტეს თა წავიდეს თავის გზით?“. მაგრამ, არა! კამომ კოტეს გვერდით თავისი დები შენიშნა. ისინი მეორე სანაპიროზე გადავიდნენ, რათა კამოს კედელზე დაშვებისთანავე მიშველებოდნენ.

აგერ კოტეს თეთრმა ქულიმა საშვხის გაყვითა სივრცე. უკეთესი და სანდუბტოა შირბიან. უკვე ხედავენ, როგორ მოსცილიდა ჩარკინულ ფანჯარას კამო, ძირს დაეშვა. თანდათან უახლოვდება მიწას. მაგრამ — ეს რა მოხდა? თოკი გაწყდა, კამო მიწაზე დაეწარცხა. გაწყვეტილი თოკის ნახევარი კედელზე ქანაობს. ერთ წუთს დები შედგნენ. გამტერებით უცქერიან კამოს, რომ ვეღარ დგებთ? მაგრამ, არა! ის თვითონ ადგა, წელში იდგენ მოხრილი, მდინარისაკენ შიდის. ხელში ცხვირსახოცში გახეველი ბოჩკოლი უჭირავს. მტკვარში ვადაყვებს, მობრუნდება. ამ დროს დებიც უახლოვდებიან. კამოს გადახევევიან, ჰკოცნიან. თრთიანთ კამო, მისალმების შავიერ, შეუტრებს:

— რატომ გამოგზავნეთ დამალი თოკი? რა დაგეგმარდათ? რა ღმერთი ვაგწყყრათ! ბერიანა თოკი ვეღარ იშოვეთ მთელ ქალაქში?

— არა, სინკო, თოკი ახალი იყო! — თავს იმართლებდა სანდუბტა.

— მაშ, რატომ გაწყდა?

— გადმოადაც ფეხის რა დროს ეგაა! — გაწყრა უკეთესი.

აქეთ-იქით მკლავებში ხელგაყრილი, ჩქარი ნაბიჯით ვაივანეს კამო მიხეილის ქუჩაზე. ტრამეიში ჩასხდნენ მერე — ეტლში. ისევ ტრამეიში. ფეხითაც ვაივლიან მკირე შანძილს, დაბოლოს ისევ ეტლით მიადგებიან კონსპირაციულ ბინას. დასდებიან. ამითუნ-თქვენს. კამო იღივება. წამოდგება. მტკვარს თეძოს ხელს მოავლებს, ვაივლიან. ამ დროს ოთახში კოტე შემოვა. გადახევევა. კამო კი ლანძღვით იკლებს. „რატომ იყო თოკი დამალი?“.

კოტე გოაცებულა. ვერ ვურყვევია, რატომ მოხდა ასე? რისთვის გაწყდა თოკი?

— ნიშანის მოცემა რატომ დააგვიანა?

— იმიტომ, რომ ხალხის სვლა არ შეწყდა. როცა შეწყდა, ვიდაც ოხერმა ძაღლი მოიყვანა სახანაოდ. ვიფიქრე, უკუშემა ხომ არ

არის-შეთქი, სანამ ის არ წვიდა — ვფრთხილობდი...

ორი კვირის შემდეგ კამო ბათუმში გაემგზავრა. თბილისიდან მსებთაში ევლონიბელი ჩავიდა, სადაც კოტე უცდიდა. ბილეთი აღუბელი ჰქონდა. ორჯე რბილი ვაგონით ჩავიდნენ ბათუმში. ორი დღის შემდეგ კი კამო გემას მივარდნილ კუბოში, ყუთებს შორის ჩასვეს და საზღვარგარეთ გაისტუმრეს... ნახვამდის, კამო ნახვამდის...

შვიდი დღის ზღვით მგზავრობის შემდეგ დაღვალ-დაქანული კამო მარსელში ჩავიდა. შამინევე შალხაბას მიაშერა, კოსტეში იყიდა, საცვლები გამოიყვალა. ვიამარსა, ახალი პალსტრეი გაიყიდა. ევროპულს დაემსგავსა. საღამოს პარიზის მატარებლის ბილეთი შეიძინა, მეორე დღეს კი პარიზში თბილისიდან წამოღებული მისამართით ლენინის ბინას დაექმბდა.

აგერ ის ჭეჩაიკი აი, ის ნომერიც! რატომ ასე განაპირა ჭეჩაზე ცხოვრობს ლენინი? რამდენი ხანია აღარ შეხვედრია მას. ნეტა იცის თუ არა ჩემი გამოქცევის ამბავი? ესეც მეოთხე საათულა. ზარი დარეკა გული გამაღებით უცემდა. პატარა ჩემოდანი იატაკზე დადო. კარი კრუჰსკიამ გაუღო. გაუღო და შედგამგრომევეს ელოდა. მის წინ კი შოლიმარი უცნობი იდგა. დააკვირდა.

— დივრთო ჩემო, ნუთუ ეს კამოა? — შესძახა ბოლოს.

— ნაღვედა კონსტანტინოვნა, ველარ მიცანო?

— საიდან? როგორ? ასე მოკლოდნელად! მოღით, მოღით ოთახში, ილიჩი შინ არის! როგორ გაუხარდება?

კამომ ჩემოდანს ხელი წაავლო, დერეფანში წვიდა. იქიდან კრუჰსკიამ შეიყვანა სამზარეულოში, რომელიც სასადილო ოთახის მავიერობასაც ასრულებდა. კარი გამოაღო და დაძახა:

— ვალოდია, აბა, გამოიდი! ნახე, ვინ გვეწვია?

ვ. ა. ლინინი საწერ მაგიდიდან წამოდგა. ალბათ ვინმე მახლობელი მეგობარია. ასეთი სინარულით რომ მახშობს? — გაითვჭრა და შოლიმარი კამოს დააკვირა.

— ნუთუ ეს თქვენა ხართ? მეტე — როგორ? ერთმანეთს მავრად ჩამოართუეს ხელი.

დიდბანს არ უშეებდა ილიჩი მის ხელს, მძღვარად ეუშეადა. ულიმოდა თავისი მოჭურტული შექიანი თვალუბით. აღარ იცოდა, საიდან დაეწყო გამოკითხვა.

— თქვენ ხომ ბერლინის პოლიციამ რუსეთს კადავათო? მეტე — როგორ... ჩამოუქეითო! — შესთავაზა კრუჰსკიამ. მის ფერმკრთალი სახე და საოცრად გამომეტყველი ჰყვინი თვალე-

ბი ჰქონდა. გრძელი თაღი კამო ეცვა. თმაც ისე ჰქონდა დახვეული, როგორც ხანში შესულ აღამიანს შეშვენის.

დასდნენ. კამო იშმუშნებოდა მტრმ მტრზე ზე დაედო.

— მაინც საიდან? — კვლავ შეეკითხა ლენინი.

— თბილისიდან! სულ ორი კვირა არ იქნება, რაც ციხიდან გამოიქეცე.

— ციხიდან გამოიქეცი? — კიდევ? — დიად!

აგი ბორკილები გეღოთ ფეხებზე, — მამ, როგორ მოახერხეთ? — ლენინი ადგა, მარჯვენა ხელის დიდი თითი ეილეტრს სახელურს გამოლო, მარცხენა ჯიბეში ჩაიღო, ოთახში გაიარ-გამოიარა.

— დიად შებორკილი ვიყავი. სულით ავად-მყოფებთან ერთად, ციხის საავადმყოფოში ცალკე საკანში ვიჯექე.

— მეტე, გაქცევა როგორა მოახერხე? თქეითი — მამართა ნაღვედა კონსტანტინოვნამ.

კამო თითქოს მორცხებოდა, ორი სიტყვით უნდოდა მთელი ამბავი გადმოეცა, მავრამ ისინი არ ეშვებოდნენ, კითხვებს აძლევდნენ.

ვ. ა. ლენინს მასზე უამრავი და საკამოდ უცნაური ამბები ჰქონდა გაგონილი.

კამო ჰკვებოდა, როგორ შეიყვანა შედღომში ბერლანელი ფსიქიატრები, როგორ გაავრძელა სიმულაცია თბილისში, როგორ ატუუებდა მათ და, ამევე დროს, როგორ ამზადებდა ციხიდან გაქცევას.

ბევრი იციენს, როცა კამომ ჩაიტის — „პეტკას“ ამბავი მოუთხრო მათ.

ლენინი იცნოდა. მთელი სხეულით თრთოდა. თვალეზე ცრემლი ადგებოდა, ცხვირსახოცი თქვენდა ოთახში ჩჭარი ნაბიჯით დადიოდა.

— მეტე? მეტე? როგორ მოეწყო ციხიდან გაქცევა? — შეეკითხა კრუჰსკია, როცა სიცილი შეკავეს.

გამსწევებული და გათამამებული კამო ზუსტად ჰყებოდა თავის ამბავს. ილიჩი გულისყურით უსმენდა.

— ეს რა დამემართა! — უბად წამოძახა ნაღვედა კონსტანტინოვნამ, — როგორ დამავიწყდა, რომ ნამზავარი ხართ და გეშეიბათ. ახლავე, კამო, ახლავე! — წამოდგა და ვახაჭურაზე ჩაიდანა შედგა.

მალე პატარა მავიდას შემოუსდნენ. კამო მადიანად იღუმებოდა.

— სხვა, კამო! როგორი განწყობილებაა თბილისში, ბევრმა უღალატა პარტიას და ლაკვიდატორების გზას დაადგო? — კეთხა ლენინმა კამოს.

— ვინდა არის ახლა თბილისში, — ზოგი გაქცეულია, თავს აფარებს, ბევრი ციხეშია, ან

გადასახლებაში, მხოლოდ მცირე ჯგუფი განაგრძობს პარტიულ მუშაობას.

ილინმა უკვე დაამთავრა, წამოადგა, ისევ საბარტული დაიწყო.

— ესათორდ უნდა მოეწვიოთ წმინდა ბოლშევიკური კონფერენცია. მესმევითებს უნდა ჩამოეცოდეთ, — თქვა ლენინმა.



ეს ის დრო იყო, როცა ლიკვიდატორები მრავლდებოდნენ, თვით ბოლშევიკებში კი განიხდნენ „ოტზოვისტები“ რომლებიც ბრძოლის ლეგალურ საშუალებებზე უარს ამბობდნენ და სახელმწიფო მათათბროში გაგზავნილი დეპუტატების გამოწვევას ქადაგებდნენ. არსებობდა როგორც ლიკვიდატორები, ისე „ოტზოვისტები“ ხელს იღებდნენ რევოლუციურ ბრძოლაზე.

როცა კამომ შეიტყო, რომ ლენინი ბოვდა-ნოეს და კრასინს გაეთიშა, უცერად შევეცირა: — როგორ! ჩააბ!

— არა! ისინი აღარ არიან მარქსისტები, ისინი რევოზიონისტები გახდნენ და მათთან მუშაობა აღარ შეიძლება! — ამბობდა ილიჩი.

შემდეგ კამომ გაიგო, რომ პარტიაში გამარჯვდნენ პროვოკატორები, რომ ცენტრშიც კი როგორც საზღვარგარეთ, ისე რუსეთში, ჩამდენიშე გამემლობა მოხდა. კამომ, მეორე დღეს, ლენინთან რომ მივიდა, აღფრთოვანებით დაიწყო ლაპარაკი, თუ რანაირად შეიძლებოდა პროვოკატორების გამოაშქარავება, პარტიის რიგების გაქმნადა.

— დავბრუნდები თუ არა რუსეთში, — ამბობდა კამო, — მე შევადგენ მტკაცვე, ბოლშევიკურ ჯგუფს, ხუთი-ექვსი ძალიან სანდო ამხანაგსაგან. გამოვეწყობით ეანდარმის ტანი-სამოსში, დაეწვევებ ცენტრში მომუშავე თვალ-საჩინო პარტიული მუშაეების დაპატიმრებას, — მივალთ ღამე მასთან ბინაზე. გავჩხრკეთ, დეატრსალებო, წავიყვანთ ჩვენს კონსპირაციულ ოთახში, ეაწამებო. დეატრანჯაეთ, ყველაფერს ეათქმევიანებო. მაშინ გამოირკვევა და ცხადი გახდება, რა იდამიანთან გვაქვს საქმე. გამო-აშქარადდება, ვინ არის პროვოკატორი და ვინ ნამდვილი პარტიული პარტიისანი მუშაკი. პრო-ვოკატორების გვარსა და სახელს პარტიულ ორგანოში გამოვაცხადებო.

ამაზე ილიჩი ილიმებოდა.

შემდეგ მოჭუტული თვალებით ლენინი კამოს გვერდით მოუჯდა და დაარწმუნა ამ პროექტის უნდადაგომასა და განუხორციელებასაში.

— ვანა მაგას არ სჯობს, პარტიული ტრანსპორტი მოეაწყოთ? მეშებს ნამდვილი ბოლშევიკური რევოლუციონერი წიგნები მივაწო-დოთ?

— რასაკვირველია, მაგრამ, თუკი პროვოკატორები არ მოგვეცემენ მაგის საშუალებას?

— უნდა მოეაწყოთ ძალაში წყრთნილად, შერჩებულო, უკვე გამოცდილი ამხანაგების სა-შუალებით! — ამბობდა ლენინი.

კამო ეთანხმებოდა, მაგრამ გულში მაინც თავის აზრს მტკიცედ ადგა.

ე. ი. ლენინის ოჯახში ხშირად დადიოდა კამო. უყვარდა ლენინი და მათან ზასი. კრუპსკაიაც ბავშვებით უვლიდა მას და ყველა სურვილს უსრულებდა.

საითხს იმის შესახებ, თუ რატომ არის რუსულ ენაზე კონსტანტინეს წერილი, შეგებო აკადემიკოსი ბროსე. მისი აზრით, ვარშავაში აღმოჩენილი კონსტანტინეს წერილი დედანია, ე. ი. თბილისში 1495 წლის 10 მარტს კონსტანტინე მეფემ რუსულ ენაზე დააწერინა წერილი თავის მდივანს და იზაბელას გაუგზავნა. შოლოდ ეს საბუთი შემდეგ ანტვასტს არ მიუღია, ე. ი. ქართველი ელმს ესპანეთში არ უოფილა და გარკვეული მიზეზის გამო წერილი ვარშავაში დატოვებული იქნა.²

ყოვლად მიუღებელი მოსაზრებაა: ვის შეეძლო მე-15 საუკუნეში ქართლის სამეფოში საბუთი რუსულ ენაზე დაეწერა და, რაც მთავარია, ვინ წაიკითხავდა იმ დროის ესპანეთში რუსულ ენაზე დაწერილ ეპისტოლეს. იმ დროს თვით რუსები ევროპასთან ლათინურ ან ბერძნულ ენაზე აწარმოებდნენ მიმოწერას. რუსული ენა მე-15 საუკუნეში საერთაშორისო ურთიერთობისათვის არავის არ გამოუყენებია. მაშინ შოლოდ ლათინური და ბერძნული იყო კრიტიკულ სახელმწიფოებში საერთაშორისო ენად მიღებული. წყევლების კანცლარიები ზოგჯერ ორ ენაზე წერდნენ საბუთებს — ადგილობრივსა და ლათინურ ან ბერძნულზე. საქართველოდან რუსეთშია კი რუსულ ენაზე წერილი არ გაუგზავნიათ, და ესპანეთში ვინდა გაგზავნიდა.

ვარშავაში დაცული საბუთი რომ დედანი უოფილიყო, მას კონსტანტინე მეფის ხელრთვა ექნებოდა, მას კი ასეთი არა აქვს, დედანს კი იგი აუცილებლად უნდა ჰქონოდა.

კონსტანტინე მეფის იზაბელასადმი გაგზავნილი წერილის დედანი ლათინურ ენაზე ვერ დაწერილი. საქართველოდან ევროპაში სახელმწიფოებში მე-15 საუკუნეში ლათინურ ენაზე გაუგზავნიათ ამავე ადრე წერილები. ასე რომ, ვარშავაში დაცული საბუთი თარგმანია და არა დედანი. და რომ ეს რუსული ტექსტი ლიტვა-პოლონეთის სახელმწიფოში შესრულებული თარგმანია უნდა იყოს ლათინურიდან, ამის დამაბტკიცებელია რუსული ტექსტის ის ადგილი. სადაც ქართველი მეფის ტიტულაცია მოკლებულია. აქ ქართველი მეფე მოხსენიებულია ახეთის მეფედ „Царь Кафетский“. ღველ რუსულში მხოლოდ ლათინურ ტექსტს შეეძლო მოეცა „X“-ს ნაცვლად „Ф“.

მაგრამ ახლა ჩვენთვის უფრო საინტერესოა, რატომ აღმოჩნდა რუსულ ენაზე თარგმნილი ქართველი მეფის საბუთი ვარშავაში?

მას შემდეგ, რაც ოსმალი თურქებმა ევლტურული ბიზანტიის ნანგრევებზე თავიანთი სახელმწიფო შექმნეს, ქართველებს შავი ზღვის სურტეებიც ევროპაში გასასვლელი გზა ჩაეკეტათ. ამიტომ ერთხანად, იმავე მე-15 საუკუნეში, ევროპაში მიმავალი ქართველი საქართველოს კეთვინილი შავი ზღვის სანაპიროებიდან ზღვით მდინარე დუნაიმდე მიდიოდა, ხოლო იქედან, ვლახეთზე გავლით, უნგრეთამდე. აქედან კი — საითაც მოსიერებდა. 1458-59 წლებში, როცა ქართველი მეფე-მთავრები რომის პაპის მოწოდებას (თურქეთის წინააღმდეგ ევროპის სახელმწიფოებთან ერთად კოალიციაში მონაწილეობის მოვლას შესახებ) სიხარულით გამოეხმარნენ და ევროპაში ელნები გაგზავნეს, ამ ელნებს ფაზისიდან შავი ზღვით მდინარე დუნაიმდე მიულწივით, აქედან ამ მდინარის სათავეებისაკენ აყოლებით ჰუნგრეთში მისულან, უნგრეთიდან კი გერმანიის იმპერატორს ეახლნენ, გერმანიიდან კი იტალიისაკენ აღდეს გეზი.³

მშასადაამე, საქართველოდან, შავი ზღვის სურტეების ჩაეტვის შემდეგ, ევროპაში მდინარე დუნაის საშუალებით გადიოდნენ. მაგრამ 1476 წლისთვის თურქეთს ვლახეთი დაუქვემდებარდა, ხოლო 1484 წლის მარტის თურქეთ-მცხეთე-სამეგრე კილია დაიკავა ისე, რომ შავი ზღვიდან მდ. დუნაში შესვლის ამიერადან თურქეთი კონტროლობდა. კილიიდან თურქეთის სულტანი ბაიაზეთი ძირითადი ძალებით მდინარე დნესტრის შავი ზღვის შესართავთან არსებულ ბელგროდს დაესხა თავს და დაიკავა. თუ რამდენად მნიშვნელოვანი იყო თურქეთისათვის შავი ზღვის სანაპიროზე ამ ორი ციხე სომეგრის დაპყრობა, კარვად მოჩანს თვით სულტანის წერილიდან „სულტანი კილიას უწოდებს მოლდავეთის მთელი მიწაყლის, უნგრეთის და ჩრდილოეთ დუნაის მხარის ალყაფის კარებში

¹ შ. თამარაშვილი. დასახელებული ნაშრომი გვ. 66.

² ი. ბროსეს „Histoire moderne de la Géorgie addition I გვ. 409

1. შ. თამარაშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 60-61.

ხოლო ბელგოროდს ალაყაფის კარებს და გასაღებს პოლონეთის, რუსეთის, თათრების და შავი ზღვის მთელი ჩრდილო სანაპიროების ტერიტორიების* 1.

ამრთველ, მე-15 საუკუნეში ოსმოსიან წლებში ქართულს ევროპისაკენ ღუნაის გზა ისევე ჩაეკრთა, როგორც ბოსფორი და დარდანელი.

სპარსეთიდან და, საერთოდ, აღმოსავლეთიდან ევროპისაკენ მიმავალ მგზავრს საქართველოს ტერიტორიით და შავი ზღვით — ღუნაის გზით რომ ერჩია წასვლა, ეს ვენეციის რესპუბლიკის ერჩის ამბროსი კონტარინის დღეურიდანაც კარგად მოჩანს. კონტარინი წერს, რომ, როცა ირანიდან 1475 წელს სამშობლოში ებრუნდებოდით, ჩემთან ერთად სპარსეთიდან სხვა ევროპელი ელჩებიც წამოვიდნენო, მათ შორის მოსკოვის მთავრის ელჩიცო; ჩვენ გადაწყვიტეთო, საქართველოზე გავლით და შავი ზღვით რესპუბლიკაში დაბრუნებაო. მათ მართლაც საქართველო გადასერეს თბილისზე გავლით და ფაზისში ანუ ფოთში მივიდნენ. მაგრამ აქ თავზარდამცემი ამბავი გაეფეთო, თურქებმა ყირიმის ნახევარკუნძულზე კაფა ანუ თოლოსი დაიკავესო. ელჩებს შეშინებულად და ამიტომ ერთმა ნაწილმა უკან დაბრუნება და შემახა-ბაქო-დარუბანდით ასტრახანისა და ვოლგის გზით მოსკოვზე გავლით ამკობინა დასავლეთ ევროპაში გასვლა, ხოლო ნაწილმა კი ჩერქეზეთის გზით ისტრეა ვამგზავრება. 2

მაგრამ მდინარე ღუნაის გარდა, შორე გზაც არსებობდა, დასავლეთ ევროპაში გასასვლელი. საქართველოს კუთვნილი შავი ზღვის სანაპიროებიდან ზღვით მდინარე დნებრის შესართავამდე, დნეპრით კიევეზ გავლით დნეპრის დასავლეთის შენაკადებით პოლონეთზე და აქედან ევროპის ყველა მიმართულებით. მე-12 საუკუნეში საქართველოდან შავი ზღვით და დნეპრით კიევეზდე მგზავრობა დადასტურებულია რუსული მითიანის ცნობითაც. 3

სანამ ევრაზია და ბელორუსია ლიტვა-პოლონეთის გაერთიანებულ სახელმწიფოს საზღვრებში იყო მოქცეული, შავი ზღვის და დნეპრის გზა საქართველოს ლიტვა-პოლონეთის სამეფოსთან ან ცალკეულად ლიტვის ღუნა სამთავროსთან აკავშირებდა. ამის შესახებ ჩვენ უტყუარი ცნობები გვაქვს, მაგრამ მე-15 საუკუნის უკანასკნელი ათი წლის მანძილზე საქართველოდან დასავლეთ ევროპაში გასვლა გართულდა 1492

წლის დასაწყისში ყირიმის ხანი მენლიკ გირეი მოსკოვს დიდ მთავარს, ცნობილ იოანე III, ვითომც როგორც მეგობარს, ატყობანებდა, რომ ლიტვა-პოლონეთის მეფის კუთვნილ ტერიტორიაზე, მდინარე დნებრის შავი ზღვის შესართავის რაიონში დნებრის მარჯვენა ნაპირის დასავლეთით ციხე-სიმაგრის აგება გადაეწყვიტეთო და განზრახულის სისრულეში მოსაყვანად მუშაობა უყვე მიმდინარეობსო. და როცა ამ საქმეს მოერჩები, ჩემი და ჩემი ძმის (ე. ი. იოანე III) დეშმანს მტრობის არ მოეკლებ შესაძლებლობის ფაქტებშიო.

ყირიმის ხანმა მართლა ააგო ციხე-სიმაგრე დნებრის შავი ზღვის შესართავთან დასავლეთ უბანზე, რომელიც შემდეგ ოჩაკოვის ციხე-სიმაგრედ იყო ცნობილი. თავზარდამცემი ამბავი იყო პოლონეთის მთავრობისათვის ოჩაკოვის აგება. პოლონეთი შავი ზღვის ნაპირებს სამუქამოდ ჰყარგავდა. თურქეთისა და ყირიმის რკალი შავ ზღვას თითქმის ყოველი მხრიდან გარს ედებოდა. პოლონეთის მეფე ჯერ კაზიმირი, ხოლო მისი გარდაცვლის თანახმა (1492 წ.) ოლექსანდრე კაზიმირის-ძე, სავანგელო ელჩობას გზავნის ყირიმში. პოლონეთის ელჩს ივანე გლინსკის დავალებული ჰქონდა ყირიმის ხანი დაეჯერებინა და დნებრის ქვემო დინების მიდამოებში ციხე-სიმაგრის მშენებლობა მიეტოვეებინა. პოლონეთის მთავრობა იღუქვამდა ხანს, ციხის მშენებლობაზე გაწეული ხარჯების ანაზღაურებას. 1

ფუჭი გამოდგა ყირიმის ხანთან დამეგობრების ცდები, ყირიმის ხანი ამხელად მოსკოვის მთავრისგან ღებულბოდ უფრო მეტი ღირებულების „მოსაკითხს“, მოხერხებულად სარგებლობდა ლიტვა-პოლონეთისა და მოსკოვის სამთავროს შორის არსებული წინააღმდეგობებით და ახლა, რაკი ყირიმელ თათრებს დაყრობების თავი არ ჰქონდათ, ძველ მონგოლებთან ეს მეშვეიდრები მუშაობლებზე მძარცველობითი თარეშების მოწყობის ხელობას დასდგომოდნენ და პარაზიტებით არსებობას განაგრძობდნენ.

პოლონეთის ელჩი ახლად აგებულ ოჩაკოვის ციხეში ჩამაწყვედა ყირიმის ხანმა. მდინარე ღუნაის, დნეპრისა და დნებრის შორის პოლიტიკური წინააღმდეგობის რთული კვანძი გაინაცვლა თურქეთის წინააღმდეგ მოკავშირეების ძებნა ლიტვა-პოლონეთის სახელმწიფოს საგარეო-პოლიტიკის ერთი მნიშვნელოვან საკითხთაგანია, მე-15 საუკუნის ოსმოსიანი წლებიდან დაწყებული. 2

დნებრის გზა ევროპისაკენ მე-15 საუკუნის

1 К. В. Базилиевич, Внешняя политика русского централизованного государства, вторая половина XV века, 1952 г. гл. 239.

2 Библиотека иностранных писателей о России. 1836 г., гл. 63, об. კონტარინის დღეური:

3. ამ გზის შესახებ იხ. ა. ცინცაძე, ძიებანი რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის ისტორიიდან. X-XVI სს, 1956 წ., გვ. 171-189.

1. პოლონეთის, თურქეთის და ყირიმის დამოკიდებულების შესახებ ცნობები იხ. К В Базилиевич, Внешняя политика русского централизованного государства... 1952 г., гл. 239—246.

2. იქვე.

მიწერულში საფრთხეშია. ამ გზით მიმოსვლა ქართველებისათვის იმაზეა დამოკიდებული, ანა თუ იმ წელს რა განწყობილება აქვს ყირიმის ხანს ლიტვა-პოლონეთის სახელმწიფოსთან და თვით ქართველ ზელსუფლებთან. საგანგებო სანუქრები, რა თქმა უნდა, გზას უნსდნად ქართველ დესანტებს ყირიმის სამფლობელოში. მაგრამ, ამჟამ დროს, ისიც უნდა აღინიშნოს, რომ უკრაინელი კაზაკობა ადვილად როდი ეთმობდა დნებარს გზას ყირიმედებს. ამრიგად, მე-15 საუკუნის უკანასკნელ წლებში საქართველოსათვის ვეროპაში გასასვლელი გზები არსებითად დაიხშო, მაგრამ მდინარე დნეპრი, ლიტვა-პოლონეთის სახელმწიფოს ფარგლებში მოქცეული, მაინც ერთადერთი უმოკლესი გზა რჩებოდა, დასავლეთით გასასვლელი, შემთხვევით არ არის კონსტანტინე მეფის წერილში აღნიშნული, რომ ყველაფერს ვერ ვწერ, რადგანაც ესპანელისაყენ მომავალ გზაზე მრავალი მტერიაო: „того ради что суть на пути врази мнози, как ведомо царствию твоему, что всегда мучимы есмь от безбожных“.

შეველო თუ არა ქართველ ელჩს 1495 წელს დნებარს გზის გარეშე ესპანეთში მისულიყო? 1492 წლის ფაქტი ნათეს ხდის, რომ შემხაბაქო-დარბანდი ოქრის, ურდო ასტრახანი-კოვლით მოსკოვამდე ქართველ ელჩს (კახეთის მეფის ელჩს) გაუვლია, ხოლო მოსკოვიდან ლიტვა-პოლონეთით დასავლეთ ვეროპაში გამგზავრება ძნელი აღარ იყო. მაგრამ კორნელი მღვდელ-მონაზონი და ესპანელი სტუმრები ამ გზით არ უნდა წასულიყვნენ ვეროპაში. იყენ ვიცით, რომ ამ გზას უკეთეს შემთხვევაში ოთხი თვე სჭირდებოდა მოსკოვამდე. აქ უნდა გამოვხატოთ და მხოლოდ მეორე წლის განახლებზე განვიკითხოთ გზა. ვატყანის არქივში დაცული საბუთებიდან ახლა ჩვენ ვიცით, რომ კონსტანტინე მეფის ელჩი, კორნელი მღვდელ-მონაზონი, 1496 წლის ივნისში, ესპანეთში ყოფნის შემდეგ, რომიდან ბრუნდება სამშობლოში, მას პაპი სარეკომენდაციო ბარათს 1496 წლის 5 ივნისის თარიღით აძლევს. ეს იმის დამამტკიცებელია, რომ კორნელი დესანტი 1495 წელს საქართველოდან განახლებულზე გამგზავრებულ ესპანეთში ამავე წელს მივიდა, იქნადა კი რომში გადგოიდა და 1496 წელს ივლისში სამშობლოში ბრუნდება. ცხადია, ელჩები რუსეთის გზით არ წასულან ესპანეთში.

იყო შესაძებ გზა, რომლითაც ქართველ ელჩს და ესპანელ სტუმრებს საქართველოდან ესპანეთში შეიძლებოდა ემგზავრათ. ეს უნდა იყოს ის გზა, საიდანაც კორნელი მღვდელ-მონაზონი და ესპანელი დესანტი მოვიდნენ საქართველოში, საქართველოდან იერუსალიმამდე. ხოლო იერუსალიმიდან ხმელთაშუა ზღვით ესპანეთამდე. ჩვენ, რომ კონსტანტინე მეფის იზაბელასადმი გავზავნილ წერილს რუსული თარგმანი პოლონეთში არ გვეპოვნა და მხოლოდ ესპანე-

თის არქივში დაცული კონსტანტინე წერილის დედანი აღმოგვეჩინა. შეიძლება არც ეს დედანიც-ყო საქართველოდან დასავლეთ ვეროპაში გასასვლელი გზების ძიება. კონსტანტინე მეფის წერილის შინაარსის მიხედვით, ყოველგვარი ყოყმანის გარეშე, ელჩების მარშრუტს იერუსალიმის მიმართულებით და ხმელთაშუა ზღვით ევზარედებდით ვ. ი. რა გზითაც მოვიდნენ საქართველოში, იმავე გზით დაბრუნებულად ჩავთვლიდით. მაგრამ, როგორც ხანს, საქართველოდან ქართველი და უცხოელი დესანტები შავი ზღვით დნებარით პოლონეთზე გაეცილ წასულან ვეროპაში.

მაინც რატომ უნდა ამოერიოთ საქართველოში დნებარს და პოლონეთის გზა? კონსტანტინე მეფის წერილიდან აშკარა არის, რომ ქართველი და ესპანელი ელჩები როცა იერუსალიმიდან თბილისში მოდიოდნენ, თურქეთის საწინააღმდეგო კოალიციის შექმნის მიზანშეწონილანაზე შეთანხმებული იყვნენ. ევგვიპტის სულტანთან საქმე უნდა გამოჩვენებული იყო. ლიტვა-პოლონეთის სახელმწიფო, როგორც ზემოთ აღნიშნული იყო, მე-15 საუკუნის ოთხმოციანი წლებიდან თვით იყო ინიციატორი თურქეთის მოწინააღმდეგეების ერთ კავშირში გაერთიანებისა. ეტობა, საქართველოში თვალყურს ადევნებდნენ თურქეთის დაპყრობებს. ამ მხარე სარტერესა, როგორც არაფერ ყოფილა ინფორმირებული ქართველი მეფე კონსტანტინე თუ რა ხდებოდა იმ დროს მსოფლიოში: „...где тая слава, честь, что имаша хрестiane... где светлый и славный великий Костянтин град... где Трапезонское царство и Амореиское Якийское и Егрипское? и где Сербская земля? и где суть иные земли?“... სხვა რიგად არც შეიძლებოდა ყოფილიყო, სახელმწიფო რაღაც ჰქონდათ ქართველებს საქართველოს გარეშეში მაინდარე პრიციპალიტატის თვალყური უნდა ედევნებინათ და ქვეყნის გადასარჩენად საჭირო ღონისძიებები უნდა გამოეჩინათ. სახელმწიფო, რომელიც ამ საქმეებს თავს ვერ ართმევდა, იღუპებოდა, რასაც ზოგჯერ თვით ხალხის გადაგვარება და გადაშენება მოჰყვებოდა.

ლიტვა-პოლონეთის ტერიტორიაზე ქართველ დესანტს გაეცა გამოწვეული უნდა იყოს არა მარტო ვეროპაში გასასვლელი უმოკლესი გზის ძიებით, არამედ პოლონეთის სახელმწიფოსთან, როგორც თურქეთის მოწინააღმდეგე პოლიტიკურ ერთეულად, დაახლოების ცდილ. საფუძრებელია, რომ ქართველ ელჩს, ლიტვა-პოლონეთის მაშინდელ მეფისათვის, აღუქანდარე კაზიმირის-ძისათვის თურქეთის საწინააღმდეგე გეგმა გაუცენია და ესპანეთის დედოფლისათვის ვანკოთენილი წერილი უჩვენებია. ამის შედეგი უნდა იყოს ვარშავის არქივში კონსტანტინე მეფის წერილის რუსული თარგმანის არსებობა. ცნობილია, რომ პოლონეთში ლიტვის დიდ მთავ-

არბს ირჩედნენ მეფეებად. მე-15 საუკუნიდან მოკლებული პოლონეთი ამ გზით ლიტვის დიდი სამთავროს ტერიტორიების შემოერთებას ფიქრობდა. ლიტვაში კი დიდი მთავრის კარზე რუსული ენა იყო ვაბატონებული. ლიტვა თითქმის რუსული სამთავრო იყო. აქ შემოდდიოდა ძველი რუსული სამთავროები პოლონის, სმოლენსკის მინსკის ვალინ-ვოლინის ზეპირიკვის კიევის და სხვ. წერილი სამთავროები. ერთხანად საკითხი ასე იდგა, რომ რუსეთი ლიტვის დიდი სამთავროს ვარშემო შეიძლებოდა ვაერთიანებულყოფი. ამ ნიდავზე ლიტვის დიდი სამთავროსა და მოსკოვის სამთავროს შორის ხანგრძლივი ბრძოლა მიმდინარეობდა.

ლიტვის არქივები ნაწილობრივ რუსულ ენაზე დაწერილ დოკუმენტებს შეიცავს, რა თქმა უნდა, აქედრ რუსულ დოკუმენტებს თავისი სპეციფიკა აქვს, მაგრამ არსებითად იგი რუსულია.

ქრისტიანული სახელმწიფოები სავრთო მტრის წინააღმდეგ მოქმედებისას საიდუმლოებას ერთმანეთს უყოყმანოდ უზიარებდნენ. ლიტვა-პოლონეთის მეფესთან თუ საგანგებო წერილი არ წყლითა ქართულ დესპანს, მამის უნდა ვიგულისხმობ, რომ მტრის შიშით არ დაუწერიათ, თორემ ზეპირად მოსახსენებელი საიდუმლო გეგმები უდავოდ მოქონდა ქართველ ელჩს ალექსანდრე კაზიმირის-ძესთან.

იზაბელასადმი განუთქვილ წერილის პოლონეთში რუსულ ენაზე თარგმნა იმის მანქენებელია, რომ მაშინდელი პოლონეთის მეფის ალექსანდრე კაზიმირის-ძის კარზე ლიტვის დიდი სამთავროს რუსი ბოიარები იყვნენ პოლონელ პანებთან ერთად სახელმწიფოს საგარეო პოლიტიკის ხელმძღვანელებად და შთაღუქმენტი რუსულ თარგმანში გააცვენს. სამწუხაროდ, ჩვენ პოლონეთის არქივებში არ გვიმუშავია, თორემ შესაძლებელია, კონსტანტინე მეფის წერილის ლათინურ ენაზე ვადაწერილი პირიცი იხაზებოდეს. ლიტვა-პოლონეთი, როგორც აღნიშნული იყო, მე-15-16 საუკუნეში თურქეთის ბრობლუმით დიდად დაინტერესებული იყო. მაგრამ თურქეთის ბრობლუმის ვარდა, ლიტვის დიდი სამთავროსა და შემდეგ ვაერთიანებულ ლიტვა-პოლონეთის სახელმწიფოსა და საქართველოს შორის ურთიერთობა შავი ზღვით სავადად ვაგაოვებებული უნდა ყოფილიყო. შემთხვევითი არ უნდა იყოს, რომ მე-13 საუკუნის ვოლინელმა შემართანემ თავის თხულებებაში შესანიშნავი ცნობა შემოკვირნა და ვით აღმაშენებლის დროს საქართველოში ვაღმოსახლებულ ყოვალების შესახებ.¹

ვალინ-ვოლინის სამთავროს შავი ზღვით ურთიერთობა ქონდა საქართველოსთან, იმის

შემდეგაც, როცა ეს სამთავრო ლიტვის და პოლონეთის სახელმწიფოს ფარგლებში შემოქმედდა. დნარისა და მისი შენაკადების გზით საქართველო რომ ურთიერთობაში იყო მე-17 საუკუნის პირველ ნახევარში ლიტვა-პოლონეთის სახელმწიფოსთან და ეს ურთიერთობა სავადად მტკიცე რომ ყოფილა, ამის შესახებ ჩვენ უტუვარ ცნობის ვაწყვის ცნობილი მოგზაური პიეტრო დელა-ვალე. იგი რომის პაპისადმი ვანუთქვილ მოხსენებით ბარათში 1627 წელს ერთგან წერს: „თითონ პოლონეთის ხელმწიფეს, როგორც ამბობენ, ამ მთავრებთან (გურბილთან და დანიანთან) მივიწერა და მეგობრობა აქვს ხშირად ერთი გვიწინიდან მეორეში სავადად ხომალდები დადიანა“.² უდავოდ სავარადადებო ცნობა არის! იმავე მოხსენებითს ბარათში იგივე იეტროი სავანგებოდ შენიშნავს, რომ: „ქართველი მთავრები, ესე იგი იმერეთისა, ოდიშისა და გურიათის, ყოველთვის აყვავებული იყვნენ და ახლა კიდევ უფრო აყვავებულან... იმათ დიდი ვაჭრობა აქვთ კონსტანტინეპოლთან და შთელ სახურმწიფოთან აბრეშუმითა და სხვა რამეებითა... პოლონეთის კახაყებს რომელნიც დნეპრის შავ ზღვასთან შესართაზე ცხოვრობენ, დიდის სიყუარულით იღებენ თავიანთ ქვეყნებში, როგორც ქრისტიანებს, რადგანაც ისინი თურქების დიდი მტრები არიან და დიდ ზარალს აყენებდნენ წინათ და ახლაც იმათ... რადგანაც კახაყები დღეს შავი ზღვის ბატონები არიან... პოლონეთის ხელმწიფეს ამ გზით, რომელიც ძლიერ მოყვება, შეუძლია დიდად დაეხმაროს ქართველებს ვაჭირებებაში...“³

პიეტრო დელა-ვალე თავის მოგზაურობის აღწერილობაში ერთგან წერს, რომ სპარსეთის მეფის კარის-კაცს ვუმტკიცებდი, რომ კახაყებში (პოლონეთის კახაყები ინუ უკრაინელები „ზაპოროყე“, ი. ე.) კავშირის მეშვეებით სპარსეთს შეუძლია აბრეშუმი ევროპაში ვაყიდოს ისე, რომ თურქეთის ტერიტორიაზე ვაგულა არ დასჭირდეს... სპარსეთის აბრეშუმი სულ მოკლე გზით შეიძლება მიტანილ იქნეს ევროპაში. იმ ვრძელი და სანაშარი გზების ნაცყლად, რომელნიც ალაზე (ალეპოზე) და ორმუზე ვადიან... ევპარი ამ გზით (ე. ი. შავი ზღვით) აბრეშუმს 10-20 დღეში ვადაიტანს... იმ დროს, როცა ოყეანის ვზას რვა-ათი თვე სჭირდებოდა თუ შიტი არა, ხოლო ხმელთაშუა ზღვის ვზას სულ ოცა 2-3 თვე... თანაც ეს შორი გზები მეკობრეებით არის სავსე, ქარიშხლებიც ხშირია...“³

და რომ უკრაინის გზით ლიტვა-პოლონეთის სახელმწიფოსთან და სხვა ევროპის ქვეყნებთან სავადად ურთიერთობაში ყოფილა ჩაბმული და-სავლეთი და აღმოსავლეთი საქართველო, ამის

¹ ამის შესახებ იხ. ი. ცინცაძე, ძიებანი რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის ისტორიიდან X-XVI სს, გვ. 189-202.

¹ ი. ცინცაძე, უკრაინისა და საქართველოს ურთიერთობის ისტორიიდან, 1954 წ. გვ. 44.

² იქვე.

³ იქვე, გვ. 41-42.

შესახებ ახლა, მოტიანილი წერილობითი ძეგლების გარდა, ნათლად შეტყუვდებენ სხვა ფაქტობივ.

ამ ათიოდე წლის წინათ, ერთმა სტუდენტმა რამდენიმე ცალი ვერცხლის მონეტა გადმოშვა და მოთხრა, რომ ქობულეთის რაიონში არის ნაპოვნო. ისე მახსოვს რომ ორი მათგანი 1627 თუ მახლობელი წლის იყო. წარწერა ცხადყოფდა, რომ მონეტა პოლონური იყო, თვით შათი მეფის გამოსახულებით. მაშინ ამ გარემოებას მე ყურადღება არ მივაქციე და კითხვაც არ დამიყენებია, რატომ უნდა აღმოჩენილიყო პოლონური ფული საქართველოში. მაგრამ, როდესაც ძველ უკრაინასა და საქართველოს ურთიერთობის ისტორიის მასალებზე მუშაობას შევეუდეთ 1954 წელს, მხოლოდ მაშინ მომავლობა პოლონური მონეტების ჩვენი ქვეყნის ტერიტორიაზე აღმოჩენის მნიშვნელობა.

ბათუმის მუზეუმის თანამშრომელთა თავაზიანი დახმარებით იქაური ნემიზმატიკური კოლექციების გადასინჯვამ დამარწმუნა, რომ პოლონური მონეტები იქაც საკმაოდ არის წარმოდგენილი. ჩვენი ნემიზმატიკური დ. კაპანაძესთან საუბარში გამოირკვა, რომ პოლონური და ევროპის სხვა სახელმწიფოების მონეტების საგანძურები დიდი რაოდენობით აღმოჩნდა ქ. მახარაძის მხა-

რეში და თბილისშიაც ტრამაის ხაზის სამუშაოების დროს. ეს ფაქტები მკვიდრ დასაყრდენს უქმნიან პიეტრო დელა-ვალეს ცნობებს.

მასალების ასეთ მონაცემებთან დაკავშირებით საჭირო იქნება პოლონეთის არქივებსა და სხვა წერილობითი ძეგლებში ქართველი მეცნიერის საგანგებო მუშაობა. დარწმუნებული ვართ, რომ ასეთი მუშაობის შედეგად არა ერთი საყურადღებო ცნობა აღმოჩნდება. სამწუხაროდ, დღემდე არც უკრაინის მუზეუმში გვიწარმოებია დაკვირვება და არც ლიტვა-პოლონეთის მასალებზე.

აქ წარმოდგენილ ყველა მასალის გათვალისწინების შემდეგ, ვფიქრობთ დაახლოებით მაინც საეარადებული ხდება რატომ აღმოჩნდა ქართველი მეფის კონსტანტინეს ესპანეთის დედოფლსადმი, იზაბელასადმი, გაგზავნილი წერილის რუსული თარგმანი ვარშავაში. ამ წერილს დღეს სანამ ესპანეთის სიძველეთსაცავებში კონსტანტინე მეფის ზელმოწერილი დედანი არ აღმოჩენილა, დედნის მნიშვნელობა ენიჭება. ეს ძეგლი მედამ მჭევრმეტყველი ფაქტი იქნება ჩვენი წინაპრების დაუცხრომელი მუშაობის ქართველობის შესანარჩუნებლად. წარმოდგენელ მძიმე პირობებში მოწინავე ქართველობას იარაღი არ დაუყარია, გამოსავალი უძებნია და უპოვია.



აუსიღებელი განმარტება*

ფერნალ „მნათობის“ 1958 წ. № 7-ში დაბეჭდილია განხილვის წესით კ. აქმარდიას წერილი „ფილოსოფიის ზოგიერთი სადავო საკითხის შესახებ“. ავტორი ეხება დიალექტიკური მატერიალიზმის პროგრამებსა (რომლებიც დამტკიცებულია უმაღლესი განათლების სამინისტროს მიერ) და ზოგიერთ სახელმძღვანელოს, გამოქვეყნებულს 1954 წლ. შემდეგ, და ცდილობს დამტკიცოს, რომ ამ პროგრამებში და სახელმძღვანელოებში მოიპოვება უხეში შეუდომები რევოლუციონისტული ხასიათისა. ავტორი წერს, რომ ამ პროგრამებსა და სახელმძღვანელოებში წამოყენებული დებულებები „რევოლუციონიზმის გამართლება“ (გვ. 125).

ჩვენ არ შეგვიძლია ეს ბრალდებები უფერადღებოდ დავტოვოთ, ჯერ-ერთი, იმიტომ, რომ საკითხებია, რომელთაც წერტილის ავტორი ეხება, მარქსისტულ-ლენინური ფილოსოფიის პრინციპული საკითხებია, და, მეორეც, ავტორის კრიტიკა ეხება დიალექტიკური მატერიალიზმის სახელმძღვანელოს, რომელიც გამოქვეყნებულია სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობის მიერ და რომლის ავტორები არიან ამავე უნივერსიტეტის დიალექტიკური მატერიალიზმის კათედრის წევრები. წერტილის ავტორი არ ასახელებს ამ სახელმძღვანელოს, მაგრამ ნათელია, რომ მის მხედველობაში სწორედ ეს სახელმძღვანელო აქვს: ის აკრიტიკებს იმ ზოგიერთ სახელმძღვანელოს, რომლებიც გამოქვეყნდა 1954 წლ. შემდეგ, ხოლო ასეთი სახელმძღვანელო ჩვენს კავშირში მხოლოდ ერთია — ეს არის ჩვენი სახელმძღვანელო, 1955 წ. გამოქვეყნებული. გარდა ამისა ავტორი აკრიტიკებს სწორედ იმ დებულებებს, რომლებიც ამ სახელმძღვანელოშია წამოყენებული, და რადგან კ. აქმარდიას წერილი დაიბეჭდა განხილვის წესით, ჩვენი გვინდა განვიხილოთ, თუ რამდენად მართებულია მისი საყვედურები სახელმძღვანელოს მიმართ, მისი ბრალდება, რომ ჩვენი დებულებები რევოლუციონისტული ხასიათისა არიან.

წერტილის ავტორი აღნიშნავს, რომ საბჭოთა ფილოსოფოსების შრომებში დოკტრინიზმის წარმოშობა დაკავშირებული იყო პიროვნების კულტთან, და პარტიამ მართებულად დავაშოროვტორი პიროვნების კულტი, ისე მასთან დაკავ-

შირებული დოკტრინიზმი. მაგრამ დოკტრინიზმის წინააღმდეგ ბრძოლის ნიშნით ზოგიერთ ადგილს აქვს მარქსიზმ-ლენინიზმის ძირითადი, საყოველთაოდ ცნობილი პრინციპების რევეზიანა და უარყოფას (გვ. 118); ფილოსოფიურ ნაშრომებში პიროვნების კულტის კრიტიკის საბაზით დაშვებულია ძალზე უხეში შეცდომები, რომლებიც ამახინჯებენ მარქსისტულ-ლენინური ფილოსოფიის ბუნებას (გვ. 118).

მეთხველისათვის გასაგები რომ იყოს, რაში ხედავს წერტილის ავტორი რევოზიანს, მარქსიზმის დამახინჯებას პროგრამებსა და სახელმძღვანელოებში, უნდა აღვნიშნოთ შემდეგი. მარქსიზმ-ლენინიზმის კლასიკოსებმა აღმოაჩინეს სამყაროს — ბუნების, საზოგადოებისა და აზროვნების — მოძრაობის, განვითარების უზოგადესი კანონები; ეს კანონები ცნობილია როგორც დიალექტიკის ძირითადი კანონები და მათ ვარკვეული სახელწოდებაც აქვს: 1) რაოდენობისა და თვისობრიობის ერთმანეთში გადასვლის კანონი, 2) უარყოფის კანონი და 3) დამირიბირებულია (წინააღმდეგობათა) ბრძოლისა და ერთიანობის კანონი. მარქსიზმ-ლენინიზმის კლასიკოსები სამყაროს, მისი საგნების, მოვლენების მოძრაობას, განვითარებას ახსნიან ამ სამი კანონით.

მარქსიზმ-ლენინიზმის კლასიკოსები უპირისპირებენ მათ მიერ შემუშავებულსა დასაბუთებულ დიალექტიკურ მეთოდს მეტაფიზიკურ მეთოდს და აღნიშნავენ იმ ძირითად ნიშნებს, რომლებითაც პირველი მეთოდი განსხვავდება მეორე მეთოდისაგან.

ახლა საკითხი ეხება დამოყიდებულებას დიალექტიკის ძირითად კანონებსა და იმ ნიშნებს შორის, რომლებითაც დასახელებული მეთოდები ერთმანეთისაგან განსხვავდება. რით, რა ნიშნით (ნიშნებით) შეიძლება ეს ორი მეთოდი განსხვავდეთ ერთმანეთისაგან? ეს საკითხი მარტვად უნდა იყოს: საკმარისია დავისახელოთ ისეთი ნიშნები, რომლებიც ერთ მეთოდს არსებითად განასხვავებს მეორე მეთოდისაგან. როგორია ეს ნიშნები? სულ ერთია, თუცა ისინი ზემოწამოყენებულ პირობას აკმაყოფილებენ. განსხვავების ნიშნებად შეიძლება იქნეს მინერული დასახელებული სამი კანონი: დიალექტიკა აღიარებს წინააღმდეგობათა ერთიანობასა და ბრძოლას სინამდვილეში, რაოდენობისა და თვისობრიობის ურთიერთში გადასვლას და სხვ. მეტა-

* განხილვის წესით. რ ე დ.

ფიზიკა უარყოფს ამ კანონებს. შესაძლებელია განსხვავების ნიშნებად დაეახებოთ ის, რომ დიალექტიკური მეთოდი განიხილავს სინამდვილეს განვითარების პროცესში, აღიარებს მოვლენების ურთიერთკავშირს, ხოლო მეტაფიზიკური მეთოდი სინამდვილეს ასე არ განიხილავს, მათ პრიციპულად უარყოფს.

გ. ი. ლენინი, 16 ელემენტს (ნიშანს); ზამოყრელით ზოგიერთს: 1) განხილვის ობიექტურობა, 2) ერთი საგნის მრავალ განსხვავებულ მემართებათა ერთობლიობა მეორისადმი, 3) ამ საგნის განვითარება, 4) ამ საგნის შინაგანი წინააღმდეგობა, 7) ანალიზისა და სინთეზის შერთება..., 10) საგნის ახალი მხარეების აღმოჩენის (раскрытие) უსასრულო პროცესი, 11) შემეტყვნების პროცესის უსასრულო გაღრმავება... მოვლენიდან არსებისაკენ და სხვ., 12) თანაარსობიდან ერთობლიობისაკენ..., 15) შინაარსისა და ფორმის ბრძოლა, 16) რაოდენობის გადასვლა თვისობრიობაში და პირიქით I.

ა. სტალინმა აღნიშნა ოთხი ძირითადი ნიშანი, რომლებითაც შესაძლებელია დიალექტიკური მეთოდის განსხვავება მეტაფიზიკური მეთოდისაგან: 1) მოვლენათა ურთიერთკავშირი, 2) მოვლენათა განვითარება, 3) რაოდენობის თვისობრიობაში გადასვლა და პირიქით და 4) წინააღმდეგობათა ბრძოლა, როგორც ძირითადი აზნული საყაროს მოძრაობისა და განვითარების. უნდა აქვე აღვნიშნოთ, რომ ა. სტალინის მიერ აღნიშნული ნიშნები, საეგზობით საყაროსია იმისათვის, რომ დიალექტიკური მეთოდი განესხვავებოთ მეტაფიზიკურისაგან.

რამი ხელდას კ. აქბარდია 1954 წ. შემდეგ გამოქვეყნებული პროგრამებისა და სახელმძღვანელოების „უხემ შეცდომებს“, „რევოლუციონიზმის გამართლებას“ კ. აქბარდია ეხება რამდენიმე საკითხს და, როგორც დავინახავთ, თვითონაც ვერ ერკვევა ვერც იმაში, თუ რა ბრალდებებს წაბოუყენებს სახელმძღვანელოს ავტორებს და ვერც იმაში, თუ რისი დამტკიცება უნდა და ნამდვილად რას ამტკიცებს იგი.

ძირითადი „უხეში შეცდომები“, მისი აზრით, მდგომარეობს შემდეგში: 1) სახელმძღვანელოს ავტორები ამოავდებენ დიალექტიკის ისეთ ნიშნებს, როგორცაა „მოვლენათა საუოველთაო კავშირი“ და „მოვლენათა მოძრაობა და ცვლილება“, ისინი ამ ნიშნებს „აუქმებენ“ (გვ. 118); 2) ისინი ამ ნიშნებს დიალექტიკის კანონებად არ თვლიან.

გავარჩიოთ, რამდენად მართებულია წერტილის ავტორის ეს ბრალდებები და რამდენად მართებულია ავტორის მსჯელობა ამ საკითხებზე.

1. კ. აქბარდია წერტილის დასაწყისშივე ურევს ვრთმანეთში ორ განსხვავებულ საკითხს: ის ხან

იმის დამტკიცებას ცდილობს, რომ პროგრამებისა და სახელმძღვანელოების რეკონსტრუქციისა და კავშირის ნიშნებს უნდა შევხედეთ იმას, რომ ისინი ამ ნიშნებს კანონებად არ თვლიან. რომ ეს ასეა, წერტილის დასაწყისშივე ჩანს. კ. აქბარდია აღნიშნავს, რომ ხსენებულ პროგრამებსა და სახელმძღვანელოებში მოძრაობისა და კავშირის ნიშნები „გაუქმებულია“, „არსად არ არის აღნიშნული, რომ „კავშირი“ და მოძრაობა“ მარქსისტული დიალექტიკური მეთოდის ნიშნებია, როგორც ამას აღვნიშნავთ 1954 წლამდე“ (გვ. 118). ამ დებულებას მაინცვე მოსდევს შემდეგი: „მაგრამ რატომ არ ცნობენ დიალექტიკური მატერიალიზმის ახალი პროგრამებისა და სახელმძღვანელოების ავტორები, „კავშირის“ და მოძრაობის“ დიალექტიკური მეთოდის კანონებად?“ (გვ. 118). საკითხებია, რა შეცდომის ზედღვართ ზევი? ამ ნიშნებს კანონებად არ ვთვლით, თუ მათ საერთოდ ვაუქმებთ? თუ ამ ნიშნებს საერთოდ ვაუქმებთ, ზედმეტი ხდება იმის მტკიცება, რომ მათ კანონებად არ ვთვლით! თუ ისინი ნიშნებიც აღარ არიან, მით უმეტეს, კანონებიც აღარ იქნებიან.

პირველვე საბუთი, რომელიც მოჰყავს ამს. აქბარდიას ხსენებული ავტორების წინააღმდეგურავეს დიალექტიკის არსებით პრობლემას მისი გადაცემის, დაღაგების პედაგოგიურ (მეთოდურ) საქებითან. ავტორი აღნიშნავს, რომ სახელმძღვანელოს შეფასებისას უნდა გამოვიყოფოთ იქიდან, თუ რამდენად მისაწვდომია მისი შინაარსი „იმ აღმართის გონებისათვის, რომელიც იზიარებს მარქსიზმის იდეოლოგიას, მაგრამ არ იცის მარქსისტული ფილოსოფია და ამიტომ პირველად უხდება მისი შესწავლა და გაგება“ (გვ. 119). გამოიღოს რა ამ პრინციპიდან, კ. აქბარდია აყენებს შემდეგ დებულებას: „განვითარების“ (დიალექტიკის) თეორიის გადმოცემა და მისი შესწავლა აბსოლუტურად შეუძლებელია „მომართობისა“ და „კავშირის“, როგორც დიალექტიკის ნიშნების, განხილვის გარეშე“ (იქვე. ზახი იქმია კ. ბ.).

გავარჩიოთ ეს საბუთი. როგორი უნდა იყოს გადმოცემა განვითარების თეორიისა სახელმძღვანელოში, რომ ის გასაგები იყოს (გვ. 119) შესწავლულისათვის, ენება იმას, თუ რამდენად პედაგოგიური თვალსაზრისით არის გამართული სახელმძღვანელო და არა იმას, წარმოადგენს ეს ნიშნები კანონებს თუ არა.

ავტორი ვერ ამჩნევს, რომ ის არაფრთმთქმელ დებულებას „წამოაყენებს“: განვითარების თეორიის გადმოცემა აბსოლუტურად შეუძლებელია „მომართობის“ ნიშნის გარეშე. მოძრაობის ცნება მარქსისტულ დიალექტიკაში იხმარება როგორც ცვალებადობა, განვითარება საერთოდ, როგორც ამას აღნიშნავენ მარქსიზმლენინიზმის კლასიკოსები (იხ. ვნვლსი, ბუნე-

1 В. И. Ленин. философские тетради. 1947, гв. 192 — 193.

ბის დიალექტიკა, გვ. 255). რა გამოდის კ. აქ-
 ბარდას წამოყენებული დებულებიდან? თურმე
 განვითარება თეორიულ თუ ელემენტარულ,
 უნდა ელემენტარულ განვითარებაზე (მომართო-
 ბაზე). და ეს ტაქტოლოგიური გამოთქმა ფორ-
 მულურებულია როგორც რაღაც ახალი პრინცი-
 პი, ახალი დებულება: „გამოვლიერათ რა ამ
 პრინციპიდან, ჩვენ ვაყენებთ შემდეგ დებულე-
 ბას!“ არავითარი პრინციპი და არავითარი აზ-
 რიანი დებულება ეს არ არის: განვითარების
 თეორიის ვადმოცემისას შეუძლებელია „განვი-
 თარება“ გამოვტოვოთ (ამაზე კიდევ ქვემოთ).

გამოტოვებულია, გაუქმებულია მართლაც
 მოძრაობისა და კავშირის ნიშნები იმ სახელმძღ-
 ვანელოში, რომელიც გამოქვეყნებულია 1954
 წლის შემდეგ? ენახათ, როგორ არის ეს საკით-
 ხი განხილული ამ სახელმძღვანელოში?

საკითხი კავშირისა და მოძრაობის ნიშნების
 შესახებ ორჯერ არის განხილული ამ სახელ-
 მძღვანელოში, ერთხელ — თავში „მატერიალის-
 ტური დიალექტიკის ძირითადი კანონები“
 (თავი V) და მეორედ — მეექვსე თავში: „მატე-
 რიალისტური დიალექტიკის კატეგორიები“.

მეხუთე თავში მთელი პარაგრაფია სათაუ-
 რით: „დიალექტიკის ნიშნები და დიალექტიკის
 ძირითადი ნიშნები კავშირი“ (გვ. 244 — 249). ამ
 პარაგრაფში განხილულია დიალექტიკის ის

ელემენტები, რომლებიც დახასიათა
 ვ. ი. ლენინმა; შემდეგ ამას მოსდევს:
 „ი. სტალინმა, ვ. ი. ლენინის ზემოთ ჩამოთუ-
 ლილ დებულებათა საფუძველზე ჩამოაყალიბა
 დიალექტიკის ცნების განსაზღვრება, რომელიც
 დიალექტიკის ოთხი ძირითადი ნიშნის ერთი-
 ნობით არის წარმოდგენილი“. დახასიათებულია
 ოთხივე ნიშანი (პირველი — ურთიერთკავშირის,
 მეორე — მოძრაობა-განვითარების ნიშნები);
 შემდეგ ავტორი ამ ოთხი ნიშნის დიალექტიკურ
 ერთიანობას არკვევს. თუ დასაბუღებულია და
 დახასიათებულია ი. სტალინის მიერ აღნიშნული
 ოთხივე ნიშანი, როგორ შეიძლება ამის შემდეგ
 იმის თქმა, რომ კავშირისა და მოძრაობის ნიშ-
 ნები სახელმძღვანელოში გაუქმებულია, რომ არ
 არის არსად აღნიშნული, რომ მოძრაობა და კავ-
 შირი მარქსისტული დიალექტიკური მეთოდის
 ნიშნებია, როგორც ამის მტკიცების ცდილობს
 კ. აქბარდია. პარაგრაფის სათაურში შიანი წყე-
 პითხა კრიტიკოსს, თუ ტექსტს არ მაქცია ყუ-
 რადღება. იქნებ სათაურშია მხოლოდ აღნიშნუ-
 ლი ეს ნიშნები, და შინაარსში მათ შესახებ
 არაფერია ნათქვამი? სახელმძღვანელოში, რო-
 გორც აღნიშნეთ, დახასიათებულია არა მხო-
 ლოდ ეს ნიშნები ცალ-ცალკე, არამედ მოცემუ-
 ლია ცდა მათი ურთიერთთან დიალექტიკური
 კავშირის გარკვევისა, ვ. ი. მოცემულია ცდა
 იმის ზეენებისა, რომ „კავშირის“ ნიშანი დია-
 ლექტიკურად დაკავშირებულია „მოძრაობის“
 ნიშანთან, ეს უკანასკნელი — მესამე ნიშანთან,
 ხოლო მესამე — მეოთხესთან. შესაძლებელია ამ

ცდას მკითხველი არ დაეთანხმოს, მაგრამ შეუძ-
 ლებელია იმის უარყოფა, რომ ამ ნიშნებზე
 სპეციალურად არის მსჯელობა (და არც ერთი
 მათგანი არ არის გაუქმებული).

რად დასტურდა ავტორს იმის მტკიცება, რომ
 არსად არ არის აღნიშნული, რომ კავშირი და
 მოძრაობა მარქსისტული დიალექტიკის ნიშნე-
 ბია?

იქნებ ავტორს მხედველობაში მეექვსე თავი
 აქვს და არა მეხუთე. დავუშვათ, რომ მეექვსე
 თავში ამ ნიშნებზე არაფერია ნათქვამი. ამარ-
 თლებს ეს გარემოება წერილის ავტორს? რასა-
 კტრეველია, არა. მეხუთე თავში ხომ არის გარ-
 კვეული ეს საკითხი; განა მეექვსე თავში ისევ
 ამ ნიშნებზე უნდა ყოფილიყო საუბარი?
 კ. აქბარდია, არ ასაბუღებს რა სახელმძღვანე-
 ლოს, არც მის მეექვსე თავს — სწორედ ამ
 თავის შინაარსზე მსჯელობს.

შამ ასე: მეექვსე თავში სრულიად რომ არ
 ყოფილიყო მსჯელობა ამ ნიშნებზე, კ. აქბარ-
 დიას კრიტიკა მაინც საყენებლად უსაფუძვლო იქ-
 ნებოდა, რადგან ამ ნიშნებზე დაწერილებით მე-
 ხუთე თავშია საუბარი. ენახათ ახლა, რა ხდე-
 ბა მეექვსე თავში.

მეექვსე თავის პირველ ოთხ გვერდზე
 (გვ. 256 — 260) მსჯელობა წარმოებს სწორედ
 პირველ ორ ნიშანზე, კავშირისა და მოძრაობა-
 განვითარების ნიშნებზე. სპეციალურად განხი-
 ლულია განვითარების ცნება (§ 4). აღნიშნულია
 ისიც (ზელახლა), რომ ი. სტალინმა ჩამოაყა-
 ლბა მატერიალისტური დიალექტიკის ოთხი
 ძირითადი ნიშანი დიალექტიკური მეთოდის მე-
 ტაფიზიკური მეთოდისაგან განსხვავებისათვის.
 აქაც, მაშ, ეს ნიშნები არ არის „გაუქმებელი“.
 რასაკვირველია, ამ ნიშნებზე აღარ იქნებოდა ამ
 თავში დაწერილებით მსჯელობა, რადგან ეს
 საკითხი გარკვეულია წინა თავში და გარდა ამის-
 სა, აქ სპეციალური საკითხი არის დასმული. ეს
 საკითხი ეტება მოძრაობისა და კავშირის ნიშნე-
 ბის დამოკიდებულებას დიალექტიკის ძირითად
 კანონებსა და კატეგორიებთან.

დებულება, რომელიც აქ გამოთქმულია, შემ-
 დევში მდგომარეობს: მოძრაობა საერთოდ
 (ცვლილება, განვითარება) არ წარმოადგენს
 კანონს; როგორც მექანიკური მოძრაობა არ
 არის კანონი, არამედ არსებობენ კანონები, რომ-
 ლებსაც მექანიკური მოძრაობა ემორჩილება,
 როგორც ფიზიკური პროცესები (მოძრაობა) არ
 წარმოადგენს კანონს, არამედ არსებობენ კანო-
 ნები (ფიზიკის მიერ აღმოჩენილი), რომლებსაც
 ეს პროცესები ემორჩილებიან, როგორც სოცია-
 ლური პროცესები (სოციალიზმის განვითარების
 ისტორია) არ არის კანონი, არამედ არსებობენ
 კანონები, რომლებსაც ეს ისტორიული პროცე-
 სი ემორჩილება და სხე., ისე მატერიალური მოძრა-
 ობა საერთოდ არ არის კანონი, არამედ არსე-
 ბობენ უზოვადესი კანონები — დიალექტიკური
 მატერიალიზმის ფუძემდებლებს მიერ აღმოჩე-

ნლი — რომლებსაც ემორჩილება მატერიის მოძრაობა-განვითარება. მარქსიზმ-ლენინიზმის თეორიაში ეს იმდენად ელემენტარული დებულებაა, რომ მის შესახებ დავა შეუძლებელია. ფ. ენგელსი, წერდა რა სამყაროს მოძრაობა-განვითარებაზე, აღნიშნავდა: „ესაა წრებრუნვა, რომელშიაც მატერიის სასრულოვანი არსებობის ფორმა — იქნება ეს მზე თუ ნისლოვანება, ცალკეული ცხოველი თუ ცხოველთა გვარობა, ქიმიური დაშლა თუ შეერთება — ერთნაირად წინადავლია, და რომელშიაც მარადი არაფერია, გარდა მარად ცვალებადი, მარად მოძრავი მატერიისა და იმ კანონებისა, რომელთა თანხმად ის მოძრაობს და ცვალებადობს“ (ბუნების დიალექტიკა, გვ. 28. ხაზი ჩეზია. კ. ბ.). გარკვეულად არის ნათქვამი: მატერიის მოძრაობა-ცვალებადობა და ის კანონები, რომელთა თანხმად ხდება მოძრაობა-ცვალებადობა. ნუთუ იმის გაგება ძნელია, რომ მოძრაობა და მოძრაობის კანონი განსხვავებული ცნებებია. ასევე: ნუთუ იმის გაგება ძნელია, რომ კავშირი და კავშირის კანონი განსხვავებული ცნებებია? მოძრაობა-განვითარება კანონს ემორჩილება, კანონი ამ მოძრაობა-განვითარების კანონია, მაგრამ აქედან როდი გამოიშინარეობს, რომ მოძრაობა თავითონ კანონი იყოს. კ. აქბარდია ამ მარტოდ დებულებას, მარქსიზმ-ლენინიზმისათვის პრინციპულ დებულებას, დებულებას, რომელიც ასე გარკვეულად აქვს გამოთქმული ენგელსს — მარად მოძრავი მატერია და ამ მოძრაობის კანონები — უხეშ შეცდომად და რვეზიონიზმად თვლის.

კ. აქბარდია ასე გადმოცემს სახელმძღვანელოში მოცემულ დებულებებს: „ზოგიერთი საბჭოთა ფილოსოფოსი ამტკიცებს, რომ „მოძრაობა“ და „კავშირი“ დიალექტიკის კანონები არ არიან იმიტომ, რომ ისინი უშუალო, ემპირიული ფაქტებია. ისინი მოვლენებს წარმოადგენენ და არა კანონებს. „მოძრაობა“ და „კავშირი“ დიალექტიკის ნიშნებია და არა კანონები. „მოძრაობისა“ და „კავშირის“ შემწვევა ყველას შეუძლია, მათ ყველა ხედავს, ხოლო დიალექტიკური განვითარების შინაგანი კანონების აღმოჩენა მეცნიერული აზროვნების გარეშე შეუძლებელია. ამიტომ არსებობს განვითარების (დიალექტიკის) მხოლოდ ზემოთ აღნიშნული სამი კანონი“ (გვ. 118. ხაზი ჩეზია. კ. ბ.). უცუროდლებოდ ვტოვებთ ამ თავისებურ გამოთქმებს და იმ საოცარ დასკვნას („ამიტომ“), რომელიც კ. აქბარდიას ლოკის მაჩვენებელია და არა სახელმძღვანელოს ავტორებისა: სად ან როდის ვინმეს დაუწერია, რომ რადფან მოძრაობას და განვითარებას ყველა ხედავს, ხოლო კანონების აღმოჩენა მხოლოდ აზროვნების საშუალებით შეიძლება, ამიტომ არსებობს სამი კანონი?

მეიბეველი წაიკითხავს და იფიქრებს, რომ, მართლაც, ყოფილა ისეთი საბჭოთა ფილოსოფოსი, რომელიც ამგვარ აზსურდულ დასკვნებს აკეთებს. ამისთანა დასკვნების გავრცელება, მარტო-გორც ჩანს, მხოლოდ კ. აქბარდიას შეუძლია.

საერთოდ, უნდა ითქვას, რომ დებულება — „მოძრაობისა და კავშირის შემწვევა ყველას შეუძლია, მათ ყველა ხედავს, ხოლო დიალექტიკური განვითარების შინაგანი კანონების აღმოჩენა მეცნიერული აზროვნების გარეშე შეუძლებელია, ამიტომ არსებობს განვითარების (დიალექტიკის) მხოლოდ სამი კანონი“ — შეთხზულია კ. აქბარდიას მიერ და არსად ამგვარი დებულება 1954 წლ. შემდეგ გამოქვეყნებულ სახელმძღვანელოში არ მოიპოვება.

ახლა არსებითად: 1) სახელმძღვანელოში გამოთქმულია აზრი, რომ დასახელებული ოთხი ნიშნიდან ყველა არ წარმოადგენს კანონს. მეორე ნიშნის მიხედვით, მაგალითად, სინამდვილეს ახსიათებს მოძრაობა, ცვალებადობა, განვითარება, მაგრამ, ცხადია, რომ მოძრაობა, ცვალებადობა არის ფაქტი, რომელიც გარკვეულ კანონს ემორჩილება. შექანიერები მოძრაობა თავითონ კანონს კი არ წარმოადგენს, არამედ მოვლენას, ფაქტს, რომელიც მექანიკური მოძრაობის კანონს ემორჩილება. განვითარება ახსიათებს სინამდვილეს, მის მოვლენებს; მას ახსნა სჭირდება: რა არის მიზეზი განვითარებისა, როგორი ხასიათი აქვს განვითარებას, რა დამოკიდებულება არსებობს განვითარების პროცესში ახალსა და ძველს შორის. დიალექტიკის ძირითადი კანონები გვაძლევენ საშუალებას ავსნათ განვითარების პროცესი; 2) სახელმძღვანელოში არ არის საუბარი იმის შესახებ, შეუძლია თუ არა ყველას შემწვევა მოძრაობისა და კავშირებისა, იმის შესახებ, რომ მათ ყველა ხედავს; მაგრამ ასეთი რამ რომ იყოს კიდევ სახელმძღვანელოში, იქნებოდა ეს „უხეშო შეცდომა“ ანდა „რვეზიონიზმი“? ამ აზრს ხომ ენგელსი გამოთქვამს „ანტი-დღერინგში“ (გვ. 26).

სახელმძღვანელოში არ არის ამაზე საუბარი — მით უმეტეს ისეთ უხეზარო ფორმულირებაში, როგორც „მათ ყველა ხედავს“, „მათი შემწვევა ყველას შეუძლია“ — მაგრამ ვიმეორებ, ასეთი აზრი რომ ყოფილიყო, ეს ენგელსის აზრის გადმოცემა იქნებოდა და არა „უხეშო შეცდომა“ და „რვეზიონიზმი“. კ. აქბარდიის ბრალდება რვეზიონიზმიში, უხეშ შეცდომაში ენგელსის მიმართ არის წამოყენებული და არა სახელმძღვანელოს მიმართ, რომელიც გამოცემულია 1954 წლ. შემდეგ.

საინტერესოა ის არის, რომ ზანიხილავს რა მოძრაობასა და კავშირს, ენგელსი დასძენს, რომ ეს საერთო სურათი ახსნას მოითხოვს: „სინამდვილეს ამ ახსნას ვერ შევძლებთ, საერთო სურათსაც (ე. ი. რომ ყველაფერი მოძრაობს, ყველაფერი დაკავშირებულია. კ. ბ.) ნათლად ვერ

1 კანონი ყოველთვის კავშირს გამოხატავს, მაგრამ კავშირი ყოველთვის კანონი როდია.

წარმოვადგენთ" (იქვე). რით უნდა ავსნათ ეს მოძრაობა და კავშირი? ენგელსი ამახუდაც ვეძალევეს პასუხს: უნდა აღმოვაჩინოთ მათი შინაგანი კანონზომიერება (გვ. 30). ჩვენ ვფიქრობთ, რომ საკითხი ამით გარკვეულია: არსებობს მოძრაობა-განვითარება, არსებობენ კავშირები — თუ რა დამოკიდებულებაა მათ შორის, ეს გარკვეულია სახელმწიფოებრივად — და დიალექტიკა აღმოაჩენს მათს ძირითად კანონებს.

კ. აქმარდია მანც ცდილობს იმის დამტკიცებას, რომ მოძრაობა და კავშირი დიალექტიკის კანონებს წარმოადგენენ. ცდილობს ის ამის დამტკიცებას ციტატების მოყვანილ მარქსიზმ-ლენინიზმის კლასიკოსების შრომებიდან. განვიხილოთ ეს მის მიერ მოყვანილი ციტატები.

ა) ენგელსი, აღნიშნავს აქმარდიას, „ანტი-დიუჩინგის“ შესავალში განასხვავებს დიალექტიკის მეტაფიზიკისაგან იმით, რომ პირველი (დიალექტიკა) განიხილავს საგნებს მათს კავშირში და მოძრაობაში, მეორე (მეტაფიზიკა) უარყოფს კავშირსა და მოძრაობას. რა ვაიმომდინარეობს აქედან? — სვამს საკითხს აქმარდია. ვაიმომდინარეობს აქედან, განავლობს ავტორი, ის, რომ მოძრაობა, კავშირი დიალექტიკური შეთქმის ნიშნებია („ნიშნობი“, გვ. 119). შემდეგ: „ის, რითაც დიალექტიკა განსხვავდება მეტაფიზიკისაგან, არის დიალექტიკის ნიშანი, არის დიალექტიკის კანონი. ეს თავისთავად ცხადია“ (იქვე). კ. აქმარდიას ჰგონია, რომ მან დამტკიცა თავისი დებულება რა უნდა დამტკიცებული იყოს მისი? ის, რომ დასახელებული ნიშანი კანონია; როგორ დასაბუთა მან ეს დებულება? რადგან ნიშანია, ამიტომ კანონია, ეს თავისთავად ცხადია.

კ. აქმარდიას არ ესმის ის, რომ სწორედ ეს დებულება უნდა დასაბუთოს; მან უნდა დასაბუთოს — და ამას ვგვირდებოდა „დასაბუთების“ დასაწყისში (გვ. 119) — რომ ნიშანი კანონია და „დასაბუთება“ კი იმაში მდგომარეობს, რომ ის აქცედებს: ეს ხომ თავისთავად ცხადია, რომ ნიშანი და კანონი ერთი და იგივეა. თუ თავისთავად ცხადი იყო, რაღა დასაბუთება სჭირდებოდა მას! საქმე ისაა, დასაბუთდეს ნიშნის და კანონის იგივეობა!

ბ) უფრო კერძოვითაა მეორე საბუთი, რომელითაც კ. აქმარდია ცდილობს დასაბუთოს, რომ „კავშირი“ კანონია. ენგელსი, წერს კ. აქმარდიას, სტატიის — „დიალექტიკა“ განიხილაქს დიალექტიკის, როგორც მეცნიერებას კავშირების შესახებ. „მართალია, ფ. ენგელსს ამ სტატიის იმისადა არა აქვს ნათქვამი, რომ კავშირი დიალექტიკური განვითარების კანონია, მაგრამ დიალექტიკის განმარტავს, როგორც მეცნიერებას კავშირის შესახებ“ („ნიშნობი“, გვ. 125). მოჰყავს რა ენგელსის დებულება — „განვიხილოთ დიალექტიკის — როგორც კავშირთა შესახებ მეცნიერების ზოგადი ბუნება“, აქმარდია დასძენს: „ფ. ენგელსის მარტო ეს გამოთქმა აღსტერებს იმ დებულებას, რომ „კავშირი“

დიალექტიკური განვითარების კანონია“ (იქვე). ეს იქიდან ჩანს თურმე, რომ „მეცნიერება“ როგორც ცნობილია, კანონებს სწავლობს; ეს დებულება ფილოსოფიაში ურყვევია. თუ მეცნიერება კანონებს სწავლობს, ხოლო დიალექტიკა, ენგელსის განმარტებით, არის მეცნიერება კავშირის შესახებ, მაშინ „კავშირი“ დიალექტიკის კანონი უოფილა“ (იქვე). არა მგონია სადმე სერიოზულ წერილში ამგვარი მსჯელობა შეგვხდეს. ასე რომ ემსჯელოთ, უნდა დაეასკებინათ რომ ფიზიკური მოვლენები კანონებს წარმოადგენენ, რადგან ფიზიკა სწავლობს ფიზიკურ მოვლენებს, ხოლო, „როგორც ცნობილია, მეცნიერება კანონებს სწავლობს“; ისტორია სწავლობს ისტორიულ მოვლენებს, მაშასადამე, ისტორიული მოვლენები კანონებია; ბუნებათმეცნიერება ბუნებას სწავლობს, მას, ბუნებაც კანონია. მეცნიერების საგნის ვაიგივება ამ საგნის კანონთან შეუძლებელია. მეცნიერებანი სწავლობენ მოძრაობის განსხვავებულ ფორმებს და მათს კანონებს ეძებენ და აღმოაჩენენ. იქიდან, რომ დიალექტიკა კავშირებს სწავლობს, არ ვაიმომდინარეობს ის, რომ შესაწავლ საგანი და მისი კანონი ერთი და იგივეა, რომ კავშირი და ამ კავშირის კანონი ერთი და იგივეა.

დ) კიდევ ერთი ციტატი, რომელიც მოჰყავს ამა. აქმარდიას იმის დასამტკიცებლად, რომ „კავშირის“ ნიშანი კანონია: ლენინი წერს: „რათა-ნამდვილად გააცნოთ საგანი, საჭიროა მოიყვათ, შეისწავლოთ ყველა მისი კავშირი...“. აქმარდიას მოჰყავს ლენინის ეს დებულება და აღნიშნავს: „მართალია, აქ ე. ი. ლენინი არ ხმაობს სიტყვა — „კანონს“, მაგრამ ციტატის შინაარსი მეუბნობს იმაზე, რომ „კავშირი“ დიალექტიკის კანონია“ (გვ. 126). რას ამბობს ლენინი ამ იდეილას, რომელიც ასე უწოდდ არის შეკვეცილი კ. აქმარდიის მიერ? ლენინი აქ ახასიათებს დიალექტიკურ მეთოდს, იმის, თუ როგორ უნდა მიუდგეს დიალექტიკოსი საგნის, მოვლენის შემცნებას: მან უნდა შეისწავლოს საგნის ყველა მხარე, მისი ყველა კავშირი, გაშუალდანი (опосредствования), შეისწავლოს იგი განვითარებაში, პრაქტიკისთან დაკავშირებით და სხვ. ლენინი იმას კი არ ამბობს, რომ კავშირის ან განვითარების ნიშანი კანონია, არამედ იმას, რომ, თუ ასე განვიხილავთ საგანს, მაშინ შევიცნობთ ნამდვილად საგანს, ე. ი. შევიცნობთ მის არსებას, კანონს.

ერთ გარემოებას გვინდა მივაქციოთ კიდევ ყურადღება. კ. აქმარდია ცდილობს დაამტკიცოს, რომ კავშირი და მოძრაობა „დიალექტიკური განვითარების კანონებია“. განვიხილოთ ერთი მათგანი, სახელდობრ, მოძრაობის ცნება. მოძრაობის ცნება მარქსისტულ ფილოსოფიაში გულისხმობს არა მხოლოდ შექანაქურ, ფიზიკურსა და სხვ. მოძრაობას, არამედ ცვალებადობას და განვითარებას საერთოდ. თუ ეს ასეა,—

ეს კი ნამდვილად ასეა, — რა დასკვნას მივიღებთ, თუ ამ ნიშანს „დიალექტიკის განვითარების კანონად“ მივიჩნევთ? მივიღებთ: განვითარება არის დიალექტიკური განვითარების კანონი, ვ. ი. განვითარება არის განვითარების კანონი, მოძრაობა არის მოძრაობის კანონი, ცვალებადობა არის ცვალებადობის კანონი. ასეთი დიალექტიკა კ. აქმარდიასა და არა მარქსისტულა.

ასეთი აზრი წერილის თითქმის ყოველ გვერდზეა გამოთქმული. კ. აქმარდიას არ მოსწონს აზრი, რომელიც გამოთქმულია სახელმძღვანელოში იმის შესახებ, რომ დიალექტიკის ცნობილი სამი კანონი სრულიად საქმარისია განვითარების პროცესის ასახველად (კ. აქმარდია ასე ვაძღვოს ცეცხლს ჩვენს აზრს: „სრულიად საქმარისია საგნებისა და მოვლენების შინაგანი ბუნების ასახველად“; ჩვენ წიგნიმ მსჯელობა წარმოებს განვითარებაზე). „ზოგიერთი ფილოსოფოსის მტკიცებით განვითარების (დიალექტიკის) თეორიის ასახველად და დასახსნებულად საჭირო არ არის „მოძრაობის“ და „კავშირის“, როგორც დიალექტიკის კანონების, გამოყენება. დიალექტიკური პროცესი თურმე მათ გარეშეც შეიძლება ახსნილი იქნეს“, წერს ავტორი (გვ. 119. ხაზი ჩემია. კ. ბ.). დიდი დაცვირება არ არის საჭირო, რომ დაეინახოთ ის აბსურდული აზრი, რომელზედაც ზემოთ მივუთითეთ. რას ნიშნავს გამოთქმა „დიალექტიკური პროცესი“, რომელსაც ხმარობს კ. აქმარდია? ესაა, დიდი დაცვირება მოძრაობას, განვითარებას: ამა რა არის მარქსიზმის თეალაზრისათვის დიალექტიკური პროცესი, თუ არა მოძრაობა-განვითარება. რას უსაყვედურებთ ამხ. აქმარდია ზოგიერთი ფილოსოფოსს? იმას, რომ ისინი მოძრაობას, როგორც კანონს, არ გამოიყენებენ მოძრაობის ასახველად. როგორ ფიქრობს აქმარდია, ასსანს მოძრაობას პროცესს მოძრაობის გამოყენების საშუალებით, სულ ერთია, მიიხსენებს ის მოძრაობას კანონად თუ არა ასეთი „დიალექტიკა“, რომელიც მოძრაობის ასსანს ცდილობს მოძრაობით, როგორც აღვნიშნეთ, კ. აქმარდიას დიალექტიკა და არა მარქსისტული. მოძრაობა („დიალექტიკური პროცესი“) უნდა იყოს ნათე გაარკვეული კანონებით — ეს კანონები აღმოჩინეს მარქსიზმს ფუძემდებლებმა — და არა თვითონ მოძრაობით.

კ. აქმარდია არ კმაყოფილდება „უხეში შეცდომებისა“ და „რევიზიონიზმის“ მხილებით; ის ცდილობს გაარკვიოს მარქსისტულ-ლენინური დიალექტიკის ზოგიერთი ძირითადი პრობლემა. ძნელია კ. აქმარდიას ამ ახალი აზრების შეფასება. ერთი საქითხიდან ვადაბტება მეორეზე, ეს მეორე არ არის დამთავრებული და ახალი საკითხის ეხება, ცდილობს გაარკვიოს რთული პრობლემა და მის ნაცვლად ეღმეგენტარულ დე-

ბულებზე ლაპარაკობს და შიგადაშიგ წამოაყენებს „პრინციპულ“ დებულებებს და კ. ბ.

კ. აქმარდია ცდილობს გაარკვიოს დიალექტიკური წინააღმდეგობის ცნება. ყოველგვარი წინააღმდეგობა, წერს ის, არ არის დიალექტიკური. ამ მართებული დებულების საილუსტრაციოდ მას მოჰყავს შემდეგი მაგალითი. ავიღოთ რკინა და შაქრის თავი, წერს ის; მათ განსხვავებული, სრულიად საწინააღმდეგო ნიშნები და თვისებები აქვთ. რკინა იყენება, შაქრის თავი არ იყენება; ამავე დროს მათ საერთო ნიშნებიც აქვთ, მაგალითად, სიმძიმე. შაქრის თავი და რკინა ურთიერთობაში შედიან მათი სიმძიმის საფუძველზე. მიუხედავად მათი დაპირისპირებისა და ივიეობისა, მათ შორის არა აქვს ადგილი ბრძოლას და ისინი ერთმანეთში არ ვადაღიან „თუ მათ შორის (ვ. ი. რკინასა და შაქრის თავს შორის) კ. ბ.) ბრძოლას ადგილი აქვს, ყოველ შემთხვევაში, ეს ბრძოლა არ არის მარადიული, აბსოლუტური. მათ შორის ბრძოლას აქვს ადგილი მხოლოდ კატასტროფებისა და ეფუკანების (17 კ. ბ.) დროს (ხაზი ჩემია კ. ბ.).

ნათუ ესაღმე შეიძლება ამგვარი რამის ამოკითხვა! შაქრის თავი ებრძვის რკინას, მაგრამ ეს ბრძოლა არ არის აბსოლუტური, ის მხოლოდ ეფუკანების დროს ხდება. ამისთანა მაგალითებით და მსჯელობით არის სასესე ეს წერილი. აღარ ვლაპარაკობთ ისეთ აზრებზე, როგორცაა: „უძრავობა ზერეფა და უაღბოა“ (გვ. 122) და სხვ., ერთიმეორისადმი გამოპრიცხავ დებულებებზე: „წინააღმდეგობის არსებობა მოძრაობითაა გაპირობებული“ (გვ. 124) და „მოძრაობა-ორგანულად განსაზღვრულია წინააღმდეგობის კანონით (გვ. 127). გაუგებარია, მოძრაობა წინააღმდეგობის მიზეზი თუ წინააღმდეგობაა მოძრაობის მიზეზი თუ იქნებ ხან ერთია და ხან მეორე!

კიდევ ერთი შენიშვნა. კ. აქმარდია ხშირად იმეორებს თავის წერილში იმ დებულებას, რომ უხეში შეცდომები და „რევიზიონიზმი“ პროკრამებს, და სახელმძღვანელოებში დაიწყო 1954 წლ. შემდეგ. რაც შეეხება სახელმძღვანელოებს, ჩვენ უკვე აღვნიშნეთ, რომ 1954 წლ. შემდეგ გამოქვეყნებულია ჩვენი სახელმძღვანელო, სახ. უნივერსიტეტის დიალექტიკური კათედრის მიერ შედგენილი. 1954 წლამდე ეს კათედრა თითქმის არავფერს აყუთებდა, არავითარ შეცნიერულ პროდუქციას არ იძლეოდა. ამის მიზეზი კარგად იცის ამხ. კ. აქმარდიამ. 1954 წლიდან კათედრამ დაიწყო ნამდვილი, ნაყოფიერი მუშაობა, გამოქვეყნა სახელმძღვანელოები, გამოცვლილნი, პროგრები და სხვ. იმ სახელმძღვანელომ, რომელიც 1954 წლ. შემდეგ გამოქვეყნდა, ვ. ი. ჩვენმა სახელმძღვანელომ, მაღალი შეფასება მიიღო ჟურნალში — „Вопросы философии“.

გიორგი შავგავაშვილი



წარმართული ხარება

ორი-სამი წლის წინათ ერთ-ერთ ხალხურ ლექსში ასეთი რამ ამოვიკითხე:

„მოალთ და ცოლსაც ვახარებთ სიყვდილსა
თავის ქმრისასა“ *

ეს ლექსი აღბათ მანამდეც მქონდა წაკითხული, მაგრამ, როგორც ჩანს, თვალს უყურადღებოდ გადავრბინა ამ სტრიქონზე...

გამოთქმა „ვახარებთ“ მეუცნაურა.

რატომ უნდა ახარონ ცოლს ქმრის სიყვდილი? იქნებ უვარგისი, უღიასი, ცოლისგან მოძულებული ქმრის სიყვდილზეა ამ ლექსში ლამაზაი? სხვა ხალხურ ლექსში ავი სამაზარობლოსაც აძლევს ცოლი ქმრის სიყვდილის მაცნეს:

„სამაზარობლო მივეცი სამოცი სული
ცხვარია“...

კიდევ სხვა ლექსში „ჭირვა ზოშაძეთ ქალი“ სულ იმას ნატრობს: „ღმერთო, მომიკალ ქმარი“.. ასეთ ქალებს, ცხადია, ქმრის სიყვდილი გაახარებდათ, მაგრამ ჩვენს ხალხურ ლექსში სხვა ამბავია მოთხრობილი: თათრებთან მებრძოლი ფშაველი მწყემსი გვირგვინად იღებება, რაც ფშაველთა საერთო გლოვას იწვევს. თვით მოკლული მწყემსი პაპია თათარიშვილი ასეა ლექსში დახასიათებული:

„პაპია თათარიშვილი შევარდენსა მგავს
მთისასა,

შევარდა შუა ჯარშია, ვადან მოსწია

ქმლისასა.

არ დაეცაღეს თათრებმა ქმარებას

ფრანგულისასა,

დაღრიჯეს თოფი, დავეიკრეს გულსა შობის
არწივისასა.

იდე და წადი, ყორანო, სივალსა ერთი

თვისასა,

ფშავს მიიტანე ამავეი, იარე არავეისასა.

* „ხალხური სიტყვიერება“, III. მიხ. ჩიქოვანის რედაქციით. ლექსი „მწყემსის სიყვდილი“, გვ. 96.

მიხედავ, უამბობ ფშაველსა სიყვდილსა
კარგის ყმისასა:

პაპი გვეყვ სახელთანო, სამარხს ეცადნენ
მკვდრისასა.

ტირლით მოვკვამ, ცრემლის სმა ჩქერასა
მგავის წულისასა“...

გმირი მწყემსის ცხვარი ამგვარი გლოვით
მოაქვთ და უცხებ:

„მოალთ და ცოლსაც ვახარებთ სიყვდილსა
თავის ქმრისასა“...

ამ თითქოს უცნაური სტრიქონის შემდეგ
ლექსი იმავე ტრაგიკული სამგლოვიარო კო-
ლოთი გრძელდება:

„გვაგვიჩინებთ ხაშდა თითოს ნაქანსა
თმისასა!

კარგის ვაჟაკის სიყვდილი გულსაც
დაადნობს ყმისასა

ღღეს სძინავ ბნელსა საფლავსა, კუბოს
ასვენავ ხისასა.

გულზე მტრის ნატყვიავარი იქ აღნობინებს
მიწასა.

დავტირით მოკეთებთ ნაპირსა სამარისასა.

ჩემი არ იყო, მაგრამ ამავეს ვამბობთ
სხვისასა.

ნაცნობს ძმად ეშველებოდა, დაზარულს
მძლავრის მტრისასა.

მაშ, მებო, ღმერთმა აცხონოს წიალსა
აბრამისასა,

მას დააყენოს ნათელი, ძალს შეავედრებ
ღვთისასა“.

როგორც ვხედავთ, თათრის ტყვიით განგმი-
რული ფშაველი მწყემსი შესაფერისად არის
დახასიათებული და დატრეხულიც. იგი სო-
ხელოვანი ვაჟაკი, მთის შევარდენისა და არ-
წივის დარი კარგი ყმა ყოფილა და ასეთი კო-
ცის სიყვდილს „სახარებლად“ არ გაიხილდნენ
შეწრებელი ფშაველები.

იქნებ მთქმელის ან ჩამწერის შეცდომასთან
გვაქვს საქმე და სხვა სიტყვა უნდა იყოს?

საქმე ის არის, რომ ეს ლექსი ჩაწერილია
ენობილი მწერლისა და ფოლკლორისტის
თედო რაზიკაშვილის მიერ, მას კი შეცდომა
აგრე ადვილად არ გაუპარებოდა. აქვე უნდა
თქვას, რომ თედო რაზიკაშვილის ხელით
ჩაწერილ თითქმის ვეღა ლექსს თან ერთვის

ვაუგებარ სიტყვათა და ზოგჯერ ბუნდოვან გამოთქმას—აზრთა ახსნაც კი ამ ლექსიდანაც სამი სიტყვა განმარტებული (კრაველისასა, შემოუღებელი, დაბრუნეს), ჩვენ მიერ შენიშნულ გამოთქმას („ვახარებთ სიყვარულსა“) კი განმარტება არ ახლავს. რა შეიძლება ვთქვათ იმის გამო, რომ თელო რაზიყაშვილი ამ გამოთქმას უყურადღებოდ ტოვებს? უფრო ის, რომ მისთვის ამ გამოთქმაში ვაუგებარი არავფერო იყო... „ვახარებთ“ აქ თავის ადგილზეა, მაგრამ სხვას ნიშნავს. მაგრამ — რას? ამბის თქმას, თხრობას, ცნობის მიტანას ხომ არ ნიშნავს ეს „ვახარებთ“?

ქვეშ „ხარებას“, გარდა ჩვეულებრივი გავებისა, სხვა მნიშვნელობაც ჰქონდა (ან სრულიად სხვასაც ნიშნავდა) ძველ ქართულში და ამ შემთხვევაში მის გადმონიშნოთან ვუაქვს საქმე.

საბას განმარტებით, ხარება სასიხარულოს თქმას ნიშნავს.

ასეთივე გავება და მნიშვნელობა აქვს ამ სიტყვას დღესაც: ხარება — სასიხარულოს, ერთიანი, კარგის თქმას ნიშნავს.

საბას ლექსიკონში „ხარ“ ძირიდან წარმოებული სიტყვები ამგვარი განმარტებებით გვხვდება:

ხარება — სასიხარულოს თქმა, ახარა — ხარება მიართვა, ახარებდა — ხარებას მიართმიდა, ვახარა — სიხარული მისცა, ვახაროდენ — სიტყვა სახარული, დაახარე — ხარება მიეცე, ეგვიხაროდენა — ხარება მიიღო, ვხარებინა — ხარება მიერთმია, ვხარებ — სიხარულს ვარ, იხარა — ხარება ქნა, მახარა — ხარება მოხარა, მახარებელი — ხარების აღმწერი (სახარების აღმწერი), მახარობელი — კეთილ მოაზრე, ნახარები — ხარება მიღებული, სახარო — სახარულეანი, სიხარული — ესე არს ყოვლის ჰუმუნეისაგან თავისუფლება, სახარება — სახარებელი („სახარება არს სიხარმენ, სიხართლერ და ძლიერება. სამივე სწორე და ერთი“).

როგორც ამ განმარტებებებდან ჩანს, „ხარებას“ ქართულში სხვა მნიშვნელობა, გარდა სასიხარულოს თქმისა, არ ჰქონია განა შეიძლება, თუკი ქართულში ამ სიტყვას სხვა მნიშვნელობითაც ხმარობდნენ, საბას გამჭრიახ თვალს არ შეენიშნა?

ასე ვფიქრობდი, მაგრამ ეჭვი თუ გუმანი, ჯერჯერობით დაუსაბუთებელი ვარაუდი თავს მაინც არ მანებებდა... ყველიფერს ამ ეჭვიანი თვალით ვკითხულობდი, ვეძებდი... ვეკითხებოდი ერის მკოდნეებს, ენათმეცნიერებს, ისტორიკოსებს, მწერლებს, მაგრამ მხოლოდ ამ ერთი უცნაური გამოთქმის საფუძვლზე რაიმე ვარკვეულის დასაცნა არ ზერზბებოდა. სამახსოვრო ფურცელზე ჩაწერილი ვარაუდი თითქმის მივივიწყე, მაგრამ, აი, მასწავლილ გამომჩნდა. მასწავლად ერგალე მეფე მოშველინა, უკეთ

რომ ვთქვათ, ერგალე მეორის ოქმი, რომელიც წაწერილი აქვს პაატა ციციშვილის საჩივრის I დღემა მეფემ და მხედართმთავრისა ყველა ლინგვისტზე უკეთესი სამსახურე“ განიწიხა.

არხაში, რომელიც პაატა ციციშვილს ერგალე მეორასთვის მიურთმევია, არხის დამწერია უჩივის თავის ბიძაშვილს — ივანე ციციშვილს, იმის გამო, რომ ბიძაშვილი უსამართლოდ ედავება ერთ-ერთი ყმაგლეხის მფლობელობაში, მოწმედ დავით შოთარავს და სეიმონ მავაშვილს ასახელებს და თავის საჩივრის ასე ამთავრებს: „გვედრები, თქვენ წინაშე სამართალშია გვილაპარაკოთ, რომ ჩემი სიხართლე და სიტყუენე გამოცხადდეს და ამგვარი შფოთისაგან დამიხსნათ, ღმერთი გაგიმარჯვებს. მართის კვ. ქს უოა“.

აი, რა მიუწერია ამ საჩივრის ზემო ამოხზე ერგალე მეორეს:

„ქ. ჩვენი ბანებმა არის, პაატა ციციშვილო და ივანე ციციშვილო, თქვენ ჩვენს სამართალში დადგეთ და ილაპარაკოთ. წინათვე გვახარებია, რომელიც გამტყუნებით, ვარდავახდევინებთ, იღოდეთ. მართის კვ. ქს უოა, ერგალე“.

ამ ოქმშიც, ისევე როგორც ზემოთ ვარჩეულ ხალხურ ლექსში, სიტყვა „გვიხარებია“, ერთი შეხედვით, უცნაურად და უღვალოდ უტრის: საქმიან დოკუმენტით ერგალე მეფე აფრთხილებს მოდავე ციციშვილებს: რომელიც სამართალში გამტყუნდებით, ჯარამისა, სასამართლოს მიერ ვაწეულ ხარჯებს ვარდავახდევინებთო, თან ეუბნება, ეს ამბავი წინასწარ გვიხარებიაო“.

კარგი სახარებელია, მე და ჩემმა ღმერთმა, ეს ხომ შექარას უფრო ჰგავს, ეიდრე ხარებას! ამ ოქმსა, რომელსაც ერგალე მეორის უტყუარი ზემოწერა ამჟღავნებს და წერილობით დოკუმენტს წარმოადგენს, ხალხურ ლექსში შემთხვევით აღმოჩენილი სიტყვა, — აღწერილი მფლობელობისთვის შეუსაბამო სიტყვა, — „ვახარებთ“ — საოცრად გააშუქა, დადასტურა ჩემი ეჭვი ამ სიტყვის სხვა, მეორე (ან პირველი) მნიშვნელობის არსებობის შესახებ ქართულ ენაში. ახლა კი დავრწმუნდი, რომ ეს სიტყვა ორივე შემთხვევაში („ვახარებთ“, „გვიხარებია“) მართლაც ნიშნავს თქმას, თხრობას, შეტყობინებას, გამოცხადებას.

ღრთა განმავლობაში სიტყვათა შინაარსის ამგვარი ცვლა უცხო და იშვიათი არ არის. ცნობილია, თუ როგორ დაამატარალურად შეიცვალა შინაარსი სიტყვა „პატრიისა“, „ცხედრისა“, „კადრებისა“ და სხვათა.

1 იხ. „დოკუმენტები საქართველოს ისტორიიდან“. II ტ., ნ. ბერძენიშვილის რედ., გვ. 123.

იმ სიტყვათა რიგს, რომელთაც დროთა განმავლობაში მნიშვნელობა იცვალეს, როგორც ზემოთ დავინახეთ, ემატება „ხარება“.

•••

საგულისხმოა, რომ სწორედ ხალხურ ლექსსა და სამეფო ოქმშია დატული „ხარებას“ სხვა მნიშვნელობა. ამ ორი ძვირფასი არქეოლოგიური განძის გადაჩენა და ჩვენამდე მოტანა ალბათ მთის ლეჟის ტრადიციულობაში და ოქმის ენის კონსერვატიულობაში განაპირობა.

როგორც ცნობილია, მთის კოლოებში, მთის ფოლკლორში მრავლად არის შემონახული წარმართული ყოფის გამოშხატეული ელემენტები და ენობრივი არქაიზმები... ხომ ფაქტია, რომ ნაწილობრივ ამგვარი ვადმონათების საფუძველზე მოახდინა ივანე ჯავახიშვილმა ჭარბული წარმართული პანთეონის აღდგენა.

ასევე, ვინც ქართულ ისტორიულ სიგელგუჯარებსა და განჩინება-ოქმების ენობრივ სამყაროს დააკვირდება, დარწმუნდება, რომ ამ დოკუმენტებში სტანდარტული გამოთქმების ტრადიციას დიდი ძალა ჰქონდა. სამაგიერო და საოქმო ტერმინოლოგია ძალზე კონსერვატიულია, საუკუნეების მანძილზე უცვლელად შეორდება დაკანონებული გამოთქმები თუ ფრაზები და თაობიდან თაობაზე გადმოიღის.

აი, ერთი მაგალითი:

მოგვყავს მე-13 საუკუნის დოკუმენტი — სიგელი მეფისა დავით მე-4, რუსუდანის ძისა, ნარინად წოუებულსა...

„...აწ ვინცა პნახთ ბრძანებთ და სიგელი ესე ჩუენი ერთსთვთ ერისთავთა, დიდებულთა, აზნაურთა... ტყის მცველთ უხუცესთა... საქმის მოქმედთა ჩუენთა, დიდთა და მცირეთა, დაუმტკიცეთ და ნუ ვინ უშალათ ბრძანებასა და სიგელსა ამას ჩუენსა, და ნურცარას ვინ დააკლებთ ნუ დიდსა და ნუ მცირესა, თუნიერო შეწვენისა და თანადგომისა“...

შევაღარათ ეს მე-13 საუკუნის სიგელი მე-17 საუკუნის დოკუმენტს — სიგელი მეფის სვიმონ მეორისა:

„...აწ უხუშთავსთა მოგახსენებთ და უქუდესთა ვიბძინებთ, კარისა ჩუენისა გვიქოღაზირრო და სხუანო მოსაქმენო, ვინ ვინდა ვინ იყუნეთ და ანუ ვინ ვინდა ვინ იქნებოდეთ, თქუენით ასრუ გაუთავეთ... და ნურაოდეს ნუ შეუღლით და შეუვიღებთ თანადგომისა და შეწვენისაგან კიდე“...

ოთხი საუკუნე ამორებს ამ ორ სიგელს ერთმანეთისაგან, მაგრამ მათი ენობრივი ფაქტურა თითქმის ერთნაირია. უფრო მეტსაც ეტყვიეთ: მეორე, შეზღვედრარიონდელი დოკუმენტი ამ მხრივ უფრო ირქაულად გამოიყურება. („აწ უხუშთავსთა... უქუდესთა... თანადგომისა და შეწვენისაგან კიდე“...)

თითქმის ოთხასი წლის განმავლობაში ქარ-

თულ ენას ცვლილება არ განეცადოს... არი, ცხადია, ენა იცვლებოდა, მაგრამ ეს ცვლილება, როგორც ჩანს, ოფიციალურად დოკუმენტების ენაზე დიდ გავლენას არ ახდენდა. კანცელარიის ენა ძირითადად უცვლელი რჩებოდა, ძველი ფორმები თუ გამოთქმები მდივან-შწიგნობართა პირით თუ კალმით შეურყვევლად ინახებოდა.

ეს კანცელარიული ფორმულა-განკარგულებები სულ რამდენიმე სხარტი გამოთქმისაგან შედგებოდა ამ სიმოცეს ოქვედა სანიერების სიძრავლე. დაქსაქსულ, მოძალადე ფეოდალების ხელში ჩაგარდნილი ხალხისათვის ერთადერთი მსაჯული, რომელსაც „უთუო და უთუმეო“ განაჩენის მიცემა შეეძლო, მეფე იყო... სანიერთი ყველა მეფეს მიმართავდა და ამ ზღვა არზემს პასუხად გრძელი განაჩენების წერილთვის ვის ეცაღა. მეფე თითქმის ცხენზე მკდომი წერდა განჩინება-ოქმებს. ამ მხრივ, — თავისი მოუცვლელობის დინამიკის გადმოცემით — საინტერესოა ერეკლე მეორის ოქმი რევაზ ამილახოვისადმი:

„ქ. ბატონო რევაზ ამილახორო, წიგნი მოგეიწერია და მორიგეში ჩამოდა. მღვერულად წამოდი, ნულარ აყოენებ, წამოდი, დადეგ, განწესებულ ადგილს დადეგ, საიქაროდ, ხელზე მოგწერეთ ეს წიგნი“.

ამ ოქმებისა და განკარგულებების ტიპობრივი გამოთქმებია:

„ჩუენი ბძანება არის“, „ჩუენს სამართალში დადგეთ და ილაპარაკეთ“, „თუ ტყუილად ილაპარაკებს ვინმე, იცოდეს, დიდად ვარდახდება“, „უამბეთ“, „მოგვიხსენებია“, „გვითქვამს“. და სხ.

•••

ორი, მეტად მნიშვნელოვანი, ფაქტის მიგნებაში ბუნებრივად წარმოიშვა ასეთი კითხვა: ხალხური ლექსის „ეპიგრამები“ და ერეკლეს ოქმის „ეპიგრამები“ გვიანდელი ენობრივი წარმონაქმნია თუ აქამდე შეუნიშნავი კვალი, გადმონაქმნი წარმართული ხარებისა?

ამის გამოჩვენება შესაძლებელი იყო მხოლოდ ძველი ენობრივი ძეგლების შესწავლით. თუ ამ ძეგლებშიც აღმოჩნდებოდა მაგალითები ხარების სხვა გაგებისა (მხოლოდ და მხოლოდ თქმის, თხრობის მნიშვნელობით), მაშინ, ცხადია, საფუძველი გვეძინებოდა იმის მტკიცებისათვის, რომ ძველ ქართულში ხარებას სხვა მნიშვნელობა ჰქონდა და მიგნებული ფაქტების მერმინდევლობის ვარაუდი თავისთავად მოიხსენებოდა.

•••

ტება რა ძველი ქართული ლიტერატურის მთარგმნელობითს მეთოდს, კ. კეკელიძე მრ-

ვალ სავლესხმო დაკვირვებას და მოსაზრებას გეოზარებს¹.

მისი აზრით: „ქართულებმა ახალი რელიგიური სისტემა ძველ წარმართულ სარწმუნოებაზე დაამყარეს... ბიბლიური წიგნების მთარგმნელი იველები ბუნებრივად შეგვედებოდათ თავიანთი თარგმანი წარმართული აზროვნებისათვის, რამდენადაც ეს მოსახერხებელი იყო, და გამოეყენებოდათ მარაგი წარმართული საკრალურა ენისა“.

ამის გამო:

„ახალი იუდეები, ახალი აზრები, ახალი ფილოსოფიურ-რელიგიური და მორალური შეხედულებანი ხშირად გაღმობიებოდათ ამ თარგმანის ისეთი სიტყვებითა და ტერმინებით, რომელნიც უშუალოდ წარმართული წყაროდან მოდიოდა“...

შემდგომად დროის რედაქციების შექმნის მიზანად იყო ძველი თარგმანები განეტვირთათ წარმართული აზროვნებისა და გამოთქმების გადმონათესიანად:

„პროცესი ბიბლიური წიგნების სწორებისა, რომელსაც ადგილი აქვს საუკუნეთა განმავლობაში, მიზნად ისახავდა ქართული ტექსტის ბერძნულ დედანთან დაახლოებას, პირველყოფლისა იმ მიზნით, რადა ქართული თარგმანიდან განდევნილი უოფილაყო წარმართული ელემენტები“...

მაგრამ ეს გიორგი მთაწმინდელსა და ეფრემ მცირესაც კი ვერ მოუხერხებიათ... ეფრემ მცირეს უთქვამს: ზეპირად ვიცოდი ძველი თარგმანები და ძალუხუბრად მეპარებოდა ჩემს თარგმანში ძველი სიტყვები და წინადადებებიო.

სავლესხმო ფაქტს ამგვარი შემთხვევებისას ააშკარავებს ივანე ჯავახიშვილი თავის ერთ-ერთ ნაშრომში², სადაც იგი ამტკიცებს, რომ აღნიშნულ სახარებაში გადმოსულია ხანშეტობის კვალი. მისი დაკვირვებით, გადაწყვეტს ხანშეტ სახარებაში ამოკითხული „ვანხეცადა“ გულშეიწყობის გამო უცვლელად გადმოუტანია, დავიწყებია, რომ ხ-ანი უნდა გამოეყოფებინა და ისევე დაუწერია, როგორც მესხიერებაში ჩარჩენილი ქონია. მაგრამ შემდეგ, ალბათ გადაწყვეტის ვადაკითხვის დროს, თავისი გულშეიწყობის შეცდომა შეუმჩნევია და ხ-ანი წაუშლია, რის კვალიც (ამონაფხეცი) აღიშნულ სახარებაში დღემდე დარჩენილია.

სად, ქართული ენის რა ძველებში უნდა დარჩენილიყო კვალი წარმართული ხარებისა, თუკი ის მართლაც არსებობდა?

(ახალია, ქართული სახარების უძველეს ნუსხებში).

¹ კ. კეკელიძე. ვტრულები I, 1936, გვ. 186 — 187.

² ივ. ჯავახიშვილი: ქართული პალეოგრაფია, გვ. 302 — 303.

ჩვენს სამეცნიერო ლიტერატურაში ამგვარ ძველებად მიჩნეულია სახარების შატბერადული რედაქციები.

ა. შანიძე აღნიშნავს, რომ „შატბერადული ოთხთავის ტექსტები, მართალია, გადაწერილია მეცბრესა და მეათე საუკუნეებში, მაგრამ „ძირეულად ისინი მიიწევენ მე-4-5 საუკუნეთა ენას ასახევენ. სტილისტური რედაქცია უმოთხრესად ხანშეტობისა და პავეტობის შეხეობა“.

თუ „ხარების“ პირველი ვაგება და შინაშენლობა მართლაც თხრობა, თქმა იყო (ყარგის, კეთილის, სასიხარულოს გამორიცხვით), ხომ შესაძლოა ამის კვალი უძველეს ტექსტებში დარჩენილიყო.

ჩვენი ჩვენი შემოაბო და დაკვირვება შატბერადული სახარების ტექსტების შესწავლის გზით წარმართულ ქართული ოთხთავის ორი ძველი რედაქცია, სამი შატბერადული ხელნაწერის მახედვით. გამოცემა აყავი შინძისა, თბ. 1945).

„ხარების“ ფენები ძველ ქართულში

დაკვირვებამ გვაფიქრებინა, რომ სახარების უძველეს ენობრივ საყაროში არსებობს „ხარების“ სამი ფენა.

ეს დებულება ასე უნდა ვაფიქროთ:

ტერმინ „ხარებას“ ქართული ოთხთავის ენაში აქვს სამი სხვადასხვა შინაშენლობა, ე. ი. ერთი და იმავე ტერმინით გამოხატულია სამი სხვადასხვა შდგომარეობა.

ეს დებულება შეიძლება გაერკვლეს ძველი ქართული ენის სხვა ძველებზეც: ავიოგრაფული, სავრო და სხვაორადული ლიტერატურის ენაზეც.

პირველი ფენა: „ხარება“ — ბერძნული

„Εὐαγγελιον“-ს ან „Εὐαγγελιον“-ს ან

რუსული „дѣловествование“-ს შინაშენლობითა კარგის, კეთილის, სასიხარულოს თქმა — რამაც კარგის, კეთილის, სასიხარულოს თქმა გულისხმობს შლოდელ და შლოდელ ქრისტეს მომღვწერებს ქადაგებას, ღვთაებრივი სულით აღტყნებას, სულიერ ნეტარებას და ამაღლებას თქმით, თხრობით, ქადაგებით. ამგვარ მაგალითს სახარების მკითხველი უთუოდ ვანასხეავენს ჩვეულებრივი ხარების, ჩვეულებრივი სასიხარულო შდგომარეობისგან I.

I უღრმეს შდლობას მოვახსენებ დოც. ალ. გამყრელიძეს, რომელმაც დაუზარებელი შვეობრული დახმარება გამოწიო ბერძნულ-ინგლისური და გერმანულ სახარებათა სავირო ადგილობის წაკითხვა-ანსნითა და შთით შეღარებით ქართული ტექსტთან... შდლობას მოვახსენებ ავრეთვე ე. კობლაძეს ქართული სახარებიდან საუერადლებო ადგილების ამოწერასათვის.

ამგვარი „ხარების“ მაგალითია:

„...სხვათაჲ ქალაქთაჲ ჯერ არს ჩემდა ხარებად სასუფეველი ღმრთისაჲ, რამეთუ ამისთვის მოველინე“.

მეორე ფენა: „ხარება“ — ჩვეულებრივი მნიშვნელობით. ჩვეულებრივი სასიხარულო მღვდომარეობის, გახარების ან ჩვეულებრივი სასიხარულო ამბის გაგებით გამოწვეული განცდილი მნიშვნელობით.

მაგალითი:

„განისუენე, კამე, სუ და ხარებდ“.

მესამე ფენა: „ხარება“ — თქმის, თხოვბის, ამბობის მნიშვნელობით. სასიხარულოს გამოირიცხებით. ეს ფენა უძველესი, წარუწართული მნიშვნელობის გადმოწამით უნდა იყოს.

მაგალითი:

„მოვალს მარიამ მეგდაღენელი და ახარებს მოწოდეთა მათ... რომ აწკარა ვახდეს ამ სანი ფენის შემოცელი ენობრივი მასალის შენარსობლივი განსხვავება, განეხილოთ მათი მაგალითები თანამიმდევრულად.“

შირველი ფენის მაგალითები

„და იყო მათ ღღეთა ოდენ ასწავებდა ერსა მას და ახარებდა ტაძარსა მას შინა“ (ლუკა, 20, 1DE).

ეს „ახარება“ მე წავიკითხე, როგორც: ეტყოდა, ქადაგებდა, ეუბნებოდა.

არსებობდა ეს ასეც არის. აქ „ხარება“ — თქმის, ქადაგებას ნიშნავს, მაგრამ როგორც შემდეგ სხვა ენებზე თარგმნილ სახარებათა შესატყვის ადგილებთან შედარებით გამოირჩევა ამ „ოქმის“ თუ „ქადაგებას“ სახარების დღიან-ში პქონაჲ კარგის, კეთილის, სასიხარულოს თქმის აზრი, რაც აღბეჭდილია თარგმანებში.

ბერძნულ სახარებაში ზემომოყვანილი „ახარებდა“ გამოთქმულია სიტყვით: „ἐπαγγέλλωμαι“ რაც ნიშნავს: ვახარებ, სასიხარულო, კარგ ამბავს ეუბნებივი ვინმეს.

ბერძნულ ახალ აღთქმაში ეგვებდა აგრეთვე ფორმა „ἐπαγγέλλω“, ამავე ძირიდანაა „ἐπαγγέλιον“, სახარება, ხარება, ინგლისურ სახარებაში ეს ადვილი ამგვარად იკითხება „preaching the gospel (good tidings)“, რუსულში: „Благословие“, რაც სამივე შემთხვევაში კარგის თქმას, კარგი ამბების ქადაგებას ნიშნავს.

ასეთივე შედეგი გამოიღო ლუკას სახარების 4,43-ის შედარებამ ბერძნული სახარების სათანადო ადგილთან:

„ხოლო თავადმან ჰქუეა მათ, ვითარმედ: სხუთათაჲ ქალაქთა ჯერ-არს“

ჩემდა ხარებად სასუფეველი ღმრთისაჲ, რამეთუ ამისთვის მოვიელინე“.

ბერძნულ სახარებაში ამ ადგილას ქრისტეს

შიერ სასიხარულოს, კარგის თქმა-გამოცხადება (იგულისხმება: ქრისტეს მოძღვრების ქადაგება).

ὁ δὲ εἶπεν πρὸς αὐτοὺς ὅτι καὶ ταῖς ἰερῶσι πόλεσιν ἐπαγγέλιονταί με καὶ τὴν βασιλείαν τοῦ θεοῦ ὅτι ἐπὶ τοῖς ἀποστόλοις.

ინგლისურ სახარებაში ამ ადგილას ასეთივე წავითხვა გვაქვს:

„I must preach good tidings“, რაც ნიშნავს მე უნდა კარგი ამბები ვუქადაგო.

რუსულ სახარებაში ვკითხულობთ:

„... и другим городам благовествовать я должен царствие Божие.“

აი, ქართულ-რუსული სახარების შესატყვისი ადგილები:

მათე, 11,5:

„... მეუდარნი აღდგებიან და ჰირვეულთა ხარების.“ DE. (C-ში „გლახაკთა ხარებულ არს“.

„... жертвы воскресают и нищам благовествуется.“

ლუკა, 1,19:

„... და მოვიელნი სიტყვად შენდა და ხარებად ამას.“ DE (C-ში: „ხარებად შენდა ესე“).

„... и послан говорить с тобою, и благовестить тебе сие.“

„... და ფრად სხუასეა მრავალსა ზლოცვიდ , და ახარებდა ერსა მას.“ DE 3, 8 (C-შიც ასეა).

„... Многие и друго благовествовал он народу, поучая его.“ (3, 8).

როგორც ვხედავთ. ამ მაგალიტებში ქართული ტერმინის „ახარებას“ შესატყვისად სხვა ენებზე არსებულ სახარებებში იხმარება საღმთო წერილის შიერ მტკიცედ დაყოლი ტერმინები: „εὐαγγελισμός“, „Благословение“ და სხვანი, რომლებიც კეთილის, კარგის თქმას, ქადაგებას ნიშნავს.

მაგრამ ქართული „ხარება“, როგორც ზემოთაც ვთქვით, უოველთვის ბერძნულ „εὐαγγελის ძის“ არ უდრის (ან რუსული სახარების „Благословение“-ს) და ეს შემთხვევითი კი არ არის, ეს არის, ჩემი დაკვირებით, სტვალასხვა ენებზე არსებული სახარებების ტერმინოლოგიაში მტკიცედ დაყოლი პრინციპი. ამას აღასტურებს მეორე ფენის მაგალიტების შედარება.

მეორე ფენის მაგალიტები:

„... განისუენე, კამე, სუ და ხარებდ.“ (ლუკა, 12,19 DE. C).

ბერძნულ სახარებაში ეს ადგილი ასეა: ἀναπαύσθω, ἐπί, πει, ἐσφραγίσθη.“

ხაგასმული სიტყვა არის: ἔσφραγίσθη“, რაც მზიარულებას, გართობას, გახარებას ნიშნავს.

რუსულ სახარებაში ეს ადგილი ასეა: „... покоится, еще. ней, веселись“.

მოვიყვანოთ სხვა მაგალითი: „და ესმა გარემოთ, და ნათესავთა, რამეთუ განადიდა უფალმან წყალსება თუის მისთანა, და იხარებდეს (ლუკა 1,56 DE) ბერძნულ სახარებაში შესატყვის ადგილას გვითხელობთ:

και ηχουσαν οι περιουτοι και οι
σαγγυλαις αυτη: ου εμαυψισυ
χρησος τος λλους αυτων ματ'
αυτη, και συνεχισρον αυτη.

ეს ნიშნავს: მასთან ერთად იხარებდეს, გაიხარებდეს.

ასევე, ჩვეულებრივი სიხარულის გამოშობატყე-
ლი სიტყვითაა თარგმნილი ეს ადგილი რუსულ
სახარებაში: „... и радовались сь немъ“.

* * *

ზემოთ აღნიშნული გვექონდა, რომ ღებუღე-
ბა: სახარების ქართულ თარგმანში „ხარების“
სამი მნიშვნელობის არსებობას შესახებ შეიძ-
ლება გავაგრძელოთ აგიოგრაფიული, საერო
და ისტორიული ლიტერატურის ენაზეც. ამ
მოსაზრების სიამაყარეისათვის მოვიყვანოთ
ერთი ნაწევრი „ჰაბოს წამებიდან“, სადაც
ამს დადასტურებას ვხედავთ:

„მამინ, ვითარცა ეუწყა მთავარსა მას აფხ-
ზეთისასა ნეტარისა ჰაბოსთვს, რამეთუ ახალ
ნათელ-ღებულ არს, განიხარა ფრიად უოციოთ
ერთი მისითერთ, და მოუწოდეს მას მთავარ-
მან მან და ებისკოპოსმან და მღვდელთა და
აყრობივდეს და ნუგეშინის სცემდეს და უთხ-
რობდეს მას სიტყუთა ცხოვრებისათა და
ახარებდეს ქრისტესათვს და საუყუნოასა მის
ცხოვრებისათვს“.

აქ „განიხარა“ ჩვეულებრივი სიხარულის,
ჩვეულებრივი გახარების მნიშვნელობისა: აფ-
ხაზეთის მთავარი ესამოცენა, რომ არაბი ჰაბო
ქრისტეს რჯულზე მოქცეულა და „ახალ ნა-
თელ-ღებულ არს“ და გაიხარა ამ ფაქტით, ხო-
ლო მის მოშდევნა წინადადებაში სიტყვა „ახა-
რებდეს“ ამავე, ჩვეულებრივი სიხარულის და
გახარების შინაარსის შემცველი არ არის. ამ
წინადადებას შინაარსი ასეთია: ახლად მოქცე-
ულ ჰაბოს აფხაზეთის მთავარი, ეპისკოპოსი
და მღვდელნი აცნობდნენ, მოუხებობდნენ
ქრისტეს ცხოვრების ამბებს და „ახარებდეს“ —
ე. ი. უქადაგებდნენ, აცნობდნენ და ასწავლი-
დნენ ქრისტეს მოძღვრებას.

უფრო შერტ სიტყვისათვის „ჰაბოს წამე-
ბის“ ამ ნაწევრში ნახმარი „ახარებდეს“ შე-
ვადართ „ვეფხისტყაოსანში“ ნახმარ „ახა-
რებდეს“:

„ნახეს, იცნეს, რაგვარადღა ჰმართებს, აგრე
გაეხარნეს.

შერმადინსცა ახარებდეს, ფიცხლად თავი
მისკენ არნეს;

მოვიდაო, აქანამდის ვისთვის ლხინი
გაგვემწარენს“

მგონი, ცხადი უნდა იყოს ამ ერთი ახარებ-
დეს“ სხვადასხვა მნიშვნელობა: რუსთაველი—
იგი ჩვეულებრივი სასიხარულო ამბის მიტანას
ნიშნავს, „ჰაბოს წამების“ ტექსტით კი — ქრის-
ტეს მოძღვრების ქადაგება — სწავლებას და
შეგონებას ნიშნავს, მსგავსად სახარების ერთი
ადგილისა:

„და გამოვიდეს და მიმოვიდოდეს დაბნებსა
მის და ახარებდეს და ვანკურნებდეს სნეულ-
თა ყოველთა ადგილთა“. (ლუკა, 9,6. C).

„ხარების“ განსხვავებული მნიშვნელობით
ხმარება გვხვდება ლეონტი მროველის „ქართ-
ლის ცხოვრებაში“ მართალია, ეს ადგილი
„ქართლის ცხოვრების“ ორგანულ ნაწილს არ
უნდა წარმოადგენდეს, ამოწერილი უნდა იყოს
ახალი აღთქმის რომელიმე რედაქციიდან, მაგ-
რამ ჩვენი მოსაზრების დამადასტურებელ ფაქ-
ტად მაინც გამოდგება:

„რქუე მართამ მაგდანელსა იესო: „წარვედ,
ღვდაცაყო, და ახარე დათა და ამათა ჩემთა“.

ამის ზემოთ მოთხრობილია, თუ როგორ გო-
მოვეცხადება ფარვანის ტბასთან ჩაბინებულ
ნინოს მოჩვენება, რომელიც მისცემს რომაე-
ლად დაწერილ „ათ სიტყვას“ ანუ მცნებას
მცხეთის წარმართი მეფისათვის მისართმედა.
ეს ერთგვარი დარიგებაა, რაც ნინომ უნდა
გამოიყენოს თავის მოღვაწეობაში.

ცხადია, მართამ მაგდანელის მაგალითით
ქართველთა განმანათლებელ ნინოს „დათა და
ამათათვის“ უბრალო სასიხარულო ამბის მი-
ტანა კი არ ევალება, არამედ წარმართ ქართ-
ველთათვის ქრისტეს მოძღვრების ქადაგება —
ხარება. უნდა ვიფიქროთ, რომ ასე ესმოდათ
ეს სიტყვა „ქართლის ცხოვრების“ მკითხვე-
ლებსაც.

ზემოშეგალითისაგან განსხვავებული მნიშვნე-
ლობით, ჩვეულებრივი სასიხარულო ამბის
შეტყობინების შინაარსით არის ნახმარი „ქარ-
თლის ცხოვრების“ ანაბეულ რედაქციაში ხა-
„ხოლო მამინ ოყესთს ყოფსა მიოცელა
ქჳონდიდელთ... რომელი იგლოვა უოცილმან
სამეფომან და თუთი მეფემან, ვითა მამა.
შეიმოსა შევისათა ორმოც დღე, ვიდრემდის
იმზე ვახტანგ, რომლის ხარებითა დაიხსნა
გლოვა“.

ჩვეულებრივი მნიშვნელობით ხმარობს შო-
თა რუსთაველი ამ სიტყვას:

„ფარსადან დაჯდა ხარებდალ ზეიმითა და
ზარითა“.

უდავოა, რომ ეს „ხარებდალ“ სხვა არის და
სახარების „ხარებდალ“ სხვა:

„და მოვივლინე სიტყუად შენდა და
ხარებდალ ამას“.

ზემოვანილული მავალითები ადასტურებენ იმ დებულებას, რომ ძველ ქართულში არსებობს „ხარების“ გავრცელების სხვადასხვა ფენები. კერძოდ, ამ შემთხვევაში ჩემ მიერ მოტანილ მავალითთა შინაარსობლივი განსხვავება აშკარა უნდა იყოს.

ახლა განვიხილოთ მესამე ფენას, წარმართული ხარების საერთო, რაც გადმონათლის სახით დაეცა ქართული უძველესი სახარების ენობრივ სამყაროში.

წარმართული ხარება

შატბერდული სახარების ჯრუჲ-პარზლის რედაქციას იოვანეს თავის დასასრულს, იქ, სადაც აღწერილია ქრისტეს მკვდრეთით აღდგომისა და ამ სასიხარულო ცნობის მოწოდებთათვის შეტყობინების ამბავი, ეკითხულობთ:

„მოვიდა მარიამ მავდალენელი თხრობად მოწოდებთა მისთა, რამეთუ იხილა უფალი და ესრეთ პრქვა მას (11, 20, 18) 1.

ამვე გამოცემაში, იქვე, მის პარალელურად დაბეჭდილია აღიშრის რედაქციის შესატყვისი ადგილი:

„მოვილს მარიამ მავდალენელი და ახარებს მოწოდებთა მათ, ვითარმედ იხილა მან უფალი და ესრეთ პრქვა მას“ (C, 20, 18).

როგორც ვხედავთ, ჯრუჲ-პარზლის რედაქცია იოვანეს გამოთქმას: „თხრობად მოწოდებთა მისთა“, ხოლო აღიშრის: „ახარებს მოწოდებთა მათ“.

ჩემი აზრით, სწორედ ეს აღიშური „ახარებს“ არის ის წარმართული ხარება, რომელსაც სახარების ტექსტში ვხვდებით.

ამის უპირველეს ვართუდს აღძრავს ის ფაქტი, რომ ეს აღიშური „ახარებს“ ზის ამ მუხლის იმ ადგილას, რომელიც ჯრუჲ-პარზლის რედაქციაში „თხრობას“ უპირავს.

როგორც ხალხური ლექსისა და ეგრესის ოქმის მავალითობით დავრწმუნდით, ხარება თხრობას, ოქმის, შეტყობინებას, ნიშნავს. აქაც, ტექსტის შინაარსის მიხედვით, მომხდარი ამბავს (ქრისტეს აღდგომა) თხრობა-შეტყობინებაზეა ლაპარაკი და ამის გამოსახატად სახარების სხვადასხვა რედაქციაში ორგვარი გამოთქმა: „თხრობად“ და „ახარებს“.

პარველ შემთხვევაში აშკარად თხრობაზეა ლაპარაკი, და ეს დასაბუთებას არ საჭიროებს. საჭიროა ამის დასაბუთება, რომ მეორე ადგილიც თხრობაზე მივითითებდეს... მაგრამ, სანამ დასაბუთებაზე გადავიდოდეთ, შესაძლოა ვინმე შემოგვედავოს და გვითხრას, რომ სახარების ამ ადგილას სასიხარულო ამბის შეტყობინებაზეა ლაპარაკი და სახარებაშიც შესაფერისი სიტყვა „ახარებს“ სწერიაო.

1 ამის შესავალად არის „ხანმეტ ლექციონარში“ ეს ადგილი. (...თხრობად მოწოდებთა მისი*); *ჲ. შინიძის გამოც., გვ. 061.

ეს გარემოება მართლაც დამაფიქრებელია, მაგრამ ის უდავოა, რომ ეს „ახარებს“ ბერძნული „επισημειωσεων“-ს და რუსული „свидѣтельствование“-ს მნიშვნელობისა ვერ გრძობთ. შესაძამე, უნდა იყოს ან ჩვეულებრივი სასიხარულო ამბის მიტანის აღნიშვნელი „ახარებს“ ისე, როგორც დღეს ეს სიტყვა გვეხმის, ან ჩვენ მეტ საძიებელი წარმართული „ახარებს“ — მოუთხრობს.

ნუ დავივიწყებთ, რომ სახარება თარგმანს წარმოადგენს, და გაეუწიოთ ანგარიში იმასაც, თუ როგორ იცითება ეს ან ამის შესატყვისი ადგილები სახარების სხვა ქართულ რედაქციებსა და სახარების სხვა თავებში.

თუ სახარების დედანში ამ ადგილას იქნებოდა სასიხარულო ამბის შეტყობინების აღნიშვნელი სიტყვა და არა თხრობისა, ეს ზომ აღიბეჭდებოდა ქართული სახარების ან სხვა ენაზე არსებული სახარებების სათანადო ადგილებზე?

განვიხილოთ ამ მხრივ ჯერ ქართული სახარება.

აღიშური სახარების ლუკას თავის დაბოლოებაში ქრისტეს აღდგომის ამბავი ამგვარად არის მოთხრობილი: ქრისტეს საფლავთან მარიამ მავდალინელს და სხვა ქალებს გამოეცხადება ორი ცაიცი „სამოსილითა ელვარიითა“ და ამცნობს რომ ქრისტე აღდგა, მაგრამ ეს სამი ქალი ქრისტეს მოწოდებებს ამ სასიხარულო ამბავს კი არ ახარებს, არამედ:

„და მიიტყეს და მიუთხრეს ეცე უოველი ათერამიტთა მათ და სხუათა ყოველთა“ (ლუკა, 24, 9).

ჯრუჲ-პარზლის სახარების ლუკას თავის 24,10, სწერია:

„ხოლო იყვნეს მავდალინელი მარიამ და იოჰანა და მარიამ აკაიონის და სხუინი ვინმე მათ თანა უთხრობდეს მოციქულთა ამას“.

ამვე სახარების მარკოზის თავის მიხედვით ქრისტე იმავე მარიამ მავდალინელს ეცხადება და: „...იგი წარვიდა და უთხრა მის თანა მოუესათა მათ, რომელნი ევლოედეს და ტიროდეს“ (მარკოზი, 16, 10, 11).

ამვე სახარების მათეს თავის მიხედვით ანგელოზმა „პრქვა დედათა მათ... აღდგა და ამა წინა გიძღვის“...

„ხოლო ივინი წარვიდეს ადრე მიერ საფლავით შიშითა და სიხარულთა დიდითა თხრობად მოწოდებთა მისთა“ (მათე, 28, 11, 12... ასევეა C-შიც).

წარვიდეს... „სიხარულითა დიდითა“, მაგრამ მაინც „თხრობად“ არის და არა „ახარებად“

შველა ეს ადგილი მოტანილია შატბერდული სახარებიდან, რომელიც, როგორც ცნობილია, წინ უძღოდა ქართულ ვულგატას. მას არ გუვლია გიორგი მთაწმინდლის მსჯავის მკაცრი და მკოლენე რედაქტორის ხელში, ამიტომ

შესაძლოა ვიფიქროთ, რომ დედანი აქ შედარებით არა სწორად იყოს ვადმოტანილი. ამიტომ მივმართოთ გიორგი მთაწმიდლის მიერ ბერძნულ სახარებასთან შედარებულ და შესწორებულ სახარებას:

მათე, 28,8. ზოლო იგინი გამოვიდეს ადრე მიერ საფლავით შიშითა და სიხარულითა დიდითა მირბიოდეს **თხრობად** მოწაფეთა მისთა, მარკოზ, 16, 10: ...იგი წარივიდა და **უთხრა**...
ლუკა, 24, 9: ...და მიიქცეს საფლავით, და **უთხრეს** ესე უოველი ათერთმეტთა მათ და სხეთა უოველთა.

იოანე, 20, 18: მოვიდა მარიამ მადგალინელი **თხრობად** მოწაფეთა მისთა, რამეთუ იხილა უფალი...

აქაც როგორც ვხედავთ, ყველგან ვგაქვს „თხრობად“ და არა „ხარებას“.

შეუძლებელია ამდენ ფაქტებს არ დავუჯეროთ. ეს ფაქტები ხომ იმაზე მიგვიითხოვს, რომ სახარების დედანში „თხრობად“ იქნებოდა... მაგრამ მეტი დამაჯერებლობისათვის მივმართოთ ბერძნულ სახარებასაც.

მოკვლევას აღიშური სახარების იოანეს თავის ამ ადგილის ბერძნული შესატყვისი, სადაც (ჭარბულში) ვგებდებამ სადაც „ხარებას“:

ἐρχεται Μαριαμ ἢ Μαγδαλητῆ
ἀγγέλλουσα τοῖς μαθηταῖς
ὅτι ἔβραθα τὸν τάφον, καὶ
τὰντα εἶπεν αὐτῇ

რომ სახარების დედანში ამ ადგილას სასიხარულო ამბის შეტყობინების გამოხატაველი სიტყვა უოფილიყოს, როგორც ვხედავთ, არც ბერძნული სახარების წაითხვა აღსატრერებს ამას. ხაზგასმული სიტყვა „εὐμακάριον“ ნიშნავს: ნებელი, მთქმელი, მთხრობელი და არა: მახარობელი ან ამის მსგავსი რამ.

აღსანიშნავია, რომ სომური სახარებებშიც ამ ადგილას არის „თხრობად“¹.

ამგვარ წაითხვას აღსატრერებს რუსული სახარებაც:

მათე. 28,8: «... побежали возвестить ученикам Его».

მარკოზ. 16,10: «...она пошла, и возвестила...».

ლუკა, 24, 9: «...возвестили все сие одиннадцати и семье прочим».

იოანე. 20, 18: «... Мария Магдалина идет, и возвещает ученикамъ».

აქ დამოწმებული ბერძნული და რუსული BC სახარებები, ცხადია, სხვადასხვა დროს შექმნილი ტექსტების შემცველი არიან. ასევე

¹ ამ ცნობის მოწოდებისათვის და კიდევ სხვა საგულისხმო რჩევისათვის ჰედლობას მოვასვენებთ პროფ. ილია აბულაძეს.

იოქმის ქართულ სახარებაზე, რომელიც აღმათ სხვადასხვა პირთა მიერ თარგმნილი და შემდგ რედაქტირებული არიან, მაგრამ, მიუხედავად ამისა, ყველა, ერთს გამოიკლებით, შატბერდული სახარების აღიშური რედაქციის იოანეს თავისა, იცავს „თხრობას“... რატომ?

ბუნებრივია, ვიფიქროთ, რომ სახარების დედანში იყო „თხრობა“ და ეს აღბეჭდა კიდევ თარგმანებში.

რა შეიძლება დავასვენოთ აღიშური სახარებაში ამ განმარტებით მდგარი „ხარების“ შესახებ?

უნდა ვიფიქროთ, რომ ეს „ხარებას“ მთარგმნელმა პირველდელი წარმართული ვაგების ინერციით, უნებურად იხმარა თხრობის, თქმის, შეტყობინების მნიშვნელობით, რადგან მის შეგნებაში „ხარებას“ ნიშნავდა თხრობასა და ამბის თქმას... აღმათ ეს მან ვერც კი შეამჩნია. ცხადია, მთარგმნელი უფლებას ვერ მისცემდა თავს, შეგნებულად უგულებელეყო დედანში მჯდარი „თხრობა“ და იგი სხვა მნიშვნელობის სიტყვით შეეცვალა.

საგულისხმოა, რომ ივანე ჯავახიშვილმა ამოფხეილი ხანმეტის კვალი სწორედ ამ ავევლა თარიღიან ხელნაწერ სახარებათა შორის უძველეს“ აღიშური სახარების ფერგადსულ ფერცლებზეც აღმოაჩინა... ამიტომ სრულიად ბუნებრივად გვეჩვენება, რომ ჩვენი წარმართული ხარებაც ამ რედაქციის ტექსტში შეინახა.

ყოველივე ზემოთქმულის შედეგად მხოლოდ ერთი დასკვნის გამოტანა შეიძლება: აღიშური სახარების სადაც ფორმა „ხარებას“ იგია, რაც ამ წერილის თავში განხილული ფსურის ლექსის „ხარებას“ და ერეკლე მეფის იქმის „გეხარება“, რაც პირველ შემთხვევაში (სახარებით) ნიშნავს: მარიამ მადგალინელი მოუთხრობს, ამცნობს ამბავს: ხარებას, მეორე შემთხვევაში (ხალბური ლექსით) მოუთხრობთ, ვუამბობთ, შევატყობინებთ: ვხარებთ, ზოლო ზესამე შემთხვევაში (ერეკლეს იქმით) გვითქვამს, გვიოთხობია, გამოგვიცხადებია: გვიხარებია! ეს სამივე მაგალითი ნიშნავს თხრობას, თქმას.

არის თუ არა შემორჩენილი ქართულ სახარებაში სხვა მაგალითი წარმართული ხარების ნაშთისა?

სხვა მაგალითებით ჩვენი მოსაზრების დასაბუთებას, ცხადია, დიდი მნიშვნელობა ექნება, მაგრამ, თუკი ეს საბუთი დამაჯერებელია, სხვა მაგალითის პოვნას მინეც დამატებითი საბუთის მნიშვნელობა ექნება. მსგავსად არქეოლოგიურა გათხრობის შედეგად აღმოჩენილი ერთადერთი მონეტისა, რომლის ცალი აღმათ

ერთ დროს ათასობით იჭრებოდა, მაგრამ დრომ და მიწის ეანგმა სამუდამოდ გაანადგურა ან ჯერჯერობით ჩვენი თვალისთვის არ ჩანს... ძიება გრძელდება.

ხარება და თხრობა

მას შემდეგ, რაც შევეცადეთ იმის გამოკვლევას, რომ წარმართული „ხარება“ თავისი შინაარსით გამოხატავს თხრობას, დავუბრუნებოდა:

ხ ა რ ე ბ ა და თ ხ რ ო ბ ა მხოლოდ სინონიმება თუ შთა შორის სისხლბორცველი (ე. ი. ძირეული) ნათესაობაც არსებობს?

ამ ორი სიტყვის მორფოლოგიური შესწავლა, ვგონებ, ამ კითხვის დაუკნების უფლებას იძლევა.

თავს უფლება მიეცეა, ამ საკითხსაც შევხვდეთ.

დავავიროდეთ ამ ორი სიტყვის აღნიშვნას, მათ ძირს: „ხარების“ ძირია: „ხარ“, „თხრობისა“ — „თხრ“... ეს „თხრ“ შეკუმშული, ხმოვანდაქარგული ნაირსახეობაა ხმოვანძირიანი „ხარ“-ისა...

წინამძღვრით ძირეული არ არის.

შეადარე:

1. ხარება:	2 თხრობა:
ვა-ხარ-ე	ვ-უ-თ-ხარ
ა-ხარ-ე	უ-თ-ხარ
ა-ხარ-ა	უ-თ-ხ-რ-ა

ჩვენი საკითხისთვის ასევე საგულისხმო სურათს გვიჩვენებს ხარება-თხრობიდან წარმოებულ სიტყვების შ ა ხ ა რ ო ბ ე ლ ის და მ თ ხ რ ო ბ ე ლ ის შესწავლა. შინაარსობრივად ორივე მთქმელს, მოამბეს, მოცნეს ნიშნავს. მათს მნიშვნელობას განასხვავებს „მზახრობის“ შერაზმდელი ნიუანსი. საბას განმარტებით, მზახრობელი — კეთილ მოამბეა, ხლო მთხრობელი — მთქმელი.

მაშინ კი, როცა ხარება მხოლოდ და მხოლოდ თხრობას, თქმას ნიშნავდა, უნდა ეიფიქროთ, მზახრობელიც მხოლოდ და მხოლოდ მთხრობელს ნიშნავდა.

იქნებ ამაზე მივეითებდეს ის ფაქტიც, რომ სახარების ტერმინოლოგიაში იხმარება შ ა ხ ა რ ე ბ ე ლ ი მჭადველებს თუ ქრისტეს ცხოვრების აღმწერის მნიშვნელობით და არა შ ა ხ ა რ ო ბ ე ლ ი:

„მზახრებლედ“ გლახაეთა მომავლინა შე“ (ლ. 4, 18).

ამ ორი სიტყვის (მზახრობელი, მთხრობელი) მორფოლოგიურ მსგავსებაზე აღარაფერს ვიტყვი იმის გამო, რომ ისინი ერთი ძირიდან მომდინარედ მიმანია.

მარკონისა და იოვანეს სახარების ქართული ტექსტის თავისებურებანი

ძირითადი საკითხების რკვევის დროს შევამჩნიე, რომ ტერმინი „ხარება“ შატბერდელი

ოთხთავის ყველა თავში თანაბარი რაოდენობით არ გვხვდება. ამ საკითხის უფრო ახლოს გაეცნობად დამარწმუნა, რომ არამც თუ თანაბარი რაოდენობით არამედ მარკონის თავში „ხარება“ (ბერძნული — „ევანგელიოს“ და რუსული „Благоговествование“-ს მნიშვნელობით) არც ერთხელ არ არის ნახმარი. აქ მხედველობაში არ ვიღებთ ტერმინ „სახარებას“, რაც საღმთო წერილის, ახალი აღთქმის „ევანგელიონ“-ის მნიშვნელობით გვხვდება.

სახარების მარკონის თავში, ყველგან, სადაც კი მოსალოდნელია „ხარება“, — გვხვდება „ქადაგება“, მსგავსად ამ მავალითის:

ლუკა, 4,18, — ხოლო თავიდან პრქეა მათ, ეითარმედ: სხუათაცა ქალაქთა ჯერარს ჩემდა ხაეზაღ სასუფეველი ღმრთისაჲ, რამეთუ ამისთვის მოვივლინე“.

მარკოზ, 1,88 ხოლო იესუ პრქეა მათ: მოვედით და წარვიდეთ მახლობელად დაბნებსა და ქალაქებსა, რათაა მუნცა უქადაგო, რამეთუ ამისთვის მოვივლინე“.

რა სურათს იძლევა სახარების სხვა თავების წაკითხვა?

ლუკას თავში „ხარება“, ზემომოყვანილი მავალითის მსგავსად, რამდენჯერმე გვხვდება. უფრო მცირე რაოდენობით გვხვდება მათეს თავში (3-ჯერ) და იოვანეს თავში (4-ჯერ).

მაშასადამე, ამ ტერმინის ხმარების მხრივ შატბერდელი სახარების მარკონის თავი სხვა თავებისგან განსხვავებულია, ცალკე დგას. აქ არ გვხვდება სახარებისათვის დამახასიათებელი ძირითადი ტერმინი. ამ უჩვეულო ფაქტის მიგნებამ ძალზე გამაოცა, ჩამაფიქრა და მრავალი ეჭვი აღმოჩნდა...

აღმოჩნდა, რომ თვით სიტყვა სიხარულიც კი ერთხელ გვხვდება (4, 16), ასევე ერთხელ გვხვდება „განიხარეს“ (14,11), ესეც ჩვეულებრივი მნიშვნელობით (იუდას შეპირებით „განიხარეს“).

როგორც წმინდა მისალმების ფორმულა — „გიხაროდენი“ გვხვდება ორჯერ (14,45 და 1, 15,18 და 15,18 და 15,18).

საგულისხმოა, რომ სიხარულის გამოხატველი სიტყვები (მიხარის, უხარინ, უხაროდის და სხ.) სახარების სხვა თავებში უხვად არის გაბნეული (მათ: 6-ჯერ, ლუკა. 8-ჯერ, იოვანე: 10-ჯერ). როგორც ვხედავთ, სავარძლობი განსხვავებება აქაუ.

დავუბრუნდეთ ჩვენს ეჭვებს და ვარიუდებს ამ საკითხთან დაკავშირებით.

რატომ არ გვხვდება ტერმინი „ხარება“

1 აღიშნის სახარების შესახების ადგილას ეს „გიხაროდენიც“ არ არის (პრქეა: მომღუარა“ 14, 15).

2 C-ს შესაბამისი ადგილი ნაკლებია.

ბერძნული „ევაგელადოსის“ მნიშვნელობით მარკოზის სახარებაში?

ზომ არ უნდა მიგვიითხებდეს ეს ფაქტი, — ევანგელისტები შე. — იმაზე, რომ სახარების სხვადასხვა თავი სხვადასხვა პირის მიერ სხვადასხვა დროს არას თარგმნილა... ზომ არ უნდა მიგვიითხებდეს თარგმანთა შედარებით სიძველეს — სახარებზე?

ახალი ტერმინის სახარებას მნიშვნელობა და მისი დამკვიდრება მცირე დროს არ მოითხოვდა, არც ახრთა სხვადასხვაობისა და წინააღმდეგობის გარეშე დამკვიდრდებოდა.

შესაძლოა ამ ტერმინის დადგენამდე ან საბოლოო გაბატონებამდე თარგმნილი შატბერდული სახარების მარკოზისეული თავი და ამის გამო არ ხმარობს მთარგმნელი ტერმინ ხარებაში?

შესაძლოა მთარგმნელი არ იზიარებდა ახალი ტერმინის („ხარება“ — ეთილის, სასიხარულოს და არა წარმართული თბრობის მნიშვნელობით) შემოღებას და ამის გამო გვხვდება „ხარების“ ნაცვლად „ქადაგება“?

აბა რის უნდა მივაწეროთ ეს, რომ მარკოზის სახარებაში ერთგვარად არ გვხვდება „ხარება“, რითაც ქართული სახარების სხვა თავების მთარგმნელი გამოხატავდნენ კარგის, ეთილის თბრობის და ქადაგების?

როგორც შემდეგ დავჩვენებ, ეს ეკვები თუ ვერაუდები უსაფუძვლო იყო... ამაში დამარჩმუნა იოვანეს სახარების შესწავლამ.

აღმოჩნდა, რომ მარკოზის სახარების მსგავსად, იოვანეს თავსაც ჰქონია მეტად საგულისხმო თავისებურება: იოვანეს თავში არც ერთხელ არ იხმარება მეორე მნიშვნელოვანი ქრისტიანული ტერმინი... ეს ტერმინია ქადაგება.

„ქადაგება“ მათეს თავის ტექსტში გვხვდება 14-ჯერ, მარკოზის თავში 16-ჯერ, ლუკას თავში 10-ჯერ, იოვანეს თავში სულ არა!

სათანადო ადგილების სახარების რუსულ თარგმანთან შედარებამ დაფიქრებინა, რომ ზემოთ გამოთქმული ვარაუდები შემცდარი იყო ამ შემთხვევაში სახარების დედნიდან მომდინარე მოვლენებთან უნდა გვექონდეს საქმი... ამ საკითხის გამოკვლევა ჩემს ძალ-ღონეს აღემატებოდა. მაგრამ შე მაინც კმაყოფილი ვიყავი: მართალია, კვლევის ამ მხარეზე ჩემი ძირითადი საძიებლის დამატებითი საბუთები არ მომიცა, მაგრამ ის ზომ გამოიჩინა, რომ ამ ორი ტერმინის (ხარებისა და ქადაგების) ხმარების მხრივ მარკოზისა და იოვანეს სახარების ქართულ ტექსტებს აქვთ მეტად საინტერესო თავისებურებანი:

1. ქართული სახარების მარკოზის თავში არ გვხვდება ტერმინი „ხარება“;
2. ქართული სახარების იოვანეს თავში არ გვხვდება ტერმინი „ქადაგება“.

ეს თავისებურება ნი ფაქტი და დაფიქრება — სა და გაც კვებას მოითხოვს.

წინაწარ შეიძლება ითქვას: „ჩვენ სახარების ამ ორი თავის თავისებურებაში მიაგნებამ ხელი შეუწყოს ქართული სახარების თარგმანის წარმოშობის გამოკვლევას.“

მინაწერი:

ამ მცირე ნაშრომის დამთავრების შემდეგაც გულიდან არ ამოვივლია წარმართული ხარების სხვა მავალითების მოძებნა და ჩემი მოსაზრების უფრო სარწმუნოდ დასაბუთება... შესწავლილი მასალის ხელახლა გადასინჯვის შემდეგ რამდენიმე მავალითი, რომლებსაც მუშაობის პროცესში ევეთ შევეყრებოდი, საიმედოდ მეჩვენა. ამათ დაამატა ახლად შესწავლილი მასალიდან ამოკრეფილი მავალითები.

ამ მასალას მცირე განმარტებებით ვერთავ ჩემს წერილს.



უპირველეს ყოვლისა, ჩემი თვლი შენერდო ჯრუჭის ოთხთავის გამოთქმავზე „ხარება და სახარებასა“, რომლის პარალელურ აღიშნარ ტექსტში სწერია: „ქადაგებდა სახარებასა“.

„და მოკვლიდა იესუ ყოველსა მის გალიელსა და ასწავებდა შესაყრებელსა შორის ცათსა და ახარებდა სახარებასა სასუფევლისასა“...

ჯრუჭის, მ. 4, 23.

„და მოკვლიდა იესუ ყოველსა გალიელსა, ასწავლიდა შესაყრებელთა შინა მათთა, ქადაგებდა სახარებასა სასუფევლისასა“... აღიშნის, მ. 4, 23

შინაარსობრივი ანალიზის შედეგად ჯრუჭის „ხარება და აღიშნარის „ქადაგებდას“ (უთბრობდას) ნი წნავს. ეს თითქოს ეტეს არ იწვევს ბერძნულ სახარების სათანადო ადგენას (მათე, 4,23) ეს სიტყვა („ხარება და“) იციხება: „αρχισα“ (არქსა), რაც ნიწავს: „быть глашатием, проповедать слово Божие, проповедывать, учить.“

ლათინურ სახარებაში ამ „ხარება დას“ ესაბრუნება: „praedicans“, „praedico“. რაც ნიწნავს: ნთბრობელი, ნთქმელი, მკადაგებელი, ან: აღნთებ და, უკადაგებ და (ხარება და).

ჯრუჭის ტექსტის „ხარება და“ ინგლისურ სახარებაში ასეა: „preaching“, რაც პართულად ნიწნავს: „ქადაგებდა“.

რუსული სახარება ამ წაითხვას უკერს მხარს:

„И ходил иже по всей Галиле, уча вь синагогах их и проповедиваг Евангелие вьрече...“ М. 4,5).

როგორც ვხედავთ, ქართული — აღიშნარი



ზერძნული, ლათინური, ინგლისური და რუსული სახარებები ამ ადგილას (მ. 4; 23.) იცავენ „ქადაგებას“, ხოლო ჯრუჭის სახარება ამ შემთხვევაში განეკრძაბებით დგას.

შესაძლოა ჯრუჭის მაგალითშიც ჩვენი წერილის ძირითად ნაწილში განხილული აღიშურის შესავალი შემთხვევასთან გვეკონდეს საქმე.

უფრო ნათელ და სარწმუნო მაგალითებს შივაგენი ავთოგრაფიულ ძეგლში „ცხოვრება და წამება წმიდისა მოწამისა კოსტანტინის ქართულისაჲ, რომელი იწამა ბაბილოუნელთა შევისა ჯაფარის მიერ“¹.

„ხოლო შემდგომად მოსლვისა უფლისა ჩუენისა იესუ ქრისტესა აღწერნეს ოთხნი ესე ვეანგელენი, რომელთაგან ეხარების ნათესავთა მოშავალთა მოსლვად იგი უფლისაჲ და განგებულებაჲ მისი ხორციითა, მით რომელ იგი შიხუნა ქალწულისა მარიაჲსიანგან წყალობისათჳს ჩუენისა, და ამისა შემდგომად საქმენი მოციქულთანი ვითარ-იგი მოპელიდეს ყოველსა სოფელსა და ახარებდეს სიტყუასა მას ცხოვრებისასა და მრავალთა პრქმენა მათი და ნათელ იღებდეს სახელთა მამისათა და ძისათა სულსა წმიდისაჲთა“.

ამ ვრცელ ამონაწერში, რომელიც ძეგლის შესავლის ნაწილს წარმოადგენს, სიტყვა „ხარება“ ორჯერ გვხვდება. განსაკუთრებით საგულისხმოა წინადადება: „...აღწერნეს ოთხნი ეს ვეანგელენი, რომელთაგან ეხარების ნათესავთა მოშავალთა მოსლვად იგი უფლისაჲ...“, რაც თანამედროვე ქართულთა ნიშნავს: ქრისტეს მოსვლის შემდეგ დაიწერა ოთხი სახარება, რითაც შთაშობადობას („ნათესავთა მოშავალთა“) მოეთხრობა (ვადაეცემა, ეუწყება) ქრისტეს მოსვლა.

სხვა მაგალითების გვერდით, შესაძლოა, თავისი მნიშვნელობა პქონდეს ერთ ფორმასაც, რომელიც გიორგი მთაწმიდლის ცხოვრების წინასიტყვაში გვხვდება:

„ლუთოე სანატრელსა, სათნოებათჳს შინა განთქმელსა, მოძღვარსა მოძღვართასა და სულიერსა წინამძღვარსა ჩუენსა გიორგის შეყენებულსა ოფლისაჲ მიერ გიკობაჲნ, მითი წმიდით მთასა საცვრველსა ქრისტეს მიერ ღუთისაჲ ჩუენისაჲ ვახარებაჲ“².
ხომ არ ნიშნავს ეს „ვახარებ“ „მოგახებენებ“-ს?³



ქართული ჰიმნოგრაფიული პოეზიის ქვემოთ მოყვანილი ნაწარვეტები საინტერესოა იმით, რომ ასინი, ამგლანებენ რა სახარებასთან სისხლ-

ზორცულ ნათესაობას, წარმოადგენენ სახარების ტექსტის პერიფრაზებს: **არქონდესნი ენგელნი**

„შე-რაი-ხუედ, ქრისტე, ჯოჯოხეთისა ბჭეთა, ¹ აღმოიყვანე ხატად შენდა შექმნული ხაწნილებსიანგან, ხოლო აღდგომად შენი გამოუცხადე წმიდითა მით ღუდათა, და მსწრაფლ წარვიდეს ხარებად მოციქულთა“.

„შეჯდომარე ლოდსა ანგელოზი ნათლისაჲ დღეს განეცხადა მტირალთა მათ ღუდათა და ახარებდა: „ნუ ეძებთ მას აქა, არამედ უთხარით მოწამეთა და პეტრეს, ვითარმედ აღდგა, იხილეთ ვალიელის“. ვრავგოლ ხანძთელი — „გალობანი“ აღესებისანი“

„ელვისა შავაქა ენგელოზი რაჲმს იხილეს მცეველთა მათ, მცხინვარებისაგან დაცვეს ქუეყანასა ზარ-განჴილნი შიშითა, ხოლო ღუდათა, გლოვის წილ, სიხარულთა აუწვა, დაღადებით ეტყოდა მათ: „გოხაროდენ, ქრისტე აღდგა, ვითარცა თქუტა, ღირსნი არამედ წარვედით და ახარეთ მოწამეთა მისთა აღდგომად ღმრთისაჲ“.

„ერნი ნათლისანი ვარემომს დგეს ნათლითა შემოსილსა მას საფლავსა, რომლისაგან აღმოგვბრწყინდა ქრისტე, დაუსაბამოდ იგი ნათელი შენელსაცხებულთა მოუსკეს მწუხარებაჲჲ და განქტარეს მგლოვარებაჲ, რაჲმს აუწყეს ქრისტეს აღდგომისა სახარებაჲ“¹
მიქაელ მოდრეცილი — „გალობანი“ აღესებისანი“

ამ ნაწვეტების დაკვირვებულნი წაიკოხვა იმდგვა იმის საბუთს, რომ იქ, სადაც სწერდა „გამოუცხადე“, „უთხარით“, „აუწყეს“, „შეგვიძლა ვიგულისხმეთ: „ახარე“, „ახარეთ“, „ახარეს“, ხოლო იქ, სადაც იკითხება „ახარებად“, „ახარებდა“, „ახარეს“, თამაშად შეგვიძლია „თხრობად“, „უთხრობდა“, „უთხრეს“ ვიგულისხმეთ.

¹ იხ. ს. ყუბანიევილის ...ძე. ქართ. ლიტ. ტრესტოპოთია, I გვ. 74.
² ათინის კრებული, გვ. 279.

¹ ხანძთელის და მოდრეცილის „გალობანი“ მოყვანილია პ. ინგოროყვას წიგნიდან: „გიორგი მერჩული“, გვ. 075, 077, 087, 088.



აქმთ. თაყიშვილი



მოგონებები

სურათი ჩარჩოში იყო ჩასმული და კედელზე გვიდა. ელენე თარხნიშვილსავე ჰქონდა თბილისში თვით მისი სურათი, დახატული უნგრელი მხატვრის, ეტლინგერის ქალის (ელენეს ნათესავი ერისთავის ცოლის) მიერ, ძლიერ ღამიში (იმ ეტლინგერ-ერისთავისას შემდეგ პარიზში შევხვდი)... ვუთხარი, ხელნაწერებსა და ნივთებს გარდა, ძველ სურათებსაც ვაგროვებთ და ვგ სურათებიც უნდა დავკვირდეთ-მეთქი. მითხრა, „ვეფხისტყაოსნის“ ხელნაწერზე ივანე ღვთისმეტყველის გამოცემის გამოც, სულ მეუბნებოდით, რომ მისთვის გამოშვებებიდან, მაგრამ ეს ვერ მოეხერხებოდა, რადგან, რაც რამ განქვეყნებული მაქვს იალტის ხაზინაში შევიწახე შიშაინების გამო (პირველი რევოლუციის ხანა იყო) და, სანამ არეულობა არ მიწყნარდება, იქიდან ვერც გამოვიტანო. ახლა კვლავ ვერც ამ სურათებს მოგვცემ, რადგან იმპერატორი ნიკოლოზ მეორე იალტაში როცა ჩამოდის, ხშირად დასეირნობს ამ არემარემო, მიოხრეს, შენთანაც აპირებს მოსვლასა და რომ მოვიდეს, სხვა რაღა ვაჩვენო, იქ არაფერი მაქვს, თუ არ სილომონ მეფის ქალის სურათი? ისე კი, ვაძლევთ პატრიარქის სურათს და მერმეუბნეთ, რომ არაფერი ამ სურათებს, არამედ აგრეთვე აუარებელ ვერცხლულს, ნახებს, ძველ ნაქარგ-ნაქარობასა და იმ „ვეფხისტყაოსნისა“ ანდერძით თქვენ დავკვირებთ, ოღონდ დამიწერეთ დაწვრილებით, თუ ვის სახელზე და როგორ დავწერო ის ანდერძით?“ მეც ჩამოვუწერე, უნდა დავტოვოთ-მეთქი ქართულ საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოებას, თბილისში. მერე მითხრა, თუ ახლა იალტაში ვაბრუნდებით, გვატანთ რწმუნების ქაღალდს ხაზინაში, რომ ის „ვეფხისტყაოსნის“ ხელნაწერი მაინც მოგცენო. მე ვუპასუხე, სამწუხაროდ, ახლა აღარ შემიძლია გაბრუნება, მეჩქარება, მაგრამ თქვენ თუ გამოიტანოთ, თბილისში გამოიშვანეთ-მეთქი. სხვათაშორის, სილომონის ქალის ნაჭონი ზოგი ნივთი და მათ შორის ყავის საფუძელი, საისტ.— საეთნოგრაფიო საზოგადოების მუზეუმში შემოსწორა კონა ერისთავის მეორე, გაუთხოვარმა ქალმა, ელენე თარხნიშვილის დამ.

მართლაც გამოეტანა ხაზინიდან ის ხელნაწერი და მას შემდეგ სულ თავისთან ჰქონდა. ჩემ შემდეგ იოსებ დადიანი, მისი ცოლი და ცოლისდა ჩასულიყვნენ ქუჩუქ-ღამბათში და იოსებმა შერიგებოდა სიღვერს. ამ უკანასკნელს ეძლია ხელნაწერი ჩემთვის გადმოსაცემად, მაგრამ იოსებს არ გამოურთმევია, უთქვამს, „მე ახლა პირდაპირ თბილისში არა ვბრუნდები, ვხად სხვადასხვა ადგილებში უნდა გავიარო და ვაით სადღე დამეკარგოსო. ეს ამბავი თვითონ იოსებ დადიანმა გადმოცა. მე, რასაკვირველია, დიდი საყვედური ვუთხარი, მაგრამ რაღა უშველიდა საქმეს? ის კი არა და, მერე თურმე ისიც სინანულად გამოხდებოდა, მე თვითონ რომ არ დავუჯერე ყლენე თარხნიშვილს და იალტის ხაზინიდან არ წამოვიღე ხელნაწერი.

პარიზში რომ ვაქვემდებარე, იოსებ დადიანს იქ შევხვდი. პარიზის მახლობლად, სვერში ცხოვრობდა და იქ ვინახულე. კარგა ხანს ვისუბრეთ სხვადასხვა საგნებზე. მერე გავიდა მეორე ოთახში და რაღაც უცნობი ხელნაწერი გამომიტანა. დახვდეთ — „ვეფხისტყაოსნის“ იყო, სურათებიანი. მიაშბო: ეს ის ხელნაწერია, რომელიც შენთვის გადმოსაცემად მაძლია სიღვერდშია ქუჩუქ-ღამბათში, მაგრამ, როგორც ვითხარი, მაშინ ვერ წამოვიღეთ და ხომ ვახსოვს, რა დავიდარაბა ამიტებე ამის გამო? გმადგარაბა რომ წამოვიღეთ, ერთხანს კონსტანტინეპოლში ვცხოვრობდი და, ვნახოთ, იქ მომიტანა ერთმა ქართველმა ეს ხელნაწერი და მეუბნება, სვესტოპოლის ბაზარში ვიყიდე და ახლა ვყიდო. მე ვუთხარი, ვე ხელნაწერი ჩვენი ოჯახისა იყო, ქუჩუქ-ღამბათში ინახებოდა და სვესტოპოლის ბაზარზე რა უნდოდა-მეთქი? ცხადი იყო, რომ ტყუილს ამბობდა: რევოლუციის დროს ქუჩუქ-ღამბათი აცლით, ჩემი სიღვერდი იქ გარდაცულიყო და მისი ნივთებიდან ჩვენ აღარაფერი გვინახავს; მაინც ვერ ვიყუყუთ მე და ხელნაწერის მოპტანმა ვაჭრობა და ბევრი დავის შემდეგ 1000 ლირად მომიყიდათ“. მე ვუთხარი, „ახიი შენზე, რომ ეგრე ძვირად დაგჯდომია ვე ხელნაწერი შენი დავდეკობის წყალობით; ახლავე გამოხედე ქაღალდში-მეთქი!“ „მიგაქვსო“, მეთხა. „მაშ შენ დავიკვირებ? ვე ხომ შენი სიღვერდის შემოწი-

რელია-მეთქი! ხმა აღარ ამოუღია, გამიხვია ქაღალდში და გამოშატანა.

მას შემდეგ კარგა ხნის განმავლობაში, ოც წელწამს, იყო ჩემთან ის ხელნაწერი რა თქმა უნდა, აღწერე, ყველა ცნობილ ხელნაწერს შევაღარე, მის შესახებ მთელ ცნობები გამოვაჭყვევე, აღწერალობა თბილისის უნივერსიტეტისა გამოვუბავნე, მაგრამ გამოცემები კი, აბა, რას გამოეცემდა, სადა შვონდა ამის თავი? ხელნაწერში კარგი მინიატურები იყო — ზოგი უფრო ძველი, ვიდრე სხვა ცნობილ ხელნაწერებში. სამი თუ ოთხი მათგანი იმჟამად პარიზს მუცხა მხატვრებმა დაეთოკაბამენ გადმოიღო ფოტოგრაფიულად და გამოუბავნა თავის ძმას სარგის კაცხაძეს, რომელმაც ისინი დაბეჭდა თავის მიერ გამოცემულ „ვეფხისტყაოსანში“.

ბოლო ხანებში იოსებ დადიანის ოჯახი ერთობ უშუქო მდგომარეობაში ჩავარდა უსახსრობის გამო. მივიდა ჩემთან იოსები და დიდი მორიდებითა და დარცხვენით მოთხრა: „შინ ქაღალდმა ლამის შეშვამონ (ცოლსა და ცოლისდას გულისხმობდა), დედაჩვენის ხელნაწერი რომ თავაშვილს გადაეცე, იმის შეწირვას, მართალია, დამირება და დედაჩვენი, მაგრამ მან ხომ ვერ შეასრულა დაბრუნება და შერე ხომ შენ შენი ფულით იყიდე, ახლა ჩვენია და რომ გავყიდოთ, კარგ ფასსაც მოგვეცემენ; ამიტომ უთხარი თავიშვილს, დაგვიბრუნოს!“ ერთხანს არ ვაძლევდი, მაგრამ შერე თვითონ ქაღალდშიც მომიკითხეს, ვნახე, რომ მართლაც ძალიან უპირდაღთ, შემებრალნენ და დავუბრუნე ხელნაწერი. იმათ ჯერ პარიზის ნაციონალურ ბიბლიოთეკას შესთავაზეს და შეეცა მიმდოდა, რომ პარიზშივე დარჩენილიყო, რათა მაინც მისაწვდომი ყოფილიყო. ბიბლიოთეკის გამგე მიცნობდა და მომწერა, მეცნობით, თუ რას წარმოადგენს შემოთავაზებული ხელნაწერი, რა ღირსებისააო. შეე მივწერე, მართალია, ხელნაწერს თავშიცა და ბოლოშიც ავლია, მაგრამ, საწერი მასალისა და ხელის მიხედვით, იგი XVII საუკუნეს მიეკუთვნება, ტექსტი მრავალ ვარიანტს შეიცავს სხვა ამგვარ ხელნაწერებთან შედარებით, თან, საყურადღებო მხატვრული მინიატურებითაა დასურათებული და სასურველია, რომ შეიძინოთ ეს ძვირფასი ხელნაწერი-მეთქი. მაგრამ ბიბლიოთეკის გამგე ვერ მოურიგდა დადიანებს: მგონი 10.000 ფრანკზე მეტი ვერ შეაძლია. დადიანებს აღმოაჩნდათ ერთი კარგი ნაცნობი მდიდარი ინგლისელი, რომელსაც, ვტყობა, ცოტა რამ გავეცოდა ძველი ხელნაწერებისა, და აივინეს მას. ინგლისელს დიდად მოსწონებოდა ხელნაწერი და ეკითხა, თუ გავუთ ცნობა, რომელი საუკუნისააო? ეპასუხათ, ხელნაწერს თარიღი არ უწერია, მაგრამ პროფ. თაყაიშვილი XVII საუკუნეს ატოვებებსო. ინგლისელს ეთქვა, ბევრი

ძველი ხელნაწერი მინახავს, ვერცევი მათში და ეს ხელნაწერი, მასალის მიხედვით, XVII საუკუნეზე უფრო ძველი უნდა იყოსო (ქაღალდი კი, მაგრამ სქელია და ტყავსა ჰგავს). რაღა ბევრი ვინაობა ვიცი და არც ხელობა, არ მინახავს — იყიდა დადიანებისაგან ხელნაწერი 25.000 ფრანკად. ამ ფულმა მისცა სიმუშალება ოსიების ცოლისდას, გრადის ქვრებს, თავის შვილთან წასულიყო მაროკოში თავისი წილი, 15.000 ფრანკი წილი) და დადიანებმაც ცოტაბანს სული მოითქვეს. ოსებს ექვსი ქალიშვილი ჰყავდა, ერთიმეორეზე ლამაზები. ერთი მათგანი შეერთო გოგოგი ამილახერის ვაჟმა, რომელიც სამხედრო სამსახურში იყო. მეორე მსოფლიო ომის დროს მოკლეს სირიაში და დეგოლი 5 საათს უამბობდა მის გმირობას ტელეფონით იქიდან პარიზში თავის მომხრეებს. იმ ინგლისელმა კი ბოლოს ბრიტანეთის მუზეუმს შესწირა ელენე თარხან-მოურავის ნაწილი „ვეფხისტყაოსანი“ და ამით გათავდა ამ ხელნაწერის ამბავი.

საერთოდ, განზრახული მაქვს, დაწერილებით აღწერო „ვეფხისტყაოსანის“ ჩვენ მიერ მოგროვილი ყველა ხელნაწერის თავგადასავალი, საითიდად, და გამოვაჭყვევო.

არასოდეს არც ერთი ხელნაწერი არ დამეკარგვია, გარდა ქსნის ხეობის მოსახლეობისა და გორელთა აღწერის დავთრებისა. საქმე ასე იყო: დასაბეჭდად შვონდა გამზადებული, როდესაც ივანე ჯავახიშვილმა მოხოვა მათი გამოჭყვევების ნებართვა და გავუბავნე კიდევაც პეტერბურგში. მას დავთრებს ცალკე აღარ გამოეცია, მხოლოდ „საქართველოს ეკონომიკური ისტორიაში“ გამოიყენა. შერე ის დავთრები აღარ მინახავს და დღეხანს მეგონა, რომ ისინიც დაიკარგა, ივანეს მიერ თბილისში ევაფონი გამოგზავნილ ბიბლიოთეკასთან ერთად, სამოქალაქო ომის დროს აიღოვინაო რომ იმსხვერპლა. ძალიან გულს მაკლდა. საფრანგეთიდან რომ დავბრუნდი, მაინც ემედო ბედი ერთხელ კიდევ და ვთხოვე განსვენებული ივანე ჯავახიშვილის არქივის გამგეს, მის ასულს ნათელას, ეგება მონაბო-მეთქი. ერთხელ მიიბრა, ვერ ვნახო. თურმე ხელნაწერებში ეგებია. მეორედაც ეთხოვე, იპოვნა და ძალზე გამახარა. „რა ეყოლი, თუ შეიძლებოდა წიგნებში ჰქონოდა მამამემს შენახული, ყოველი შემთხვევისათვის დავათვალიერე და მასში იყოო“. საბედნიეროდ ივანესაც სიფრთხილე გამოუჩენია და ეს ისტორიული საბუთები ბარგთან ერთად კი არ გამოუგზავნიდა, არამედ თავისთან დაუტოვებია და ამას ვადაუტრენია ისინი. დიდი დანაქლისი კი ექნებოდა, რომ არ აღმოჩენილიყო. ჭეშმარიტად მოსახლეობის ასეთივე აღწერილობა ხომ აღრევე მაქვს ცალკე წიგნად გამოცემული; არაგვის ხეობისა — „სა-

ქართველოს სიძველეთა ერთ-ერთ ტომში; ხოლო ახლა ქსნის ხეობისა და გორის მოსახლეობის აღწერაში გამოვეცი, თუმცა კი დიდი დავიანებით (დაიბეჭდა თბილისის „უნივერსიტეტის შრომებში.“) ქსნის ხეობის აღწერაშია ორი გრანოლიტისგან შედგება და ისაროლისხვე-მეგურისხვე-ატენსაი შეიცავს. გორელეობის ერთი გრანოლიტია. აღარც კი მახსოვდა, თუ ისიც თან ახლდა ქსნის დათარს. ჩანს, ორივე ერთად შემოქმენია თავის დროზე (მერე ერთად გადამიცია ჯავახიშვილისათვის). ეს იყო 1908 წელს, როდესაც ქსნის ხეობაში დავიგზავნებოდი არქეოლოგიური მონათა და სოფელ იკითში მივედი, ფიცხელაურისთან რუკაში. იქ ვაბტანგ ივანეს-ძე ფიცხელაურის დედას ჰქონდა ეს დათარები, 35 სხვა სიგელ-გუჯართან ერთად, და ამათ შემოსწირა საისტორიო-საეთნოგრაფიო საზოგადოებას ის სიგელ-გუჯარები გამოცემულია... დათარები ერთგვარ მეთრის ბრანდებითა შედგენილი, ჩანს, მორიგი ჯარი-სათვის, შისი „ლაშქარნიებისა“ და მღვინის მიერ. შიგ იხსენიება „ქსნის ერისთავის მოურავი ფიცხელაური“. გტყობა შიამომავლობით ვადმოსცემა ის საბუთები ვაბტანგ ფიცხელაურის რუკას.

ჩვენი ინტელიგენციის კარგა დიდ ნაწილს ძველად ანატორი ვაგებოდა იმ მუშაობის მნიშვნელობისა, რომელსაც მე და ჩემი ამხანაგები ვეწოდით. წერა-კითხვის საზოგადოების გამგებობაში რომ უმეტესობა მენშევიკებმა და სოციალ-დემოკრატებმა მოაბოვიეს, მე იძულებული შევიქმენი გამოვსულიყავი გამკავიბიდან. მათ შორის ძალიან ბევრი იყო შიდატ კაცო, რომლებსაც არც სწამდათ და არც შეეძლოთ არაფერი, ვარდა ლიტონი ფრანსა. მიუხედავად იმისა, რომ შიგ ჩემი ნაშრომებიც ურთიუნ, მე მათთან ერთად მუშაობა ვერ შევიძელი. მერვე სარკის კაბადზე მოიწიეს, შემოაღეს ახალი წესი — ხელნაწერებს. აღარავის ატანდნენ შინ წასაღებად და მეც კი ამიკრძალეს ეს, მე, რომელმაც შევექმენი ხელნაწერთა მთელი ფონდი, — ხოლო თვით ბიბლიოთეკაში მუშაობა სრულიად შეუძლებელი იყო, რადგან ის ოთახი ყოველდღიურ თავმოსაყრულ და სსაბურთო ადგილად იყო გადაქცეული იმთავითვე. ყოველივე ამან მაიძულა შემეწყვიტა მუშაობა „Описание рукописей“-ს გამოცემაზე, თორემ ერთი ტომი (მე-3) კიდევ გამოვიდოდა. კ. კვეციანიასათვის ჰქონდა დავალებული საისტორიო-საეთნოგრაფიო საზოგადოებები მიწვეულ მოღვაწის საგალობელთა გამოცემა (კორნიელზე უკეთ ამას ვინ ვაკეთებდა?!). ჩვენმა საზოგადოებამ სოხოვა წერა-კითხვისას, ვაეტანებით კვეციანისათვის, მავრამ აღარც იმას დაანებეს ხელნაწერი და ასე დღემდე გამოუცემელი დარჩა. მაშინ ძალიან ეინანე, რომ ზოგი ხელნაწერი პირადად ჩემთვის არ შევიძინე, ხომ

ვერავინ შემომიღია ხელს მათ შესწავლა-გამოცემაში-მეთუ?

სხვათაშორის, მუშაობის არანორმალური პერობების შექმნის ბრალდა ჩემი ერთი მიუტევებელი შეცდომა, „Описание“-ს II ტომში რომ მომივლიდა: „შან-ნამეს“ დიდი ხელნაწერის ყოფილიყო, XVII საუკუნისა, დაფუძნული, „როსტომიანიო“ იწყებოდა და მე კი „ყარამანიანი“ დაეწერე, XVII საუკუნისა, რადგან ასე ჰქონდათ კატალოგში ჩაწერილი. ხელნაწერის ნახვის საშუალება რომ ჰქონოდა, ასეთი მარცხი ხომ არ დამეზარებოდა?! ამ ბოლო დროს პრატე, აღ. ბარამიძემ შეამჩნია ეს ჩემი შეცდომა და უკვე აქვს აღნიშნული, მავრამ მაინც ძალიან მეუხერხულება.

როგორც უკვე აღვნიშნე, მიუხედავად ჩემი იმედისა და მოლოდინისა, რომ „ვეფხისტყაოსნის“ ხელნაწერთა გროვებში, ერთხელაც იქნებოდა, XVII საუკუნისაზე უფრო ძველ ნუსხასაც აღმოვაჩნდი, უგრჯერობით არც მე და არც სხვა ჩვენ მკვლევარს ასეთი არ მიუვინიათ და XVII საუკუნე რჩება „ვეფხისტყაოსნის“ ნუსხათა უძველეს თარიღად. თუმცა ამ დანაკლისს რამდენადმე აესებს საქართველოს მუზეუმის (ერთ დროს — ვარძიის მუზეუმის) შეუთინი თანამშრომლის ვ. ცისკარიშვილის საინტერესო აღმოჩენა, რომელიც მან უკვე გამოაქვეყნა კიდევაც. ეს არის წარწერები ჯავახეთის კლდეში ნაკვეთი შონასტრის, ვანის ქვაბების კედლებზე. ეს წარწერები, გტყობა, სალოცვად მისულთა მიერაა გაკეთებული. ზოგს სხვადასხვა ცხოველებიც დაუხატავს ზედი: ღომი, ირემი და ა. შ. წარწერებში ყველაზე საინტერესოა „ვეფხისტყაოსნის“ მთელი სტროფი, ნუსტანდარეჯანის წერილის დასაწყისში: „ციხეს ვზი ეზომ შადალსა, თვალნი ვერ შემოსუნდებანი“. მერე და ეს წარწერები ხომ ნამდვილად XV საუკუნეს გუთვინან, ასე რომ თავისებური ნუსხა ვაკვს „ვეფხისტყაოსნისა“, ორი საუკუნით უფრო ძველი დღემდე ცნობილ ხელნაწერებზე. მერე ისიც დღიად მნიშვნელოვანია, რომ უბრალო მლოცველი წერს იმ გამოქვაბულის კედლებზე და არა ვინმე დიდებული. ყოველივე ამის გამო ვ. ცისკარიშვილის ეს წერილი ძალიან საყურადღებოა, მით უმეტეს, რომ მკაფიო ფოტოები ახლავს თან.

ახლა მინდა ზოგი რამ გაეიხსენო იმის დასახსიათებლად, თუ რა მონაწილეობას იღებდა ქართულ საზოგადოებრივ საქმიანობაში-ქველმოქმედების სახით-ქართული შუბრეუბისის ზოგიერთი წარმომადგენელი.

1905 წლის რევოლუციის ხანაში ვაბ. „ივერიის“ რედაქტორად არჩეულ იქნა ფილიპე გოგიანიშვილი. ასეთი არჩევნები ხდებოდა ამ საქმიების მოთავე ინტელიგენციის კრებაზე. იმ კრებას, მახსოვს, ვესწრებოდიოთ ი. გოგიანიშვილი, ნ. ცხვედაძე, ვაზეთის გამომცემელი პავლე

პოეტი აცოცხლებს იმ დროის დაძაბულ დღეებს, ხანძრის აღისფერი ენების შეჭვით მოჩანს შემინებული ადამიანების ჯგუფი, რომელიც ლამობს გაეჭვოს ამხედრებულ ათასეულია შურისძიებას. ეს არის განადგურებული კლასის უბადრუკი ნაშთი. მეორე მხრივ ვხედავთ ვაზდელუბით და სიხარულით ანთებულ ადამიანებს. მათი მხნეობა და დაუშრეტელი ენერჯია გამაჩრკელებელი კლასის წარმომადგენლებს ამეღვენებს.

ლექსში «გაქვებული მონუმენტი» თებერვლის რევოლუცია დახატულია უფრო დიდ-მნიშვნელოვან მოვლენათა დასაწყისად, მხოლოდ პირველ ნახადად. ასეთია ლექსის საერთო განწყობილება და ამ განწყობილებას საუბოროდ ვხამება ნაწარმოების ბოლო ნაწილი. პოეტი ზიზღს და მძულვარებას უცხადებს იმ ცალკეულ ადამიანებს, რომლებსაც თებერვლის ამბების შემდეგაც შემორჩათ შიში ნახევრად განიარაღებული მოძალადეებისადმი:

აღარ არიან,
მაგრამ სულმდაბათ
მიინც აწინებთ მხერა
მათი მათხერის... (გვ. 175)

პოეტს ღრმად წამდა, რომ მალე ჰპოვებდა ხარულ დამარცხებას მხაგრეული კლასის ნაშთები, რომლებსაც თებერვლის რევოლუციაჲ საშარე ვერ გაუთხარა მენშევიკების და ესერეების გამცემლური პოლიტიკის მიზეზით.

ახალგაზრდა შემოქმედის ეს რწმენა ლოკიკურადაა დაგვირგვინებული ლექსში «ოქტომბერი», რომელიც შთაგონებულია დაუვიწყარი ოქტომბრის გმირული დღეებით.

ამ ლექსში ვრ. ცეცხლადეს გამოყენებული აქვს მოვლენათა მხატვრული ხედვის თავისებური მეთოდი, იგი თავისუფლად ფლობს პოეტურ ფერებს და ღრმად განიცდის ნაწარმოების თემას.

უადრესად საინტერესო და შთაბეჭდავი იყო იმდროისათვის ლექსის დასაწყისი:

— ბაროლი...
— ესროლე...
— სიღან...
— ბაროლი...

როყოი ტყვის მსხვერპლი

მოსკდა როგორც ხე —
ვაეკაი — წიფლა-
სისხლიანი შაშხანა,
სისხლიანი ხელი...
ქარში და წყვლიადში თოფის ხმა
ეხო უსასუბებს:
— აააახხ

დაცემულს არაეინ იცოდებს. (გვ. 142)

ხვეწ საცილურად მოვიტანეთ ეს ვრცელი ამონაწერი ლექსიდან: აქ ხატოვანებით და თავისებურებითაა გადმოცემული ოქტომბრის შრომისაჲ, ხმაურიანი, იღუმალი სული. პირველივე სიტყვები მკობველს მინიშნებას აძლევს რაღაც უხვეულოზე, ჯერ არნახულზე, გასაოცარზე. ასე დაიწყო რევოლუცია. პოეტმა დაძლია პრამიტეივის სიმშროვობა, რომელიც ხშირად არსებობს მნიშვნელოვანი ისტორიული მოვლენების მხატვრულად გამოსახვის დროს.

პოეტი ლექსის პირველ სურათში გვიხატავს საბრძოლო ხმაურს, სისხლს, განწირულებას. ეს სურათი მოკლებულია ნათელ ფერებს, სიციცხლის დამკვიდრების პათოსს. როყოი ტყვიით განვმირთო ვაეკაი უსახელოდ იღუმება. პოეტი არ იძლევა შემთხვევის კონკრეტიზაციას, იგი სიტყვათწმობს, არ გვაცნობს მოკლე კლასობრივ ვინაობას, მის ადამიანურ სახეს. მაგრამ ეს ზომ არც არის საჭირო. ქარიშხლიანი დრო ბევრ მსხვერპლს იწირავს უზიზნოდ. ერთ-ერთი იმათაგანია ცეცხლადის ვაეკაი — წიფლა». ავტორი გვიხატავს ქაოსს, არედადების, ადამიანთა გულჭეობის სურათს. იგი პირველად ობიექტივისტურ როლს ჯერდება — არ განმარტავს ამ სურათს. მაგრამ ლექსის შემდეგში ნაწილში მდგომარეობა იცვლება, სახეები კონკრეტდება. ნაწარმოებში მძლავრად იჭრება სიციცხლის სხივი, ბრძოლის შიშანი და მიზეზი ირყევა.

ვადმოდის ნიაღვარი,
სისხლი ვადმოდის მღერია,
საუკუნეთა ბრახმა
ჯებბიი გააბრეია (143)

ამ ხმაურს, სისხლს თავისუფლებისათვის ბრძოლა იწყებს. საუკუნეობრივი შორილება და მონობა ხალხმა თავისივე ცრემლში ჩაახრწო და შეუბოგრად გააწია მტარაღისაყენ. მაგრამ არც მტერი თმობს და იწუება მიმივ ორთაბრძოლა:

ხმალი ხმალს შეხვდა
შიშვლად
და ქვაფენილზე სისხლი
ბროწეულივით ბრწყინავს (გვ. 143)

უთანასწორო ბრძოლაში ხალხს საყუთარი სიმართლის რწმენა და ნებისყოფის ძალა ამხნეუვბდა:

ბორგავს ჯავშნოსანს,
ფილაქანს მხარღვევს,

ძალა და იმედო
მეამბოხეთა. (გვ. 144)

ლექსი მოაგრდება ნათელი, საზეიმო, ხალისი-
ანი სტრაქონებით, რომლებიც შინაარსს აძლევენ
მთელ ნაწარმოებს:

ეს ოქტომბერი იყო,
არ შეუშინდა დაშინას;
ეს ოქტომბერი იყო
დიდ ლაშქრობათა
ბეჭესთან;
დროშები დრიალებდნენ
და ზარბაზანი სუქვდა. (გვ. 144)

გრ. ცეცხლის პოეზიაში ზარბაზნის ხმაურს
არ ჩაერეუბნია ადამიანის ხმა. რევოლუცია,
შეიარაღებული ბრძოლა პოეტისათვის თვით-
მინუტი გატაცება კი არ იყო, არამედ — ადამი-
ანის უკეთეს ცხოვრების, თვისუფლად ცხოვრე-
ბის მიღწევის საშუალებაა. ოქტომბრის რევო-
ლუციას გამარჯვების შემდეგ, როცა სამედ-
აზოდ გაიქცა ახალი საზოგადოებრივი წყობის
ბედი, პოეტმა თავისი ნიჭი „შინართა ამ საზო-
გადოების ადამიანის ფიქრების და გრძნობების
გამოსახატავად.

ლექსში „საბჭოთა ადამიანის ჩვეულებრივი
დღე“ ავტორი აგვიწერს საბჭოთა ადამიანის
ცხოვრებისათვის ჩვეულებრივ დღეს. ამ ადამი-
ანისათვის ცხოვრება შემოქმედებითი შრომაა,
იგი წარსულს გამარჯვებულის ღმირით გა-
პურებს, ხოლო მომავალს — იმედით. საბ-
ჭოთა ადამიანი ყოველ ახალ დღეს სხარტ-
ლით ხედება, რადგან ეს დღე ახალი წარმატე-
ბების მომტანია:

ციხკარი ამოანათებს,
დღე დაიწყება ახალი, —
ჩვენ გვაფრთხილებს სიცოცხლის
ტრფობა წმინდა და მაღალი. (გვ. 149)

გრ. ცეცხლის პოეზიის ლირიკული გმირი,
გამარჯვებული სოციალისტური საზოგადოების
შეიღო, ახლებურად განიცდიდა სიყვარულის წმინ-
და გრძნობას. მისთვის უცხოა სიყვარული. რო-
გორც მტარველი ვანდა, არც ანგარება ან
გრძნობათა მსწრაფი წარმავლობა ახასიათებს
მას, ბედნიერი, თავისუფალი ადამიანი ღალია და
გრძნობას მინდობილი სასურველ ადამიანთან
ურთიერთობაში.

ლექსი „ოცნება შორებულზე“ წმინდა და ნაზი
სიყვარულისათვის ერთგულების აღთქმაა.
ახალგაზრდა პოეტი მოწიწებით მოელის იმ
წარმატებულ ასულს, რომელიც მან ოცნებით შექმ-
ნა. ადამიანი ვერ იქნება განურჩეველი და თავის
გულს ვერ დაუკავშირებს თვითუფლს, ვინც კი
ფეხს ესისამოყვება. საჭიროა მას ჰქონდეს
ამაღლებული ფიქრები მომავალ მეგობარზე:

ვოცნებობ მარად ჩემს დედოფალზე,
ეს ფანტაზია სულს ეტანება,

რომ არ მინახავს, ფიქრმა ამ ქალზე
სხვა სიყვარული არ დამანება. (გვ. 176)
ნამდვილ სიყვარულს ახალგაზრდები ყოველთ-
ვის ოჯახის შექმნამდე მიჰყავს. ოჯახში მს
უმიტრიანი საზოგადოებრივი ურჩევლია, რომე-
ლიც თვალსაჩინო როლს ასრულებს საზოგადო-
ებრივი ზნეობის ჩამოყალიბებასა და შენარ-
ჩუნებაში. გრ. ცეცხლამეს თავის ლირიაში
ფართოდ აქვს გაშუქებული ოჯახის საკითხი.

ლექსში „როგორ არ ვებრფოდე გურიის მთა-
გორებს“ შესანიშნავი პარამონით ერწყმის
შრომის სიყვარული ახალგაზრდა ქალიშვილ-
სადმი სიმართლის გრძნობას და მომავალ ოჯახ-
ზე ოცნებას. პოეტი იყენებს გურიის წარმატებულ
პეიზაჟს, გადმოგვიცხვს გაზაფხულის სუნთქვას
და ერთბაშადვე სურათის სხვადასხვა ვარიან-
ტით ქმნის ნაზ იდილიურ განწყობილებას, რო-
მელიც კარგად ეგუება ოჯახურ მუდღერობას
და სიყვარულს.

ახალგაიერი ხასიათისაა ლექსები „ყანა“,
„საბუბარი ცეცხლის პირად“, „საიდუმლო ბა-
რათი“ და სხვ.

გრ. ცეცხლამე საბჭოთა ადამიანს გვიხატავს
შრომის, ახლის შექმნის მოტივთადად. იგი
შრომში პოულობს ბედნიერებას. ჩვენმა სა-
შობლომ საბჭოთა პერიოდში განიცადა დიდი
ცვლილება უცხოეთისთვისაცვე ამნდა მრავალი
ქარხანი, გაჩნდილი და ათვისებული იქნა ყამირი
მნიშვნე. კრებულში მრავალი ლექსია შეტანილი,
რომლებიც გვიხატავს სამგორის და გმირულად
შრომულ ქართველ ხალხს („მაღლობას ამბობს
სამგორი“, „შორაქში“, „მებაღე შედის ხეხილის
ბაღში“ და სხვ.)

ასეთია გრ. ცეცხლის პოეზიის ლირიკული
გმირი და ცხადია ეს ადამიანი ვერ იქნება ომის
და სისხლის მოყვარული. გრძობს ცეცხლამის
პოეზიას შინაგანი მოტივირებით მიჰყავს მკითხ-
ველი ხალხს შორის მშვიდობისა და მეგობრო-
ბის იდეამდე.

ლექსში „მშვიდობა“ პოეტი კიცხავს ომის
გამაჩნებლებს და ნამდვილი მოქალაქეობრივი
პათოსით აცხადებს:

ყველა კეთილ კაცს მშვიდობა უნდა;
ხალხიც ხომ შერის ტკილს ჩვენ
მშვიდობას.
ვით თანამგზავი ომს თან სდევს მუდამ:
უბედურება უამინდობა.
ყველა კეთილ კაცს უნდა მშვიდობა.

(გვ. 7)

და როცა საბჭოთა ხალხს მშვიდობა დაურ-
ვიეს გერმანელმა ფაშისტებმა, პოეტი მშობლი-
ურ ხალხს ამხნეებდა თავისი ნათელი, ოპტი-
მისტური შემოქმედებით. დიდი სამშულო ომის
თემაზე გრ. ცეცხლამე მრავალი ლექსი დაწე-
რა, რომლებითაც გამოხატა საბჭოთა ხალხის
მზადყოფნა თავისი სამშობლოს დასაცავად
(„მოგვიწოდებს დღეს ქვეყანა“, „წერილი დედა-
ფრონტიდან“, „გამარჯვება“ და სხვ.)

დიდი სამამულო ომის დამთავრების შემდეგ გრ. ცეცხლაძე კვლავ მშვიდობიანი დროის თემას დაუბრუნდა.

გრ. ცეცხლაძის ლექსების კრებულში შეტანილია მრავალი ლექსი მიძღვნილი ჩვენი სამშობლოს სახელოვანი შეიღებისადმი. განსაკუთრებით კარგად აქვს პოეტს დახატული დიდი ილიას, აკაკის, ვაჟას და სხვათა სხეულები.

გრ. ცეცხლაძემ არაერთი და ორი ნაწარმოებში უძღვნა საქართველოს ისტორიულ წარსულს. პოეტს ჩვენი წარმტაცი დღევანდელი ასოციაციით მოავიწყებს ქართველი ხალხის წარსული ცხოვრების ისტორიულ ბედუცდღმართობას. ავტორი წარსულს წარმოსახავს ქართველი ხალხის ვმირულ, მაგრამ უთანასწორო ბრძოლად, რომელიც საბოლოოდ შინა ქართველი ხალხის გამარჯვებით დამთავრდა. ასეთი ლექსებია „ისპინა“ „ჩემი მამული“, „ტაშისკარის ბებერ წაბლთან“ და სხვა.

კრებულში შეტანილია პოემა „გურიის ცის ქვეშ“. პოემა მოგვითხრობს გურიის მშრომელების ბრძოლის შესახებ თვითმპყრობელობის წინააღმდეგ. მაგრამ, მიუხედავად იმისა, რომ თემა საინტერესოა და მდიდარი, პოეტმა ვერ შექმნა სრულყოფილი ნაწარმოები. პოემას აკ-

ლია სიუჟეტური გამართულობა და მთლიანობა, ხასიათების გამოკვეთილობა, მიზანდასახულობა. პოემაში აგრეთვე ბევრია სუბტილური ხასიათის ვადახვევები.

ყურადღებას იქცევს კრებულის ზოგიერთი ლექსი, რომლებსაც მკვეთრად გამოკვეთილი ავტობიოგრაფიული ხასიათი აქვს: აქ ისახა პოეტის უსამიფნო გრძნობა მოახლოებული მოხუცებულობის წინაშე. ზოგჯერ პოეტი ვერ იჩენს თავშეკავებას და მის ხმაში სვედის ნოტივე გაისმის ყველადრის წარმავლობის შესახებ; მაგრამ გრ. ცეცხლაძისათვის ოპტიმიზმი ამჯერადაც უფრო ტიპურია. შინ იცის, რომ მოხუცებულობა ვერ კიდევ არ ნიშნავს ცხოვრების დასასრულს. მოხუცებულობა ზღვარს ვერ უღებს შრომას და შემოქმედებას:

განა ჰალარა ამძიმებს სხეულს?
შე არ ვუწოდებ ჰალარას წყუელს.
ამძიმებს სხეულს სიბერე გულის,
ის არის ძირი ყოველგვარ წყულს.

(გვ. 17)

გრ. ცეცხლაძე კვლავ განაგრძობს შემოქმედებითს შრომას და იმედია, იგი კვლავ გაგვახარებს ახალი კარგი ლექსებით.

ჯამალ შარაშიძე

ახალი ნაშრომი ქართულ ფოლკლორისტიკაში



დოცენტ ელენე ვირსალაძის მონოგრაფიაში „ქართველ მთიელთა ზემიარსიტყვიერება“ წარმოდგენილია მთიულეთ- ვულკანური ზემიარსიტყვიერება. ეს ნაშრომი სამი ნაწილისაგან შედგება: გამოკვლევა, ტექსტები, მეცნიერული აპარატურა. უკანასკნელ ნაწილშია შენიშვნები და ვარიანტები, საძიებლები და ლექსიკონი. ძირითადი ტექსტები შეიცავს 637 ნომერს. კრებულში შესული მასალების ძირითადი ფონდი მოპოვებულია ავტორის ხელმძღვანელობით ჩატარებული სამი ექსპედიციის მიერ 1934 წ., 1946წ., 1950წ.

საკვებით მისაღებია მასალათა კლასიფიკაცია. ძველი, ე. ი. ოქტომბრის რევოლუციამდელი ზემიარსიტყვიერება, დაჯგუფებულია თანობრივი პრინციპით: ლექსები, ანბანები, გამოკანები, თქმულებები, ეპიკური ციკლები, ზღაპრები. მოცემულია კლასიფიკაცია ლექსების მდიდარი განყოფილებისა. აქ წარმოდგენილია: საგმირო, ნადირობისა, საისტორიო, შრომის, საყოფაცხოვრებო, სატრფიალო, ძველი საღდათობის, ციხისა და ყაჩაღობის, ჰუმორისტული, საღლეობო, სუფრული, საწესო, გლოვისა, დამწყალბელობიანი, შელოცვები, სასულიერო ლექსები.

საბჭოთა ფოლკლორის ნიმუშები დღევანდელია ისტორიული პრინციპით, საბჭოთა პოეზიის განვითარების მიხედვით

ცალკე არის გამოყოფილი ლიტერატურული წარმოშობის ტექსტები. ეს მასალები საინტერესოა ლიტერატურისა და ხალხური შემოქმედების ურთიერთობის თვალსაზრისით, განსაკუთრებით ზემიარსიტყვიერების განვითარებაში დამწერლობის როლის გასათვალისწინებლად.

მდიდარი სამეცნიერო აპარატურა წიგნისა ავტორის ხანგრძლივი, ვულკანური მუშაობის შედეგია. შენიშვნებში თითქმის ამომწურავად არის მითითებული თითოეული ტექსტის ნაბეჭდი თუ ხელნაწერი ვარიანტები. ხშირ შემთხვევაში ავტორს ვარკვეული აქვს ტექსტების წარმოშობის რეალური საფუძველიც. ცალკე ტექსტებით დანატრეცხული მკვლევარი შენიშვნებში იპოვის ვარიანტების სრულ ბიბლიოგრაფიას.

საყურადღებოა შენიშვნების ის ნაწილი, რომელიც შეიცავს მოქმედა სიას, ბიოგრაფიებს და რეპერტუარს. ავტორის შატეხული თქმით, ეს გვაძლევს საშუალებას თითოეული მოქმედის რეპერტუარი მის მთლიანობაში ვანეხი-

ლოთ“ (გვ. 435). მასალათა დღაგების პრინციპითა და შენიშვნებით ელენე ვირსალაძემ წინ წამოიწია თავისებურება ხალხური შემოქმედებისა, მისი კოლექტიურობა საყურადღებოა აგრეთვე შენიშვნების ის ნაწილები, რომლებიც შეიცავენ მოკალი სოფლების, შთქმელების, ჩაწერათა და ჩაწერილი ტექსტების ნორმების, ველო ამას მნიშვნელობა აქვს არა მარტო მთიულეთ-გუდამაყრის, არამედ, საერთოდ, ზემო-სიტყვიერების ტრადიციის, მისი ხასიათისა და შესრულების წესების შესასწავლად.

განსაკუთრებით საინტერესოა წიგნის ის ნაწილი, რომელიც მეცნიერულ გამოკვლევას წარმოადგენს. მთიულეთ-გუდამაყრის სხვადასხვა ძანის ზემო-სიტყვიერების შიდარი მასალების ანალიზისა და ამ მასალების საქართველოს სხვა კუთხეებში ჩაწერილ მასალებთან შედარების საფუძველზე შეკვლევარს დასძლია და გადამყვანური აქვს ზოგადი ფოლკლორისტიკის ბევრი საყურადღებო თეორიული მნიშვნელობის პრობლემა. განსაკუთრებით აღსანიშნავია ის ვარჯიშობა, რომ შეკვლევარმა საქართველოს ერთი კუთხის ზემო-სიტყვიერებაზე აწარმოვა ზანგრძლივი დაკვირვება. გამოკვლევას საფუძვლად უდევს სხვადასხვა დროს სამი ექსპედიციის მიერ მოპოვებული მასალები. ამ მასალების ერთიმეორესთან ან კიდევ საქართველოს სხვა კუთხეების მასალებთან შედარებამ შეკვლევარს საშუალება მისცა ეწარმოებინა დაკვირვება ზემო-სიტყვიერების სხვადასხვა ძანის განვითარების პროცესებზე, ცალკე ტექსტების ველოცეხაზე, კოლექტიურ და ინდივიდუალურ საწყისებზე ზემო-სიტყვიერებაში. ყოველივე ამის გამო განსაკუთრებული დამატკბებლობა ენიჭება იმ დასკვნებს, რომლებიც მიღებულია ავტორის დაკვირვებების საფუძველზე. ზანგრძლივა, სისტემატრამა, დაკვირვებამ ერთი კუთხის ზემო-სიტყვიერებაზე შეკვლევარს საშუალება მისცა ეწარმოებინა როგორც ტექსტოლოგიური, ისე თეორიული ხასიათის მუშაობა. საინტერესოა გვლვა ცალკე ნაწარმოებთა გენეზისის საკითხისა, რასაც მნიშვნელობა აქვს საერთოდ პოეზიის ისტორიისათვის. ამგვარი მუშაობის შედეგად შეკვლევარმა სათანადოდ შეასწორა იდრე ჩაწერილი, დამახინჯებული ტექსტები.

გამოკვლევაში დასმული და გადამკრილია თეორიული მნიშვნელობის პრინციპული საკითხები, როგორცაა ხალხური შემოქმედების სპეციფიკა, მისი ეროვნული ხასიათი, ცალკე კუთხეთა ზემო-სიტყვიერებისა და ისტორიული დიფერენციაციის პრობლემების შეადრო კავშირი, ქართული ფოლკლორის თავისებურებანი.

გამოკვლევა, მოკლე წინასიტყვიერების გარდა, ექვსი თავისაგან შედგება. პირველი თავი „მთიულეთ-გუდამაყრის ზემო-სიტყვიერების შესწავლის საკითხები“ (გვ. 8 — 19) ძირითადად ზოგადთეორიული ხასიათისაა. შეკვლევარს ვარჯიშული აქვს ცალკე კუთხეთა ზემო-სიტყვიერების

შესწავლის მნიშვნელობა ფოლკლორისტიკის ზოგად პრობლემათა დასაყენებლად და გუდასაქრელად. კარგად არის ახსნილი ფოლკლორის სპეციფიკა — მისი კოლექტიური ხასიათი (გვ. 8 — 9). მეტიად სერიოზულია ავტორის მიერ დასმული საკითხი სხვადასხვა დროს სხვადასხვა ტრამში ფოლკლორის შეგავსების შესახებ (გვ. 9). სწორია მოსაზრება ქართული მასალების განსაკუთრებული მნიშვნელობის შესახებ ფოლკლორისტიკის ზოგადი საკითხების შესწავლაში.

ქართული მასალების საფუძველზე შეკვლევაში სიმართლიანად აკრიტიკებს ბურჟუაზიული მეცნიერების მცირე მოსაზრებებს, მათ მიერ ფოლკლორში მხოლოდ ბიოლოგიური და ფსიქოლოგიური ფაქტების ძიებას. ელენე ვირსალაძის მართებული მოსაზრებით ქართულ ზემო-სიტყვიერებაში არქაული ფორმისა და, ამავე დროს, მდელი ხელოვნების ნაწარმოების არსებობა დადასტურდება ფოლკლორული ძეგლების ისტორიული განვითარებისა, რაც თავისთავად უარყოფს მასში მხოლოდ ბიოლოგიურ და ფსიქოლოგიურ ფაქტებს. საინტერესოდ შეკვლევაში ასახელებს უძველეს ქართულ კლასიკურ თქმულებას ამირანის შესახებ, ხაზს უსვამს იმ ვარჯიშობას, რომ თქმულებას ვარიანტთა შორის განსხვავება შედგება საქართველოს სხვადასხვა კუთხის ისტორიული განვითარების თავისებურებისა. შეგავსებას ვარიანტთა შორის შეკვლევაში ხსენს მათი საერთო წარმოშობით (გვ. 13). მთლიანად ამ საკითხს პრინციპული მნიშვნელობა აქვს. თეორიული საკითხების დაყენების ერთგვარ დასკვნას წარმოადგენს სწორი დებულება ცალკე კუთხეების ზემო-სიტყვიერების მონოგრაფიული შესწავლის მნიშვნელობაზე.

ნაშრომის მეორე თავი „ისტორიული ცნობები მთიულეთ-გუდამაყრის შესახებ“ (გვ. 19 — 33) წარმოადგენს განზოგადებას იმ ისტორიული წყაროებისა, რაც კი არსებობს მთიულეთ-გუდამაყრის შესახებ. ამის საფუძველზე დასაკუთრებული დაკვირვებების მიხედვით, მოცემულია დევი და ახალი მთიულეთის დაბასათება. ხაზგასმულია ის ფაქტორები, რომლებიც ხელს უწყობდნენ და უწყობენ ზემო-სიტყვიერების განვითარებას (გვ. 30). ამავე თავში მოცემულია ისტორია მთიულეთ-გუდამაყრის ზემო-სიტყვიერების ჩაწერისა. საინტერესოა დრო დაბასათებელი ამ მხრე ჩატარებული მუშაობა, მაგრამ, ჩვენი აზრით, ეს საკითხი ცალკე უნდა ყოფილიყო გამოყოფილი. ნაშრომში იგი შექანიერად არის გადამხული მთიულეთ-გუდამაყრის შესახებ არსებული ისტორიული ცნობების საკითხთან (გვ. 30 — 33).

მთიულეთ-გუდამაყრული პოეზიის ძირითადი საკითხებია დაყენებული მესამე თავში „ფოლკლორული ტრადიციის მთიულეთ-გუდამაყრის“ (გვ. 33 — 47). საინტერესოა დაკვირვებანი რეპერტუარის განაწილებაზე ასაკობრივად და ქალ-

თა და ვითა შორის. ავტორის დაკვირვებით, ქალები ნაკლებ აქტიურებას იჩენენ საჯარო შესრულებისას, მაგრამ ეს არ ნიშნავს მათი რეპერტუარის სიღარიბეს. ნაშრომში აღნიშნულია, რომ ქალები საჯარო შესრულებისას ხშირად უსწორებენ ტექსტებს მოქმედ მამაკაცებს (გვ. 35). ამიტომ ჩვენ სადავოდ მივიჩნევთ ავტორის მოსაზრებას (გვ. 34). საერთოდ, მეტი ანგარიში უნდა გავწიოს ქალების დასოკიდებულებას უცხო შემკრებლებსადმი. სწორია ავტორის მოსაზრება რეპერტუარის ასაკობრივი განაწილების შესახებ (გვ. 38 — 42). მთელეთ-გუდამაყარის, ისევე როგორც საქართველოს სხვა კუთხეებში, სასა-ტორიო ნაწარმოებში და ეპიკური ციკლის თქმუ-ლებანი ძირითადად ხაზში შესული მამაკაცების რეპერტუარია. ამავე თავში ისტორიულად არის წარმოდგენილი პოეტური ტრანსფორმაციის სა-კითხი.

ნაშრომის მეოთხე თავში „პოეტური თანრე-ბი მთელეთ-გუდამაყარის ზეპირსიტყვიერებაში“ (გვ. 47 — 88) მოცემულია ანალიზი სხვადასხვა თანრის პოეზიის ნიმუშებისა. განხილულია მთიბ-ლური, დატირება, მყდრის ლექსი ანუ ანდერ-ძი, საწესო პოეზია, საგმირო და საყოფაცხოვ-რებო ლექსები.

საყურადღებო დაკვირვებებს შეიცავს მთიბ-ლურისა და დატირების ურთიერთობის ანალი-ზი (გვ. 49 — 67). ამ დაკვირვებებს მნიშვნელო-ბა აქვს ქართული ლექსის ისტორიისათვის. მთიბლურთან დაკავშირებით საინტერესოა სა-კითხის დაყენება ქართული ლექსის ორგანული საფუძვლის ხალხურ ურთიშო ლექსში ძიების შესახებ (გვ. 50).

მთიბლურისა და დატირების შედარებისას ხაზგასმით არის აღნიშნული პირველის სამეურ-ნეო და სატრფიალო-საყოფაცხოვრებო თემატიკ-ა (გვ. 58 — 59). დამაჯერებლად არის უარყო-ფილი მოსაზრება, თითქმის შრომის ამსახველი ლექსები „მეორეული“ იყოს მთიბლურში (გვ. 60—61). ავტორის მოსაზრებით დატირება ხშირ შემთხვევაში სიყვადლის მომენტებიდან საქ-მო დროს ვადის შემდეგ არის შექმნილი. ამის სანიმუშოდ მოყვანილია მთილური ტექსტი (გვ. 61). მთილურ-გუდამაყარული მთიბლური სიმღერების საქართველოს სხვა კუთხეთა მასა-ლებთან შედარების საფუძველზე მკვლევარმა გაარკვია პოეზიის ამ სახეში დატირების ტექს-ტის გამოყენების საკითხი, პოეზიის ორი სახეო-ბის — მთიბლურისა და დატირების შედარები-სას ავტორის მოცემული აქვს სწორი დებულება: „მთიბლური სიმღერა შრომით საქმიანობაშია შექმნილი და შრომის პროცესიდან არის ამოზ-რდილი. მთიბლურები წარმოიშვნენ არა წინა-პარტა შესახებ სულების წარმოდგენის საფუძ-ველზე როგორც მყდრის ცხედრის დატირების ჩ ე ვ უ ლ ე ბ ა (ხაზი ავტორისაა. ქ. ს.), არამედ როგორც ადამიანთა შრომითი ენერჯიის გამო-

ხატულება, ხოლო თუ მათში აღიბეჭდა რწმენა წინაპართა სულებისა, რწმენა იმისა, რომ წინა-პარტა სულები შეუძლიათ უშველონ ადამიანს მის შრომაში, ეს მხოლოდ საზოგადოებრივ განვი-თარების, მისი იდეოლოგიის გარკვეული საფე-ხურის მანიფესტებელია“ (გვ. 62). ელენე ვირ-სალაძემ დამაჯერებლად აღნიშნა განსხვავება „ხშით ნატირალეზისა“ და მთიბლურებსა შორის. აღნიშნულია, რომ „ხშით ნატირალეზი“ ძირითა-დაა გარჩნობა, ემოცია, ხოლო მთიბლურში — ნებისყოფა (გვ. 63). ამ შემთხვევაში დამოწ-მებულია მუსიკალური ტექსტებიც, რომ მთიბ-ლურში ტირილთან შედარებით უფრო რთული მუსიკალური ტექსტია (გვ. 63). ეს იმას არ ნიშ-ნავს, თითქმის ავტორი უარყოფდეს საერთოდ დატირების მალაშხატურულობას.

ახალი და ორიგინალური ავტორის დაკვირ-ვებები „სიკედლის ლექსისა“ ანუ „ანდერძზე“. ამგვარი ლექსების ფუნქცია გარდაცვალების წლის თავზე ან წვეთარეულო დღეებზე მყდრის მოგონებაა. აღნიშნულია ამ ლექსების შესრულების უძველესი ფორმა ფერხული (გვ. 68) და აბანდელი — სოლო (გვ. 69). მოცემუ-ლია პოეზიის ამ უნდის შინაარსობრივი და მხატ-ვრული ანალიზი. აღნიშნულია „ანდერძის“ თან-დათან ქცევა რეამარცხელად ლექსად (გვ. 69). ეს ლექსები მართებულად არის მინეული დას-რულებული ზელოვნების ნიმუშები. ამ თვალ-საზრისით ისინი მთიბლურზე მალა არის და-ყენებული (გვ. 70 — 71). საინტერესოა დაკვირ-ვებანი „მყდრის ლექსის“ საგმირო პოეზიისა-თან და ბალადისთან გენეტიკურ კავშირზე. ხაზ-გასმულია მისი კავშირი შრომის პროცესებთან. რაკი ამგვარი ლექსები აღნიშნება ტერმი-ნით „ანდერძი“, საინტერესო იყო აღნიშნულიყო მისი მიმართება ზვესერულ „ანდერძთან“, რი-თად აღნიშნება როგორც რჩული საგმიროალი, ისე საგვარეულო გადმოცემები და ყოველგვარი პროზული საისტორიო ნაწარმოებნი. ტერმინე-ბის მსგავსებით ამ შემთხვევაში უდავოდ აქვს თავისი საფუძველი.

წიგნში მოცემულია ნათელი სურათი საწესო პოეზიის ტრადიციისა და შესრულების წესებისა. განსაზღვრულია მათი ხასიათი (გვ. 74 — 77). საინტერესოა დაკვირვება, რომ „ჯჯვარისწინა“ (საქორწილო) „ოდესდაც ზოგადქართული წესის ნაწილს წარმოადგენდა“ (გვ. 77). საწესო პოე-ზიის კლევისას მკვლევარი ეყარება ნაწარმოე-ბთა სოციალურ შინაარსს, მხატვრულ სახეებსა და მეტრს. ავტორის სწორი დაკვირვებით, მთი-ულური საწესო სიმღერების მეტრი ძირითადად დაბალი შიარია (გვ. 76).

მრავალმხრივ არის განხილული საგმი-რო სიმღერები (გვ. 77-83) ავტორის დაკ-ვირვებით, საგმირო სიმღერების ძირითად ფონდს ადგლობრივი მასალები შეადგენენ. გავრცელებულია აგრეთვე ზოგადქართული ლექ-სებიც. ნაშრომში გარკვეულია ზოგი საგმირო

ლექსის რეალური საფუძველი. საყურადღებოა ამ მხრივ ლექსის „არავეის პირას ომა“ და ისტორიული ძეგლის — „ძეგლი ერისთავთა“ შედარება (გვ. 77-78). მრავალი ვარიანტის შედარების საფუძველზე დადგენილია ვაგრცელეზული ლექსის „ხოსრო ეგ აფციანის“ მთიულურ-გუდამაყურული წარმოშობა (გვ. 79), საინტერესოა აგრეთვე ანალიზი „მიდელაურის ლექსისა“ (გვ. 80 — 82).

ნაშრომში ხაზგასმით არის აღნიშნული საგმირო ლექსების ღრმა კუმანისში და აშალეზელი პატრიოტიზმი.

მოცემულია ანალიზი საისტორიო ლექსების ვაგრცელეზული ციკლებისა, როგორცაა, ლექსები ზურაბ ერისთავის, ერეკლე მეორის, რუსეთთან შეერთებისა და 1804 წლის აჯანყების შესახებ (გვ. 83 — 88). დახასიათებულია, აგრეთვე, საყოფაცხოვრებო ლექსები საშობლოს სიყვარულის, შეცხვარეთა ყოფის, სოციალური ურთიერთობის და სხვათა შესახებ (გვ. 86 — 88).

მეხუთე თავი ნაშრომისა მიძღვნილია პროზაული ეპიკისადმი (გვ. 88 — 96). წამყვანი ეპიკი მთიულეთ-გუდამაყურის ზემირსიტყვიერებაში, როგორც აღნიშნავს მკვლევარი, პოეზიაა, მიუხედავად ამისა, მეტად საინტერესოა პროზაული ეპიკის მდგომარეობა საქართველოს ამ კუთხეში. იგი იძლევა ერთგვარ გასაღებს ზღაპრის გუნების საკითხისათვის, მოკლე, მარტივი ამბები, რაც ვაგრცელეზულია მთიულეთში, დამახასიათებელი იყო ზღაპრის განვითარების აღრიწდელი საფეხურისათვის.

ეპიკური ციკლებიდან მკვლევარს აღნიშნული აქვს „ბეგანიანის“ ძლიერი ტრადიცია მთიულეთ-გუდამაყურში (გვ. 94). ავტორის მოსახ-

რებით, „ბეგანიანი“ „შა-ნამეს“ პოეტურ ეპიზოდთა გავლენით არის შექმნილი (გვ. 94). ჩვენი აზრით, „ბეგანიანი“ უფრო, უკიდურესად ყოფილიყო ვაგრცელეზული საქართველოში, ვიდრე ქართულად ითარგმნებოდა ფირდოსის ეპიკება. ამ მხრივ საგულისხმოა „შა-ნამეს“ ეპიზოდთა პარალელები და ანალოგიები „ქართლის ცხოვრებაში“, რაზედაც თავის დროზე მიუთითა პროფ. ილ. ხახანაშვილმა.

საგულისხმოა მსჯელობა „ამირანიანისა“ და ხალხური „ვეფხისტყაოსანის“ მთიულურ-გუდამაყურული ვარიანტების შესახებ.

უკანასკნელი, მეექვსე, თავი ნაშრომისა მიძღვნილია საბჭოთა ფოლკლორის საკითხებისადმი (გვ. 96 — 109). მთიულეთ-გუდამაყურში სხვადასხვა ღრმა მიმოხილვები მასალების საფუძველზე კარგად არის წარმოდგენილი საბჭოთა ფოლკლორის განვითარების გზები, მისი სოციალური შინაარსისა და მხატვრული ფორმის საკითხები. მართებულად არის გაკრიტიკებული სკეპტიკური შეხედულება ფოლკლორზე, როგორც მხატვრული შემოქმედების აქტიურ ფორმაზე.

შილაანად ნაშრომი შეიცავს მდიდარ დავიროვებებს ხალხური შემოქმედების სპეციფიკაზე, მის ტრადიციაზე, განვითარების გზებზე, სოციალურ შინაარსსა და მხატვრულ ფორმაზე. ყოველივე ამას, როგორც აღნიშნული, დიდი მნიშვნელობა აქვს ფოლკლორისტიკის ზოგად-თეორიული პრობლემების გადასაჭრელად. ელენე ვირსალაძის ნაშრომი „ქართველ მთიულთა ზემირსიტყვიერება“ მეცნიერების მნიშვნელოვანი შენამუშევარია.

პროფ. ქსენია სიხარულიძე

ქართული ენის გრამატიკა



დიდი ხანია ველოდებით კიტა ჩხენკელის წიგნს, ¹ რომელიც ესეცაა გამოვიდა დიდი სიძნელეების გადალახვის შემდეგ. დაბრკოლება ყოფილა როგორც ფინანსური, ისე ტექნიკური ხასიათისა. ამის თვითონვე აღნიშნავს ავტორი: აუცილებელი გამზდარა ტიპოგრაფიული დაბრკოლების დამლევად ფოტო-ოქსეტთან დაცემ-შიერებით.

ვისაც სურდა ქართული ენის შესწავლა,

1. Tschenkell Kita, Einführung in die georgische Sprache, Amiran Verlag, 1958, Band I Theoretischer Teil, LX14+628 str. Band II, Praktischer Teil, X+614 str.

ი. ივლიძის წერილი თარგმნილია ჩეხურიდან ელენე ერისთავის მიერ.

დღემდის დასავლეთ ევროპის ენებზე მის-განაკრებულაში მხოლოდ მცირე რაოდენობის სახელმძღვანელოები მოაბრუნებოდა. ქართული ენა კი ერთ-ერთი კაცკასიური, ან როგორც ახლა მას უწოდებენ, იბერულ-კავკასიური ენაა, მდიდარი ლიტერატურული ტრადიციით. უიზისოდ წარმოუდგენელია კაცკასოლოგიის ამ საყოველთაოდ ცნობილი, მავრამ საქმოდ მივიწვეული დარგის შესწავლა, რაც ქართული ენა გასაღებია დანარჩენ კაცკასიურ ენათა გგუფისა. ეს ოჯახი დგას დიდი ენათა ოჯახებს — ინდო-ევროპულის, სემიტურისა და თურქულის გვერდით და, ცხადია, ქართული ენა ნაშთია ოდესღაც მრავალრიცხოვანი ენობრივი ოჯახისა. იმავე ოჯახს ეკუთვნოდა წინა აზიის ძველი ენებიც, რომელია შესწავლა დიდ ვანს

შემატებს მეცნიერებას და დიდ მომავალს უქაღის თანამედროვე ლინგვისტიკებს.

დღმა კავასილოვმა ად. დირმა, რომელმაც თავის წიგნი — „შესავალი კავასიორ ენების შესასწავლად“ 2 მოცემა 30 კავასიური ენის მიმოხილვა, ამასთანავე, ქართული ენის პრაქტიკული სახელმძღვანელო 3. ამ სახელმძღვანელოში საუკეთესოა მისი თეორიული ნაწილი, სადაც ავტორი გვაძლევს სიტყვათა პრაქტიკულ-სუფიქსების წარმოშობის მიმოხილვას. პრაქტიკული ნაწილი კი გამოუსადეგარია, როცა ზმნებთან გვაქვს საქმე. თუ შევდევლობაში მივიღებთ, რომ დირის წიგნს, ამას გარდა, კიდევ დიდი ნაყოფ ახლავს მრავალი კორექტურული შედომების გამო, არ შეიძლება საკუთრებით არ დაეთანხმებოდნენ მან ფობტს, რომ დირის სახელმძღვანელო „თითქმის გამოუსადეგარია“. ქართული ენის სახელმძღვანელოებიდან, რომლებიც რუსულ ენაზეა შედგენილი, ვიცნობთ ვ. წულეისკირისა და პ. ჰანიშვილის წიგნს 4. მის წიგნშიაზე ლამაზაგობს ის გარემოება, რომ იგი რამდენიმეჯერ გამოიცა.

თუ არ მივიღებთ შევდევლობაში ქართულ ენაზე გამოსულ სახელმძღვანელოებსა და გამოცემებს, რომლებიც დამწყებთათვის მიუწვდომელია, დღემდის ქართულ ენის გრამატიკის ზოგადი მიმოხილვა შეიძლება გვეპოვა მანს ფობტის ნაშრომში, 5 რომელიც აუცილებელია ყველასათვის, ვისაც კი მსურს გაეცნოს ქართული ენის სტრუქტურას, და პ. რედენკოს წიგნში, რომელიც არის პირველი ყველაზე დიდი სახელმძღვანელო, რუსულ ენაზე დაწერილი, 6 ახალი ქართული ენის შემსწავლელთათვის. ამაზე უფრო აღრე ნ. შაიის შრომა გამოვიდა, 7 მაგრამ იგი ენება მხოლოდ ძველ ქართულ ენას, ისე როგორც მისი ფრანგულად (ბრიერთან ერთად) დაწერილი სახელმძღვანელო, თუმცა წიგნის პირდაპირი დანიშნულება ფრანგული შრომის სათაურიდან არა ჩანს. 8

კ. ჩხენკელის წიგნის დიდი უპირატესობა, უწინარეს ყოვლისა, მისი მეთოდურ-მეცნიერული სინუსტესა და საფუძვლიანობაშია. ავტორი ყოველ ღონეს ხმარობს, ნათელი შეიტანოს ენის შესწავლაში, ენისა, რომლის სტრუქტურა მოქნილი და რთულია, კ. ჩხენკელს საგრძნობლად დახმარებია უცხოეთის უნივერსიტეტში მიღებული მდიდარი პედაგოგიური გამოცდილება და, ამას გარდა, კარგი ცოდნა მშობლიური ენისა, აგრეთვე მულტივი შესაძლებლობა დასავლეთის ენებთან რის დროსაც უფრო მკაფიოდ ჩანს ღვდიანის დამახასიათებელი თვისებები.

ქართული ენის გრამატიკის ყველაზე ძნელი ნაწილის — ზმნის დაფუძვლაში წიგნის ავტორი ბევრით უნდა უმაღლოდეს ა. შანიძის მორფოლოგიას 9, რომელსაც იგი ასახელებს. შესავალ თავებში, როგორც ჩანს, ავტორი არ იცნობს ა. შანიძისავე უახლოეს ნაშრომს, მის „ქართული გრამატიკის საფუძვლებს“ 10 და არც ამ ფუნდამენტურ ნაშრომის შემოკლებულ რედაქციას, რომელიც 1955 წ. გამოვიდა. ეს, ილბთ, იმით ახსნება, რომ ქართული სპეციალური ლიტერატურის შოვნა ძნელია ევროპაში, რასაც ავტორი ჩივის კიდევ წიგნის შესავალში, გვეონია, აგრეთვე, რომ ავტორს თავის შრომაში ნაყლებად გამოუყენებია ის მდიდარი სპეციალური ლიტერატურა, წიგნები და ეურნალები, რომლებიც საქ. სსრ-ში მრავლადაა გამოცემული განსაკუთრებით უკანასკნელი 10 წლის განმავლობაში.

სამწუხაროდ, ავტორს, საერთოდ, არასად აქვს მოყვანილი სია გამოყენებული ლიტერატურისა და არც არასად აქვს ნაჩვენები, თუ არა წყაროებს ეყრდნობა. ეს მით უფრო სამწუხაროა, რომ მისი წიგნი, როგორც ვიწრო პრაქტიკული ხასიათის ნაშრომი, შესაძლოა გამოსადეგი ყოფილიყო, უწინარეს ყოვლისა, ლინგვისტებისთვის, რომლებიც მოისურვებდნენ უფრო ვრცელ დასცნობილ წიგნში დასმულ პრობლემებს.

ავტორი შესავალ თავშიც გვერდს უხვევს კავასიური ენების ჩვეულებრივ დაყოფას და ქართული ენის ადგილს განსაზღვრავს მათ შორის. იგი XXII გვერდზე ერთმანეთს უბიძგობს ჩრდილოკავასიური და სამხრეთკავასიური ენებს, თუმცა უფრო მართებული იქნებოდა დაგვესახელებინა სამი (resp. ოთხი) შტო კავასიური ენებისა ცალკეულ შტოებს შორის განსხვავება ისეთი ხასიათისაა, რომ ამ შეიძლება მხოლოდ ჩრდილოკავასიის და სამხრეთკავასიის ჯგუფები დავუპირისპიროთ ერთმანეთს, მით უმეტეს, თუ არ ვამბობთ ჩვენი მოსახრების დამტკიცებას, რამიტომ რომ დანარჩენი ჯგუფებიც ერთმანეთს სხვადასხვანაირად უპი-

2 Durr A., Einführung in das Studium der kaukasischen Sprachen, Leipzig 1928.

3 Durr A., Grammatik der modernen georgischen (grusinischen) Sprache. Wien und Leipzig (1904).

4 Цулейскири В., и Чаншвили Г. Самоучитель грузинского языка. Изд. 3-е испр. и пополн., Сухуми, 1951, 306 стр. (I-ე изд. Тб., 1941, 2-ე изд. Сухуми, 1947).

5 Vogt, Hans, Esquisse, d'un grammaire du georgien moderne, Oslo, 1936, 298 pp.

6 Руденко В. Т., Грамматика грузинского языка, Москва, 1949 (Ак. Наук СССР) 275 стр.

7 Marr N., Грамматика древнелитературного грузинского языка, 30+216 стр., СПб., 1925.

8 Marr, N. et Brière, M. La langue géorgienne, Paris, 1931, 858 pp.

9 ა. შანიძე, ქართული გრამატიკა თბ. 1930 წ. XIII ± 214 გვ.

რასპირდებთან. იქვე, XXIII გვერდზე ავტორი არჩევს დამოუკიდებელ ენებს, ასეთებად თვლის სენარს და ჭანტია-შეგერულს და მათ მიიჩნევს ქართული ენის დალაქტებებად, მიუხედავად იმისა, რომ სენარის სენარის თავისებურ მდგომარეობას და ამასვე აღიარებს იგი ჭანტია-შეგერულის მიმართაც.

წიგნი პრაქტიკული და თეორიული ნაწილებში შეიძლება არიან ერთმანეთთან დაკავშირებული. პრაქტიკული ნაწილის ცალკეული სავარჯიშოები პირდაპირ ერთვის თეორიულ ასსნა-განმარტებას. ორივე ნაწილის ასეთ შეიძლო დაკავშირებაში შეიძლება ვიპოვოთ მიზეზი იმისა, თუ რატომ დარჩა ავტორის ასეთ ცოტა ადგილი ფონეტიკისათვის და, აგრეთვე, სიტყვაწარმოებისათვის, რომელთა გამოყენებასაც თხოულობს ქართული ენა. არც სინტაქსისა დამოუკიდებლად დამუშავებული. ამ მხრივ შესაძლო იყო მას დახმარებოდა წიგნები, რომლებიც საქართველოში ბოლო წლებში გამოვიდა: ს. ჯღენტის „ფონეტიკა“¹², ა. შანიძის ქართული ენის სასკოლო სინტაქსი¹³ და ლ. კვაჭაძის ქართული ენის სინტაქსი¹⁴.

გთქვამთ, რომ აჯობებდა პრაქტიკული ნაწილიდან გამოყოფილყო თეორიული ნაწილი და არ დაქვემდებარებოდა პრაქტიკულ სავარჯიშოებს. შეხედულებაში გვაქვს ადგილები, რომლებიც შეთოდური თვალსაზრისით სწორად არ არის თავის ადგილას მოთავსებული. მაგალითად, ავტორის გამოტოვებული აქვს ქართული ბრუნებებიდან მოთხრობითი ბრუნვა (ერგატივი) და გადატანის აქვს ზმნის ასსნაში წყვეტილთან (აორისიტთან) იმიტი, რომ ის იხმარება მხოლოდ ზმნებთან. ეს შეხედულება და თანმიმდევრობა მცდარად მივგანია. ბრუნვათა უმეტესობის ხმარება ხომ მხოლოდ ზმნათთან გვხვდება და ქართული ბრუნების არასრული რიგი დავს და გავუგებრობას იწვევს პედაგოგიური თვალსაზრისითაც.

ავტორის მტკიცება 68-ე გვერდზე, რომ აწყო არის ძირითადი მწკრივი, რომლისგანაც თითქმის ყველა დანარჩენი მწკრივის მიღება შეიძლება, ადვილად გამოიწვევს გაუგებრობას. ძირითადი მწკრივი, როგორც ვ. დეებერსის ავტორებს, ქართულში არის წყვეტილი (ანუ აორისტი) ყველაზე უფრო ხშირად მასში გვხვ-

დება ზმნის ფუძე სრული სახით, მაშინ როცა აწყოის წარმოება, პირიქით, თხოულობს ფუძის გავრცობას სუფიქსით. ლუწკა, მართალია აწყოისგან მიიღება მთელი რიგი მწკრივები, მაგრამ უნდა ვაღიაროთ რომ მთლიანი შეფასებისათვის არა მათი რიცხვითად გადამწვევით, არამედ მათი მნიშვნელობა.

64-ე გვერდზე ავტორი ზმნას ყოფს გარდაშავად და გარდუვალად. მტკიცება, რომ გარდაშავალი ზმნები ქმნიან პირველ უღლებასო უნდა ვასწარდეს იმ გავებით, რომ აქ არამართა ზმნების დაყოფაზე არა უღლების, არამედ კატეგორიების მიხედვით, ქართულ ენაში უღლება, ისე როგორც ბრუნება, განსხვავებულია მხოლოდ იმის მიხედვით თუ რაინარია ფუძე: ხმოვან-ფუძიანია თუ თანხმოვან-ფუძიანი.

ავტორი ძალიან სწორად იქცევა შეთოდურად, როცა სასხვისო ქვეყის ასსნაში ხზს უსვამს განუყოფელ კავშირს სასხვისო ქვეყის ხმოვან პრეფიქსსა და პირის ობიექტურ პრეფიქსს შორის. ეს აუცილებლობა ჩვეულებრივად ავიწყლებთ ასსნისა და იმით ქმნიან ზედმეტ სიძნელეს შეთხველისათვის. სასხვისო ქვეყის განხილვისას ავტორს ჰქონდა საშუალება. აესხნა მნიშვნელობა კუთვნილებითი ფორმისა, რომელიც წინადადებაში იჩენს თავს, და ის განსხვავება მოქმედებით და ვენებით გვარის ფორმებს შორის, რომელიც აქ მდღავდება.

არ შეიძლება დავეთანხმოთ ავტორის 45-ე გვერდზე გამოთქმულ მოსაზრებას, რომ სტატიკური ვენებითს „გ-წერი-ვარ“ ტიპისში „წერი-“ არის შემოკლებული მიმღობა „წერი-ლი“.

„მ-ყავ-ს“ და „მ-ი-ყვარ-ს“ ტიპის ზმნებს უყვია ოცდათერთამეტ გაცივითამდის. ეს ერთხელ კიდევ ამტკიცებს, თუ რა ძნელია ზმნების მიზანშეწონილი თანმიმდევრობის დაცვა ქართული ენის შესწავლისას, რის გამოც ავტორი განიხილავს ყველაზე უფრო ხშირებულ ზმნებს. ვადაპირთ უნდა უარყოთ თარგმან ვინდ გადმოცემა იმ გამოთქმებისა, რომლებიც 451-ე გვერდზე და სხვაგანაც არის ნახშირ: mir ist jemand Besitz, მიყვარს mir ist jemand Liebe! რატომ არ უნდა ვთქვათ: mir ist jemand Liebf? ეს ზმნები, რომელთათვის ფობტის განსაკუთრებულ სახელი არა აქვს და რომლებიც რუდენკოს მოყვანილი აქვს თავში ОНРЕКТИВ-НАМЪ СТРИმ, ავტორი უწოდებს არაპირდაპირ ზმნებს, მაგ., „ღვლა უღიშის შეილს“ და „ადედას უყვარს შეილი“ (გვ. 448).

კაუზატიური ზმნების მიმოხილვისას ზოგერთ თვლიან, მეჩამე კი ყველგან, ავტორის ქართულად მოყავს ზმნა პირველ პირში, ხოლო გერმანულ თარგმანში — ინფინიტივში, რაც ხელის შემშლელია.

მეორე ტომის უმეტესი ნაწილი ქრესტომათის აქვს დამოძილი (გვ. 397-614). რამდენადაც ვიცი, ეს პირველი ქრესტომათია ახალი ქართული ენისა. აქ საკითხავი მიმუშავი შეე-

¹² ა. შანიძე, ქართული გრამატიკის საფუძვლები. მორფოლოგია, თბილისი, 1953 წ. 022±672 გვ.

¹³ ა. შანიძე, ქართული ენის გრამატიკა, მორფოლოგია, თბილისი, 1955 წ. 09±330 გვ.

¹⁴ ს. ჯღენტი, ქართული ენის ფონეტიკა თბ., 1953 წ. 315 გვ.

¹⁵ ა. შანიძე, ქართული ენის გრამატიკა. ნაწ. II სინტაქსი, თბ., 1957 წ.

¹⁶ ლ. კვაჭაძე, ქართული ენის სინტაქსი ა. შანიძის რედაქციით, თბ. 1956 წ., 207 გვ.

სებელია ლექსიკონით და შენიშვნებით, რომ-
ლებთანაც გვეძლევა გრამატიკული განსაზღვ-
რაც და ჩართულია ცალკეული ზმნების ფორმე-
რი. ეფექტობით, რომ არ არის სწორი ახალ ქარ-
თულ ქრესტომათიაში 66 ნიმუშიდან ერთი მე-
სამედ მე-18 საუკუნის შერლის სულხან-საბა
ორბელიანის ნაწარმოებს ეკავოს, მაშინ როცა
თანამედროვე ავტორთაგან არც ერთი არ
არის მოყვანილი. კ. ჩხენკელი პირველ თავშივე
აუხიბებს, რომ ტექსტი სახელმძღვანელოსა-
თვის მის მიერ შესწორებულია. ჩვენ წინააღმ-
დგენი ვართ ყოველგვარი შესწორების შეტანისა
ტექსტში, თუნდაც ეს შესწორება პედაგოგიუ-
რი მოსაზრებით იყოს გამოწვეული. თუ ტექს-
ტს მოყვანა შეუსწორებლად არ გამოდგება,
იგი სულ არ უნდა იყოს გამოყენებული.

სამწუხაროა, რომ წიგნის თეორიულ ნაწილს
არ ახლავს საბიბლიო და პრაქტიკული ლექსი-
კონი, მაშინ აუცილებელი აღარ იქნებოდა ყო-
ველთვის ერთი და იმავე სიტყვის ახსნის გან-
მეორება, რაც წინა საგარეოებში გვხვდება
და რის გამოც წიგნი მეტად დატვირთულია.
ჩვენს შენიშვნებს მიზნად არ დაუსაბავს
ღირსება უარყოფის წიგნისა, რომელიც შედგევი

სიბეჯითის, მდიდარი გამოცდილებებისა და სა-
ფუძვლიანი შესწავლისა.
ავტორი წიგნის ბოლოში გვიპირდება მალე
გამოსვლას ერეკლე ქართულ-გერმანული ლექსი-
კონის პირველი ნაწილი, რაზედაც ამჟამად მუ-
შაობს, და სადაც ზმნები განლაგებული იქნება
ფუძეების მიხედვით. დაახლოებით ასევე გა-
აყვით პანს ფოტომა თავის ქართული გრამატი-
კის საბიბლიოში, რაც მეტად მიზმიდელია, რა-
დგან მხოლოდ ამას შეუძლია საერთოდ სასა-
თაურო სიტყვის ქვეშ შეკრიბოს სხვადასხვა
ფორმა ამა თუ იმ ზმნისა და გვერდი აუხილოს
ფორმების და სასათაურო სიტყვების დაქსაჭ-
სვას, რასაც ადგილი აქვს თანამედროვე ქა-
რთული ენის განმარტებით ლექსიკონში, რო-
მელიც გამოვიდა არნოლდ ჩიქობავას მთავარ
რედაქტორობით. მაგრამ წინასწარ იმის თქმა
ძნელია, თუ რამდენად გამართლებდა ზმნების
გაწყობა ფუძეების მიხედვით. უდავოა რომ,
უხერხულია ზმნების გაწყობა შესამე პირის
ფორმებზე იმის მიხედვით, თითქო ქართული
ზმნების გაწყობა საწყისის (ინფინიტის) მი-
ხედვით არ იყოს შესაძლებელი. პირიქით, ზმნის-
ფორმათა მონახვა ისეთი წესით გაწყობისას ძა-
ლიან გაადვილებულია.

პროფ. იაროშიჩ იხლიჩია

მონოგრაფია მხატვარ გიორგი მაისურაძეზე.



ქართული ლიტერატურისა და ხელოვნების
დეკადისათვის გამოცემულია „საბჭოთა სა-
ქართველოში“ გამოცემა ხელოვნებთმცოდნის
შალვა კვასხაძის გამოკვლევა, მიძღვნილი მხატ-
ვარ გიორგი მაისურაძის ცხოვრებისა და შე-
მოქმედებისადმი.

სარეცენზიო შრომა ავსებს ახალი დროის ქა-
რთული სახვითი ხელოვნების ისტორიის შესწავ-
ლის საქმეში არსებულ ხარვეზს. ამ წიგნით
კვასხაძე ფაქტობრივად პირველად აყენებს და
შეისწავლის საკითხებს ახალი დროის ქართული
რეალისტური ფერწერული პორტრეტის შემუ-
შავება-განვითარებასა, პირველი აკადემისტის
მხატვრის, ყოფილი ყმა-გლეხის, გიორგი მაისუ-
რაძის ცხოვრებისა და შემოქმედებისა მავა-
ლითზე.

წიგნი ავტორის მიერ დაწერილია ღრმა და
ხანგრძლივი კვლევა-ძიების შედეგად. იკითხება
დიდი ინტერესით და იმსახურებს ყურადღებას
აბა მარტო ეფრო სპეცილისტებისა, არამედ
ფართო მკითხველსაც: იგი ხაზავს შეცნობრუ-
ლად ზუსტსა და ნათელ სურათს ეპოქისა და
მხატვრის ცხოვრება-შემოქმედებისა. მხატვრის
მემკვიდრეობის — პორტრეტების, — ანალიზი

და გარჩევა მოცემული მკვლევარის მიერ, მკაფ-
ხველს ნათელ წარმოდგენას აძლევს იმ თავისუ-
ბურებზე, რაც საერთოდ დამახასიათებელია
რეალისტისათვის, კერძოდ კი მაისურაძის შემო-
ქმედებისათვის.

ავტორი ქართულ სახელოვნებთმცოდნეო მე-
ცნიერებაში პირველად მიმოიხილავს აღრეული
ხანის ქართულ საპორტრეტო ფერწერას და
იმდენად იგი არსებობდა ახალი დროის ქართუ-
ლი რეალისტური ფერწერული პორტრეტის სა-
თავეებს შეისწავლის.

წიგნი შედგება ექვსი ნაწილისაგან, მათგან
1) „წინანდელი ბიჭი“ (1817-1835), 2) „პეტრე
დიდის ქალაქში“ (1835-1850) და 3) „ქუთაისის
ის ქვეშ“ (1850-1885) — ავლევს და ადგენს
მხატვრის ცხოვრებასა და შემოქმედებას.

გამოკვლევაში სათანადო დასკვნები და განზო-
გადებანი მოცემულია ყოველი თავის მიხედვით
ცალ-ცალკე: დახასიათებულია მნიშვნელობა
მხატვრის შემოქმედებისა და მოღვაწეობისა.
შესაფერის ადგილებზე აღგვნილია მხატვრის
ურთაერთობის ისტორია მის თანამედროვებ-
თან.

წიგნის პირველი ნაწილი, რომელსაც „ცხოვ-

რების ნანატრფლავი“ ეწოდება — ორი განყოფილებისაგან შედგება. პირველია — „თემისათვის“, მეორე კი — „თემის შესწავლის ისტორიისათვის“; პირველში მოცემულია თემისა და მისი მნიშვნელობის განსაზღვრება, მეორეში კი თემის შესწავლის, მისი დადგინებისა და კვლევის დაწვრილებითი ისტორია.

წიგნს დართული აქვს ავტორის მიერ მოზოგებული საარქივო მასალები, რაც წარმოდგენილია „შენიშვნებისა და დამატებათა“ ვანყოფინებით. ამ ნაწილით ავტორი განსაზღვრავს თემის მოცულობას და მნიშვნელობას. იმ დღეს რაც მისურაძეს ეკუთვნის ახალი ხელოვნების განვითარების ისტორიაში.

„თემის შესწავლის ისტორიისათვის“ — მიმოიხილავს არსებულ ლიტერატურას; თუ პუბლიკაციებს, მათ ზასიათს და სანდობობას. აქ ავტორი ახდენს სისტემატიზირებას მასალებისა და მათი კვლევის ისტორიისა.

წიგნის პირველ თავში — „წინანდელი ბიკი“ — ავტორი იძლევა გ. მისურაძის ბავშვობისა და ყრმობის ცხოვრების პირობებს და მის გარემოცვას. ავტორი საარქივო მასალების საფუძველზე პირველად იძლევა იდგენს მისურაძის მიერ ხატვის საქმის შესასწავლად ჩატარებულ მუშაობის გარემოებას.

მხატვრის პიროვნებისა და შემოქმედებითი „მეს“ ფორმირების ისტორიის დადგენასთან ერთად — ავტორის მიერვე მოზოგებულ საარქივო მასალების საფუძველზე — მათი სათანადო ანალიზით, დადგენილია პოეტ ალექსანდრე ჭავჭავაძის ბიოგრაფიიდან, ქართული ლიტერატურის ისტორიის თვალსაზრისითაც კი შეტად საინტერესო გარემოებანი, გარკვეულია აქამდე უცნობი პირობები ჭავჭავაძის ცხოვრებისა 1832-1837 წლების ავეისის ჩათვლით.

წიგნის მეორე თავი „პეტრე დიდის ქალაქში“ — მოიცავს 1835-1850 წლებს: აქ თანმიმდევრულადაა გადმოცემული და აღდგენილი პეტერბურგში ცხოვრებისა, სწავლისა და შემოქმედებითი მომწიფების ისტორია. მისურაძის ცხოვრება დადგენილია იმ ერთად ერთი ფონის მიხედვით, სადაც უხდებოდა ცხოვრება ახალგაზრდა მხატვრის. ამ თავში პირველადაა მითითებული ავტორის მიერ მისურაძის ვენეციანოვთან და ტროპინინთან სწავლის შესახებ. ლაბაზე. მოცემულია მეტად საინტერესო და აზუბურბი ინტერპრეტაცია იმ წერილისა, რომელიც პუშკინთანაა დაკავშირებული და სადაც თბილისელი ე. ი. ქართველი მხატვარია მოხსენებული, ამ წერილის გამოქვეყნებით ახალი შექი ეფინება ა. პუშკინისა, ა. ჭავჭავაძის, გ. ბრიულოვისა, ბაგრატიონთა, ა. პეროვსკის (ს. დოდაშვილმა სწორედ ა. პეროვსკის უძღვნა თავისი „ლოლიკა“) და გ. მისურაძის ურთიერთობის და ნაცნობობის საკითხებს. ამ თავში სათანადო საარქივო დოკუმენტების აღ-

მოჩენით ავტორი იდგენს მისურაძის დაბადების ოფიციალურ თარიღს, რიოც უარყოფს ყველა ადრე გამოქვეყნებულ თარიღს.

სწორადაა წარმოდგენილი კითხვა „თარხნობის სიკვლის“ მინაარსის და მოწმეთა ვინაობისა. დადგენილია ა. ჭავჭავაძის მიერ, საკუთარს ნებასურვილით მისურაძის ყმობიდან განთავისუფლების, ხოლო ერთი წლის შემდეგ კი, მოწინავე რუს მოღვაწეთა მეშხებით, ტ. შევჩენკოს ყმობიდან გამოსყიდვის ისტორია.

აღდგენილია მისურაძის პეტერბურგში ცხოვრებისა და სწავლის პირობები, დადგენილია პირველად მისი საცხოვრებელი ადგილი და მისამართი. განსაკუთრებით ხაზგასმულია და გამოყოფილი რუსეთში მცხოვრები ქართველების, ასევე ბაგრატიონთა ზრუნვა მისურაძის აღზრდის საქმეში, აღდგენილია სავსებით იმ მძიმე პირობების სურათი, რომელშიაც იყვნენ ხოლმე ჩაყენებული სამხატვრო აკადემიაში ყმა-გლეხთა წრიდან გამოსული მხატვრები.

განხილულია გ. მისურაძის მიერ გ. ბრიულოვის სახელობის იოში სწავლის დროს შესრულებული პორტრეტი ა. ბაგრატიონისა, სურათზე გამოსახული პიროვნების ვინაობის გახსნით. ავტორს შეაქვს კორექტივი ს. დოდაშვილის ბიოგრაფიის შესახებ გამოქვეყნებულ ცალკეულ პეტრეობა მოსაზრებებში. წიგნში პირველად იჭყრდება გ. ბრიულოვის შუამდგომლობა აკადემიის სამეცნიერო საბჭოს წინაშე გ. მისურაძისათვის დახმარების მიცემის შესახებ, ატესტატის დედანი, 1850 წელს მისურაძის საქართველოში დანიშვნისა და პეტერბურგიდან გამოშვებასთან დაკავშირებით, ალექსანდრე ჭავჭავაძის და მისი მეუღლის სალომეს პორტრეტების შექმნის ისტორია, მათი შეფასება — ანალიზი, „რამორტი სენატსა-აკადემიისადმი“ და „პრძანებულება სენატისა 1846 წ. 28 მარტიდან“ — გ. მისურაძის ხაზჯის გადაშლელთა სიიდან ამოთიკების შესახებ. ამ დოკუმენტის გამოქვეყნებით ავტორი პირველად იდგენს შევჩენკოს მიერ აკადემიის დამთავრებისა და მისი განთავისუფლების გარემოებას. ეს დოკუმენტი მისი აქ გამოქვეყნებამდე საერთოდ შეუჩენკოს შესახებ არსებული ლიტერატურისათვისაც უცნობი რჩებოდა.

თავი აქუთაისის ცის ქვეშ“ — (1850-1885) მიმოიხილავს მხატვრის ცხოვრებისა და შემოქმედების უკანასკნელ ხანას. საარქივო დოკუმენტების საფუძველზე, აქ პირველადაა დადგენილი გ. მისურაძის ქ. პეტერბურგიდან 1850 წელს ქუთაისში გამოშვებასთან და იქ ვინაობაში მუშაობის დაწყება. ამ გარემოების ნამდვილი სურათის აღდგენას დიდი მნიშვნელობა აქვს, იგი საბოლოოდ ათავისუფლებს ალ. ჭავჭავაძის იმ ჩრდილისაგან, რაც მას მოაყენეს ზოგიერთმა ავტორმა მისურაძისთან დაკავშირებით.

ამ ნაწილში წიგნის ავტორი მიმოიხილავს მისურაძის მიერ დაბატულ პორტრეტებსა და მათი შექმნის ისტორიას. პორტრეტების მხატვრუ-

ლი ანალიზის საფუძველზე აღგენს მაისურაძის როლსა და მნიშვნელობას ახალი ქართული რეალისტური სახეითი ხელოვნების ისტორიაში. აქვეა დახასიათებული მაისურაძე როგორც მუდგოვი აკადემიის წევრის, ვიოროვი წევრის, გრიშა აბაშიძის, ნ. შარის, ს. ქვარიაშისა და იმ დროში მოსწავლე სხვა ახალგაზრდებისა.

წიგნში წარმოდგენილია იმ პერიოდის ისტორია, რომელზეც გადაიტანა მაისურაძემ რეაქციონერსა და ნაულმცირესობათა შორეთ, ქუთაისის სასწავლებელთა დირექციის უფროსთან კოცებულობა.

წიგნის ავტორი მაისურაძის მიერ ქუთაისში შექმნილი პორტრეტების მავალითვე ასახულებს და განსაზღვრავს მისი შემოქმედებითი მეთოდის რაობას, მის დემოკრატიულ ხასიათს.

მოკლულია სახეებით მართებული დასკვნები იმის შესახებაც, რომ გ. მაისურაძის შემოქმედება ხასიათდება ადამიანისადმი დიდი სიყვარულით, დემოკრატიზმითა და პუმიანიზმის იდეებით, რომ მაისურაძის შემოქმედების ქვაკუთხედი ადამიანია და რომ მას ადამიანის მხატვრული ხევნების გზით არჩეული აქვს ერთადერთი გზა, გზა გარემყარის რეალისტური მხატვრული ასახვისა. სახეებით მართალია ავტორი, როცა გ. მაისურაძის დამსახურებასა და როლს ხედავს რეალიზმის დამკვიდრებისა და განვითარებისათვის ბრძოლაში, ხედავს ერთი პერიოდის აღმოსავლური მხატვრობის სფეროში გაბატონებული, კერძოდ ირანული პირობითობის თუ სტილიზების წესებთან და შეთოდებთან დაპირისპირებულობაში, ხოლო, მეორე მხრივ მხატვრის შემოქმედების ხატწერულობის პრინციპებთან დაკავშირებაში.

სახეებით სამართლიანია ავტორის დასკვნა, რომ გ. მაისურაძემ ახალ ქართულ მხატვრობაში დამკვიდრა სამოქალაქო ხასიათის ახალი დროის შესაფერისი რეალისტური დაზგური ფერწერის მეთოდები, რომ მაისურაძე იბრძოდა იმ დიდი იდეალებისათვის, რისთვისაც იბრძოდა მისდროინდელი ქართული მწერლობა და ქართული თეატრი. წიგნს დართული აქვს „შენიშვნები და დამატებანი“. ამ მასალის ისტორიულ-შემეცნებითი მნიშვნელობა უსათუოდ დიდია.

დასასრულ რამდენიმე შენიშვნა. კარგი იგნებოდა, რომ წიგნის ავტორს უფრო ვრცლად წარმოედგინა მაისურაძისა და შეეჩვენოს ურთიერთობა, მხატვრის მემკვიდრეობა, მისი კახეთში, იმერეთში, პეტერბურგში, რაქსა და სამეგრელოში მუშაობის მიხედვით.

წიგნი თვალსაჩინო და საყურადღებო შენიშვნაშია ქართულ სახელოვნებათმცოდნეო მეცნიერების დარგში.

აკოლონ ქუთათილაძე

ახალი წიგნები



„საბჭოთა საჭარბელო“



- მიხეილ ჯავახიშვილი — მოთხრობები. ტ. I რედ. ნ. შველიძე, გვ. 500, ფასი 12 მან.
- კონსტანტინე გამსახურდია — რჩეული თხზულებანი. ტ. I, რედ პლ. ბებია, გვ. 410, ფასი 14 მან.
- იკანთე ლხავიანი — ერთგულბა. რედ. თ. გოგოლაძე, გვ. 606, ფასი 12 მან. 15 კაბ.
- ალექსანდრე აბაშელი — თხზულებათა კრებული. ტ. I, რედ. გ. ციციშვილი, გვ. 388, ფასი 10 მან. 15 კაბ.
- ოსებ ნონეშვილი — ლექსები პოემები. რედ. ნ. შველიძე, გვ. 428, ფასი 9 მან. 80 კაბ.
- ა. შარვაშიანი — რჩეული მოთხრობები. თარგმანი არჩილ, არტემ შ და ივანე დავითიანი. რედ. პლ. ბებია, გვ. 194, ფასი 4 მან. 30 კაბ.
- ვ. ბილი-ბელეცკოვსკი — რჩეული მოთხრობები. თარგმანი ერასტი ტროტაძისა, რედ. პლ. ბებია, გვ. 232, ფასი 4 მან. 55 კაბ.
- კ. პაუტოვსკი — მოთხრობები. თარგმანი თ. ბებურიშვილისა, რედ. ლ. ელიოზიშვილი, გვ. 100, ფასი 1 მან. 35 კაბ.
- ბოლესლაე პრუსი — ფარაონი. თარგმანი ალ. წერეთლისა, რედ. პლ. ბებია, გვ. 726, ფასი 15 მან.
- გიორგი ჯიბლაძე — კრიტიკული ეტიუდები. წიგნი I, რედ. რ. ორჯონიკიძე, გვ. 460, ფასი 12 მან. 20 კაბ.
- ს. ჩხარტიშვილი — სტუდენტ ვიორჯის-ძე წაუშვანი, რედ. დ. ჯაბუა, გვ. 100, ფასი 3 მან. 35 კაბ.
- ა. აღმაძე — პროკოფი (ალიოშა) აფრასიონის-ძე ჯაფარიძე, რედ. ნ. ნარმანი გვ. 118, ფასი 3 მან. 50 კაბ.
- ალ. მუჯირი — კოლონიურ ხალხთა განმთავისუფლებელი მოძრაობის თავისებურებათა შესახებ რედ. მ. კორძაია, გვ. 160, ფასი 1 მან. 65 კაბ.
- მ. პ. გიორგაძე — ნაციონალური საკითხის გადაჭრა სსრ კავშირში. რედ. ნ. მახარაძე, გვ. 74, ფასი 80 კაბ.
- ნ. ჩერქეზიშვილი, ლ. შუმლაძე — ეკონომიური კონფერენციები. რედ. გ. შოზაძე, გვ. 108, ფასი 1 მან. 15 კაბ.
- გ. თაქაიშვილი — ბორჯომელი ხახვი „რეკორდი“. რედ. ც. ფირცხალავა, გვ. 18, ფასი 20 კაბ.
- მიხეილ მადლაშვილი — პურეულის გაყოფითი აღება და მოსავლის ასაღები მანქანები. რედ. ც. ფირცხალავა, გვ. 100, ფასი 2 მან. 80 კაბ.

საგლიტბაში

- მაინრიხ მაინე — ატა ტროლი. თარგმანი გერმანულიდან აკაკი გელოვანისა, რედ. გ. ნადირაძე, გვ. 124, ფასი 6 მან.
- გერონტი ქიქოძე — ერეკლე მეორე. რედ. გ. ჯიბლაძე, გვ. 208, ფასი 5 მან. 70 კაბ.
- კ. გოგიაშვილი — დათუნა და ბაქია. რედ. ქ. ნადირაძე, გვ. 26, ფასი 3 მან. 70 კაბ.
- ალექსანდრე ჩიკვაძე — პროფესიის სიყვარული. რედ. თ. ბაღვაშიანი, გვ. 48, ფასი 75 კაბ.
- ახალგაზრდობას — რედ. ოთარ ქინქლაძე, გვ. 176, ფასი 2 მან. 50 კაბ.

შეცდომების გასწორება

„მნათობის“ № 10-ში შეცდომით იქნა აღნიშნული, რომ გ. მარგველაშვილის წერილი წარმოადგენს წინა ნომერში დაბეჭდილი წერილის გაგრძელებას. ამის შესაბამისად № 10-ში დაბეჭდილი წერილის სათაური უნდა იყოს: „გმერთული ეპოსის დაბადება“.

146-ე გვერდზე პირველი სვეტის მეორე აბზაცის პირველი სტრიქონი უნდა იყოს შემოღობულს ასე: „მაკა ქართველიშვილი“.

Handwritten signature or initials



ЕЖЕМЕСЯЧНЫЙ ХУДОЖЕСТВЕННО-
ЛИТЕРАТУРНЫЙ ЖУРНАЛ

„МНАТОБИ“

ГОСУДАРСТВЕННОЕ ИЗДАТЕЛЬСТВО
ГРУЗИНСКОЙ ССР

«САБЧОТА САКАРТВЕლო»